სამაგისტრო პროგრამა „გენდერის კვლევა“, (MSocSc in Gender Studies)

სწავლების ენა: ქართული

სამაგისტრო პროგრამის ავტორები: ნინო ჯავახიშვილი, თამარ ცხადაძე, მარინე ჩიტაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელი: მედეა ბადაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელი: ჯოანა რეგულსკა, რათგერსის უნივერსიტეტის ქალთა და გენდერის კვლევების დეპარტამენტის პროფესორი, საერთაშორისო პროგრამების დეკანი (ნიუ-ჯერსი, აშშ).

პროგრამის წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი ან დიპლომი ნესბისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში.
- საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა, აუცილებელია სამოტივაციო წერილის წარდგენა, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის სურვილი, მოლოდინი და ხედვა, თუ რატომ სურს ჩაბარება ამ კონკრეტულ სპეციალობაზე.
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდა ზოგად უნარებში.

შიდა გამოცდა:

<u>შიდა შესარჩევი კონკურსი და ქულების განაწილება</u>

წერითი გამოცდა სპეციალობაში - (50)

ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში - (20)

გამოცდა ინგლისურ ენაში, B2 დონე - (30)

<u>მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 51</u>

<u>მისაღები კონტიგენტის რაოდენობა: 10</u>

საგამოცდო საკითხები

- ფემინისტური თეორიის არსი და მნიშვნელობა

- სქესი, გენდერი, გენდერული იდენტობა, სექსუალობა

- შრომის გენდერული განაწილება და ქალთა შრომა

- ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში

- პატრიარქალური წესრიგი და ჰეგემონური მასკულინობა

- ქალთა საკითხი და მე-19 საუკუნის საქართველო

- ქალთა მდგომარეობა საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები

მისაღები გამოცდების საკითხები და ლიტერატურა იხილეთ ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

გამოცდებისათვის მოსამზადებელი ლიტერატურა შეიქმნა პუბლიაციაზე დაყრდნობით „ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში? ქალთა პოლიტიკური ბრძოლის ველი“ (ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო, 2017). პუბლიკაციის ელექტრონული ვერსიის მოსაპოვებლად მოგვმართეთ ელექტრონულ ფოსტაზე: genderinstitute@tsu.ge

1. ჯავახიშვილი, ნ., კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. ფემინისტური ეპისტემოლოგიის პერსპექტივა // *ქართული ფსიოქლოგიური ჟურნალი*, №7 2004, 43-59.

ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი

№7

Georgian Journal of Psychology

თბილისი

2004

კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, ფემინისტური ეპისტემოლოგიის პერსპექტივა

ნინო ჯავახიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია სოციალური მეცნიერებების ეპისტემოლოგიური პრინციპები კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების განვითარების თვალსაზრისით. პოზიტივიზმიდან მოყოლებული გაბატონებული იყო რაოდენობრივი. შემდეგ, მარქსიზმისა და ფემინიზმის გავლენით უკვე პოსტმოდერნიზმის ეპოქაში წინა პლანზე გამოვიდა თვისებრივი მეთოდები. ფემინიზმის აზრით, ადამიანები სუბიექტურები არიან, ობიექტურ სამყაროს ვერ ხედავენ, ამიტომ, მათთვის სუბიექტური რეალობის შესწავლაა მთავარი, რასაც კვლევის რაოდენობრივი მეთოდები ნაკლებად ახერხებს, აქცენტი თვისებრივ მეთოდებზე უნდა გაკეთდეს. ამჟამად, სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები თითქმის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებენ კვლევის ამ მეთოდებს. ე. წ. რაოდენობრივი დედუქციური მიდგომა დეტალურ დაგეგმვას მოითხოვს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დაწყებამდე. ე.წ. თვისებრივი ინდუქციური მიდგომა შეგროვებული მონაცემების წვდომას და განზოგადებას უსვამს ხაზს. სოციალური მეცნიერების სულ უფრო და უფრო მეტი წარმომადგენელი აღიარებს, რომ კვლევის ვერცერთ მიდგომას უპირატესობას ვერ მივანიჭებთ, უმჯობესია ისინი ერთმანეთის შემავსებელ და გამამდიდრებელ მეთოდებად მივიჩნიოთ და კომბინირებულად გამოვიყენოთ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ისტორია, ეკონომიკა, პოლიტოლოგია, ანთროპოლოგია და სხვ. სოციალურ მეცნიერებებს განეკუთვნება. მეცნიერების ამოცანა არის სხვადასხვა მოვლენის ახსნა და პროგნოზირება, მაგალითად, ფსიქოლოგიის კვლევის

მიზანი ადამიანის ფსიქიკის ახსნა და პროგნოზირებაა. სოციალური კვლევა ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. სოციალური კვლევის შედეგებს,რეკომენდაციებსა და პრინციპებს რეგულარულად იყენებენ სახელმწიფო მოხელეები, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, ბიზნესმენები. სოციალური კვლევა შეიძლება გამოვიყენოთ იმაში, რომ აღვზარდოთ ბავშვები, შევამციროთ დანაშულის დონე, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, გავყიდოთ ესა თუ ის პროდუქტი და სხვ (13).

მეცნიერება წარმოუდგენელია კვლევის მეცნიერული მეთოდების გარეშე. მრავალი მკვლევარის აზრით, სწორედ მეთოდი ხდის მეცნიერებას მეცნიერებად (9). სოციალური მეცნიერებები კვლევის ერთსა და იმავე მეთოდებს იყენებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვაობა სოციალურ მეცნიერებებში მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით მაინც არის, მაგალითად, ფსიქოლოგიაში ასე ძლიერ გავრცელებული და შეიძლება ითქვას წამყვანი კვლევის მეთოდი - ექსპერიმენტი ბევრად ნაკლებად გამოიყენება სოცოლოგიაში, სადაც აქცენტი გამოკითხვაზე კეთდება. რაც შეეხება კვლევის პრინციპებს,ანუ ეპისტემოლოგიას, ის ყველა სოციალური მეცნიერებისათვის ერთი და იგივეა.

მეცნიერულ კვლევას სწავლობს ფილოსოფიური დისციპლინა - ეპისტემოლოგია, რომელიც აღწერს და აფასებს სხვადასხვა შეხედულებას იმის შესახებ, თუ რა არის ცოდნა და როგორაა შესაძლებელი მისი მიღება. სხვადასხვა შეხედულებასაც, თავის მხრივ, ეპისტემოლოგიას უწოდებენ, ანუ, ამ თვალსაზრისით, ეპისტემოლოგია ნიშნავს კონკრეტულ შეხედულებას იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს მეცნიერულ ცოდნას და როგორ მიიღება ის. ეპისტემოლოგიებია, მაგალითად, იდეალიზმი, ემპირიზმი, პოზიტივიზმი, ფენომენოლოგია, სტრუქტურალიზმი, კონსტრუქტივიზმი, ემპირიზმი, კრიტიკული რეალიზმი და სხვ (2).

სოციალური მეცნიერების ყველა წარმომადგენელი სისტემატიურად აგროვებს და აანალიზებს ემპირიულ მონაცემებს, რათა კანონზომიერება აღმოაჩინოს და ახსნას სოციალური ცხოვრება. სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების

ირგვლივ დავა მათი გაჩენის დღიდან დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს. იმმანუილ კანტის აზრით, ფსიქოლოგია მეცნიერებად არ უნდა ჩაგვეთვალა, რადგან ის ექსპერიმენტს ვერასოდეს გამოიყენებდა. კრიტიკა ორი მიზეზის გამო უარყვეს: 1. ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა, ვილჰელმ ვუნდტმა ექსპერიმენტის ფართოდ გამოყენება დაიწყო, რაც შემდეგ წარმატებით გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა, მათ შორის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებელმა დიმიტრი უზნაძემ; 2. შესაძლებელია მეცნიერებამ ექსპერიმენტი ვერ გამოიყენოს და მაინც მეცნიერებად დარჩეს. ასტრონომიაში, მაგალითად, ექსპერიმენტირება არარეალურია, რადგან გალაქტიკებით მანიპულირება თეორიების შემოწმების მიზნით შეუძლებელია. შესაბამისად, მეცნიერული კვლევა არ გულისხმობს მხოლოდ ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებას, ასევეა ფსიქოლოგიაშიც.

სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები პირობითად რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად იყოფა. პირობითად იმიტომ, რომ ზოგიერთი მეთოდი, მაგალითად კონტენტ-ანალიზი, რაოდენობრივიცაა და თვისებრივიც. თანაც, კვლევისას ხშირად ერთად იყენებენ რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს - გამოკითხვა, რომელიც რაოდენობრივ მეთოდად ითვლება, დამუშავების შემდეგ მრავალ ახალ კითხვას ბადებს, რომლებზე პასუხის გაცემაც თვისებრივი მეთოდის - ფოკუსჯგუფის ჩატარების შედეგად ხდება. ან, პირიქით, ფოკუსჯგუფის შედეგების საფუძველზე დგება გამოკითხვის ინსტრუმენტი - კითხვარი და ტარდება გამოკითხვა.

სოციალურ მეცნიერებებში კვლევის რაოდენობრივი მეთოდებია: ექსპერიმენტი, გამოკითხვა, ტესტირება (ტესტი, კითხვარი სკალა), კონტენტ-ანალიზი, რადგან ამ მეთოდების გამოყენებით რაოდენობრივი მონაცემები მიიღება, ხოლო თვისებრივი მეთოდებია: ინტერვიუ (ზეპირი ისტორია), ფოკუსჯგუფი, დაკვირვება, დღიური, (ავტო)ბიოგრაფია, შემთხვევის შესწავლა, რადგან ამ მეთოდების გამოყენებით თვისებრივი მონაცემები მიიღება. მათგან, თითქმის ყველა მეთოდის ჩატარების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება რაოდენობრივადაცაა შესაძლებელი და

ასეც ხდება ხოლმე. მეორეს მხრივ, რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე თვისებრივი ანალიზი კეთდება, ანუ რიცხვების ენიდან ისევ სიტყვების ენაზე გადავდივართ. ამასთან, დაკვირვებისას შესაძლებელია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემების მიღება და შემდგომ შესაბამისი დამუშავება; გამოკითხვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ინტერვიუ, გამოკითხვა რაოდენობრივ მეთოდად ითვლება, ხოლო ინტერვიუ - თვისებრივად. ასე რომ, მეთოდების ამ ორ ჯგუფად გაყოფა საკმარისად პირობითია.

კვლევის მეთოდების რაოდენობრივ და თვისებრივ ჯგუფებად გაყოფა იმ მონაცემების საფუძველზე მოხდა, რომელსაც სპეციალისტები ამ მეთოდების საშუალებით ვაგროვებთ და ვამუშავებთ. შესაბამისად, განსხვავებული მონაცემების მოპოვების საჭიროება კვლევის განსხვავებულ სტრატეგიასა და მონაცემთა შეგროვების ტექნიკას მოითხოვს. მონაცემები კვლევის პროცესში შეკრებილი ინფორმაციაა, რაოდენობრივი (ე.წ. "მყარი") მონაცემები ნიშნავს, რომ ინფორმაცია ციფრებითაა წარმოდგენილი. მაგ: I -ს ქულა, რეაქციის დრო, კითხვარზე დაგროვილი ქულები და სხვ. რაოდენობრივი მონაცემები აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის საშუალებით ანალიზდება. თვისებრივი (ე. წ. "რბილი") მონაცემები ნიშნავს, რომ ინფორმაცია ვერბალურად, ფოტოს, სიმბოლოს სახითაა წარმოდგენილი. მაგ: ორ ადამიანს შორის საუბრის ჩანაწერი მათი ხმის ტონისა და ჟესტების დაფიქსირებით. თვისებრივი მონაცემების დამუშავებისთვისაც გამოიყენება სტატისტიკა, თუმცა, ბევრად იშვიათად, ვიდრე რაოდენობრივი მონაცემებისათვის. გარდა ამისა, კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები ერთმანეთისაგან სხვა პრამეტრებითაც განსხვავდება, მაგ: თვისებრივი კვლევის ფუნქცია უფრო მეტად ჰიპოთეზის ჩამოყალიბებაა, ხოლო რაოდენობრივის - ჰიპოთეზის შემოწმება,თვისებრივი კვლევის შედგების ანალიზი უფრო შემოქმედებითია, ხოლო რაოდენობრივის - უფრო სტანდარტიზებული და სხვ (1).

ე. წ. რაოდენობრივი მკვლევრები სოციალური მეცნიერებებისადმი პოზიტივისტურ მიდგომას ეყრდნობიან, "რეკონსტრუირებულ ლოგიკას" იყენებენ და კვლევის წრფივ ხაზს მიყვებიან. ისინი ცვლადებისა და ჰიპოთეზების ენაზე საუბრობენ, ხოლო ე. წ. თვისებრივი მკვლევრები ეყრდნობიან ინტერპრეტაციულ, ან კრიტიკულ სოციალურ მეცნიერებას, "პრაქტიკულ ლოგიკას" იყენებენ და კვლევის არაწრფივ ხაზს მიყვებიან. ისინი შემთხვევების და შინაარსის ენაზე საუბრობენ და კონკრეტული სოციო-ისტორიული კონტექსტისადმი სპეციფიკური აუთენტური ინტერპრეტაციის წარმოდგენას ცდილობენ.

რეკონსტრუირებული ლოგიკა ნიშნავს, რომ კვლევის პროცესი ორგანიზებულია, ის ლოგიკურად თანმიმდევრულ წესებში და ტერმინებშია აღდგენილი (რეკონსტრუირებული). ამ ლოგიკას სახელმძღვანელოებსა და კვლევის ანგარიშებში, სტატიებში შეხვდებით. მაგალითად, შემთხვევითი შერჩევის განხორციელების წესები ნათელი, ცხადია და ნაბიჯ-ნაბიჯ პროცედურას მიყვება. პრაქტიკული ლოგიკა ნაკლებად დაგეგმილია, კონკრეტულ შემთხვევებს უკავშირდება და ამოცანის პრაქტიკული შესრულებისკენაა მიმართული. მას ნაკლები რაოდენობით დადგენილი წესი აქვს.

შესაბამისად, რაოდენობრივი მკვლევრები ზედმიწევნით ზუსტად აღწერენ გამოყენებულ კვლევის პროცედურებს, მაგალითად, სატელეფონო ცნობარიდან ამოღებული 300 ადამიანისაგან შემდგარი სისტემატური შემთხვევითი შერჩევა, ან ლიკერტის სკალირება, ხოლო თვისებრივმა მკვლევრებმა შეიძლება საერთოდ არ აღწერონ გამოყენებული მეთოდი, ნაკლებ სტანდარატიზებულია პროცედურა და პირობები. ისინი უფრო მეტად ეყრდნობიან გამოცდილებას, ამიტომ, თვისებრივი კვლევა უფრო ძნელი ასათვისებელია.

კვლევის წრფივი ხაზი ნაბიჯთა ფიქსირებულ თანმიმდევრობას ნიშნავს, მკვლევარმა ყოველთვის იცის, რა იქნება მისი შემდეგი ნაბიჯები, ეს პირდაპირი, ვიწრო გზაა, რომელიც უფრო ევროპულ და ჩრდილო ამერიკულ კულტურას სჩვევია. არაწრფივი ხაზი უფრო ციკლურია, ხანდახან მკვლევარი უკანაც დგამს ნაბიჯს, ან წრფიდან გადადის, ეს უფრო სპირალს გავს, მკვლევარი ნელა მიიწევს ზემოთ, მაგრამ არა პირდაპირ. ყოველი ახალი

ციკლის პორცესში მკვლევარი ახალ მონაცემებს აგროვებს და ახალ ინსაიტს იღებს, ანუ მასალას უკეთ წვდება. მკაცრი წრფივი თვალსაზრისით, არაწრფივი მიდგომა არაეფექტურად და ბუნდოვნად გამოიყურება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არაორგანიზებული და ქაოტურია. პირიქით, ამგვარი მიდგომა უაღრესად ეფექტურია მთელი სურათის, ღრმა და დაფარული აზრის, ნიუანსების და სხვადასხვა კუთხიდან დანახვის წვდომისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარი კვლევა დაბალი ხარისხისაა და შეცდომებს პატიობს მკვლევარს, მას თავისი საკუთარი წესრიგი და სიზუსტე აქვს (14).

პოზიტივიზმს მეცნიერების ფილოსოფიაში ხანგრძლივი ისტორია აქვს და მისი მრავალი ვერსია არსებობს, ესენია: ლოგიკური ემპირიზმი, კონვენციონალიზმი, პოსტპოზიტივიზმი, ფუნქციონალიზმი, ნატურალიზმი, ბიჰევიორიზმი. ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიდგომაა და მრვალ მკვლევარს მიაჩნია, რომ მეცნიერული მიდგომა მხოლოდ პოზიტივისტურია. ოგიუსტ კომტი, ჯონ სტიუარტ მილი, ემილ დიურკემი პოზიტივისტები იყვნენ, ისევე, როგორც ტალკოტ პარსონსი - პოზიტივიზმის გამგრძელებლი და სტრუქტურული ფუნქციონალიზმის წარმომადგენელი. პოზიტივიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ობიექტური რეალობის შესწავლა იყო, გამოყენებითი კვლევის მრავალი სპეციალისტი - კრიმინოლოგი, მარკეტოლოგი, პოლიტიკის ანალიტიკოსი, დამგეგმავი, პროგრამების შემფასებელი - ამგვარ მიდგომას იყენებს. პოზიტივიზმისათვის სოციალური მეცნიერება არის დედუქციური ლოგიკის და ქცევის ზუსტი ემპირიული დაკვირვების შერწყმის ორგანიზებული მეთოდი, რათა აღმოაჩინოს და დაადასტუროს ალბათური კაუზალური კანონები, რომლებიც ადამიანთა ქცევის ზოგადი კანონზომიერების წინასწარმეტყველების მიზნით გამოიყენება.

ინტერპრეტაციული სოციალური მეცნიერება მაქს ვებერისა და ვილჰელმ დილთეის თეორიებიდან მომდინარეობს და დაკავშირებულია ჰერმენევტიკასთან, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტექსტის (სიტყვები, სურათები) დეტალურ წაკითხვასა და განხილვაზე, როდესაც მკითხველს საკუთარი

სუბიექტური გამოცდილება შეაქვს ტექსტში, რადგან ცდილობს ჩაწვდეს და გაიგოს ის. ინტერპრეტაციული სოციალური მეცნიერების ვერსიებია ჰერმენევტიკა, კონსტრუქტივიზმი, ეთნომეთოდოლოგია, კოგინტური, იდეალისტური, ფენომენოლოგიური, სუბიექტივისტური და თვისებრივი სოცოლოგია, ის ასევე კავშირშია სიმბოლურ ინტერაქციონიზმთან, ან ჩიკაგოს სოციოლოგიურ სკოლასთან, მას ხშირად კვლევის თვისებრივ მეთოდს უწოდებენ. ამ მიდგომის მიმდევარი მეცნიერები ხშირად იყენებენ მონაწილის, ანუ ჩართული და ველზე დაკვირვების მეთოდს. პოზიტივიზმის ინსტრუმენტული ორიენტაციისაგან განსხვავებით, ინტერპრეტაციული მიდგომა პრაქტიკული ორიენტაციისაა. ინტერპრეტაციული მიდგომა არის სოციალური მნიშვნელობის მქონე მოქმედებების სისტემატური ანალიზი ადამიანთა ბუნებრივ გარემოში უშუალო დეტალური დაკვირვების გზით, რათა გავიგოთ, როგორ ქმიან და ინარჩუნებენ ადამიანები თავიანთ სოციალურ სამყაროს.

კრიტიკული სოციალური მეცნიერების ვერსიებია: დიალექტიკური მატერიალზმი, კლასობრივი ანალიზი, სტრუქტურალიზმი და რეალიზმი. კრიტიკული სოციალური მეცნიერება ერთდროულად იყენებს იდიოგრაფიულ და ნომოთეტურ მიდგომებს. ამ მიდგომის ავტორები არიან კარლ მარქსი, ზიგმუნდ ფროიდი, თეოდორ ადორნო, ერიხ ფრომი, ჰერბერტ მარკუზე და იურგენ ჰაბერმასი, ის უკავშირდება კონფლიქტის თეორიას, ფემინისტურ ანალიზს და რადიკალურ ფსიქოთერაპიას, ისევე, როგორც ფრანკფურტის სკოლის მიერ შემუშავებულ კრიტიკულ თეორიას. ამ მიდგომის კიდევ ერთი წარმომადგენელი - პიერ ბურდიო აკრიტიკებს როგორც პოზიტივიზმს, ასევე ინტერპრეტაციულ მიდგომას, მისი აზრით, კვლევის მიზანია ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენების აღმოჩენა და შესწავლა. კრიტიკული სოციალური მეცნიერების მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ პოზიტივიზმი ვერ სწავლობს რეალურ ადამიანებს და მათ უნარებს, უარყოფს სოციალურ კონტექსტს და ანტიჰუმანურია, ხოლო ინტერპრეტაციული მიდგომა ზედმეტად სუბიექტური და რელატივისტურია. ის შემოიფარგლება ლოკალური, მიკრო დონის, ხან-

მოკლე სიტუაციებით და უგულვებელყოფს უფრო ხანგრძლივ და ფართო კონტექსტს. კრიტიკული მიდგომისათვის სოციალური მეცნიერება არის კვლევის კრიტიკული პროცესი, რომელიც ზედაპირზე არსებული ილუზიების მიღმა გადის, რათა მატერიალური სამყაროს რეალური სტრუქტურა დაინახოს და დაეხმაროს ადამიანებს შეცვალონ ცხოვრების პირობები და უკეთესი სამყარო ააშენონ.

თანამედროვე სოციალური მეცნიერებები პოზიტივისტურ საფუძველს ეყრდნობიან, რაც ნიშნავს, რომ ადამიანის ფსიქიკის შესწავლა ისევე უნდა მოხდეს, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხდება ბუნებრივი მოვლენების შესწავლა. რეალურად ეს ნიშნავს, რომ კვლევის პროცესი ობიექტურად განსაზღვრული ფენომენების (მოვლენების) ყურადღებით შესწავლას გულისხმობს, როდესაც ცვლადების რაოდენობრივი გაზომვა ხდება (15). აქედან გამომდინარე, გაბატონებული პოზიცია უკანასკნელ ხანამდე კვლევის რაოდენობრივ მეთოდებს ეკავათ, მაგრამ ამჟამად, თვისებრივ მეთოდებს სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა და დღეისათვის მათ რაოდენობრივი მეთოდების თანაბარი პოზიცია უკავიათ. ამგვარი სიტუაციის საფუძველს წარმოადგენს პოსტმოდერნისტული ეპისტემოლოგია. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ფემინისტური ეპისტემოლოგიის განხილვა, რომელიც რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მისი მოსაზრებები და პოზიცია კიდევ უფრო ნათელს ხდის კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს შორის მიმართებას.

ფემინიზმის, ისევე როგორც მეოცე საუკუნის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოძრაობის საწყისები იმ მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებშია, რომლებსაც ყველაზე ხშირად მოდერნიზაციასთან აიგივებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქალების (და მამაკაცების გარკვეული კატეგორიების) დაქვემდებარების ფენომენი თითქმის ყველა ტრადიციული კულტურის თანმდევი ფაქტორი იყო, ეს, როგორც წესი, ბუნებრივად აღიქმებოდა და იშვიათად ხდებოდა რეფლექსიის თუ კრიტიკის

საგანი. დასავლეთ ევროპის (მაგ. ინგლისი) მეჩვიდმეტე საუკუნის სოციალური, პროდუქციული და ოჯახის სფეროები თავისი უფრო ინდივიდუალისტური და თვით-რეფლექსიური კულტურით გახდა საწინდარი იმისა, რომ ქალებს საკუთარი თავი უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანების კატეგორიად შეეცნოთ. ფემინიზმი, როგორც ამ გაცნობიერების დისკურსული პასუხი, მნიშვნელოვნად იყო "დავალებული" მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლობისგან – თუმცა მისი, როგორც მასობრივი მოძრაობის ჩამოყალიბება მეცხრამეტე საუკუნის ფენომენია (8).

იდეოლოგიურ მოძრაობათა შორის ფემინიზმი, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, უჩვეულოდ თვით-კრიტიკული იყო თავისივე ფასეულობების გააზრებაში, ვინაიდან მას იმ კულტურაში უწევდა მანიფესტაცია, რომელიც პატრიარქალური და მასკულინური იყო და წარმოადგენდა კიდეც ფემინისტური კრიტიკის მთავარ სამიზნეს. ამასთანავე, ფემინიზმი არატიპიურად ღია აღმოჩნდა ინტელექტუალური პარადიგმების ცვლილებების გავლენათა მისაღებად, იყენებდა რა მათ თავისივე ანალიზის გასაღრმავებლად. ფემინიზმმა კრიტიკულად შეიერთა როგორც მნიშვნელოვანი იდეოლოგიები – განსაკუთრებით ლიბერალიზმი, სოციალიზმი და მარქსიზმი, ოდნავ ნაკლებად – ანარქიზმი, გარემოს დაცვის იდეოლოგიები – ასევე მოდური მეთოდოლოგიები, როგორიცაა დიალექტიკა, ეგზისტენციალური ფენომენოლოგია, სტრუქტურალიზმი, პოსტ-სტრუქტურალიზმი, დეკონსტრუქტივიზმი, ემპირიზმი თუ კრიტიკული რეალიზმი. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოლიტიკურმა ინტერესებმა ფემინიზმი ღრმა ფილოსოფიურ საკითხებთან დააკავშირა როგორც ონტოლოგიური – მაგ. რას ნიშნავს იყო/გახდე ქალი და რას ნიშნავს სქესობრივი დაყოფა?, ასევე ეპისტემოლოგიური – მაგ. არსებობს თუ არა წმინდად ქალური შემეცნების/ცოდნის მიღების ხერხები? აქვს თუ არა თვითონ გონებას სქესი? და ეთიკური თვალსაზრისით -- მაგ. რას მოიცავს სამყაროს და საკუთარი თავის მიმართ ქალის, ან ზოგადად სქესობრივად დაყოფილი სუბიექტის დამოკიდებულება? (10).

ამდენად, როდესაც საუბარია ფემინიზმზე, ყოველთვის უნდა

გავითვალისწინოთ მისი, როგორც იდეოლოგიის თუ ფილოსოფიის მრავალფეროვნება და კომპლექსურობა, მისი მნიშვნელოვანი სახეცვლილებები დროში თუ სივრცეში. "ფემინიზმის" ნაცვლად საქმე გვაქვს "ფემინიზმებთან", რომლებიც განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს ემყარება. საერთო მათთვის არის ალბათ ქალების დაქვემდებარებული პოზიციების წინააღმდეგ გამოსვლა და სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წყობის შეცვლის მოთხოვნა ამ დისკრიმინაციის საბოლოოდ დაძლევის მიზნით. ფემინიზმის ე. წ. პირველი ტალღა მთლიანად ლიბერალიზმის პრინციპებს ეყრდნობოდა, ამიტომ, ის ლიბერალური ფემინიზმის სახელითაა ცნობილი, შემდეგ გაჩნდა რადიკალური, სოციალისტური, მარქსისტული, პოსტკოლონიალური, ფსიქოანალიზური და პოსტმოდერნისტული მიმართულებები ფემინიზმში (3).

დასავლურ აზროვნებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებების მიუხედავად, ლიბერალური ფემინიზმი პოსტმოდერნის ეპოქაშიც განაგრძობს არსებობას და ფემინიზმის უმთავრეს ფორმად რჩება. მეტიც, ბევრისთვის ლიბერალური ფემინიზმის ისეთი ცნებები, როგორიცაა ქალების უფლებები და გენდერული თანასწორობა, მთლიანად ფემინიზმთან იგივდება. ეს, როგორც უკვე აღინიშნა, მცდარი აზრია და არ ასახავს ფენიმიზმის მრავალფეროვნებას (11).

ფემინიზმს, განურჩევლად ფორმისა, სპეციფიკური და საინტერესო დამოკიდებულება აქვს ეპისტემოლოგიური ასპექტების მიმართ (ცოდნის თეორიის შესწავლა – ცოდნის მასშტაბი, ბუნება, გამომდინარეობა და ცოდნის ფლობის შესახებ პრეტენზიის სანდოობა). აღსანიშნავია, რომ ყველა ფორმის ფემინიზმისათვის ცხადი და აღიარებულია ის ფაქტორი, რომ ქალები ისტორიულად, სოციალურად და სიმბოლურად მარგინალიზებულ კატეგორიას წარმოადგენდნენ. ამდენად, ფემინისტები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ დასავლური აზრის ისტორიაც სწორედ ამ მარგინალიზაციით არის დაღდასმული. ქალების ინტერესები, პრობლემები თუ მსოფლმხედველობა გარიყული და იგნორირებულია, ხოლო ის, რაც მიიჩნევა ზოგადსაკაცობრიოდ

და უნივერსალურად, რეალურად მასკულინური აზრის და ინტერესების ქმნილებას წარმოადგენს (7).

ამდენად, აჩვენებს რა დასავლური ცოდნის შინაგან წინააღმდეგობას – მათ დემოკრატიულ იდეალებზე დაფუძნებულობას და ამავდროულად მათ წვლილს მარგინალიზაციის პროცესებში - ფემინისტური აზრი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დასავლური მეცნიერების/ფილოსოფიის ისეთ "მონაპოვრებს", როგორიცაა ემპირიზმი, უნივერსალიზმი, რაციონალიზმი. ფემინიზმისთვის დასავლური აზრის განვითარება პირდაპირ უკავშირდება სწრაფვას მასკულინური ძალაუფლებისკენ.

ფემინისტური კრიტიკა დღეს უკვე მნიშვნელოვანი მოცულობის ტექსტს ითვლის, რომლებიც დასავლური დომინანტური აზრის ტრადიციაში მასკულინურ იდეოლოგიებს და ქალების პრობლემატიზაციას ავლენენ. აქ ერთიანდება როგორც ფილოსოფიური, ისე მეცნიერული და სამედიცინო აზრის ტრადიციები, ვინაიდან, თუ განმანათლებლობის ისეთი იდეალები, როგორიცაა რაციონალიზმი, პროგრესი და სუბიექტი რეალურად ქალების მარგინალიზაციას ემყარება (ლიბერალური ფემინიზმი) და მასკულინურ პრიმატზეა აგებული (რადიკალური ფემინიზმი), მაშინ ცხადია, რომ ამ პარადიგმაში დაბადებული მეცნიერული აზრიც იმავე საწყისებს ატარებს. თუმცა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ფემინისტური კრიტიკა ეხება განმანათლებლობის იდეალებისკენ მიმართულ ისეთ მნიშვნელოვან კრიტიკულ დისკურსსაც, როგორიცაა, მაგალითად, ფსიქოანალიზის ტრადიცია.

ამავდროულად, ფემინიზმმა ბევრი ისეთი საკითხი წამოჭრა, რომლებიც წმინდად ფემინისტური ფილოსოფიის პროდუქტია. თანამედროვე ფემინიზმის მნიშვნელოვანი (პოსტ-სტრუქტურალისტური) თეზისია ისიც, რომ ქალები – ისევე, როგორც, ვთქვათ, "რაციონალური ინდივიდები" - არ წარმოადგენენ რაიმე ბუნებრივ და ონტოლოგიურ კატეგორიას, რომლებსაც მხოლოდ მობილიზაცია და გათავისუფლება ესაჭიროებათ; არამედ ქალის (თუ ისევ "რაციონალური ინდივიდის") კატეგორიები დისკურსული ქმნილებები, კონსტრუქტებია, რომლებიც მუდმივ რე-პროდუქციას განიცდიან სხვადასხვა ფორმით. ამდენად,

ფემინიზმის (ქალების) საკვლევი შეკითხვებია: ვინ ვართ ჩვენ? როგორ ჩამოვყალიბდით სქესობრივად დაყოფილ სუბიექტებად და როგორ შეიძლებოდა სხვაგვარები ვყოფილიყავით?

ფემინისტური ეპისტემოლოგია ემყარება შემეცნების მარქსისტულ თეორიას იმის შესახებ, რომ ჩაგრულ ფენას აქვს ჭეშმარიტი ცოდნა, ანუ ქალს, რადგან არსებობს სოციალური ცხოვრების ისეთი სფეროები, რომლებიც კაცს დანახული არა აქვს - ძალადობა, ბავშვების აღზრდა და ა. შ. ეს ჭეშმარიტი ცოდნა უცნობია საზოგადოებისათვის, რადგან ის თითქმის შეუსწავლელია (6).

რაც შეეხება უშუალოდ ფემინისტური კვლევის მეთოდებს, ზემოთქმულიდან გამომდინარე გასაგები უნდა იყოს, რომ ერთი სახის ფემინისტური კვლევა არ არსებობს, ვინაიდან ფემინისტი სწავლულები ყველა ტრადიციული დისციპლინის მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილი და თავადაც სხვადასხვა იდეოლოგიურ პრონციპებს იზიარებენ. ერთადერთი, რაც მთლიანად ფემინისტური კვლევის გამაერთიანებელ მიზნად შეგვიძლია მოვიაზროთ, ქალების გამოცდილების "გახმოვანება" და მათი ცხოვრების ხშირად დაფარული ასპექტების გახმაურებაა. ფემინისტური კვლევა განსხვავდება პატრიარქალური მეცნიერული აზრისგან პირველ რიგში იმით, რომ ქალების კულტურულ გამოცდილებასა და ფასეულობებზეა ფოკუსირებული. ფემინისტური კვლევა რადიკალურად ემიჯნება მასკულინისტურ-პოზიტივისტურ სოციალურ მეცნიერებას და ცდილობს აღმოაჩინოს და "გადაარჩინოს" ის ცოდნა და გამოცდილება, რომლებიც ისტორიულად გარიყულნი და მარგინალიზებულნი იყვნენ დასავლური აზრის მეტა-ნარატივებიდან (12).

ფემინისტური კვლევის ერთ-ერთ ბაზისურ მეთოდს ქალების მიკრო-ისტორიების შეგროვება წარმოადგენს. პირადი პოლიტიკურია, და ბევრი ფემინისტი მკვლევარიც (ინტერვიუს, (ავტო) ბიოგრაფიის მეთოდით) სწორედ ქალების პირადულის, და ამ პირადულში მანიფესტირებული გენდერული ჩაგვრის კვლევას მიმართავს. ფემინისტური კვლევა რადიკალურად უარყოფს ობიექტურობას მისი ტრადიციული გაგებით. ყველა დასავლური

კულტურული ნარატივი კვლევის ობიექტურობის შესახებ ფემინისტებისთვის სხვა არაფერია თუ არა იდეოლოგიები, რომლებიც გონების და სხეულის, დისტანციის და პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულებას საზღვრავს. ამდენად, ფემინისტური ობიექტურობა სუბიექტურის, პირადულის, ლიმიტირებულის აღწერით მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ფემინისტური კვლევის მნიშვნელოვანი მეთოდებია ინტერვიუ, ქალების ზეპირი ისტორიების შეგროვება. ამასთან, ფემინისტები ისეთ მეთოდებსაც იყენებენ, როგორიცაა კულტურაში/ხელოვნებაში რეპრეზენტირებული ქალების და ქალურობის იერსახეების ანალიზი, სახელმწიფო პოლიტიკის გენდერული კუთხით შესწავლა, ფემინისტური კვლევის გავლენის შესწავლა სოციო-პოლიტიკურ სფეროზე. თანამედროვე ფემინისტურ კვლევას დაემატა კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სფერო – ე.წ. კროს-კულტურული კვლევა, რომელიც ემიჯნება ეთნოცენტრიზმს და კონკრეტული გამოცდილების განზოგადებას და ცდილობს ქალების ცხოვრების და გამოცდილების მრავალფეროვნების შესწავლას გლობალურ კონტექსტში (6).

დიურკემის და პარსონსის მიდგომები წამყვანია სოციალურ მეცნიერებებში (ისინი იყენებენ რაოდენობრივ მეთოდებს), ეს არის მაგისტრალური - მაინსტრეამ მეცნიერება, დანარჩენი მიდგომების გავლენა შედარებით სუსტია, ისინი პოსტპოზიტივიზმში და პოზიტივიზმში გავრცელებული რაოდენობრივის ნაცვლად, თვისებრივ მეთოდებს იყენებენ. ფემინიზმის აზრით, ადამიანები სუბიექტურები არიან, ობიექტურ სამყაროს ვერ ხედავენ, ამიტომ, მათთვის სუბიექტური რეალობის შესწავლაა მთავარი, რასაც კვლევის რაოდენობრივი მეთოდები ნაკლებად ახერხებს, აქცენტი თვისებრივ მეთოდებზე უნდა გაკეთდეს.

60-იანი წლების ბოლოს სოციალურ მეცნიერებებში რევოლუცია მოხდა, პარალელურად ამერიკაში სტუდენტური და ახალგაზრდული მოძრაობები მიმდინარეობდა, მათ შორის ქალთა მოძრაობაც, რომლის წევრთა უმეტესობა უნივერსიტეტებიდან მოვიდა. ამ რევოლუციის შედეგად სოციოლოგები მიუბრუნდენ ფენომენოლოგიას, ჰუსერლს, ანუ დაიწყეს ყოველდღიური ცხოვ-

რების ფენომენების კვლევა, რათა ამ გზით შეესწავლათ სოციალური წესრიგი. ამას ყოველდღიურობის სოციოლოგია ეწოდა, ეს ისაა, რასაც ავტომატურად ვაკეთებთ და მხოლოდ მაშინ ვაქცევთ ყურადღებას, როცა აღმოვაჩენთ, რომ რაღაც არაა წესრიგში (მაგ.: წყალი არ მოდის). სოციოლოგის ამოცანაა ამ ყოველდღიურობის აღწერა სხვადასხვა საზოგადოებაში. ამ მიდგომაში მთავარია ადამიანის, მისი ჯგუფის გამოცდილება, ანუ ეს მიკრო-სოციოლოგიური მიდგომაა.

60-იან წლებში ფემინიზმმა დაიწყო ინგლისური ენის რეფორმა, ტერმინი სუბიექტი შეცვალეს აგენტით და აქტორით, რადგან სუბიექტს აქვს კიდევ სხვა, დაქვემდებარებული კონოტაცია (სუბჯეცტ-ქვეშევრდომი). გაჩნდა ფემინისტური კონსტრუქტივიზმი - ჯუდიტ ბატლერი და სხვები - რომლებიც ჰოფმანის გარდა ეყრდნობიან სოციალურ კონსტრუქტივიზმს, კერძოდ, ბერგერისა და ლუკმანის იდეებს, რომლებიც გამოხატულია წიგნში - რეალობის სოციალური კონსტურირება. მათი აზრით, სოციოლოგიის საგანი უნდა იყოს ადამიანის ცოდნა თავისი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. სოციალური რეალობა ობიექტურია, რადგან ის არსებობს, ჩვენ მასში ვიმყოფებით, მაგრამ ამავე დროს, ის სუბიექტურიცაა, რადგან ჩვენი საკუთარი შეგვაქვს მასში. ამავე მიმდინარეობის ცნობილი წარმომადგენელია გარფუნკელი, მისი წიგნი - კვლევები ეთნომეთოდოლოგიაში ყოველდღიურ ქცევას, რუტინას სწავლობდა.

კონსტრუქტივიზმის წარმომადგენელი ფემინისტი მკვლევრები (ჰარე-მასტინი და მარესეკი, ჰოლვეი, კროუფორდი, ვეზეროლი) კვლევის თვისებრივ მეთოდებს იყენებენ: დისკურსის ანალიზი, ენის, როგორც რეალობის აგების საშუალების შესწავლა. გარდა ამისა, ამ მიდგომის წარმომადგენლები ინტერდისციპლინარულ კვლევებს ახორციელებენ პოლიტიკურ, კულტურულ, სოციოლოგიურ მეცნიერებებთან, ლიტერატურათმცოდნეობასთან ერთად და სოციალურად ორიენტირებული ფსიქოლოგიის შექმნისაკენ მიისწრაფიან (4).

სწორედ ეს ფაქტორები – ფემინიზმის იმთავითვე ღიაობა სუბიექტური პოზიციის და მიკრო-ნარატივების მიმართ – არის

ალბათ ის განმსაზღვრელი, რაც ფემინიზმს, მოდერნიზაციის ალბათ ყველა სხვა იდეოლოგიისგან განსხვავებით, თანამედროვე ათასწლეულის და მისი მოთხოვნების მიმართ "ჯანმრთელ" პოზიციაში აყენებს (5). ვინაიდან თვითკრიტიკულობა და საუკუნის იდეოლოგიური და დისკურსული ცვლილებების მიმართ ღიაობა ფემინიზმის, როგორც ფილოსოფიის, შემდგომი სახეცვლილების და განვითარების საწინდარია.

ამრიგად, პოზიტივიზმიდან მოყოლებული კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების განვითარება შემდეგნაირია: გაბატონებული იყო რაოდენობრივი, შემდეგ, მარქსიზმისა და ფემინიზმის გავლენით უკვე პოსტმოდერნიზმის ეპოქაში წინა პლანზე გამოვიდა თვისებრივი მეთოდები. ამჟამად სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები თითქმის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებენ კვლევის ამ მეთოდებს, თუმცა, არსებობენ მეცნიერები, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ ერთი, ან მეორე ტიპის მეთოდებს იყენებდნენ. ე. წ. რაოდენობრივ მკვლევრები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა სქემა, გაზომვა და შერჩევა, რადგან მათი დედუქციური მიდგომა დეტალურ დაგეგმვას მოითხოვს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დაწყებამდე. ე.წ. თვისებრივი მკვლევრები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ინფორმაციის სიღრმეს, სიმდიდრეს, უმი მონაცემების ხელმისაწვდომობას, რადგან მათი ინდუქციური მიდგომა შეგროვებული მონაცემების წვდომას (ინსაიტი) და განზოგადებას უსვამს ხაზს. სოციალური მეცნიერების სულ უფრო და უფრო მეტი წარმომადგენელი აღიარებს იმას, რომ კვლევის ვერცერთ მიდგომას, რაოდენობრივი იქნება ეს, თუ თვისებრივი, უპირატესობას ვერ მივანიჭებთ, უმჯობესია ისინი ერთმანეთის შემავსებელ და გამამდიდრებელ მეთოდებად მივიჩნიოთ და კომბინირებულად გამოვიყენოთ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

ლიტერატურა

1. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი, (2004), სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, "ლოგოს პრესი"
2. ნინო ჯავახიშვილი. (2004), ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, თბილისი (იბეჭდება)
3. ნინო ჯავახიშვილი. (2003), ფემინიზმი, მისი ისტორია და მიმართულებები. ქალთა განათლებისა დ ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი, თბილისი
4. Ангер Р. (2001), Трехстороннее зеркало: психологи, изучающие женщин глазами феминисток, Введение в гендерные исследования, часть II, Санкт-Петербург, "Аллетейя"
5. Воронина О. А. (2001), Основы гендерной теории и методологии, теория и методология гендерных исследований. Москва
6. Здравомыслова Е., Темкина А. (2001), Социальное конструирование гендера: феминистская теория. В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I. Санкт-Петербург, "Аллетейя"
7. Здравомыслова Е., Темкина А. (2001), Феминистская критика эпистемологических оснований социологии: перспективы социологии гендерных отношений. В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I. Санкт-Петербург, "Аллетейя"
8. Коннелл Роберт (2000), Современные подходы. В книге: Гендерные Вопросы, хрестоматия, Москва
9. Солсо Р., Джонсон Х., Бил К. (2002), Экспериментальная психология практический курс, Санкт-Петербург, «Прайм еврознаю»,
10. Темкина А. (2001), Женское движение второй волны: истоки, концептуализация и результаты. В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I. Санкт-Петербург, "Аллетейя"
11. Элиот П., Менделл Н. (2001), Феминистская теория: проблематизация женской субьективности. В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть II. Санкт-Петербург, "Аллетейя"
12. Coole, Diana Threads and Plaits or an Unfinished Project? Feminism(s) through the Twentieth Century. pp. 154-175. In: Freeden, Michael (2001), Reassessing Political Ideologies.
13. Dyer, D. (1995). Beginning Research in Psychology. Blakwell.
14. Lawrence Neuman W. (2003), Social Research Methods. Qualitative and Quantitative Approaches. Boston Chapters 4-6, pp. 67-138
15. Nachmias Ch., Nachmias D. (2000), Research Methods in the Social Sciences. Worth Publishers, New York. Chap.1-3, pp. 1-66

Summary

Qualitative and Quantitative Reserach Methods in Social Sciences. The Feminist Epsitemology Perspective

Nino Javakhishvili

Epistemological principles of social sciences from the point of view of the qualitative and quantitative research methods development are presented in the article. Quantitative research methods had prevailed since positivist epistemology till postmodern period, when because of Marxism and feminism focus shifted towards the qualitative research methods. Feminism epistemology considers people can not percept objective world, and study of subjective reality can be fulfilled via qualitative research methods only. Quantitative deductive approach requires detailed planning prior to data collection and analysis. Qualitative inductive approach is more concerned about insight and generalization of data collected. At present, social scientists give almost the same importance to both of these approaches. Qualitative and quantitative research methods enrich each other.

2. მელიქიშვილი, ლ., ეთნიკურ-კულტურული ცნობიერების თავისებურებანი ქალთა ზეპირ ისტორიებში // *მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში*, ჯისიაი, თბილისი, 390-431.

ქალთა მეხსიერება

მრავალეთნიკური საქართველო
გასულ საუკუნეში

გამომცემლობა **ჯისიაი**

ეთნიკურ-კულტურული ცნობიერების თავისებურებანი ქალთა ზეპირ ისტორიებში

ზეპირი ისტორიების შესწავლა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ადამიანები ყვებიან ყოველგვარ ისტორიას ე.ი. იმ საინტერესო ამბებს, რაც მათ გადახდათ, რაშიც თვითონ იღებდნენ მონაწილეობას და ცდილობენ სხვა დაარწმუნონ მონათხრობის სოციალურ მნიშვნელობაში. ადამიანები ბავშვობიდან ეცნობიან მრავალ სიტუაციას და ხდება პიროვნების სოციალიზაცია. როგორც რუსი მწერალი სოლჟენიცინი ამბობს, „ადამიანად იბადებიან და პიროვნებად ყალიბდებიან". რომ გახდე პიროვნება, დიდი გზის გავლაა საჭირო. პიროვნება იძენს და აგროვებს ცოდნას თავის სოციუმში და ის აცნობიერებს, რომ მიეკუთვნება ამა თუ იმ საზოგადოებას, ჯგუფს, კონფესიას, ეროვნებას.

ასე რომ, ინდივიდის მიერ მოთხრობილი ყოველი ისტორია – განვლილი ცხოვრების საინტერესო ამბავი, კარგად ასახავს პიროვნების ფორმირების, საკუთარ გარემოსა და კულტურაში მისი დამკვიდრების პროცესს. ამიტომაც ამბების ანუ ისტორიების თხრობისა და ფიქსაციის ამოცანაა ამ კულტურის შესახებ ცოდნის დაგროვება.

ზეპირი ისტორიების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეხსიერების პრობლემას. სწორედ მეხსიერება ინახავს ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების მრავალ ამბავს. შეუძლებელია ინდივიდმა მოგვითხროს რამე, თუკი მას არ ძალუძს წარსულში მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების რეკონსტრუქცია. ამიტომაც ზეპირი ისტორიების ფიქსაციის დროს მეხსიერებას პირობითად შემდეგი ფუნქციები ეკისრება:

1. ინფორმაციის მიღება
2. ინფორმაციის გადამუშავება
3. ინფორმაციის გაცემა

ინფორმაციის მიღების გზებს წარმოადგენს: ა) დასწავლა (მაგ.: ლექსის წაკითხვა-დაზეპირება, მოთხრობის წაკითხვა-ანალიზი, გაკვეთილის სწავლა, სპეციალური ლიტერატურის გაცნობა და ა.შ.); ბ) სწავლა ანუ პრაქტიკული გამოცდილების შეძენა, ფაქტიურად, რისკენაცაა მიმართული აღზრდის პროცესი და რის საფუძველზეც ადამიანი ყალიბდება პიროვნებად (სოციალიზაციის პროცესი). სწავლა შეგვიძლია მონათხრობით, დისკუსიით, ვიზუალურად, მოსმენით და სხვ.

მეხსიერებაში ხდება მიღებული ინფორმაციის გადაამუშავება, ხოლო თავად ინფორმაციის მიღება დამოკიდებულია მეხსიერების იმ სტრუქტურაზე, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია ინდივიდისა თუ ჯგუფის ცნობიერებაში. სწორედ ცნობიერება განაპირობებს ინფორმაციის შეთვისების განსხვავებულ ხარისხს. როდესაც ინდივიდი იღებს თავისი სპეციალობის შესახებ, ან მის ინტერესთან ახლო მდგომ ინფორმაციას, იგი მას გაცილებით მომზადებული ხვდება და მისი მეხსიერება ცნობიერად აფიქსირებს მას; ხოლო როდესაც ინდივიდს არა აქვს მიწოდებული ინფორ-

მაციისადმი განსაკუთრებული ინტერესი, იგი მოუმზადებელი ხვდება მას და მოწოდებული ინფორმაცია ქვეცნობიერში დაილექება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ჩვეულებრივი სწავლის (გამოცდილების დაგროვების) პროცესს მაშინ, როცა მეხსიერებაში ინფორმაციის ცნობიერი დაფიქსირება დასწავლის ტოლფასია და ამ შემთვევაში მეხსიერება აქტუალურია, ხოლო როცა ინფორმაცია ქვეცნობიერში გადადის – არააქტუალური.

ინფორმაციის ამოღება

ზეპირ ისტორიებთან მიმართებაში შეიძლება ვთქვათ, რომ ინფორმაციას რესპოდენტში აცნობიერებს კორესპოდენტი. საუბრის, ფიქრის, გახსენების, კითხვებზე პასუხების გაცემის მეშვეობით კორესპოდენტი პროვოცირებას უწევს მოდელის გახსენებას.

ზოგჯერ რეალობა არ გადმოიცემა ზუსტად, ის იცვლება, ხდება მისი უნებლიე გაყალბება, რასაც განაპირობებს ინდივიდის მეხსიერების სტრუქტურა. ამდენად, მეხსიერება ვიწრო გაგებით ესაა ინფორმაციის შენახვის პროცესი – დასწავლა; ხოლო მეხსიერება ფართო გაგებით ესაა მთელი ცხოვრების გამოცდილება, დალექილი ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში, რაც უმეტესწილად ხდება ძალდაუტანებლად, სწავლის საშუალებით.

სოციალურ სიტუაციაში მონაწილე წევრებს აუცილებლად სჭირდებათ ამ სიტუაციის მოდელების აგება ანუ სიტუაციის განსაზღვრა (Ван Дейк Т.А., Язык, познания, коммуникация, М., 1989). ჩვენს გარშემო არსებული რეალური გარემო ძლიერ რთული და მოცულობითია, ამავე დროს, უშუალო აღქმისათვის სწრაფადცვალებადი. ჩვენ არ შეგვიძლია სრულად გამოვხატოთ რეაქცია მის მრავალფეროვნებაზე, მის ყველა წვრილმანზე. მაგრამ ჩვენ ვმოქმედებთ ამ გარემოში და ზოგადი მოდელებით ვახდენთ მის რეკონსტრუირებას-რეპრეზენტაციას. ამით ჩვენ ვუმკლავდებით ჩვენს გარშემო არსებულ სირთულეს.

ადამიანები სიტუაციური მოდელების შესაქმნელად იყენებენ ე.წ. სიტუაციურ სქემებს. ისინი მუდმივად ქმნიან მოდელებს. ეს პროცესი არ არის თვითნებური და მხოლოდ კონტექსტით გაპირობებული. სიტუაციური მოდელის განმსაზღვრელი ობიექტისათვის ადამიანები იყენებენ მეტნაკლებად სტაბილურ კატეგორიებს. მოდელების შესაქმნელად ადამიანები მიმართავენ ეფექტურ სტრატეგიებს. მოდელები ასრულებენ ძალიან მნიშვნელოვან როლს როგორც ზეპირი, ისე ჩანერილი ინფორმაციის დამუშავებაში. ამ შემთხვევაში მოდელი წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც ცოდნისა და მეხსიერების სტრუქტურული ორგანიზაციის სპეციფიური სახეობა. კერძოდ, მოდელის გაგება ეთანხმება პირადი ცოდნის როლს რეალურ და წარმოსახვით სიტუაციებში. სიტუაციური მოდელები პირადი გამოცდილების წარმოდგენის ფორმაა და ამიტომაც არის ეპიზოდური მეხსიერების ნაწილი; ხოლო ეპიზოდური მეხსიერება თავის მხრივ წარმოადგენს ნაწილს ხანგრძლივი მეხსიერებისა, რომელშიც ინახება ყოველი

შემთხვევის და მოქმედების დაწვრილებითი ინფორმაცია. რადგანაც მიღებულია, რომ სიტუაციური მოდელები ფიქსირებულია ეპიზოდურ მეხსიერებაში, მათ ხანდახან ეპიზოდურ მოდელებსაც უწოდებენ.

იმისათვის, რომ ადამიანებმა მიუთითონ ან აღნიშნონ რამე, სოციოკულტურულ კონტექსტში მიმართავენ მსჯელობის (დისკუსიის) ფორმას. სწორედ დისკუსიის მეშვეობით ვიქმნით წარმოდგენას მრავალ რამეზე: ნივთებზე, ხალხზე, მათ თვისებებსა და ურთიერთობებზე, ცალკეულ შემთხვევებზე ან მოქმედებებზე, ანუ გარემოს რომელიღაც ფრაგმენტზე, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სიტუაციას. შესაბამისად მოდელი სიტუაციისადმი გააზრებულ დამოკიდებულებას, ანუ მის კოგნიტურ კორელაციას წარმოადგენს. ამიტომ, რასაკვირველია, მოდელში ჩართულია მსგავსი სიტუაციებისადმი ინდივიდის პირადი დამოკიდებულება და უმთავრესად კი ის ცოდნა, რომელიც წინა გამოცდილების შედეგადაა დაგროვილი. სიტუაციის შესახებ ეპიზოდურ მეხსიერებაში ჩართული ინფორმაციის ყოველი ახალი ნაწილი შეიძლება გამოვიყენოთ მოდელის გაფართოებისა და სრულყოფისათვის. შეიძლება მოდელებს საფუძვლად ედოს ინდივიდის პირადი, საკუთრივ მისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილების საფუძველზე დაგროვილი ცოდნა. მაგრამ, ამავე დროს, მოდელში წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილს იზიარებენ როგორც სხვა ადამიანები, ასევე მთელი სოციოკულტურული ჯგუფი. სწორედ ასე განისაზღვრება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ისტორიული მოვლენების მოდელები. სიტუაციის შესახებ ადამიანის ეპიზოდური ცოდნა შეიძლება იყოს მცირე ან დიდ ხარისხში უნიკალური ან საერთო, მცირე და დიდ ხარისხში პირადული ან კოლექტიური. ეპიზოდურ მეხსიერებაში ფიქსირებული მრავალი სიტუაცია სოციალური ფუნქციისა და მნიშვნელობის მატარებელია. მაგრამ ამავე დროს ადამიანებს აქვთ არა მარტო ცოდნა სიტუაციის შესახებ, არამედ ამ ცოდნის მიმართ პირადი დამოკიდებულებაც – განყნობა, შეხედულება, წარმოდგენა, ემოცია. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ისტორიებში ხშირად არის ფიქსირებულ წინაპრების საკითხი, რაც განსაკუთრებით არაქართველი ეროვნების წარმომადგენელთა თხრობისთვისაა დამახასიათებელი. ინფორმაცია, ძირითადად, შეეხება წინაპრების რომელიმე ქვეყნიდან გადმოსახლების ფაქტებს. უფრო მეტად კი ასეთი მოდელები ასახავენ მძაფრ სიტუაციას, რომელიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის დროინდელ ეთნიკურ დეპორტაციასთან. მრავალ ზეპირ ისტორიაში ჩანს, რომ თუკი ეს დეპორტაცია ვინმეს შეხებია, იგი გვერდს ვერ უვლის ამ მოვლენას, რაც სიტუაციურ მოდელში პირველ პლანზე ვლინდება. ის დღეს უკვე ისტორიული ტრავმაა და თან პოსტსაბჭოთა პერიოდში მასზე ღიად შეიძლება საუბარი. ეთნიკური დეპორტაცია კოლექტიური ტრავმაა, იგი მარტო ერთ პიროვნებას არ განუცდია და ამიტომაც ინფორმაცია მის შესახებ არის ინდივიდთა იდენტურობის და სოლიდარობის ერთ-ერთი ელემენტი – შენ ხარ სხვანაირი, მაგრამ ამავე დროს ისეთივე, როგორც შენი მიკრო სოციუმი ანუ დეპორტირებულნი. ეს ჯგუფური ტრავმა წარმოადგენს საზოგადოების კრიზისულ პერიოდს.

ეთნიკურ დეპორტაციაზე რესპონდენტები დღეს, რა თქმა უნდა, უფრო თამამად მოგვითხრობენ. ამ თემამ 90-იანი წლებიდან მეტი გახსნილობა და პოპულარობა შეიძინა. ასეთი სიტუაციურ მოდელებს შეიძლება დაეერქვას „დეპორტიული ტრავმა". მიუხედავად მისი შედარებით ღიად წარმოდგენისა, ყოველ ზეპირ ისტორიაში ამ ტრაგედიისადმი დამოკიდებულება შედარებით თავშეკავებულია, თხრობა არ არის დატვირთული უარყოფითი შეფასებებით. ასეთი სტილით მოდელის გადმოცემა იცავს საზოგადოებას გამძაფრებული, ნეგატიური დამოკიდებულებისაგან. ტრავმის საკრალურობამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში უარყოფითი, არაკონსტრუქციული ემოციები და ამიტომ ეს მოდელები წარმოდგენილია თავშეკავებულად, ყოველგვარი შეფასებისა და განსჯის გარეშე. ჩვენი აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი უნდა განაპირობებდეს:

1. უპირველეს ყოვლისა, მთხრობელები არიან დეპორტირებულთა შთამომავლები და ეს ტრავმა მათ პირადად არ განუცდიათ მთელი სიმძაფრით. მახსოვრობა დეპორტაციის ტრავმაზე გაშუალებული ხასიათისაა.
2. დეპორტაციის მოდელი, რომელიც თავისთავად უკავშირდება ეთნიკურობას, დღევანდელობის სოციალურ კონტექსტში უარყოფითი დატვირთვის მატარებელია. იგი ამ მოდელის მატარებელს უმძაფრებს დომინირებული ერისაგან დისკრიმინებულ გამოცალკევების გრძნობას.
3. თვით ამ ზეპირ ისტორიებში უმეტესწილად დომინირებს დღევანდელი საქართველოს მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარება და ამ ფონზე „დეპორტაციის ტრავმა" მეორეხარისხოვანი სიძლიერით წარმოჩნდება. ამ ორ მძიმე სიტუაციურ მოდელს შორის პრიორიტეტს ანიჭებენ „ეკონომიკურ სიტუაციის მოდელს". ფსიქოლოგიურად ეს სრულიად გამართლებულია, რადგანაც იგი აქტუალურია – ხდება დღეს, ამწუთას. ის კი, რაც ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა, ბუნებრივია, კარგავს თავის სიმძლავრეს და აქტუალობას. ამ მონათხრობებში ჩართული ეთნიკური დეპორტაციის ისტორია საარქივო მასალებში ასეა ასახული – მე-19 საუკუნის პირველ ოცნლეულში რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანელ კოლონისტთა შთამომავლები მეორე მსოფლიო ომის დროს ეთნიკური ნიშნით იყვნენ გასახლებული. გასახლება განხორციელდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის ყველაზე მძიმე ეტაპზე, როდესაც ფაშისტური გერმანიის ნაწილები მოსკოვს მიადგნენ. ამავე დროს, ალბათ, იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ გერმანიის სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიის დაპყრობის ჰიტლერული გეგმის რეალიზაციას (ე.წ. „ფოლკსდოიჩეს" გამოყენებით). ამით საბჭოთა კავშირის ხელისუფლება მიზნად ისახავდა მტრისათვის მოესპო გერმანელი მოსახლეობის სახით არსებული დასაყრდენი.

ამავე ომის პერიოდში განსაკუთრებულად აღსანიშნავია 1944 წელს თურქეთთან მოსაზღვრე ზონიდან, ისტორიული სამცხე-ჯავახეთიდან, მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია შუა აზიაში – ყაზახეთში. მესხეთ-ჯავახეთიდან – ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ბოგდანოვკის რაიონებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან – ხულოს,

ქედის, ქობულეთისა და ბათუმის რაიონებიდან, ბათუმიდან ეროვნული ნიშნის მიხედვით 1944 წლის 15 ნოემბრისთვის გაასახლეს 15568 კომლი ანუ 69869 ადამიანი (გასახლებულთა შორს იყვნენ გამაჰმადიანებული ქართველები, თურქები, ქურთები, ხემშიდები ანუ თურქულენოვანი მაჰმადიანი სომხები). ამავე პერიოდში საქართველოდან ლეკებიც გადაუსახლებიათ შუა აზიაში, თუმც მანამდე გამიზნული იყო მათი გადასახლება ჩეჩნეთ-ინგუშეთში (რომელიც იმ დროს დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში იყო). ამ არაჰუმანური აქციის მიზეზად მაჰმადიანი მოსახლეობის თურქული ორიენტაცია იგულისხმებოდა, რადგანაც იმ პერიოდში თურქეთი ფაშისტური გერმანიის მოკავშირე იყო. თურქეთს საბჭოთა საზღვრებთან დისლოცირებული ჰყავდა სამ ათეულზე მეტი დივიზია, რომლებიც ელოდებოდნენ შეტევაზე გადმოსვლის ბრძანებას. სახელმწიფო საზღვრის უშიშროებას ათასობით ადამიანის ბედი და სიცოცხლე შეეწირა. ასევე 1944 წელს ჩატარდა აფხაზეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლება, როგორც სასაზღვრო ზონის საეჭვო ელემენტებისგან გაწმენდის ღონისძიება. 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებით შეწყდა გადასახლებულებზე ზედამხედველობა და ისინი მოიხსნენ სპეცგასახლების აღრიცხვიდან, მაგრამ ძველ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ნება არ ეძლეოდათ (ამ ადგილებში საქართველოს სხვა რეგიონებიდან 1944 წელს ძალდატანებით ჩასახლებული იყო ქართველი მოსახლეობა), რათა საზღვარზე ისევ არ შექმნილიყო პრობლემები.

საქართველოდან მოსახლეობის „არასაიმედო" ნაწილის დეპორტაცია ჩრდილოკავკასიელი ხალხებისა და ყირიმელი თათრების მიმართ განხორციელებული საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო სტრატეგიული ღონისძიების ნაწილი იყო.

50-იანი წლების დამდეგს რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო. რეპრესირებულებს ბრალად სდებდნენ კონტრაბანდისტურ საქმიანობას 20-იან წლებში, არალეგალურ მიმოსვლას თურქეთში, ზოგს – ოჯახის წევრის მიერ ომის დროს საბჭოთა არმიაში სამსახურის თავის არიდებას, ზოგს – ახლო ნათესავის ემიგრაციას თურქეთში, ზოგს – ყოფილ ემიგრანტობას ევროპაში, ზოგს ტყვეობას გერმანიაში და ნებაყოფლობით შესვლას ფაშისტური არმიის „ქართულ ეროვნულ ლეგიონში" და ა.შ.

1949 წელს აფხაზეთიდან გაუსახლებიათ თურქეთის სახელმწიფოს ქვეშემდომნი ან ყოფილი ქვეშევდომნი, მოქალაქეობის არმქონენიც, და საბჭოთა კავშირის მოქალაქეებიც. ეროვნებით თურქების გარდა გადასახლებულთა კონტინგენტში შედიოდნენ ბერძნებიც (საბერძნეთის მოქალაქეები და ყოფილი ქვეშევდგომები) და აგრეთვე სომეხი ეროვნების მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც დაშნაკების სახელით არის მოხსენებული დოკუმეტებში.

გასახლება მოხდა 1949 წლის 14 ივნისს ქალაქებიდან – თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი, გაგრა – ღამის 3 საათზე, ხოლო რაიონებიდან – 4 საათზე. სპეცკონტინგენტის მომზადება გასასახლებლად 14 ივნისს დილის 8 საათზე დამთავრდა, ხოლო რკინიგზის ვაგზლებზე ეშელონების დატვირთვა – 16 ივნისს. სახელმწიფოსადმი არასანდოობის მიზეზით 1949 წელს საქართველოდან გაასახლეს 8294 ოჯახი, 36705 სული. ამათგან თურქების 845 ოჯახი, ანუ 2547 სული, ბერძნების 6769 კომლი ანუ 31356 სული და სომეხთა 680 ოჯახი ანუ 2771 სული. (მ. ნათმელაძე, დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში, თბ., 1993 წ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ისტორიული ფაქტი ხალხთა მეხსიერებაში, რა თქმა უნდა, აღიბეჭდა და მათ ჩვენს ისტორიებშიც ვხვდებით. ზეპირი ისტორიების პრიორიტეტი ისტორიულ თუ საარქივო დოკუმენტებთან მიმართებაში ის არის, რომ ისინი ამ პერიოდს მეტი განცდებით და ემოციით ასახავენ. ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ აქციას არა მარტო სახელმწიფოსთვის, არამედ თითოეული ადამიანის ბედისათვის.

ეროვნების რეკვიზიტი

საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ სახელმწიფოსთვის პრობლემურია ეროვნულ უმცირესობათა საკითხი. ეს პრობლემურობა მარტო საქართველოს არ ეხება, იგი ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა, რადგანაც სახელმწიფოთა უმეტესობა პოლიეთნიკურია.

არსებობს ეთნიკური საზღვრები და არსებობს სახელმწიფო, პოლიტიკური საზღვრები. ეს ორი მოვლენა ერთმანეთს რომ ემთხვეოდეს, მაშინ სრულ ჰარმონიასთან გვექნებოდა საქმე. მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება. ეს საზღვრები ყოველთვის დაშორებულია, ამიტომ პოლიტიკურ საზღვრებში ხშირად ხვდება მრავალი ერის წარმომადგენელი. პოლიტიკური საზღვრები ერთ მთლიან სახელმწიფოს გამოხატავს და იქ მოხვედრილი ადამიანები უკვე ერთი უზარმაზარი სოციუმის, ანუ სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. ეროვნული უმცირესობები, რომელნიც დომინანტ, ავტოქტონური ერის გვერდით ცხოვრობენ ერთ სახელმწიფოში, უკვე პოლიტიკურად დომინირებული ერის შემადგენლობაში შედიან. სწორედ ეს პრინციპი აქვთ აღებული დასავლეთ და, თუ გნებავთ, აღმოსავლეთის ქვეყნებსაც, სადაც ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, ყველა მოსახლე, ეროვნების მიუხედავად, ითვლება იმ სახელმწიფოს კუთვნილებად, მის შემადგენელ ნაწილად, რომელიც ავტოქტონური ერის სახელს ატარებს.

ეროვნულობა დიდად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. ეროვნების გარეშე ადამიანი მოუწესრიგებელი არსების შთაბეჭდილებას ტოვებს. ეროვნულობაშია აკუმულირებული მისი სტრუქტურა, საკუთარი თავისა და ადგილის პოვნა. მაგრამ არაფერი არ არის ისე საშიში, როგორც ეროვნულობა, თუკი სეპარატისტული და პოლიტიკანური ელიტის ამბიციების დასაოკებლად ის მანიპულირების საგნად გადაიქცევა. ჩვენ ამის მაგალითები გვაქვს, ჩვენ ეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ. დღეს, რო-

დესაც უარს ვამბობთ მოქალაქეობის სტატუსის დაფიქსირებაზე და მაინ-ცდამაინც ხაზს ვუსვამთ ეროვნულობის დოკუმენტირებას, ჩვენ სწორედ ეროვნულობის საშიშ მხარეს ვაძლიერებთ.

ეროვნების რეკვიზიტის შესახებ უახლოეს წარსულში ატეხილი ხმაურიანი კამათი ყველა მოქალაქისთვის ცნობილია. სხვათა შორის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის განაცხადმა, რომ საქართველო გაქრება როგორც სახელმწიფო, ხოლო ქართველი – როგორც ეროვნება, თავისი როლი ითმაშა ამ საკითხისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაში და გამოიკვეთა ძირითადი ტენდენცია – თითქოს ეროვნების არმითითება დოკუმენტებში შელახავს ეროვნულ ღირსებას.

ეს ფაქიზი თემა სულ სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. სამწუხაროდ, ხალხს წინასწარ არავითარი განმარტება არ მიუღია. პარლამენტმა საზოგადოების აზრის ყოველგვარი წინასწარი შესწავლის გარეშე დაიწყო ამ საკითხის განხილვა. ეს კი ისეთ სპეციფიკურ საკითხთაგანია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ეთნიკურობას. ეთნიკურობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა კი წინასწარი მეცნიერული შესწავლის გარეშე მიუღებელია, რადგანაც არავინ იცის, თუ რა შედეგებამდე მიგვიყვანს ის პროგნოზირების გარეშე. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება სწორედ რეკვიზიტში ეროვნულობის დაფიქსირების საკითხი.

როგორც "ისტორიებიდან" ჩანს, მოსახლეობამ თავისი ეროვნული იდენტურობა, და იდენტურობის შენარჩუნება, პასპორტში ეროვნების დაფიქსირებას დაუკავშირა. ანუ, თუ არ იქნება პასპორტში ეროვნულობის გრაფა, მისი ეროვნება შეიძლება გაქრეს. თუმცა ზოგის განმარტებით, „ამას არა აქვს მნიშვნელობა" ანუ ჩანაწერი არაფერს ცვლის ეროვნულობასთან დაკავშირებით. ფაქტი ერთია, უმრავლესობის აზრით მოსახლეობაში ეროვნულობის პოზიციის გამყარება უნდა ხდებოდეს მისი ფიქსირებით რეკვიზიტში. ამ შემთხვევაში ფიგურირებს „პოზიციური აზროვნება".

პასპორტში ეროვნების აღნიშვნა შემოიღეს საბჭოთა პერიოდში, კერძოდ, 1932 წელს. ეს სწორედ ის პერიოდი იყო, როდესაც ერისა და ეროვნულ თეორიებს ამუშავებდნენ პარტისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის სპეციალისტები, რომლებიც აყალიბებდნენ „საბჭოთა ადამიანს" ეთნიკურობის გარეშე, თუმცა ეროვნულობა რეკვიზიტში ჩაწერილი რჩებოდა. ამის მიუხედავად, დასამალი არ არის, რომ მიმდინარეობდა რუსიფიკაციის ძლიერი პროცესი, რაც ყველაზე მეტად განიცადეს ე.წ. „მცირე ერებმა". ყოველივე ეს კი ლენინის იდეის რეალიზებასთან იყო დაკავშირებული.

ლენინის „თეორია ერის შესახებ" არ არის დამოუკიდებელი თეორია. იგი კლასების თეორიის დანამატია, შეიცავს უეროვნებო კაცობრიობის იდეას და მარქსის მოძღვრებით არის შთაგონებული. მარქსის გავლენით ლენინი წინასწარმეტყველებდა ეროვნულობის გაქრობას და კაცობრიობისთვის ერთი მსოფლიო ენის არსებობას. საით მიაქანებდა ყოველივე ეს საზოგადოებას, რომლის სათავეში მარქსისტი ლენინი იდგა, დღეს

აშკარად გამოჩნდა.

ერთა შერწყმის იდეა, ანუ ეთნიკური ნიველირება, იყო სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლური იდეა, რომელიც ყველა „დაჩაგრული ერის" „განთავისუფლების" შემდეგ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა განხორციელებულიყო.

მაგრამ ლენინის ხელმძღვანელობის პერიოდში, სახელმწიფოს ჩამოყალიბების სტადიაში პოლიტიკურ ელიტას არ ეცალა ამ დარგში „ღრმა ანალიზისა და პრაქტიკული მოქმედებისთვის". 1917-1937 წლები, ე.წ. „გარდამავალი პერიოდი", ითვლებოდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდად, როცა, სხვა სახელმწიფოებრივ ცვლილებებთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა „კაპიტალისტური ერისა და ფეოდალური ხალხების სოციალისტურ ერად და ხალხებად გადაქცევა". სოციალიზმის საფუძვლების ჩამოყალიბებასთან ერთად ყველა ერი უნდა გამხდარიყო სოციალისტური.

ლენინური იდეების რეალიზაციას წარმატებით აგრძელებდა საბჭოთა კავშირის ყველა მომდევნო ლიდერი, ეროვნული განსხვავებულობა მსხვერპლად ენირებოდა პოლიტიკურ მანიპულაციებს. 30-იანი წლებიდან მოხდა ეროვნული საკითხების „კორექტირებაც". დაიხურა უამრავი ეროვნული (არასტატუსიანი ეთნიკური ჯგუფის) სკოლა, დაიწყო ეთნიკური დეპორტაციები.

სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, შეიძლება ითქვას, „ფრთები შეასხა" ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც, „საბჭოთა ხალხის" ლოზუნგით, ასიმილიატორული იდეა ლეონიდ ბრეჟნევს გადაულოცა, თუმცა კომუნისტურ პარტიას ადრევე ევალებოდა ერთა ურთიერთდაახლოება – საბჭოური ასიმილაცია, რაც გულისხმობდა ეროვნული თავისებურებების დაკარგვას და ერების ერთმანეთში გათქვეფას. ამას მოჰყვებოდა ენის, თვითშეგნების, ფსიქიკის, კულტურის, ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების შეცვლა და, რაც მთავარია, ადამიანი თითქოს სრულიად ადვილად, ყოველგვარი სიძნელეების გარეშე ჩამოყალიბდებოდა ახალი სოციალისტური ერის წარმომადგენლად. ამის შედეგად დაირღვეოდა არა მარტო ეთნიკური, არამედ სახელმწიფოებრივი საზღვრებიც. მართალია, ყოველმა ერმა მიიღო დეფინიცია „სოციალისტური"; მაგალითად, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ა.შ. „სოციალისტური ერი", მაგრამ ლენინიზმის იდეა ერთიანი სოციალისტური ერის შექმნის შესახებ ბოლომდე მაინც ვერ განხორციელდა. აშკარა იყო, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში საბჭოთა იდეოლოგია სუსტდებოდა და იგი „დემოკრატიის მამების" ხელიდან გასხლტომას ლამობდა. განვითარებული სოციალიზმის მოძღვრებამ „საბჭოთა ხალხის" კონცეფციიდან ამოიღო ეთნოასიმილაციის პროგნოზი და ამიერიდან იგი „გულისხმობდა მშრომელი კლასების გაერთიანებას" მხოლოდ ეკონომიკურ, საერთო საკუთრების, სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ საწყისებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიითა და კომუნიზმის იდეებით. ამრიგად, ტერმინმა „ასიმილაცია" სხვა შინაარსი შეიძინა – კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში უმთავრესი ობიექტური კანონზომიერება გახდა

ერთა და ხალხთა ყოველმხრივი დაახლოება. ეს იყო სოციალისტური ერების ინტერნაციონალური ერთობის სისტემა.

ამგვარად, ძალდატანებითი ასიმილაციის გზით უნდა მომხდარიყო ეთნიკურობის ლიკვიდაცია და შექმნილიყო არა მრავალეროვანი სახელმწიფო, არამედ უეროვნებო „საბჭოთა ხალხი", თუმცა არ იყო გამორიცხული ამ ხალხის „რუსული ეთნიკურობაც". ცხოვრებამ აჩვენა, რომ ლენინის შორსმჭვრეტელობა – ოდესმე, „სულ სხვა სტადიაზე" ერებისა და სახელმწიფოს კვდომა – ვერ ხორციელდებოდა. მიუხედავად მისი „ნატვრისა", ვერ მოხერხდა მთელი „მსოფლიოს სოციალისტურად გარდაქმნა, რასაც მოჰყვებოდა ერთა სწრაფი დაახლოება, შერწყმა და დამთავრდებოდა სახელმწიფოს კვდომით". (ლენინი ვ.ი., თხზულებები, ტ. 22, გვ. 413).

ჯერ კიდევ განვითარებული სოციალიზმის ხანაში ამტკიცებდნენ, რომ ჩამოყალიბდა საბჭოთა ხალხი, საბჭოთა საზოგადოება ერთიანი ტერიტორიით, ეკონომიკით, კულტურით და თვითშეგნებით. მაგრამ ეს არ ნიშნავდა საბჭოთა ერის არსებობას, ანუ ერთა შერწყმა ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული. თუმცა უცხოელი სოვეტოლოგები თავის კრიტიკა-ბრალდებებში უკვე მიუთითებდნენ „სუპერეთნიკური გაერთიანების", „ერთიანი საბჭოთა ერის" ან „რუსულ-საბჭოთა ერის" არსებობაზე. როგორც აღნიშნავდა ლ. ბრეჟნევი, „საბჭოთა თვითშეგნება განუყოფელი ნაწილია საერთო საბჭოთა სიამაყისა. ის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში შემავალი თითოეული ხალხის ბუნებრივი ეროვნული გრძნობა ცალკე აღებული". Брежнев Л.И., Ленинским курсом, М., 1978, стр.100).

საბჭოთა ხალხის დაახლოებაში სოციალიზმის დამსახურებად ითვლებოდა ორენოვნება, რომელშიც რუსულ ენას ერთაშორისი ურთიერთობის ფუნქცია დაეკისრა. მის დამსახურებად თვლიდნენ აგრეთვე მსოფლიო ცივილიზაციების საუკეთესო ღირებულებებთან მიახლოებას.

„პერესტროიკის" შემდეგ ნათელი გახდა, რომ ასეთი ტიპის „ძალით თავსმოხვეული" ორენოვნება პროგრესული მონაპოვარი არ ყოფილა. მან, გარდა იმ დადებითისა, რომ იქცა სხვადასხვა ერთაშორის კომუნიკაციის საშუალებად, პარალელურად განაპირობა ე.წ. „მცირე ხალხებში" მშობლიური ენის ლიკვიდაცია. ციმბირის ეთნოჯგუფების ნაწილმა მშობლიური ენა საერთოდ დაკარგა და რუსულენოვანი გახდა. დღეს მრავალი ასეთი ჯგუფი იწყებს მშობლიური ენის გახსენებასა და სწავლას. საბჭოთა სისტემამ შექმნა არაერთი ნიმუში უეროვნებო ადამიანებისა, რომლებიც, ფაქტობრივად, „ახალი რუსული ეროვნების" სუბსტრატებს წარმოადგენდნენ. ამის ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრები ე.ნ. რუსულენოვანი ("Русскоязычные" – წარმოშობით არა, მაგრამ მენტალიტეტით რუსი) ხალხი.

უცხოელი სოვეტოლოგები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ და რუსიფიკაციის იარაღად მიიჩნევდნენ კულტურის ერთ-ერთი მახასიათებლის, ენის ფუნქციას საბჭოთა კულტურაში. ასიმილაციის პროცესის ერთ-ერთ არხს წარმოადგენდა ერთაშორისი ქორწინებები. შერეული ოჯახის შვილები ეროვნულობას ირჩევდნენ ერთ-ერთი მშობლის ეროვნების

მიხედვით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შვილს, რომლის მშობლებიც ერთმანეთში ვერ შეთანხმებოდნენ და არც შვილის არჩევანს არ მოიწონებდნენ, პასპორტში მექანიკურად უწერდნენ ეროვნებას – რუსი. ასეთი პოლიტიკის შედეგად, მაგალითად ბალტიისპირეთში, შერეული ოჯახების თითქმის 50 %-ში შვილები რუსებად ეწერებოდნენ, ხოლო ჩუვაშეთში ეს მაჩვენებელი 98 %-ს აღწევდა. რუსიფიკაციის ამ გზას თავს იმ ეთნოსის წარმომადგენლები არიდებდნენ, რომლებშიც ეროვნული მიკუთვნებულობა, ტრადიციის მიხედვით, მამის ხაზით განისაზღვრებოდა. მაგ., ასეთი ქორწინების დროს ადგილობრივი ეროვნულობა ყველაზე მდგრადი იყო თურქმენეთში (Современные этнические процессы в СССР, М., 1983, стр. 468).

რასაკვირველია, სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა წნეხმა შექმნა საბჭოთა კულტურა თავისი დღესასწაულებით, სიმბოლოებით და სხვ., რამაც ჩამოაყალიბა ე.ნ. ომო სოვიეტიცუს, რომელსაც თავისი განსაზღვრული „გაურკვეველი" იდეოლოგია ჰქონდა. როგორც წერდნენ, „საბჭოთა საზოგადოებაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიამ და პოლიტიკამ უზრუნველყო ხარისხობრივად ახალი, ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის ფორმირება". საბჭოთა კულტურა – „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური" – რეალურად იყო ანტიეროვნული, ანტიტრადიციული და უშინაარსო. საბჭოთა პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი მახასიათებელია ე.წ. „ინტერნაციონალური ვალი" (интернациональный долг), რომელიც ხალხთა მასებსა და სამხედრო სტრუქტურებში პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი ერთგულებისა და ეროვნული სიამაყის ღირებულებებს უახლოვდებოდა. ასეთი „ინტერნაციონალური ვალი" „მოიხადა" საბჭოთა კომპარტიამ თავისი „პოლიტიკური კულტურით" 1956 წელს უნგრეთში, 1968 წელს ჩეხოსლოვაკიასა და 1979 წელს ავღანეთში შესვლით.

საბჭოთა ტრადიციული პოლიტიკური კულტურის შესახებ დოქტორი ბრიუს ალინი (პროგრამის დირექტორი, კონფლიქტთა მოგვარების ჯგუფი, კემბრიჯი, მასაჩუსეტსი, აშშ) წერს:

„ყოფილი საბჭოთა კავშირის შიდა პოლიტიკურ კულტურაში დომინირებდა რუსული კულტურული ღირებულებები. ანალიტიკოსები ჩვეულებრივ ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა კულტურა დაფუძნებული იყო იერარქიულ, კოლექტივისტურ და ავტორიტარულ ღირებულებებზე, სადაც ადგილი არ ჰქონდა სამოქალაქო საზოგადოებას, პირადი პასუხისმგებლობის ძლიერ გრძნობას და ურთიერთსარგებლობიანობისათვის გამიზნულ ურთიერთკომპრომისის სამეწარმეო კულტურას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო ზოგიერთი სპეციფიკური რუსული მახასიათებლის არსებობა, მაგალითად, ისეთის, როგორიცაა ტრადიციული „მთლიანი ღვეზელის" განწყობა (გლეხის განწყობა: ჯობია ჩემი ძროხა მოკვდეს, ვიდრე მეზობელს ორი ძროხა ჰყავდეს) და რწმენა რუსეთის, როგორც განსაკუთრებული „ევრაზიული" იმპერიის, „უნიკალურობისა". (Аллин Бриус, Учебные программы по урегулированию этнических конфликтов

в бывшем Советском Союзе, წიგნში: Национальная политика в Российской федерации, Материалы международной научно-практической конференции, М., 1993, стр. 126).

ან კიდევ, მარსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგთა შეხედულებით, საბჭოთა კულტურათა ურთიერთქმედება გამოიხატებოდა უფრო განვითარებული ერის კულტურის უშუალო ზეგავლენით სხვა ეროვნულ კულტურაზე. ამ მხრივ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსული კულტურის მიღწევებს, რადგანაც ითვლებოდა, რომ ისინი ყველაზე სრულყოფილად გამოხატავდნენ ყველა მშრომელის ინტერესებს, იდეალებსა და მისწრაფებას.

თუმცა მოგვიანებით, საერთო ინტერნაციონალური კულტურის გვერდით, დაშვებული იყო ეროვნულ თავისებურებათა და ეთნიკურ სპეციფიკურობათა არსებობაც. ერთაშორისი ურთიერთობების დროს აუცილებლად ადგილი ექნებოდა ცვლად ეთნიკურ პროცესებს, რომელთაც ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ედო საფუძვლად. ეს კი საერთო უნდა ყოფილიყო როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე სხვა სოციალისტური ქვეყნებისთვისაც.

ინტერნაციონალური სახელმწიფოს მშენებლობა მხოლოდ ლოზუნგების დონეზე რჩებოდა, რადგანაც მას არ ჰქონდა მთავარი საფუძველი – დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება. სახელმწიფო იდეოლოგიამ, ლოზუნგების დონეზე დეკლარირებულმა, მითების საპირისპირო სიტუაციები წარმოქმნა. მეცნიერულად შესწავლილი ერების, ეთნიკური ჯგუფების, უმცირესობათა გადარჩენის გზების ძიებამ, პირიქით, დეგრადაციის გზაზე დააყენა მრავალი ეთნიკური წარმონაქმნი, განსაკუთრებით კი ე.წ. „მცირე ერები"; ჩამოაცილა მათ ტრადიციული კულტურის ზოგიერთი მახასიათებელი, პირველ რიგში კი – ენა; ხოლო ხალხთა მეგობრობის პრობლემა და ძმური კავშირი სოციალიზმის პირობებში ანტიკავშირად და კონფლიქტების მძაფრი ესკალაციის პირობად გადააქცია, მიუხედავად პასპორტში ფიქსირებული ეროვნებისა.

წლების განმავლობაში ეთნიკურობის, უფრო სწორად, ეროვნული მეობის აკრძალვამ, ვიმეორებთ, მისი პასპორტში ფიქსირების მიუხედავად, პირუკუ პროცესებამდე მიგვიყვანა. საბჭოთა კავშირის რღვევასთან ერთად გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნების გამოვლენა და ამის მიზეზი პასპორტში ფიქსირებული ეროვნულობა კი არ იყო, არამედ ის თვითშეგნება, რომელსაც ერი არ კარგავს მიუხედავად იმპერიული ზეწოლისა. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ მრავალმა ეთნოჯგუფმა, რომელთაც ფაქტიურად განიცადეს კიდეც რუსიფიკაცია, თავისი ეროვნულობა საუკუნეების მანძილზე გამოატარა და არ დაკარგა.

ადამიანი ვერ დაივიწყებს ვერც საკუთარ წარმომავლობას და ვერც თავის ტრადიციულ კულტურას. რეკვიზიტში ეროვნულობის არფიქსირება კი ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ერის წარმომადგენელს აერთიანებს სწორედ მოქალაქეობის პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ ისინი ერთი სახელმწიფოს სრულფასოვანი და სრულუფლებიანი წევრები არიან. ისინი – სხვა ეროვნების წარმომადგენლები – არაქართველები

კი არ არიან, არამედ არიან ქართველი ერის (ვის სახელსაც სახელმწიფო ატარებს) წარმომადგენლები, ანუ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები, ერთი ქვეყნის თანასწორუფლებიანი და თანასწორმოვალე წევრები. ამით კი ყველა ადამიანის უფლება, ეროვნების მიუხედავად, გარანტირებულია. რეკვიზიტში ეროვნული სტატუსი არ უნდა ფიქსირდებოდეს, რადგანაც ასეთი რამ (ანუ სტატუსი – ეროვნულობა) არ არსებობს. უნდა ფიქსირდებოდეს მოქალაქეობა, რადგანაც სწორედ ასეთი სტატუსი არსებობს. რეკვიზიტი იურიდიული დოკუმენტია და მას ემოციური დატვირთვა არა აქვს. მან უნდა განსაზღვროს სახელმწიფოებრივი, და არა ეთნიკური კუთვნილება. ეთნიკური კუთვნილების ფიქსირებით ჩვენ ვერავითარ განსაკუთრებულ მოთხოვნებს ვერ დავიკმაყოფილებთ, სულ ერთია რომელი ერის წარმომადგენელიც არ უნდა ვიყოთ – უმრავლესობის თუ უმცირესობის. ჩვენ, როგორც ადამიანებს, არ გვაქვს უფლება, ეთნიკურობის ნიშნით მოვითხოვოთ რამე. ჩვენი მოთხოვნები უნდა ეთანხმებოდეს ადამიანურ, პიროვნულ, და არა ეთნიკურ მოთხოვნებს. ისტორიული გამოცდილებით ეთნიკური ნიშნით მოთხოვნებმა არა მარტო საქართველო, არამედ მრავალი ერი მიიყვანა ეთნიკურ ომამდე, ეთნოკონფლიქტამდე და ეთნიკურ წმენდამდე. ეროვნულობას კი, საუკუნეების მანძილზე, ადამიანები დოკუმენტში ფიქსირების გარეშეც ინარჩუნებენ.

ერთა ურთიერთობა

მრავალეროვნულ ქვეყნებში ერთა შორის ურთიერთობის, ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული ინტეგრაციის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო ცალკეული ადამიანების, არამედ ეროვნული უმცირესობების მთელი ჯგუფების მდგომარეობასაც. ეს საკითხი კიდევ უფრო მეტად პრობლემატურია გარდამავალ პერიოდში, როცა ეთნოპოლიტიკური დაძაბულობა დემოკრატიული ნორმების განმტკიცების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად იქცევა, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელისუფლების პოლიტიკამ და ტოტალიტარული რეჟიმის კრიზისმა ბოლო წლებში გაამწვავა ერთა შორის ურთიერთობა და დასაბამი მისცა სეპარატიზმს. „პერესტროიკის" შემდეგ სხვადასხვა რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალი ეროვნული ჯგუფის თვითშეგნების გამოცოცხლებამ და თავისუფლებისაკენ სწრაფვამ გამოიწვია ძლიერი დაძაბულობა და ერების დაპირისპირება; გაჩნდა კონფლიქტური კერები. ასეთი კერები ხშირ შემთხვევაში ჩნდება სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში, იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები – ეროვნული უმცირესობა, რომელიც თავისი ეროვნული შემადგენლობით ენათესავება ამ ტერიტორიის მოსაზღვრე სახელმწიფოს მოსახლეობას. ასეთ რეგიონებში უფრო ადვილად იჩენს თავს სეპარატის-

ტული ან ირედენტული მოძრაობა (მონათესავე ეთნოსით დასახლებული სახელმწიფოს ან ავტონომიური რესპუბლიკასთან შეერთებისკენ სწრაფვა) იმისდა მიუხედავად, დაძაბულია აქ ვითარება თუ არა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს სასაზღვრო ზოლია.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოში მომხდარი კარდინალური ცვლილებები იწვევს რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც თავისებურად აისახება სასაზღვრო ზოლის კომპაქტურად დასახლებულ პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. განსაკუთრებით იჩენს თავს როგორც შიდაჯგუფური, ასევე ჯგუფთაშორისი წინააღმდეგობები.

ყოველი ეთნოსი დაჯილდოებულია მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ღირსებებით. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ეთნიკური პოლიტიკა და ეთნიკური ქცევა ზოგ შემთხვევაში ნეგატიური მოვლენებით ხასიათდება, რაც დამანგრეველ, სეპარატისტულ ან ირედენტულ განწყობას იწვევს. ისტორიულად ასეთი მოვლენები შეიმჩნევა სახელმწიფოში ინტეგრაციის მოშლის, ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის რღვევის დროს. როდესაც სუსტდება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ეთნიკური უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებში ამოქმედდება ეთნიკურობის ყველაზე საშიში ფორმა – ნაციონალიზმი, რომელსაც სათავეში უდგებიან დემაგოგი პოლიტიკოსები.

ჩვენს ზეპირ ისტორიებში ერთი შეხედვით წინა პლანზეა წამონეული ეკონომიკური და სოციალური სირთულეები, ეთნიკურობა კი თითქოს არაარსებითია, მაგრამ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება, რადგან თუ არ გადაიჭრება ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, სწორედ ეთნიკურობა შეიძლება გადაიქცეს სეპარატიზმის მიზეზად. პრიმიტიული ნაციონალური სწრაფვები კი შეიძლება მეტად გაღვივდეს და შეავსოს იდეოლოგიური ვაკუუმი. „ისტორიებში" ფიქსირებულია ეთნიკური დაპირისპირების ყველა მაჩვენებელი, განსაკუთრებით კი ერთმანეთის გვერდით კომპაქტურად მოსახლე სხვადასხვა ეთნოჯგუფებს შორის. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში კუტურათა ურთიერთგავლენა მინიმალურია, ხოლო სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტს წარმოაგენს სწორედ კულტურათა ურთიერთობა და შერწყმა. ჩაკეტილ ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება სულ სხვა შედეგებს გვაძლევს გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში (მაგალითად, როგორც ეს მოხდა ეროვნული მოძრაობის დროს საქართველოში). იგი ამძაფრებს სიტუაციას, რადგან კონფლიქტი, როგორც მოვლენა, თავისთავად წარმოშობს და განამტკიცებს საზღვრებს ჯგუფებს შორის, აძლიერებს ჯგუფური ცნობიერებისა და თვითმყოფადობის განცდას, რაც ინდივიდუალობას ანიჭებს თითოეულ ჯგუფს, ამას კი დეზინტეგრაციამდე მივყევართ.

ურთიერთშეფასება

ჩვენი "ისტორიების" გმირებმა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ წყობაში იცხოვრეს, რაც თავის კვალს ტოვებდა და ტოვებს ადამიანის როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ბოლო ათწლეულმა გაამძაფრა პიროვნების აქტივობა. ეს სავსებით არ ნიშნავს, რომ მათი ქმედება ყოველთვის აქტიურია. პირიქით, ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ მათ ფრუსტრაციას და უმოქმედობას. მთავარი ისაა, რომ ახალ სოციალურ წყობაზე გადასვლისას ადამიანის ფაქტორი გაიაზრება როგორც „პიროვნების მენტალიტეტი" ანუ პიროვნულ დონეზე სოციალური თვითშეგნება, რომელიც ხშირად ადამიანის სულიერებას უკავშირდება. თვითშეგნება კი, თავისთავად, თითოეული ადამიანის და კოლექტივის ცხოვრების წესისა და ეროვნული თვითშეგნების განუყოფელი ნაწილია.

ურთიერთშეფასება – ასე ვუნოდეთ ზეპირ ისტორიებში მთხრობელთა მიერ ეროვნული ხასიათის აღწერას. გვხვდება როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური დახასიათებები.

თუ ზეპირ ისტორიებში ლაპარაკია ადამიანთა ჯგუფებზე, რომელნიც თავიანთი ქცევით ისეთ მოვლენებს იწვევენ, რაც ყოველდღიური ამოცანების გადაწყვეტაში უშლის ხელს საზოგადოებას და საშიშროებას წარმოადგენს, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ამგვარი ამბების პერსონაჟები „რეალურ საშიშროებას" უქმნიან სხვა ჯგუფის იდეალებსა და მიზნებს. ასეთად ადვილად შეიძლება მიიჩნიონ არამკვიდრი, მოსული, მიგრანტი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ამიტომ, როცა მკვიდრი (პირობითად) ერის თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ყვება რამეს მოსულზე, უცხოზე, საქმე გვაქვს არა რაიმე სპონტანური ნააზრევის გადმოცემასთან, არამედ წინასწარ ჩამოყალიბებული ნეგატიური, უარყოფითი განწყობით გამსჭვალულ თხრობასთან. სწორედ ასეთ მოსულს, სხვას, მიგრანტს და ა.შ. აღიქვამენ როგორც განსხვავებულს, უცნაურს, საშიშს, გაუგებარს და ზოგჯერ – როგორც არანორმალურსაც კი. მრავალ ეთნიკურ საზოგადოებაში ისინი წარმოდგებიან ბოროტების სტერეოტიპებად; მათზე ითხზვება დაცინვითი ანეგდოტები. ამის საპირისპიროდ კი, უმეტესწილად, დისპერსულად დასახლებულთა მონათხრობში დადებითი შეფასებები სჭარბობს: „ყველა კარგად ვართ ერთმანეთში", „მე ხელს არავინ მიშლის", „ყველა ეროვნების მეგობარი მყავს" და სხვ.

ასეთი თხრობით რეალიზდება სოციალური ინფორმაციის სუბიექტურად გადამუშავებული ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ასახავს ჩვენს, რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლების, ცოდნას სხვაზე – ეთნიურ უმცირესობაზე, ჯგუფზე, მოსულზე, ლტოლვილზე, და აგრეთვე იმასაც, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ მათ მოქმედებას.

ასეთ მოთხრობებში ჩამოყალიბებული ღირებულებებისა და ნორმების საფუძველზე ხდება კიდეც „ქცევის ფორმათა დამრღვევის" შეფასება. ყალიბდება ბაზისური შეხედულება და რეცეპტები „დამრღვევის" მიმართ დამოკიდებულებისა და რეაქციის შესახებ.

მსჯელობა – დისკურსს, რომელიც ასახავს სოციალურ რეალობას, განმსაზღვრელი როლი ენიჭება იდეოლოგის ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში. პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით სადაც თითოეული ეთნიკური ჯგუფი ჩაკეტილია საკუთარ თავსა და კულტურაში, დისკურსში ზოგჯერ შეფარვით, და ზოგჯერ აშკარად, აისახება ერთმანეთის მიმართ ნეგატიური და ზოგჯერ დისკრიმინაციული დამოკიდებულებაც კი. ყოველივე ეს ყველაზე მეტად ეთნოტერიტორიულ დაპირისპირების დროს იჩენს თავს.

სოციალურ ურთიერთობებში წინასწარ უარყოფითი ეთნიკური განწყობის შეღწევის ერთ-ერთი არხია ყოველდღიური ვერბალური კომუნიკაცია. ყოველდღიურ საუბარში ხალხი ყვება სხვადასხვა ისტორიას თავის დამოკიდებულებაზე სხვა ჯგუფისადმი; განიხილავენ ეთნიკური ჯგუფების არსებობას მათთან ახლოს, იძიებენ მათ წარმომავლობას, ისტორიას და ა.შ. ჯგუფებს შორის დაპირისპირების დროს კი საუბრებში ავლენენ სხვის მიმართ დისკრიმინირებულ დამოკიდებულებასა და საკუთარ პრიორიტეტულობას. გარდა ამისა, თავიდან შეფარულად და შემდგომ კი ღიად, იძლევიან რეკომენდაციებს. "სხვა", უცხო წარმოდგენილია როგორც განსხვავებული, ცუდი, უხეში, ბნელი, უწესო, ქურდი; შემკულია მრავალი უარყოფითი დეფინიციით. "სხვა" უნდა წავიდეს, დაისაჯოს, დაიჭირონ, მოხსნან, გაასახლონ და ა.შ.

ასეთი საუბრების ანალიზი კარგად წარმოგვიდგენს სოციალურ სიტუაციას. იგი ხსნის წინასწარ უარყოფითად განწყობილი საუბრების სოციალურ ფუნქციას და ერთი ჯგუფის წარმომადგენელის კოგნიტურ სტრატეგიას მეორე ჯგუფის მიმართ საკუთარი მრწამსის გამოხატვის დროს.

ეროვნებათშორის ურთიერთობაში უამრავ წინააღმდეგობასა და კონფლიქტთან ერთად არც თუ ბოლო ადგილი უჭირავს კოლიზიებს მიგრირებული ჯგუფების მიმართ და პირიქით. ასეთ დროს თავისთავად იქმნება ისეთი სოციალური გარემო, რომლებიც პროვოცირებას უწევს ნეგატიურ დამოკიდებულებას. ყოველი გაჭირვებისა და სიძნელის თავი და თავი სხვა ეთნიკური ჯგუფია (განსაკუთრებით – მოსული). ასეთი დისკუსიებისას გამორიცხულია რაიმე დადებითი დამოკიდებულება, ყოველივე წარმოდგენილია უარყოფითად, ყოველი კულტურის ელემენტი გატარებულია ნეგატიურ პრიზმაში. ენა, ქცევა, რელიგია, აღზრდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ საკვებიც კი ნეგატიური კრიტერიუმით ფასდება. ძალიან იშვიათად იჩენს თავს დადებითი მუხტი. ისეთი საკითხიც კი, როგორიცაა შრომა, რომელიც ზოგადია და მასზე არა თუ ყოველი ეთნოსი, არამედ ყოველი ადამიანიც კი თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს ხარჯავს, განსჯის საგანს წარმოადგენს: „კი შრომობენ, მაგრამ რა; მარტო იმიტომ შრომობენ, რომ ჭამონ. მეტი არაფერი. გართობა არ იციან და არაფერი"; „რას შრომობენ, ამნაირად ჩვენც ვშრომობთ"; „მაგათ შრომა საერთოდ არ იციან" და სხვა. ხშირად სოციალური გაჭირვების რეალურ მიზეზებს პოლიტიკურ სიტუაციას კი არ აბრალებენ, არამედ ერთმანეთს. უფრო მეტიც, ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის მიერ ჩადენილი რეალური

„დანაშაული", ანუ რაიმე კანონიერების ან ეთიკის დარღვევა, გადადის მთელი ეთნოსის შეფასებაზე: „ეს ქართველების ბრალია..." ან სომხების... ან რუსების; „ისინი საერთოდ ასეთები არიან". საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემების გამომწვევად მიიჩნევენ იმ „მოწინააღმდეგე" ჯგუფს, რომელიც შეფასებაში დისკრიმინირებულია.

ზემოთაღწერილი უფრო მეტად ეხება შედარებით კომპაქტურად მოსახლე ეთნოჯგუფებს და მათში შერეულ სხვა ეთნოსის ან კონფესიის წარმომადგენელთა ურთიერთობებს. შედარების სხვა სიტუაციაა უფრო გახსნილ კულტურათა და არაკომპაქტურად მოსახელე ჯგუფთა წარმომადგენლებში. შერბილებული, და ზოგ შემთხვევაში დადებითი, განწყობით ხასიათდება ქალაქში მოსახლეთა საუბრები და ურთიერთშეფასება.

ჯგუფებს შორის ურთიერთობის ხასიათი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ეთნიკური სტერეოტიპით და მისი შინაარსით. ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობისას, ერთი მხრივ, ჩანს ეთნიკური სტერეოტიპის ჩამოყალიბების პროცესი და, მეორე მხრივ – უკვე მზა სტერეოტიპი.

ეთნიკური სტერეოტიპი ასახავს ეთნოსის სოციოკულტურულ თავისებურებას. ნიშანდობლივია, რომ ეთნიკურ სტერეოტიპში აისახება არა მხოლოდ აღმქმელი თუ შემფასებელი სუბიექტის თავისებურებანი, არამედ მთლიანად ეთნოსის ღირებულებითი ორიენტაცია. ეთნიკური სტერეოტიპი წარმოადგენს ეთნიკური ჯგუფის ან ეთნოსის განზოგადოებულ მყარ ხატს. ეთნიკური სტერეოტიპი შეიძლება ეთნიკური ურთიერთობების დეტერმინატორადაც – განმსაზღვრელადაც – კი მივიჩნიოთ, ვინაიდან მას გარკვეულ ვითარებაში ქცევის მომწესრიგებელი (მარეგულირებელი) ფუნქციაც ეკისრება. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეროვნული ურთიერთდამოკიდებულებების ხასიათს და, როგორც წესი, ჩაერთვება სუბიექტის მიერ ეთნიკური ჯგუფის ან ერთეული ინდივიდის ინტერპრეტაციისა და შეფასების აქტში. ეთნიკური აუტო და ჰეტერო სტერეოტიპები, ანუ ინდივიდის ხედვის კუთხე, ეფუძნება საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ეთნოკულტურულ მახასიათებლებს. საკუთარი ჯგუფის წევრის არანორმატიული ქცევა, როცა ის ეთნიკურ თუ ეროვნულ არეალში უნდა იქნას განხილული, როგორც წესი, სიტუაციურად ფასდება, ანუ პიროვნების მიუღებელი ქცევა სიტუაციიდან გამომდინარეობს, სიტუაციით აიხსნება და სიტუაციითვე მართლდება; მაშინ, როცა ანალოგიურ შეუსაბამო ქცევას სხვა ეთნიკური ჯგუფი აფასებს როგორც პიროვნების დანაშაულს და ინტერპრეტაციისას ბრალი სუბიექტს მიეწერება და არა სიტუაციას. სხვისი და საკუთარი ქცევის ამგვარი შეფასება ზოგად ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას ემყარება. როგორც წესი, ამგვარი ტენდენცია საფუძვლად ედება გარკვეული პრიორიტეტებით სარგებლობის და საკუთარი „განსაკუთრებულობის" სტატუსის აღიარებას სხვათა მიერ.

სხვა ჯგუფებშიც ერთი სუბიექტის მიერ ჩადენილი რაიმე დანაშაული, ან არაეთიკური ქცევა, განიხილება, როგორც იმ ჯგუფის ხასიათი, რომელსაც სუბიექტი მიეკუთვნება: „ეგენი ხომ საერთოდ ასეთები არიან, წესი მაგათ არ იციან და რიგი"; „მოიპარავდა აბა რა, როდესაც ყოველთვის ქურდობენ" და

ა.შ. უარყოფითი მახასიათებლების სიხშირე, საზოგადოდ, დაძაბული რეგიონის სპეციფიკად არის მიჩნეული. ამავე დროს, ეთნიკური მახასიათებლების დადებითი თუ უარყოფითი ნიშნები სუბიექტურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. როცა ეთნიკური ჯგუფი საკუთარ თავს სხვა ეთნიკური ჯგუფის მიერ დაჩაგრულად აფასებს, მთლიანობაში სოციალური ქცევა და პიროვნული თუ საქმიანი დამოკიდებულებები „დაჩაგრულობის" ფოკუსში ექცევა: „არაფრად არ გვაგდებენ", „უსამართლოდ გვექცევიან", „ზედ არ გვიყურებენ", „დიდი წარმოდგენა აქვთ თავის თავზე".

ზეპირ ისტორიებში მკაფიოდ გამოიკვეთა რესპოდენტების პოზიცია და დამოკიდებულება სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ. ეს დამოკიდებულება ნაწილობრივ ეთნოცენტრისტული ხასიათისაა: „ჩვენ უკეთესები ვართ, ვიდრე ისინი". ამგვარი დადებითი აუტოსტერეოტიპი ძირითადად ეფუძნება განსხვავებას ეთნოკულტურულ მახასიათებლებს შორის. როგორც წესი, მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვა ეთნიკურ ჯგუფს სუბიექტურად აფასებს საკუთარი ეთნოკულტურული ხედვის გამო. იმ შემთხვევაში, როცა ეთნოკულტურული მახასიათებლები გარეგნული ნიშნებით არ განსხვავდება, მაშინ მათი ინტერპრეტაცია (უარყოფითი და დადებითი) ტერმინებით ხორციელდება. ხოლო თუ ერთი და იგივე წეს-ჩვეულებანი, ანუ ტრადიცია, განსხვავებული აქვთ, მაშინ ეს განსხვავება ეთნიკური ჯგუფის წევრებს შორის გაუცხოების, დაშორების და შეუთავსებლობის განცდას იწვევს. დაპირისპირების გრძნობა, ოპოზიციურობა შინაგან გამართლებას პოულობს. სხვადასხვა ეროვნების ჯგუფებში შეფასება „ჩვენ და ისინი", „ჩვენგან განსხვავებულნი" ძირითადად დაპირისპირების განცდის გამართლების საფუძველია, და განმასხვავებელი ნიშნებით კიდევ უფრო იმაგრებენ თავის პოზიციას. უმეტეს შემთხვევაში, თუ აუტოსტერეოტიპის მახასიათებლებს გავადევნებთ თვალს, საკუთარ შეხედულებებზე, წესებსა და მახასიათებლებზე არ მსჯელობენ შედარებებითა და დაპირისპირებით. „ისინი" ასეთები არიან, სხვებისაგან განსხვავდებიან, მათი წეს-ჩვეულებები, შესაძლოა, მხოლოდ მათთვის იყოს მისაღები და სხვისთვის არა.

მრავალ საუბარში იგრძნობა აუტოსტერეოტიპის იდენტიფიკაცია ჰეტეროსტერეოტიპთან (უმეტესწილად არაქართველებისა ქართველებთან). ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ხდება დისპერსულად მოსახლე არაქართველების ქართველებთან იდენტიფიკაცია. უფრო მეტიც, ისინი, შეიძლება ითქვას, ინტეგრირებულნი არიან ქართულ კულტურაში და მას აფასებენ არა როგორც ჰეტერო, არამედ აუტოსტერეოტიპს. ამაზე მიუთითებს მათი (არაქართველთა) გამონათქვამები: „ჩვენ, ქართველები, ხომ ასეთები ვართ", „საქართველოს გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია", „ქართველები კარგი ხალხი ვართ, სტუმართმოყვარე". დაძაბულობის პირობებში (მაგ. ისეთის, როგორსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში ნაციონალისტური ვნებების აფეთქების ჟამს) დამოკიდებულება განსხვავებულად წარმოდგება ორივეს მხრიდან. არცერთი არ აფასებს ერთ-ერთ ჯგუფს დადებითად, თუმცა საკუთარ თავს

ხშირ შემთხვევაში გამოყოფს: „მე ასეთი რამ არ მიგვრძნია", „ყოველთვის კარგად მექცეოდნენ".

ენის პრობლემა

საერთოდ, ადამიანები ცხოვრობენ ერთდროულად ორ, ბუნებრივსა და სიმბოლურ, გარემოში. სიმბოლური გარემო არ არის გარესამყაროს მარტივი რეპროდუქცია. სიმბოლოების საშუალებით ადამიანები ცვლიან თავის გარემომცველ სამყაროს, ე.ი. ეთნიკურ ჯგუფს, რომელმაც უკვე შეიქმნა სიმბოლოებით დატვირთული გარემო, უყალიბდებათ მასში ურთიერთობის განსაკუთრებული, სხვა ჯგუფისაგან განსხვავებული კულტურა. ეს განსაკუთრებულობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა ენაში, როგორც ურთიერთობის ძირითად საშუალებაში.

ენა კულტურის განუყოფელი ნაწილია. პოლიეთნიკურ რეგიონში ყოველთვის წამოიჭრება პრობლემა, სახელმწიფოებრივი სტატუსის მიუხედავად, რომელი ენა შეირჩეს საკომუნიკაციოდ. არაქართველებით დასახლებულ მიკრორეგიონში დღეს ასეთად ჩანს რუსული, მაგრამ არა როგორც ყოველი ჯგუფის მშობლიური ენა, არამედ როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა საკომუნიკაციო საშუალება. ასეთი ჯგუფები ერთმანეთთან საუბრისას იყენებენ რუსულ ენას იმის მიუხედავად, კარგად ფლობენ მას, თუ ცუდად.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიხედვით ქართული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის აზრი გაუჩნდათ. როგორც ცნობილია, ეთნოსის ეროვნული აღორძინების პერიოდში ენა იძენს ეთნიკური ღირებულების საბაზო მნიშვნელობას. ის არა მარტო კულტურის მახასიათებელია, არამედ პოლიტიკური ინტერესების მანიპულირების საშუალებადაც გვევლინება და აამოქმედებს თვითშეგნებას. მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ხალხის მასებში ენის მახასიათებლის დეტერმინაცია იგივე დარჩა. მისი ინტენსიური ცვლილება არ მომხდარა. არაქართულ რეგიონებში დღეს სახელმწიფო ორგანიზაციების სამუშაო ენა მაინც რუსულია. ეს გამოწვეულია არა ეთნიკური თვითშეგნების იმპერატივით, არამედ, უბრალოდ, საკომუნიკაციო მოთხოვნილებით. თუმცა ბოლო ხანებში იზრდება ქართული ენის „პერსპექტიულობის" განცდა. მრავალი არაქართველი, განსაკუთრებით თბილისში, ფლობს ქართულს, მაგრამ კომპაქტურად (სომხებით, ბერძნებით, აზერბაიჯანელებით, რუსებით) დასახლებული საზღვრისპირა რეგიონებში ოფიციალური, ანუ სახელმწიფო ენა დღეს პრობლემებს ქმნის. ამიტომ ჩვენი ზეპირი ისტორიების ნაწილი რუსულ ენაზეა ჩაწერილი.

რელიგია

რელიგია თავისთავად წარმოადგენს რთულ, მრავალფენოვან და მრავალგანზომილებიან მოვლენას. ზეპირ ისტორიებში კარგად ვლინდება როგორც რელიგიურობის ფენომენის სოციალური კავშირები და ურთიერთობები, ასევე საერთო წესების ელემენტები, ქცევის ნიმუშები, ინდივიდის რელიგიური მოტივაციის საშუალებები.

ჩვენს ზეპირ ისტორიებში რელიგია უფრო კულტურის მახასიათებლის როლში გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ათეისტურმა პროპაგანდამ თავისი ფუნქცია შეასრულა და ხალხის ფსიქოლოგიური თუ კულტურული ცნობიერებიდან ნაწილობრივ ამოშალა რწმენის კვალი (რამაც ყოველ ეთნიკურ ჯგუფში რელიგიური ასპექტი საკმაოდ შეასუსტა და ათეიზმმა იჩინა თავი), რელიგიამ კულტურათა სხვაობაში მაინც განსაკუთრებული როლი ითამაშა, რაც ქცევის ნორმებით გამოხატა. ე.წ. „უძრაობის“ წლებში ეთნოკონფესიურ იდენტიფიკაციას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა. რელიგია აღიქმებოდა, როგორც ხალხის კულტურული მემკვიდრეობისა და, ამავე დროს, ეთნოსთა შორის დიფერენციაციის ფაქტორი (Гузенкова Т.Е., Коростылев А.Д., Этнокультурные ценности и ориентации в республиках Росийской федерации: сходство и различия, в кн.: Суверенитет и этническое самосознание: идеология и практика, М., 1995, стр. 179).

ათეისტური პროპაგანდის შედეგად ქვეყანაში არც თუ ისე მაღალია რელიგიური განათლების დონე, მაგრამ რელიგიას, როგორც ღირებულებას, უფრო მეტიც, ეროვნულ სიმბოლოს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის ცნობიერებაში. ყოველ შემთხვევაში, რელიგია ეთნოჯგუფისათვის ექსტრემალურ სიტუაციაში ზოგჯერ სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების წესის მანიპულირების საშუალება ხდება და თიოოეული ჯგუფის ეროვნულ მახასიათებლად იქცევა. ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამას უფრო ჯგუფური მსოფლმხედველობა განსაზღვრავს, ვიდრე პიროვნული. პიროვნულად კი რელიგიას ხშირად ერთმანეთისაგან გასამიჯნად იყენებენ.

მიუხედავად ათეისტური მემკვიდრეობისა, ბოლო წლებში რელიგიამ შეძლო ადამიანის აზროვნებაში თავისი როლის კორექტირება და ნაწილობრივ მაინც ფუნქციური დატვირთვა მიიღო. რელიგიამ, თითქოსდა არც ყოფილა ათეისტური პროპაგანდის პრესის ქვეშ, საქართველოში, ქართველებშიც და არაქართველებშიც, თავის თავზე აიღო ტრადიციული ქმედობის ფუნქცია, რასაც თითქმის უწყვეტი მოძრაობის ხასიათი აქვს. ამით განისაზღვრა ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანების ყოველდღიური სამეურნეო, სოციალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორებისკენ მიმართული ქცევა. ზეპირ ისტორიებში ვლინდება რელიგიის შემეცნების ორი ტიპი: შემეცნება დაკვირვების საშუალებით და მოქმედების მოტივების ახსნით.

ზეპირ ისტორიებში „რელიგიური ადაპტაცია“ თითქოს უფრო საზოგადოების სტაბილურობის მხარდაჭერისკენ იხრება და, ამავე დროს,

თითქოს სტიმულირებს მის განვითარებას. თუმცა კარგად არის ცნობილი რელიგიური დაპირისპირებაც.

ზეპირი ისტორიები, რომლებიც მეოცე საუკუნის პერიოდის ეხება, გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში მის მისწრაფებასა და მისწრაფების საბოლოო მიზანს, ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მოვლენას. ამ ინტერვიუებში რელიგია უფრო ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზეა ორიენტირებული, თუმცა კოლექტიური იდენტურობაც იგრძნობა. ერთი კია, რელიგიური აქტივობის საფუძველში მისი ძირითადი ფუნქცია – ადამიანთა სიცოცხლის გააზრებულობა დევს.

ჩვენს ისტორიებში ნიშანდობლივია „ერთი ღმერთის“ ფენომენი, ანუ ღმერთი ერთია ყველა ეთნიკური ჯგუფისა და ყველა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლისათვის. საერთო ერთი ღმერთი შლის აზროვნებაში როგორც ეთნიკურ, ასევე განსხვავებულ რელიგიურ საზღვრებს და აერთიანებს ადამიანებს. ეს კი თავისთავად ის ეტაპია, როცა ნელდება აგრესიულობა და მშვიდობისაკენ მისწრაფება იგრძნობა. ეს, შესაძლებელია სრულიად გაუცნობიერებლადაც, მიუთითებს თანაცხოვრების იმ წესზე, რომელიც ერთ ტერიტორიაზე ცხოვრების გამოცდილებით გამოიმუშავა მრავალმა ეთნო და კონფესიურმა ჯგუფმა.

მსოფლიოში ცნობილი არცერთი რელიგია, თავისთავად, არ არის მკვეთრად აგრესიული ხასიათის. თითქმის ყოველ მათგანში ვიპოვით სამშვიდობო საწყისს. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ პოლიეთნიკურ არეალში, სადაც სხვადასხვა რელიგიისა თუ კონფესიის აღმსარებელი ჯგუფები ცხოვრობენ, სოციალურ, ეკონომიურ თუ ტერიტორიულ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირების დროს რელიგია, შესუსტების ნაცვლად, აძლიერებს დაპირისპირებას, რადგანაც მას მიზნის მისაღწევ საშუალებად იყენებენ. სწორედ ამგვარი სიტუაციაა დღეს საქართველოს დაძაბულ რეგიონებში. ჯავახეთში, ერთ-ერთ მიკრორეგიონში, ეს ასე გამოიხატება: მაგალითად, ქართველი დუხობორზე ამბობს: „ეროვნებით რუსები არიან, ქრისტიანები, მაგრამ განსხვავებული წესები აქვთ. ხატები არ სწამთ, ჯვარს არ ლოცულობენ, იარაღი დაწვეს, ბრძოლა არ მოსწონთ“.

დუხობორი მოგვითხრობს: „მართალია, დუხობორები და სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ჩვენი კულტთმსახურება, რწმენა, წეს-ჩვეულებები მკვეთრად განსხვავებულია სომხურისგან; ჩვენ წესად გვაქვს დილას, გაღვიძებისთანავე, ვთქვათ; „ღმერთო, დაგვლოცე“. ამასვე ვიმეორებთ ჭამის, ძილის და სამუშაოს დაწყების წინ, ამასვე ვამბობთ სამგლოვიარო სუფრასთან, რასაც ვერ ვიტყვით სომხების შესახებ. ჩვენი მეზობელი სომეხი გარდაიცვალა. რამდენიმე დუხობორი გასვენებაში ვიყავით, ჭირის სუფრაზეც მიგვიწვიეს. სომხები ისე შემოუსხდნენ სუფრას, ერთი არ უხსენებიათ ღმერთი. ასეთი საქციელი მიუღებელია ჩემთვის, დიდი უპატივცემულობაა ღმერთისა და მიცვალებულისა. სომეხი ქრისტიანია, მაგრამ რით გამოიხატება მისი ქრისტიანობა, ვერ გეტყვით! დღე ისე გაივლის, რომ ღმერთს არ ახსენებენ, მადლს არ სწირავენ. ცხენს მათრახს ურტყამს და აგინებს. მოკლედ, ჩვენი გაგების ხალხი არ არის. არ მოგვწონს მათი მომრავლება ჩვენს სოფე-

ლში. ჩვენი რწმენაც განსხვავებულია მათი რწმენისაგან. დუხობორისთვის მთავარია სულიერი მდგომარეობა, ლოცვით განწმენდა, გაჭირვებულთა დახმარება, შრომა და გარჯა. დუხობორის ოჯახში პირველი ლოცვაა „მამაო ჩვენო", უპირველესი სიტყვები კი – „ღმერთო დაგვლოცე", რის შემდეგაც ვიწყებთ ყოველგვარ საქმიანობას. სომეხს კი, შეიძლება, ჯვარიც ჰკიდია მკერდზე, მაგრამ იგი თვეობით არ ახსენებს ღმერთს, უშეხობს საქონელთან, რომელიც ჩვენი მარჩენალია. შიშით ვუყურებ, რომ სომეხი სახლში ცოცხალი არ დაბრუნდება".

სომეხი კი ასე ამბობს: „დუხობორები სხვა ხალხია, პირჯვრის წერა არ იციან, მღვდელი მაგათ არ ჰყავთ, ხატი და ეკლესია არ სწამთ, იმიტომაც გამოყარეს რუსეთიდან. სულ ყველა ლოთია და უვარგისი. კი, მეც ვყიდი არაყს, მაგრამ მაგათ სმა არ იცოდნენ, რა ჩვენი ბრალია. მართალია, მშრომელები არიან, მაგრამ რად გინდა – საღამო ხანს უმეტესობა ლოთობს. ეგ რა რჯულის ხალხია, ვერ გაიგებ. დადგებიან ჯგუფად და, რაღაც „ფსალმუნებიაო", იმას კითხულობენ და ისე მღერიან, ვერაფერს გაიგებ. ამიტომ მათთან ქორწინებას ვერიდებით. სომეხი, იმის მიუხედავად ცოლი დუხობორი ეყოლება თუ არა, თავის შვილებს თავის ჭკუაზე – სომხურად გაზრდის. არ მოიქცევა ესე და ნათესაობაში შერცხვენილი იქნება. აბა გოგოს გათხოვება იქნება დუხობორზე? ვის რად უნდა ლოთი სიძე. ჩვენი ოჯახები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენში ისევე, როგორც ქართველებში, იციან კაცის პატივისცემა. დუხობორებში კი ვერ გაიგებ, ოჯახში კაცია უფროსი თუ ქალი" (ჩაწერა ლ. ხუციშვილმა).

ზეპირი ისტორიებიდან ჩანს, რომ რელიგია, როგორც ღირებულება, ადმიანთა ცხოვრებაში იდეურად არაუმნიშვნელო ადგილზე დგას. იგი ლეგიტიმურია, ხსნის ადამიანის შინაგან ბუნებას. რელიგიის ფუნქცია, უდავოდ, აქტუალიზირდება ადამიანებში კრიზისული სიტუაციების დროს. ერთი კი არის უცილობლად – ღმერთში ეძებენ სიკეთეს და, რაც მთავარია, სამართლებრიობას. ისტორიების ავტორებს აქვთ რელიგიური ორიენტაცია. ის არის უცილობლად მნიშვნელოვანი, მაგრამ არაგანსაზღვრული, ანუ იგი უფრო ტრადიციული კულტურის მახასიათებლად წარმოგვიდგება. ადამიანები რელიგიას უფრო მეტად რიტუალურად მიუახლოვდნენ, ვიდრე სულიერად. ასეთი რელიგიური ადამიანები კი უფრო მეტად რიტუალის მიმდევრები არიან, ანუ მათ რიტუალების შესრულება გაიგივებული აქვთ ღმერთის რწმენასთან. რელიგიური ქცევა ადამიანის ყოველდღიურ აქტიურ ცხოვრებაში არ ვლინდება დიდი ინტენსივობით. რელიგიური ცხოვრების ორგანიზაციაში არ არის ჩამოყალიბებული ინდივიდის როლი და ფუნქცია. და, რაც მთავარია, ინდივიდის მოტივაციის საერთო სტრუქტურაში არ არის ჩამოყალიბებული რელიგიური მოტივაციის როლი და მნიშვნელობა. ჩვენს ისტორიებში ვერ ვაფიქსირებთ ისეთ ადამიანებს, რომელთა ქცევაც ავლენს ღრმა მორწმუნის დამოკიდებულებას მოხუცების, უძლურთა, პატიმართა თუ უნარშეზღუდულთა მიმართ. მორწმუნეთა მონათხრობში არც გარემოს დაცვის პრობლემატიკა ჩანს. ყოველ შემთხვევაში, იგრძნობა, რომ რელიგია ეხმარება ადამიანებს იპოვონ პასუხი მრავალ კითხვაზე. ის ეხმარება ადამიანს უსამართლობის დაძლევაში, ოპტიმიზმს მატებს მას, აძლევს სამოთხეში უკეთესი ცხოვრების იმედს.

იმათთვის, ვინც რელიგიას ეზიარება, ეს არის პირადული საკითხი. ხალხი წყვეტს, რა უნდა იწამოს. ამ დროს ადამიანები აზრს ანიჭებენ ცხოვრებას და განსაზღვრავენ საკუთარ დანიშნულებას სამყაროში. ყოველი რელიგიური ჯგუფი რამდენადმე თავს რჩეულად, სხვისგან გამორჩეულად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ერთადერთი სწორი მხოლოდ მისი არჩევანია. მაგრამ აშკარად იგრძნობა „ერთი ღმერთის" იდეა. ერთი ღმერთის წინაშე ყველა თანასწორუფლებიანია. რეკვიზიტში ეროვნების ფიქსირების ფონზე, რაც ასე ძლიერად გამოიკვეთა მონათხრობებში, ადამიანები მაინც ერთი მფარველის ქვეშ აერთიანებენ თავს. ბოლო წლებში შეინიშნება მრავალი რელიგიური მიმართულების მეტ-ნაკლები დამკვიდრების პროცესი. ზოგიერთ მათგანს ხალხი „ფულით ნაყიდ რელიგიას" უწოდებს. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება პანკისის ხეობაში აქტიურად შემოჭრილი მუსლიმანური რელიგიის ერთ-ერთი მიმდინარეობა – ვაჰაბიზმი. ეს მიმდინარეობა წარმოიშვა XVIII ს-ში არაბეთის ნახევარკუნძულზე მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბის მოძღვრების მიხედვით, რომლის სახელიც მას ეწოდა. მისი ძირითადი მიზანია აღადგინოს ალაჰის მოციქულის, მუჰამედის დროინდელი ისლამი და ცხოვრების წესი. პანკისის ხეობაში ვაჰაბიზმი გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ, ჩეჩნეთიდან.

თანამედროვე საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ტრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობათა გვერდით აქტიურად მკვიდრდებიან ახალი რელიგიური მიმდინარეობები. ეს პროცესი ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული და საერთო საზოგადოებრივი პრობლემების გამოვლინებას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირისა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს თან დაერთო მწვავე სულიერი კრიზისიც, რაც ღირებულებათა სისტემების რღვევაში გამოიხატა. ასეთი ვითარება კი მეტად ხელსაყრელია სხვადასხვა სახის რელიგიური ჯგუფებისათვის, რომელთა ინტერესი მიმართულია ახალი სივრცეების ათვისებისაკენ. ამიტომ გასაკვირი არ არის მათი აქტიურობა ყოფილი სოციალისტური სამყაროს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც რიგი არატრადიციული, ახალი რელიგიური ორგანიზაციები ახლა იწყებენ გავრცელებასა და დამკვიდრებას, ხოლო სხვანი უკვე წლების მანძილზე მოქმედებენ და განუხრელად აფართოებენ მიმდევრების რიცხვს.

„იეღოვას მოწმეთა" ორგანიზაცია დღეს აქ მოქმედი ყველა რელიგიური ჯგუფისაგან გამორჩეულია თავისი აქტიურობითა და მრევლის მიზიდვის (მასობრიობის) თვალსაზრისით. მათი საქმიანობა გაუხმაურებლად დაინყო და დღეისათვის ფართო მასშტაბებს მიაღწია. შესაბამისად გაიზარდა პრობლემების რიცხვი, რასაც აწყდება ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ქართული სახელმწიფო, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ გამოცდილების არმქონე ქვეყანამ აქამდე ვერ მოახერხა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის

ჩამოყალიბება.

სექტებისა და არატრადიციული ორგანიზაციების მოღვაწეობის გააქტიურებაში გარკვეულ როლს მატერიალური უზრუნველყოფაც თამაშობს; ყველა სექტა და რელიგიური ორგანიზაცია ხომ საკმაოდ სოლიდურად ფინანსდება უცხოეთიდან. სექტებისათვის დამახასიათებელია გამორჩეულობის პრინციპი, რაც განაპირობებს „ჭეშმარიტ ოჯახთან", „წმინდა საზოგადოებასთან" (როგორადაც ისინი თავს მიიჩნევენ), კოლექტიური იდენტურობის ჩამოყალიბებას. კოლექტიური იდენტურობა ადამიანებს მომავლის შიშის დაძლევის საშუალებას აძლევს, ხდება სოციალური უძლურების კომპენსირება და, აქედან გამომდინარე, პიროვნული იდენტურობის განმტკიცებაც. გარემოსთან სხვადასხვა სახის დამოკიდებულება და თანაგრძნობის დეფიციტი, ამასთანავე – სოციალური მიუღებლობა, განუმტკიცებს მათ შეგნებას, რომ განსაკუთრებულები არიან, ესქატოლოგიურ ავანგარდში დგანან.

პოტენციურ მიმდევართათვის ეს ჯგუფები მიმზიდველია იმით, რომ მათზე ზემოქმედებას ახდენს ე.წ. „პატარა ჯგუფის მექანიზმები", კერძოდ, ელიტარული ავანგარდიზმის გაცნობიერება, უეჭველი ნორმების არსებობა, შიდა ჩაკეტილობა, საერთო საზოგადოებრივი პრობლემებისაგან განზე მდგომი სტაბილური ჯგუფის „ბუდის სითბო" და ავტორიტეტთა იდენტიფიკაცია.

ასეთი ჯგუფების მიზნები, ზოგჯერ, სახელმწიფოს ინტერესებს უპირისპირდება. ამის გამო საზოგადოებაში ჩნდება დაძაბულობის კერები, რაც სახელმწიფოს საყრდენ ღირებულებათა სისტემებს უქმნის საფრთხეს. დასავლეთ ევროპაში ღრმადაა ფესვგამდგარი შეხედულება, რომ პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა განაპირობებს მოქალაქეთა კეთილდღეობას და ე.ი სახელმწიფოს სიძლიერეს; ამასთან რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას მაინც გააჩნია საზღვრები. ყოველ ცალკეულ სახელმწიფოში განსხვავებული აკრძალვებია დაკანონებული, რასაც საერთო საფუძვლად უდევს პრინციპი, რომლის თანახმადაც რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება, ყველა სხვა სამართლებრივი თავისუფლების მსგავსად, დაშვებულია მხოლოდ სხვათა უფლებებისა და სოციალური თანაარსებობის საფუძვლების შელახვამდე. ესე იგი, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია სახელმწიფოს ინტერესები და, შესაბამისად, ყოველი მოქალაქის ინტერესი ცხოვრობდეს სტაბილურ საზოგადოებაში, სადაც დაცული იქნება მისი თავისუფალი ცხოვრებისა და განვითარებისათვის საჭირო ყველა პირობა.

ერთი კი არის აღსანიშნავი, ჩვენმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იეღოველობამ უკუაგდო ეთნიკურობის პრიორიტეტულობა, ანუ საქართველოში იეღოველებას არ გააჩნია ეთნიკური საზღვარი. მიუხედავად სხვადასხვა ნაციონალობისა, იეღოველები ყველანი „ძმები არიან" (ქ. ხუციშვილი, პენსილვანიის ტრაქტატისა და საგუშაგო კოშკის საზოგადოება საქართველოში (იეღოვას მოწმეთა მოძღვრება და პრაქტიკა), ანალები I, თბ. 2003).

ღირებულება სამშობლო

ღირებულება „სამშობლო" მეტად ტევადი და მრავალი ასპექტის მომცველია. სამშობლოს ცნებას უკავშირდება სამყაროს აღქმისა და ადამიანსა და სამყაროს ურთიერთკავშირის რაგვარობა. ამ კავშირს ადამიანი გარკვეული მსოფლმხედველობის საფუძველზე ამყარებს. ტრადიციული მსოფლმხედველობით შექმნილი სამყაროს სურათი ასახავს სპეციფიკურ ადამიანურ, კულტურულ ურთიერთობებს ობიექტურ, ფიზიკურ სამყაროსთან. ადამიანის წარმოდგენა სამყაროს შესახებ, სუბიექტის მიერ სამყაროს მთლიანობის აღქმა და მასში საკუთარი ადგილის პოვნა არის მსოფლმხედველობა.

„მსოფლმხედველობა, ცხადია, ადამიანის საკუთარ თავში არსებობს და ცნობიერების შინაარსს წარმოადგენს. მას ადამიანის ცნობიერება ქმნის, როგორც მთლიანს. მსოფლმხედველობის ერთიანობა წარმოადგენს ჩვენი უნარების, როგორც ცნობიერების ელემენტების, თანამშრომლობის სინთეზს" (გ. თევზაძე, მსოფლმხედველობის სტრუქტურისათვის, საერთაშორისო კონფერენციის „მსოფლმხედველობა, რწმენა, ადამიანის ღირსება" თეზისები, თბ., 1991, გვ. 18). მაგრამ ეს მსოფლმხედველობა ყოველთვის არ არის მხოლოდ ადამიანის ფიქრის შედეგი, მის მიერ მოაზრებული და გაცნობიერებული. უმეტეს შემთხვევაში ადამიანი წინა თაობის ტრადიციული კულტურის მეშვეობით შეიცნობს მსოფლმხედველობით წარმოდგენებს (თ. ბუაჩიძე, ადამიანის დანიშნულების პრობლემა და ონტოლოგია, დიალექტიკური მატერიალიზმის ონტოლოგიური ასპექტები, თბ., 1987, გვ. 102).

სამშობლო ფართო ცნებაა და ძირითადად იხმარება სამი მნიშვნელობით: 1. მოქალაქეობრივი, როდესაც ცნებაში „სამშობლო" იგულისხმება გარკვეული (კონკრეტული) სახელმწიფო; 2. ეთნიკური – როგორც სინონიმი ცნებისა „მშობლიური მიწა"; ეს გაგება ხშირად უფრო ფართოა, იტევს ეთნიკურ ისტორიასა და თანამედროვეობას, ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს; 3. ლოკალურ-ტერიტორიული, რაც ხშირად ნიშნავს „მცირე სამშობლოს" (Аронова Н.Ю., Этнотерриториальные представления русских в местной прессе, в кн. Ценности и символы национального самосознания в условиях изменяющегося общества. М., 1994, стр. 144).

ამავე დროს სამშობლო არის ის ღირებულება, რომელიც ყოველი ადამიანის ცნობიერების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

„ღირებულება" ეთნიკურობის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც ეთნიკური თვითშეგნების რაკურსით განიხილება. იგი ძალიან ფართო და ტევადი მნიშვნელობისაა – აღნიშნავს რეალურად არსებულ იმ მოვლენებსა და საგნებს, რომლებსაც ძირითადად ადამიანთა ქცევების სოციალ-ნორმატიული რეგულატორის ფუნქცია აქვს და ასევე – პიროვნული აზრის შემცველ კოლექტიურ წარმოდგენებს. თუ ეთნიკურ ფენომენს მთლიანად კონცეპტუალური მიდგომის თვალსაზრისით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ღირებულებები და სიმბოლოები უფრო მეტად წარმოადგენენ სხვადასხვა

დონის სიღრმისეულ, პირადულ და აქტუალიზებულ, იდეოლოგიზებულ მნიშვნელობათა მქონე „კონსტრუქტებს", ვიდრე ეთნიკურობის სხვა ელემენტები.

პირადული, სიღრმისეული ღირებულებითი სტრუქტურები, რომელთა შესაბამისადაც ამა თუ იმ გზით წარმართავენ თავიანთ ყოველდღიურ ქცევას კონკრეტული ეთნიკური საზოგადოების წევრები, ფაქტიურად მკვიდრდება ხალხის მენტალიტეტში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ღირებულებები მხოლოდ ამ ეთნოსისათვისაა ნიშანდობლივი და სპეციფიკური. მათ, როგორც წესი, ზოგადსაკაცობრიო ხასიათი აქვთ. ასეთებია: ოჯახი, სამუშაო, ჯანმრთელობა, პირადული მიღწევები, წარმატება, უშიშროება, ჰუმანურობა, სიმშვიდე ან აქტიურობა. ამასთანავე, ღირებულებათა შკალაზე მათი განლაგება ხალხის თვითშეგნებაში ეთნიკურ ელფერს იძენს. ამ ღირებულებებს პიროვნება შეისისხლხორცებს სოციალიზაციის პროცესში, ოჯახის, ნათესაობის, მეგობრების ანუ, უპირველეს ყოვლისა, უახლოესი ადამიანების გარემოცვაში.

სულ სხვა ხასიათი აქვს საზოგადოებრივ ღირებულებებს — სამშობლოს, თავისუფლებას, ენას, ისტორიულ მეხსიერების ფაქტორებსა და სხვა. მაგრამ პიროვნების მიერ მათი გათავისებისა და მათში ჩართვის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა იდეოლოგიზირებული საზოგადოება.

როგორც ერთი, ასევე მეორე კონსტრუქცია ურთიერთობის საფუძველზე ყალიბდება. ამათგან პირველი უფრო სტაბილურია, მყარია, ხოლო მეორე — იდეოლოგიზირებული — როგორც წესი, უფრო სიტუაციურია და, ამდენად, გარემოების მიხედვით სხვადასხვაგვარად აქტუალიზირებული. მასზე განუზომლად დიდ გვლენას ახდენს სოციალური ინჟინერია. საზოგადოებრივი ღირებულების მნიშვნელობა ინტელექტუალური ელიტისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობის შედეგია.

„სოციალური ურთიერთობის პროცესში ადამიანებს უმუშავდებათ სოციალური ღირებულებისადმი სამსახურის მისწრაფება. რა სოციალური ღირებულებანი გადაიქცევა ადამიანისათვის პიროვნული ცხოვრების მთავარ ორიენტირად, რომელსაც იგი, ძირითადად, ემსახურება, ეს სოციალურ გარემოსა და მის ინდივიდუალურ თავისებურებებზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ადამიანი თავისებურად განიცდის სოციალურ ღირებულებათა მნიშვნელობას, რის გამოც ყოველ მათგანს თავისი უნიკალური წვლილი და ელფერი შეაქვს მთლიანი სოციალური ცხოვრების პროცესში, ყოველ სოციალურ გარემოში არსებობს ძირითადი ღირებულებანი, რომელთაც ემსახურება ადამიანი. წარმოდგენებს ადამიანურ ცხოვრებაზე სწორედ ამგვარი ღირებულებისადმი სამსახური ქმნის. სოციალური ღირებულებანი ერთმანეთთან შინაგანად მჭირო კავშირში არიან, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება მათი დიფერენცირება და იმ სპეციალური ღირებულებების გრძელი სიის წარმოდგენა, რომლებსაც არსებითი როლი ენიჭებათ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების საქმეში" (შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 298).

ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემების ჩამოყალიბების ძირითადად ორი ფაქტორი განსაზღვრავს — გარეგანი და შინაგანი. გარეგანი ფაქტორი არის ის სოციალური გარემო, სოციალური ჯგუფი, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება. სოციალურ ღირებულებათა ფორმირება ჯგუფის მოთხოვნის, მასში გაბატონებული ნორმების ზემოქმედების საფუძველზე ხდება. ყოველი სოციალური ჯგუფი, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, თავის წევრებს მათი ზოგადი სოციალური ტენდენციების საფუძველზე უქმნის მისწრაფებას გარკვეულ ღირებულებათა მიმართ. შინაგანი ფაქტორი კი არის ადამიანის პირადი ცხოვრება, რომლის პროცესშიც გამოიკვეთება ადამიანის ის ინდივიდუალური თვისებები, არსებით გავლენას რომ ახდენენ სოციალურ ღირებულებათა გაშინაგნებასა და ქცევის დეტერმინანტად მათ გადაქცევაზე. აქტივობის პროცესში ადამიანები არა მხოლოდ ეცნობიან სინამდვილესა და სოციალურ გარემოს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, არამედ შეიმეცნებენ საკუთარ თავსაც (შ. ნადირაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 299, 302).

მაგალითად, საქართველოში, ჯავახეთის რეგიონში, მცხოვრები დუხობორების მსოფლმხედველობაში სამშობლოს ცნება განსაკუთრებულ მოდელად ჩამოყალიბდა. ამ მოდელის არსებობა სულ რაღაც 150 ნელს ითვლის. მას ძალიან ღრმა და ძლიერი ფესვები აქვს და გამოირჩევა განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით. 150 ნლის წინ ჩამოსახლებული დუხობორების მსოფლმხედველობით, დღეს სამყარო ის ადგილია, სადაც ისინი ცხოვრობენ, შრომობენ, რომელსაც ვიზუალურად აღიქვამენ. თანამედროვე დუხობორთა მსოფლმხედველობა თავის თავში შეიცავს იმ სივრცეს, რომელშიც თვითონ ცხოვრობენ და მოქმედებენ, იფარგლებიან მხოლოდ „წმინდა" მთებით, მთებს შორის არსებული სივრცით. ეს ტერიტორია მათი მოქმედების არეალია და მას თავის სამშობლოდ აღიქვამენ. რუსეთი, მათივე თქმით, არ არის სამშობლო. სამშობლო ეს მინაა — „დუხობორია". „ჩვენ კანადელი და რუსეთის სხვა დუხობორებისაგან გამოვირჩევით, ჩვენ ხომ საქართველოს დუხობორები ვართ. იქ, „მოლოჩნიე ვოდიზე", ორმოცი ნელი ვიცხოვრეთ, მაგრამ ის არ იყო ჩვენი სამშობლო. ჩვენ იქ მხოლოდ ვიწყებდით შეკრებას და როდესაც აქ გადმოგვასახლეს, უამრავი შრომა და ჯაფა შევალიეთ საქართველოს მიწას. აქ სულ ქვიანი ნიადაგი იყო. დღემდე, ყოველ წელს, გაზაფხულზე მიწას ქვისგან ვწმენდთ, ვთესავთ და უმძიმეს პირობებში ვმუშაობთ. აქ არის ჩვენი სალოცავები, ჩვენი საფლავები. საქართველოს გარდა დუხობორებს არსად არ აქვთ წმინდა ადგილები, არც კანადაში, და არც ტულაში. ეს არის ჩვენი სამშობლო".

სამშობლოს ცნება ზოგჯერ გარედანაც კი განიცდის კორექტირებას. მაგალითად, ჯავახეთის სომხური მოსახლეობის აზრი განსხვავებულია, მათთვის ეს ადგილი მათი სამშობლოს კუთვნილი მიწაა. სამშობლოს ცნებაში გულისხმობენ კონკრეტულად ამ მიკრორეგიონს, ახალქალაქიდან დაწყებული ჯავახეთის დანარჩენ სოფლებს და სომხეთის რესპუბლიკას მთლიანად. მათი გაგებით, ეს არის სომხეთი მთლიანად. თუმცა ავ-

ლენენ იმის ცოდნასაც (ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე), რომ ეს საქართველოს რესპუბლიკაა. თითქოს იციან პოლიტიკური საზღვრებიც, მაგრამ მათ მენტალიტეტში სამშობლოს განცდა სულ სხვაგვარად იხატება. ჩვენთან საუბრისას ასე ამბობენ: „აი, თქვენთან – საქართველოში ასეა და ჩვენთან – სომხეთში კი ასეა". "თქვენთან – საქართველოში" ნიშნავს ახალქალაქის და ზოგჯერ ახალციხის მიღმა მთელ საქართველოს რესპუბლიკას, ხოლო „ჩვენთან – სომხეთში" – ამ რეგიონს სომხეთის რესპუბლიკის ჩათვლით.

სომეხი მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ კარგად გამოჩნდა ერთი საინტერესო შეხვედრისას სანდომიან სომეხ ქალბატონთან. სოფელ ჟდანოვაკანში. მან, შეიძლება ითქვას, გზა გადაგვიღობა, დიდი ხვეწნის შემდეგ სახლში შეგვიპატიჟა და გაგვიმასპინძლდა. ბოლოს ამ დაჟინებული საქციელის მიზეზი გაირკვა. ქალბატონმა გვიამბო: „მე საქართველოში, ბათუმში, დავიბადე და გავიზარდე, მერე კი სომხეთში გავთხოვდი. როცა დაგინახეთ, მივხვდი, რომ ქართველები იყავით და გული ამიტოკდა, სახლში უნდა მიმეწვიეთ". ჩვენს კითხვაზე, თუ სომხეთის რომელ რაიონში გათხოვდა, ასე გვიპასუხა, აქ, ჟდანოვაკანში (ჯავახეთის სოფელი). ჩვენ ჩავეძიეთ და ისევ იგივე პასუხი მივიღეთ. შემდეგ თამამად ვკითხეთ: „კი მაგრამ, განა ეს სომხეთია?" ქალმა დაადასტურა სრულიად გულუბრყვილოდ, ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე.

ყოველი ჯგუფის მიერ სამშობლო – მშობლიური მიწა, წარმოდგენილია, როგორც ეთნიკურად ორიენტირებული ტერიტორია და ყველა მათგანს ამ მიწის მიმართ საკუთრების განცდა აქვს. ეს ღირებულება ძლიერად განცდადია. იგი ადამიანის არსებობის აუცილებელი ფენომენია. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ფენომენოლოგიური მიდგომით გამოკვლევის საფუძველზე გამოირკვა, რომ ეს განცდა ადამიანში განსაკუთრებულია. იგი იწვევს ისეთ გრძნობად შინაარსს, რაც ფიზიკურ გრძნობებთან არის გაიგივებული. მაგალითად, სამშობლოს ნაწილის დაკარგვა საკუთარი სხეული გლეჯის იდენტური განცდაა და ძლიერ შფოთვას იწვევს ადამიანში. „ერის – სამშობლოს" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განცდადი მახასიათებელია დაცულობის გრძნობა. ეს არის ადამიანის (ჩემი და ჩემისთანების) დაცულად ყოფნის ადგილი სამყაროში, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის ყოფისთვის, მისი ადამიანური ექსისტენციისათვის. სამშობლო ეს არის ის, რაც განიცდება როგორც თავშესაფარი და წარმოადგენს ემოციურად დამუხტულ მოტივაციურ ველს – უკიდურეს თავგანწირვამდე მისული სიყვარულით დაწყებული, გათავებული მტრის მიმართ აგრესიით (მ. გომელაური, სამშობლო – ერის ფენომენოლოგიური ანალიზი, 1991-1992 წწ. საანგარიშო მოხსენება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ხელნაწერი).

ზეპირი ისტორიები მიგვითითებს, რომ ადამიანი სამშობლოს ცნებაში დებს საკუთარი ცხოვრების მთელ ციკლს: ის სამშობლოში იბადება, იზრდება და კვდება. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ერის წარმომადგენელია. სწორედ ეს არის ის ადგილი, და არა სხვა, სადაც მისი არსობა

არის გამართლებული. ცხოვრების მთელი ციკლი, დატვირთული მრავალი ასპექტით, მხოლოდ ერთ ადგილზე რეალიზდება; ის არის მისი სასიცოცხლო და სამოქმედო არეალი, ანუ სამშობლო. ზეპირ თხრობაში წარმოდგენილი სამშობლოს მოდელი არ არის სიტუაციური მოდელი.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ ჯგუფებს დასახლებისა და ცხოვრების მოწყობის საკუთარი, ერთმანეთისაგან განცალკავებული ისტორია, რელიგია და ეთნოკულტურული იერსახე აქვთ. მათი თანაარსებობის პირობებში ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება; მათი ერთიანობის განმსაზღვრელ პირობას კი წარმოადგენს კონკრეტული ტერიტორია. ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ტრადიციათა სპეციფიკური ნიშნების გამოვლენისას ჩანს, რომ ეთნიკური ჯგუფი სისხლხორცეულად შეზრდია გარემოს და მისი სამეურნეო, ყოფითი, სოციალური თუ კულტურული ტრადიციებიც აქ ყალიბდება და ვითარდება. ეს კი ადამიანში საფუძველს უყრის და აძლიერებს მიკუთვნილობისა და სიყვარულის გრძნობებს.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ზოგიერთ უმცირესობათა მიერ, ისტორია არ არის მართებულად წარმოდგენილი. რესპოდენტები საკუთარი ინტერპრეტაციით მოგვითხრობენ ისეთი მოვლენების შესახებ, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ამით ისინი ახდენენ სამშობლოს ცნების მანიფესტირებას იმ რეგიონებში, სადაც არის მათი კომპაქტური, თითქმის მონოეთნიური დასახლებები. ჯავახეთში სომხები, ძირითადად, შემოასახლეს 1829-30 წლებში, რუსეთ-თურქეთის ადრიანოპოლის ზავის შედეგად. ზავის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა მაჰმადიანი მოსახლეობის თურქეთში გადასახლება, ხოლო თურქეთიდან ქრისტიანების, ძირითადად სომხების, გადმოსახლება. დუხობორთა უდიდესი ნაწილი კავკასიაში, და კერძოდ ჯავახეთში, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლდა 1837 წლიდან. ისინი კომპაქტურად დაასახლეს.

სომეხთა გადმოსახლების მეორე ფაზა 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, თურქეთში სომეხთა გენოციდის დროს მოხდა. სომეხთა ძირითადი ნაწილი მაშინაც მესხეთ-ჯავახეთში გადმოსახლდა. ამავე დროს თურქეთიდან რუსეთის იმპერიაში, კერძოდ საქართველოში, გადმოსახლდა თურქეთის მოსახლეობის ნაწილი – აისორები (ქრისტიანი), იეზიდები და სხვები.

ზეპირი ისტორიებიდან ჩანს, რომ სამშობლო არის არა მარტო ის ტერიტორია, სადაც ესა თუ ის ადამიანი დაიბადა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისათვის დამახასიათებელი, ისტორიულად, თაობათა ცვლის პროცესში ჩამოყალიბებული კულტურულ და სოციალურ ურთიერთობათა სპეციფიკური სისტემა. ეს სისტემა ტრადიციული სოციალური ღირებულებების, ენის, ლიტერატურის, ხალხური პოეზიის, სიმღერის, ზეპირი გადმოცემებისა და სხვა ფორმით ასახავს და განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობისა და თანაცხოვრების ძირითად წესებს. ცნობიერების ეს სოციალურ-კულტურულ სისტემები მკვეთრად განასხვავებს ადამიანთა ჯგუფებს. სწორედ ეს არის

ის, რასაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება „ეთნიკურობა“ ვუწოდოთ. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ცნობიერების ამ სოციალურ-კულ-ტურული სისტემის რეალიზაციისათვის აუცილებელია გარკვეული ფიზი-კური გარემოს არსებობა. ამდენად, ცნობირების სოციალურ-კულტუ-რული სისტემის, როგორც მთელის, რეალიზაციისათვის აუცილებელია გარკვეული შემოსაზღვრული ტერიტორია, რომელიც ფიზიკურად განსაზღვრავს ამ სისტემის გავრცელების ფარგლებს.

პიროვნების აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში, სწავლისა (პოეზია, ზღაპრები, ლეგენდები და ა.შ.) და გამოცდილების გაზიარების გზით, ახალ თაობებს გადაეცემა სოციალურ-კულტურული სისტემა და მისი ფიზიკური გავრცელების არეალი. სწორედ ამ სისტემის არსებობა განსაზღვრავს პიროვნების ამა თუ იმ საზოგადოებისათვის მიკუთვნებულობას.

თუ ეთნიკური წარმომავლობა ემთხვევა გარკვეულ ტერიტორიას ანუ ეთნიკურ საზღვარს (ქართველი – საქართველოში, აზერბაიჯანელი – აზერბაიჯანში, სომეხი – სომხეთში და ა.შ.), მაშინ არ არსებობს დისონანსი ცნობიერების სოციალურ-კულტურულ სისტემასა და ამ სისტემის გავრცელების (მოქმედების) ფარგლებს (ტერიტორიას) შორის. მაგრამ როცა ეთნიკურ უმცირესობასთან გვაქვს საქმე და ეთნიკური და პოლი-ტიკური საზღვრები არ თანხვდება, მაშინ შესაძლებელია არსებობდეს ასეთი დისონანსი. გამომდინარე იქიდან, რომ ეთნიკური უმცირესობები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ გარკვეული პოლიტიკურ ტერიტორი-აზე, მოხდა მათი ცნობიერების სოციალურ-კულტურული სისტემის რე-ალიზაცია, ქვეყნის შიგნით გარკვეულ მიკროტერიტორიებზე ფიზიკური (ტერიტორიული) ფარგლების შემოსაზღვრა. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ ისინი (მაგ. სომხები, დუხობორები) ამ გარკვეულ მიკროტერიტორიას თა-ვის სამშობლოდ.

იმ ეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში კი, რომლებიც თუნდაც მცირე, მაგრამ გარკვეულ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე დისპერსულად არიან დასახლებულნი, ვერ მოხერხდა მათი ცნობიერების სოციალურ-კულტუ-რული სისტემების რეალიზაცია მიკროტერიტორიულ ფარგლებში და მოხ-და ამ სისტემათა შეგუება, შეთავსება, ასიმილაცია ძირითადი ეთნოსის ცნობიერების სოციალ-კულტურულ სისტემასთან. ეს პროცესი მთლიანად ქვეყნის – საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს. სწორედ ამი-ტომაა, რომ ეთნოჯგუფები მთლიანად საქართველოს მიიჩნევენ თავიანთ სამშობლოდ (მაგ. ჩვენი რესპოდენტები – ოსები, სომხები, ებრაელები, პოლონელები, გერმანელები და სხვ.), სოციალურ-კულტურულ მენტალი-ტეტის თვალსაზრისით ქართველობენ, ქართულად ლაპარაკობენ, ქართული ოჯახური თუ სოციალური ტრადიციების მატარებლები არიან. ამითვე აიხსნება ორი სამშობლოს ცნება: ერთი – ისტორიული სამშობლო, რომლის შესახებაც ადამიანს აქვს სრულიად ცნობიერი ცოდნა და ინფორმაცია და მეორე – რეალური, ცნობიერების სოციალურ-კულტურული სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ხდება მისი პიროვნული რეალიზაცია სოციუმში.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ არსე-ბობს ეთნიკური უმცირესობების ორი კატეგორია, რომელსაც საფუძვლად უდევს ცნობიერების ორი სხვადასხვა სოციალურ-კულტურული სისტემა: ცნობიერებაში შენარჩუნებული, რადგან მოხერხდა გარკვეულ მიკრო-ტერიტორიულ ფარგლებში მისი რეალიზაცია და მეორე – შერეული, რომლის ისტორიული ფორმის რეალიზაცია არ მოხერხდა გარკვეული მიკროტერიტორიული ფარგლების არარსებობის გამო და რომელიც ძირითადი ეთნოსის ცნობიერების სოციალურ-კულტურულ სისტემასთა-ნაა ასიმილირებული.

ამგვარად, სამშობლოს ცნება, როგორც კულტურულ-სოციალური ცნობიერების სისტემა, პიროვნული „მე“-ს ცნობიერების ერთ-ერთ მნი-შვნელოვან სოციალურ სტრუქტურას (ნაწილს) წარმოადგენს, ხოლო სამ-შობლო, როგორც ტერიტორია, ამ „მე“-ს – რეალიზაციის შესაძლებლობას, მისი რეალიზაციის ფიზიკურ არეალს. ამიტომ სამშობლოს ტერიტორი-ული ხელყოფა, მინების დაკარგვა პიროვნული ტკივილის დონეზე აღიქ-მება, რადგან აქ ხდება „მე“-ს ხელყოფა, „მე“-ს რეალიზაციის შესაძლებ-ლობების შეზღუდვა. აღსანიშნავია ისიც, რომ „მე“-ს რეალიზაციის შესაძლებლობების შეზღუდვა-შევიწროვებას (ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვას, დაქუცმაცებას) საბოლოოდ მივყევართ ქვეყანაში დომინანტი ეთნოსის ცნობიერების სოციალურ-კულტურული სისტემის რღვევამდე.

ქალი და ტრადიციული კულტურა

ადამიანი არის ინდივიდუალური სოციალური არსება, რომელიც ინდივიდუალურად გარდაქმნის თავის სოციალურ არსს. ხალხი შედგება პიროვნებებისაგან, რომლებიც ქმნიან მატერიალურ, სოციალურ და სულიერ კულტურას. ინდივიდად იბადებიან – პიროვნებად ყალიბდებიან. ისტორიული სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ხალხის უმრავლესობა ესწრაფვის გახდეს პიროვნება, რასაც ჩვენი ზეპირი ისტორიებიც ადას-ტურებს. ცივილიზებულ სამყაროში ინდივიდი მოიპოვებს ავტონომიას, რაც მისი პიროვნული თვითგამოხატვისათვისაა აუცილებელი. კულ-ტურის არსის თვალთახედვით, ხალხი, როგორც კულტურის სუბიექტი, არის არა სტატიკური სახელმწიფოებრივი ან სოციალური სიდიდე, არამედ ადამიანთა არაფორმალიზებული და არავიზუალური დინამიკური გაერთიანება. იგი რეალურადაა გაერთიანებული მატერიალური, სოცი-ალური და სულიერი შემოქმედებით. ზეპირი ისტორიების გმირები, განსა-კუთრებით კი კომპაქტურად დასახლებული არაქართველები, ძირითადად მიეკუთვნებიან ძნელად მოდერნიზებად კულტურის ტიპებს. მათ ახა-სიათებთ ტრადიციული ყოფის შენარჩუნებისკენ სწრაფვა, განსაკუთ-რებით მას შემდეგ, რაც მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. ყოველი ეთნოჯგუფის წარმომადგენელი (ეროვნების მიხედვით) ჩაკეტილი აღმოჩნდა თავის თავში. ხაზგასმით ამოქმედდა ყოფითი ტრადიციული

მოდელს შესანარჩუნებელი ქცევის სტერეოტიპები, რამაც, შეიძლება ითქვას, ერთმანეთს შორის კიდევ უფრო მეტი გაუცხოება გამოიწვია. პოლიეთნიკურ რეგიონებში კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს ახასიათებთ ერთმანეთისგან იზოლირება, ანუ ისინი დახურულ ჯგუფებს წარმოადგენენ. ყოველი ჯგუფის იზოლაციის მიზეზად, ზოგად მახასიათებლებთან ერთად, გვევლინება საკუთარი ტრადიციული სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფებს შორის განკერძოება-გაუცხოებას და ჯგუფის შიგნით კი – მობილიზირებას. ყოველ სოციუმში იზოლირების ძირითად ელემეტებად წარმოგვიდგება ეროვნულობა, რელიგია (კონფესია), ენა, ადაპტაციის უნარი და ბუნებრივი გარემო.

კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყოველი ერის განვითარებაში, მისი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. ტრადიციული კულტურა საზოგადო ცხოვრების ყოველი ელემენტის განუყოფელი ნაწილია. ტრადიციის მრავალფეროვნება განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ცხოვრების პირობებით და სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებებით. ის, თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე. „დღეს ტრადიცია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, წარმოადგენს ამა თუ იმ ეთნოსის (ტომის, ხალხის, ერის) შექმნა-განვითარების პროცესში ისტორიულად ჩამოყალიბებულ, თაობიდან თაობაში გარდამავალ და ერთობლივად აღიარებულ პრინციპს, რომელიც საფუძვლად ედება ადამიანთა შორის მრავალმხრივ ურთიერთობათა ნორმებს ცხოვრების ყველა სფეროში. ტრადიცია, ამავე დროს, არის როგორც ეთნოგენეზის ინფორმაციის წყარო, ასევე ეთნიკური თვითშეგნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა. ამ მხრივ ტრადიცია არა მარტო გამოხატავს სხვადასხვა თაობათა შორის ურთიერთობის ხასიათს, თაობათა შიგნით სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულებას, ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში მოქმედ ნორმებს, არამედ გარკვეულწილად ასულდგმულებს კიდეც მათ. ტრადიცია, ამ მნიშვნელობით, თავისებური ჩონჩხია, რომელზედაც ასხმულია ხალხის ყოფა მთლიანად – იქნება ეს ადამიანის დაბადებასთან, აღზრდასთან, ქორწინებასთან თუ გარდაცვალებასთან დაკავშირებული წესჩვეულება, სახლი თუ კარი, ტანსაცმელი თუ სამკული, ნათესაობა, მოყვრობა, მეზობლობა, მეგობრობა და კიდევ ბევრი რამ“ (ალ. რობაქიძე, ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ., 1981, გვ. 3).

ტრადიციული კულტურის ბაზას ქმნის საზოგადოების მატერიალური გარემო და სოციალური ფსიქოლოგია. მთლიანობაში კულტურის პერსპექტივა მოიცავს ურთიერთობის ყველა ფორმას, მაგრამ განსაკუთრებით გამოიყოფა ოთხი სახე, რომელიც უშუალო კავშირშია ადამიანთა ცხოვრებასთან და მსოფლიოს მომავალთან. ესენია: ადამიანთა ურთიერთობა საკუთარ თავთან, ერთმანეთთან, საკუთარი შრომის პროდუქტთან, ბუნებასთან. ადამიანის ურთიერთობა საკუთარ თავთან განაპირობებს გონებრივ და ფსიქიურ წონასწორობას; ადამიანთა ურთიერთობა ერთმანეთთან განსაზღვრავს კავშირის არსებობას, ან არარსებობას ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, საზოგადოებებთან, ქვეყნებთან და ა.შ.; ხალხის ურთიერთობა შრომის პროდუქტებთან განსაზღვრავს ცხოვრების მატერიალურ პირობებს და, ამასთანავე, მემკვიდრეობითობას; ურთიერთობა ბუნებასთან განსაზღვრავს ადამიანის ეკოლოგიურ კავშირს ფლორასა და ფაუნასთან, მათ გარშემო არსებულ სამყაროსთან. დაბოლოს, ყველა ეს ურთიერთობა აყალიბებს კულტურის რთულ, ტრანსფორმირებად და ცვალებად სისტემებს. კულტურა მუდმივ მოძრაობაშია. იგი ვითარდება. ყოველი კულტურა თავისთავად წარმოადგენს ევოლუციურ ორგანიზმს – ის ცხოვრობს, სუნთქავს, იზრდება, იცვლება, განიცდის ადაპტაციას ახალ პირობებთან. ეს ევოლუციური თვისება გამომდინარეობს კულტურის ორი განუყოფელი ელემენტისაგან, როგორიცაა ადამიანი და გარემომცველი სამყარო. კულტურის მუდმივი მოძრაობის მიზეზი სწორედ ეს დაძაბულობაა, რადგან არც ადამიანი, და არც მისი გარემომცველი სამყარო არ არის სტატიკური და მუდმივ ცვლილებას განიცდიან.

დაპირისპირებული სიტუაციის განხილვისას კულტურას გარკვეული სტატუსი ეძლევა. კულტურა ის ღირებულებაა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული. ეთნოციდის ან გენოციდის შედეგად განადგურებული კულტურა მთელი მსოფლიოს დანაკარგია. მრავალეთნიკურ საზოგადოებაში კულტურის აქტიური დაცვა ეთნიკური კონფლიქტის მამოძრავებელ ძალად იქცევა, რადგანაც იგი იდენტურობის, განსაზღვრულობის მიღწევისა და შენარჩუნების საშუალებაა. გარკვეულ სოციალურ პირობებში ტრადიციული კულტურის ღირებულებისაკენ ორიენტაციის ხარისხი შეიძლება შესუსტდეს, თუ იდენტურობა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია სოციალური სტატუსით და განმტკიცებულია ადმინისტრაციულად.

ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებები, კულტურული ღირებულებები და ეკონომიკური ინტერესები ისეა გადაჯაჭვული, რომ ზოგჯერ, არაორდინალური სიტუაციის ანალიზისას, გადაულახავი სიძნელეები იქმნება. არახელსაყრელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში კულტურის ფენომენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ეროვნულ კულტურაში იგულისხმება იმ კულტურული ელემენტების და სტრუქტურების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ხალხი წარმოისახავს ცნებებს „ჩვენი“ და „არაჩვენი“, აცნობიერებს საკუთარ ერთობას და სხვა ერებისაგან ასხვავებს. ასე ყალიბდება ე.წ. „სოციალურ-კულტურული დისტანცია“. მაგრამ ჩვენს ზეპირ ისტორიებში წრმოდგენილ ურთიერთობებს უფრო მეტად სხვა ტერმინი, „კულტურული შოკი“ შეეფერება. „კულტურული შოკის“ არსი ტრადიციული კულტურების ნორმებსა და ორიენტაციებს შორის დაპირისპირებაში მდგომარეობს, უფრო ზუსტად, ეს ორი კულტურის კონფლიქტია ინდივიდუალური აზროვნების დონეზე. იწყება ინდივიდუალური აზროვნების სწორედ ასეთი დაპირისპირება, რამაც შემდგომში შეიძლება ჯგუფური შეუთავსებლობა გამოავლინოს.

ჩვენი რესპოდენტების ტრადიციული კულტურა, მართალია, არ განი-

ცდის სხვა ეთნიკური კულტურების ძლიერ გავლენას და, შეიძლება ითქვას, ძნელად მოდერნიზებადია, მაგრამ მაინც ავლენს ცვალებადობის თვისებას. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ცნობილია, რომ სოციალური თვალსაზრისით ეთნიკური ტრადიცია არის საზოგადოებრივი წარმონაქმნი, სოციალ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი – ადამიანთა ჯგუფური მოქმედების გამოხატულება, რაც გამეორებადია დროში, თაობიდან თაობაში. იგი დინამიკურია, აქვს ცვალებადობისა და განვითარების უნარი. ამიტომ ხალხთა კულტურებში ტრადიციების ცვალებადობა და მათი შევსების, გამდიდრების პროცესი კანონზომიერი მოვლენაა. თუმც მას ღრმა სოციალურ ძვრებთან ერთად განაპირობებს ის გარემო, რომელშიც უხდება მოღვაწეობა ამ ტრადიციათა მატარებელ ხალხს. სწორედ გარემოა ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს, ან ახშობს, სხვადასხვა ჯგუფების განვითარებას.

ზეპირ ისტორიებში გამოვლენილმა მასალებმა ცხადყო, რომ ჩვენი გმირების არსებობისა და განვითარების საფუძვლები ადგილობრივ კულტურათა ტრადიციებშია საძიებელი. თითოეული ეთნოჯგუფი თავისი ჩამოსახლების და ჩამოყალიბების მომენტიდან მწარმოებლურად ეგუება განსაზღვრულ გეოგრაფიულ გარემოს. ეთნიკური ჯგუფის საწარმოო აქტივობა ბუნებრივ საწარმოო ძალთა მრავალფეროვნებასთან ერთად ქმნის განვითარების, ტრადიციების განმტკიცებისა და სოციალური ჯგუფის გაერთიანების საფუძველს. ამას ხელს უწყობს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ზნეობრივი თვისებები: სხვა ერთან მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანაცხოვრების, განსაკუთრებით, სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის, სხვა ერების ისტორიულ ტრადიციათა დაფასების უნარი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ ყოველი რესპოდენტისათვის სამშობლო საქართველოა.

ზოგიერთი ისტორიიდან კარგად ჩანს, რომ არაქართული ჯგუფები (პირობითად ასე ვუწოდოთ) შედარებით დახურულნი არიან, განსაკუთრებით დაძაბულ სიტუაციებში. ასეთ დროს ადამიანებს არ აქვთ ურთიერთობა სხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან, რაც ხელს უშლის ინტეგრაციას. ამიტომ არა აქვთ ინფორმაცია ერთმანეთის შესახებ, ჯგუფები ერთმანეთისგან იზოლირებულად არსებობენ; იზოლაცია კი თავისთავად ხელს უწყობს ჯგუფში შიდა კონტაქტების გაძლიერებასა და ჯგუფებს შორის აღმართული ბარიერის კიდევ უფრო გამყარებას. ამ ბარიერების გადალახვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

საკუთარი შეხედულებით ჯგუფის წევრი ახორციელებს ისეთ ქცევას (ვერბალურად ან არავერბალურად), რომელიც აშკარად უსვამს ხაზს სხვისგან მის განსხვავებას, ცდილობს თავისი თავი რაიმე ნიშნით გამოყოს, გამოაცალკეოს. ჩვენს შემთხვევაში ასეთია ვერბალური ან არავერბალური გამოხატვა იმ ქცევისა, რომელიც ჯგუფის რაიმე ნიშნის (ეროვნების, ენის, კონფესიურობის) რაობას ეხება: „ჩვენ სხვანაირი ხალხი ვართ – ისინი სხვანაირი"; „ჩვენთან ასე არ ხდება" და სხვ. როგორც ცნობილია, "უშუალო მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა გარეშე განხორციელებულ მოქმედებას წარმოადგენს ნებელობითი ქცევა. ამგვარი ქცევის შესრულებისას ადამიანი აკეთებს არა იმას, რისი გაკეთებაც სიამოვნებას ჰგვრის, რის მოთხოვნილებასაც განიცდის, არამედ იმას, რასაც უფრო ღირებულად, საჭიროდ და სოციალურად მისაღებად თვლის... ნებელობის გამოყენებით ადამიანი მაღალი ღირებულების მქონე ქცევას მეტ მიმზიდველობას ანიჭებს ნაკლები ღირებულების მქონე ქცევასთან შედარებით და პიროვნულად უფრო მისაღებად ხდის" (შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 288-289).

ყოველდღიური გამოცდილება, სიმბოლოები და მოვლენები, რომლებითაც ინდივიდები ხელმძღვანელობენ ურთიერთობისას, ამ ურთიერთქმედობას ანიჭებს გარკვეულ ხარისხს, რომელსაც ყოველ საზოგადოებაში ფიქსირებული განწყობა აქვს. მაგრამ საკმარისია ურთიერთქმედება სხვა სოციუმთან განხორციელდეს, განსაკუთრებით კი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების დროს, მაშინვე წინ ნამოიწევს ის სიმბოლოები და ღირებულებანი, რომელიც იქნება ამ საზოგადოების მკვეთრი განმასხვავებელი ნიშანი. სიმბოლო, რომელიც ერთი საზოგადოების ორგანიზებულობის ნიშანია, შესაძლოა, მეორე საზოგადოებასთან მიმართებით უკვე ქაოსისა და ურთიერთწინააღმდეგობის ნიშნად იქცეს. მაგრამ ღირებულებები და სოციალური ნორმები დროთა განმავლობაში ინდივიდთა აზროვნებაში ცვლილებას განიცდის და იქცევა რეალურ ქმედობად, რომელიც, მოსალოდნელია, იმავე სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებზე დაყრდნობით იყოს გათვითცნობიერებული. ეს ქმედობანი შეიძლება პოზიტიური იყოს, ან ნეგატიური. ქმედების პოზიტიურობაც პირობითია; ერთი და იგივე ქმედობა შესაძლებელია ერთი ჯგუფისთვის პოზიტიური იყოს, მეორესთვის – ნეგატიური. საერთოდ ურთიერთქმედება ხდება შემდეგი ასპექტების მეშვეობით: ინფორმაციის მიწოდება, ინფორმაციის მიღება, მიღებული ინფორმაციით გამოწვეული რეაქცია, გადამუშავებული (გაცნობიერებული) ინფორმაცია, გაცნობიერებული ინფორმაციის მიღება, ამ ინფორმაციით გამოწვეული რეაქცია. თუ ამ ასპექტებს დადებითი დატვირთვა აქვს, მაშინ განსხვავებული კულტურები არა მარტო მშვიდობიანად თანაარსებობენ, არამედ, შესაძლებელია, მოხდეს მათი ინტეგრაციაც. ჩვენს საზოგადოებაში ურთიერთქმედების ეს ასპექტები მიუთითებენ სოციალური ჯგუფების განსხვავებულ მდგომარეობასა და მოქმედებაზე. იგრძნობა როგორც სხვადასხვა კულტურათა მშვიდობიანი თანაარსებობა, ასევე დაპირისპირებაც. ზოგი რესპოდენტის აზრით, მის გვერდით მცხოვრები „სხვა ჯგუფის" წარმომადგენელი, ან მთლიანად ჯგუფი, არღვევს ერთიანობის შეგრძნებას და იბადება მისდამი გაუცხოების გრძნობა.

როგორც ცნობილია, ყოველ კულტურას აქვს ტერიტორიული საფუძველი და იგი ქმნის გარკვეულ არეალს, რომლის მიმართ ძირითადი, ერთი კულტურის მქონე ჯგუფის დამოკიდებულება თითქმის ერთგვაროვანია: მისი წევრები უსიტყვოდ, ერთმანეთთან შეუთანხმებლად ავლენენ საკუთარ დამოკიდებულებას გარემომცველ სამყაროსთან და ყოველ

ახალმოსულ ჯგუფს უყურებენ როგორც უცხოს, რომელიც ვერ შეძლებს მათი სამყაროს აღქმას, ანუ არ ექნება მსგავსი დამოკიდებულება ამ სამყაროსადმი.

ხალხს, რომელიც ერთიან სიმბოლურ გარემოცვაში ცხოვრობს და იზიარებს მას, აერთიანებს ერთი კულტურა. ამიტომ მასში სხვა კულტურების ჩართვა დასაწყიშივე იწვევს დაძაბულობას. ასეთ დროს კულტურათაშორისი საზღვრები იმდენად მყარია, რომ არ ხდება შერეული ქორწინება, არსებითი ასიმილაცია, ეთნიკური ჯგუფების შერწყმა და ერთი ეთნოსის გაფართოება მეორის ხარჯზე. საკმაოდ სტაბილურია თითოეული ეთნიკური ჯგუფის ენობრივი და კულტურული სპეციფიკა.

შერეულ ოჯახებში ცოლ-ქმრის ურთიერთობა უფრო ფართო, ოჯახისგარე სოციალური გარემოს ერთიანობის საწინდარია. ამიტომაა, რომ შერეული ოჯახი, როგორც მიკროელემენტი, გამოიყენება ერთაშორისი კავშირების შესწავლისას, ხოლო სხვადასხვა ეროვნების მეუღლეთა ურთიერთობის კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად გავხსნათ ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის ოპტიმალური სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმები.

შერეული ოჯახები ეთნიკურ ჯგუფებს შორის კულტურათა შერწყმის იმპულსებად გვევლინებიან. სწორედ მათ შეუძლიათ გადალახონ საქორწინო პარტნიორთა ეროვნული კულტურების სპეციფიკა. ხოლო ამ უნარის არარსებობა იწვევს ოჯახის დაშლას და მცირე ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირებას, განსაკუთრებით, თუ კულტურები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ცოლ-ქმრის ნეგატიური დამოკიდებულება პარტნიორის ეთნიკურ კულტურასთან, მისი სპეციფიკის უგულებელყოფა უარყოფით გავლენას ახდენს ოჯახის სიმტკიცეზე. როგორც საერთოდ, ჩვენს ზეპირ ისტორიებშიც ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპების ფორმირებას ხელს უწყობს სწორედ კონკრეტული მაგალითები. ერთი მხრივ, პარტნიორის ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპი ვრცელდება იმ ეთნიკურ ჯგუფზე, ან მთელ ეთნოსზე, რომლის წარმომადგენელია ეს უკანასკნელი და, მეორე მხრივ, ეთნიკური ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფის შეფასების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული ამ ჯგუფის წარმომადგენელი პარტნიორის ქცევაზე. შერეული ოჯახების პარტნიორების კულტურათა ძლიერი განსხვავება უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა ერთმანეთის ობიექტური შეფასების შესაძლებლობას, რაც კონფლიქტით მთავრდება.

ზეპირი ისტორიების ზოგიერთი მთხობელი ფაქტიურად ძველი, ტრადიციული კულტურის მატარებელია მცირედი ცვლილებებით. დღემდეა შენარჩუნებული ტრადიციული ღირებულებები: ოჯახი, ნათესაური ურთიერთობა, შრომისმოყვარეობა, სარწმუნოება, რისი რეალიზაციაც მხოლოდ ჯგუფის შიგნით ხდება. საინტერესოა ასეთ კულტურაში თანამედროვე მეცნიერებაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად მიღებული გენდერული პრობლემის გარკვევაც. ტერმინი გენდერი (ენდერ) დასავლურ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში იხმარება სქესის, როგორც სოციალური

მოვლენის აღსანიშნავად და განსხვავდება სუფთა ბიოლოგიური სქესისგან (შეხ). არსებობს გენდერული კონცეფციის მრავალი ჯგუფი, რომელთაგან ფემინისტური მსოფლმხედველობა იძენს არა მარტო დამოუკიდებელ, არამედ ცენტრალურ მნიშვნელობასაც. ფემინისტური გაგებით ქალსა და კაცს შორს არ არის ფუნდამენტური სხვაობა – ის რაც შეუძლია კაცს, შეუძლია ქალსაც.

მამაკაცისა და ქალის სოციალური განსხვავების ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული ამა თუ იმ საზოგადოების პატრიარქალურობაზე. რამდენადაც მეტად დემოკრატიულია საზოგადოება, მით უფრო ნაკლები განსხვავებაა ქალისა და კაცის სოციალურ ქცევას შორის. იდეაში გენდერული სხვაობა ბოლოს და ბოლოს სულ უნდა გაქრეს. მაგრამ დღეს არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქალისა და მამაკაცის სოციალური ქცევა არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჯერ კიდევ არსებული პატრიარქალურ-კონსერვატული ტრადიციები და ის ტენდენცია, რომელიც, ფაქტიურად, კარნახობს და აყალიბებს მამაკაცთა დომინირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის მიზეზია ისიც, რომ ქალის მსოფლმხედველობა დღემდე განისაზღვრება ძირითადად მისი საოჯახო ცხოვრების ანალიზის საშუალებით, ხოლო მამაკაცთა მსოფლმხედველობა კი – მისი როლით საზოგადოების სოციალურ ორგანიზაციაში. დაპირისპირებული სიტუაციების განმუხტვის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოფასა და საზოგადოებაში ქალის როლთან. პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ქალის როლის განხილვამ გამოავლინა ტრადიციულ კულტურაში მხოლოდ საზოგადოების ნაწილის შედარებითი დემოკრატიულობა, ხოლო დანარჩენთა – ჯერ კიდევ პატრიარქალურობა. ზოგიერთი რესპოდენტის გადმოცემით, ოჯახში უფროსი მამაკაცია. სომეხი ქალბატონის ისტორიაში ასეთი გამონათქვამიც კი გვხვდება: „ქალი მონაა ორივე ტიპის (იგულისხმება მრავალთაობიანი და მარტივი), ოჯახში, იმ განსხვავებით, რომ პირველში მას რამდენიმე უფროსი ჰყავს, ხოლო მეორეში – ერთი“.

ზოგიერთი ქალის მოქმედების სფერო მხოლოდ ოჯახი და საოჯახო მეურნეობაა, ცხოვრების წესი კი – მამაკაცების საზოგადოებისაგან თავის გარიდება.

ბოლო წლებში დარღვეულია ტრადიციული სტერეოტიპი: მამაკაცი – მარჩენალი, ქალი – დიასახლისი. ზოგისთვის ეს განვლილი საფეხურია და ახლა ოჯახის ფორმა დემოკრატიულია, დამყარებული ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე.

კონსერვატულ-ტრადიციულ საზოგადოებაში ქალის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად შეზღუდულია და მისი სოციალური სტატუსი გაცილებით დაბალია, ვიდრე მამაკაცისა. როგორც ჩანს, კულტურის ტრადიციული ელემენტები საზოგადოებრივ ცხოვრებაში შედარებით მდგრადი და აქტიური აღმოჩნდა. პოლიტიკურ-ეკონომიკური ტენდენციების დღითიდღე მზარდი დაპირისპირებულობა ახლებურად წამოჭრის „ქალის საკითხისადმი“ დამოკიდებულებას და მას ეთნოპო-

ლიტიკური პრობლემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად აქცევს.

საზოგადოების დამცველის – გადამრჩენის როლში ქალის გამოსვლა აორმაგებს დაძაბულობას, რადგანაც პატრიარქალური ტრადიციის მატარებელი ეთნოჯგუფები მეტ აგრესიულობას გამოხატავენ, როდესაც მათ მოწინააღმდეგედ გამოდის ქალი და მამაკაცის ფუნქციას იღებს თავის თავზე. ასეთ სიტუაცია მხოლოდ გაღიზიანების მიზეზი ხდება და ვერბალურადაც გამოიხატება. მითი ქალის ბუნებრივ ანუ ბიოლოგიურ მოვალეობაზე ძალიან აძნელებს თვით ქალში საკუთარი შემოქმედების (გონებრივი, პირადული, პოტენციური) თავისუფალ რეალიზაციას. ამიტომ ქალთა თვითგამოხატვას, თვითდამკვიდრებასა და გენდერულ თვითგამორკვევას ჯერჯერობით მასში ჩამოყალიბებული პიროვნული თვისებებიც ენინააღმდეგება.

ავტორიტარული ტრადიციების მატარებელ ჯგუფებში ითვლება, რომ ლიდერი ქალები არღვევენ ქალურ – ავტონომიურ, პირადულ თვისებებს და მამაკაცურ საზღვრებში იჭრებიან. ამიტომ, მათი აზრით, ასეთი ქალების ქმედება პატივისაცემი კი არ არის, არამედ დასაგმობია. პატრიარქალურ ტრადიციებზე გაზრდილნი, კიდევ დიდხანს ვერ შეძლებენ გენდერულ თვითგამორკვევას; მათთვის მამაკაცური და ქალური საზოგადოებრივი თვისებები გამიჯნულია არა მარტო პიროვნულ დონეზე, არამედ საზოგადოებაშიც (ისევე, როგორც სხვა ტრადიციულ საზოგადოებაში) და ტრადიციულ კულტურაშიც კიდევ დიდხანს იქნება დიფერენცირებული.

როცა ლაპარაკია ქალების სამოქალაქო აქტიურობაზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ უკიდურესი სასაზღვრო სოფლის მცხოვრებ ქალებს, რომელნიც დარჩნენ ჯავახეთში საცხოვრებლად მას შემდეგ, რაც აქ კრახით დამთავრდა „მერაბ კოსტავას“ და „ჯავახეთის აღორძინების“ ფონდების მიერ ქართველების ჩასახლების კამპანია. გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ქალები თამამად ებრძვიან ადგილობრივი მმართველი წრეების უსამართლობას – აქვეყნებენ საპროტესტო წერილებს, მიმართავენ პრესას, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებს, რასაც უკვე ჰქონდა რეზონანსი და გამოხმაურებაც. აღსანიშნავია, რომ ეს ქალები, რომლებიც თავისი აქტიურობით გამოირჩევიან სხვა ქალებისაგან ამ რეგიონში, არიან მარტოხელები; ისინი ქმრების გარეშე ზრდიან ბავშვებს და ეწევიან მეურნეობას. საკუთარი თავის უზრუნველყოფამ და დაცვამ აამოქმედა გენდერული თანასწორობა. ასე რომ, ქალისა და კაცის როლების განსხვავების ხარისხი, მათ შორის სოციალურიც, ბევრად არის დამოკიდებული მიკროსაზოგადოების პატრიარქალურობასა თუ დემოკრატიულობაზე. მაგრამ დემოკრატიული საზოგადოების გვერდით პატრიარქალურის არსებობა, მით უმეტეს კონფლიქტში შესვლა და ამავე დროს პატრიარქალური ტენდენციები საერთოდ საზოგადოებაში (შეიძლება ითქვას, ქვეყანაში) შლის არა მარტო ათწლეულების მანძილზე გამომუშავებულ გენდერულ პრინციპს, არამედ თვით მიკროსაზოგადოებასაც.

ბოლო წლებში მიმდინარე კარდინალურმა ცვლილებებმა მრავალი ახალი პრობლემა წამოწია წინ. ყალიბდება ახალი სოციალური ურთიერთობები და მასთან ერთად ადამიანთა ახლი ცნობიერება. ორი მეტოქე გეოპოლიტიკური სისტემა – კომუნიზმი და დემოკრატია – ერთმანეთს დაუპირისპირდა, პირველი დაინგრა, მეორე კი დამკვირებისათვის იღწვის. დემოკრატიული სახელმწიფო თავისი სტრუქტურებით უფრო მოკლე დროში შეიძლება გაფორმდეს, ხოლო ასეთ სახელმწიფოში მაცხოვრებელი საზოგადოება შესაძლებელია დიდხანს დარჩეს არადემოკრატიული. დემოკრატიული პრინციპები ღია საზოგადოებისათვის იბრძვის. საქართველოში მოქმედი ტრადიციული კულტურის ადრეული მოდელი უფრო მეტად დახურული საზოგადოების ნიშნების მატარებელია. გლობალიზაციის პროცესში დიდ გავლენას ახდენს სოციალური და ისტორიული განვითარების შედეგად უკვე ჩამოყალიბებული ეთნიკური კულტურა. ამ კულტურის მატარებელი ეთნოსის ინდუსტრიულ ცივილიზაციასთან ადაპტაციის პროცესი ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. აქ დიდი მნიშვნელობის მქონეა კულტურის ერთ-ერთი სისტემაწარმომქმნელი ერთეული – პიროვნების თვითგამორკვევის ტიპი. პიროვნული თვითგამორკვევა – ვინ ვარ მე, ხდება ორნაირად: ერთის მიხედვით, მე ვარ ისეთივე, როგორც ჩემი ჯგუფი და ეს არის რეალური, ნათესაური, ოჯახური, სამეზობლო ჯგუფი ანუ კოლექტიური მოდელი; მეორე კი არის სოციალური ჯგუფი, რომელიც იქმნება მიზნების ერთობით, ანუ – ინდივიდუალური მოდელი. კოლექტიური მოდელი დამახასიათებელია უფრო მეტად დახურული კულტურისათვის, ხოლო ინდივიდუალური კი ღია კულტურას უკავშირდება. გლობალიზაციის პროცესში ფაქტიურად ხდება დახურული და ღია სისტემების დაპირისპირება. საქართველო თავისი კულტურით ორმაგ – დახურულს და ღია – სისტემას მოიცავს.

დახურულ სისტემაში მოქმედი ინდივიდი იცვამს ისე, როგორც მისი სოციუმი; იქცევა ისე, როგორც მისი სოციუმი; ხოლო ღია სისტემაში ინდივიდი ცდილობს მოიქცეს ისე, როგორც მას სურს, ან მოიქცეს დახურული სისტემის საწინააღმდეგოდ. ასეთი იყო „სტილაგების“ ჩაცმულობა 60-იან წლებში. ასეთია დღეს მამაკაცისთვის საყურე ან უკან შეკრული გრძელი თმები, რასაც ჩვენი საზოგადოება, მაშინაც და ახლაც, ვერ ეგუება. ეს არის კონტრკულტურა, რომელსაც განსაკუთრებული როლი გააჩნია ისტორიულ დინამიკაში, რადგანაც ის ჩნდება სუბკულტურის საწინააღმდეგოდ, იჭრება კულტურაში და ხასიათდება შემოქმედებითი უნარით. ვერ ანგრევს ძველს, მაგრამ რაღაცით, უფრო მეტად კი ადამიანის აზროვნებაში, ცვლის მას. ასეთი სიტუაციები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მცირე ჯგუფის ლოკალური ღირებულებები სოციუმისთვის უნივერსალურ ხასიათს იძენს. აი აქ ხდება სწორედ კონტრკულტურული დაპირისპირება, ანუ ეს შეიძლება ჩაითვალოს არა პოლიტიკურ, არამედ სტილის რევოლუციად „ქვევიდან“. სტილის რევოლუცია შესაძლებელია უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, რადგანც პოლიტიკური რევოლუცია შეიძლება მოხდეს ერთ დღეში, მაგრამ ცხოვრება კიდევ დიდხანს დარჩება

ძველებური, სანამ არ გარდაიქმნება სტილი.

ღია სისტემების არსებობის პრინციპს წარმოადგენს განვითარება ახლისა და მისთვის უცხოს შეთვისების გზით, შიდა სამყაროს გართულებისა და გამრავალფეროვნების შედეგად (განვითარების პროგრესული ტიპი). დახურული სისტემებისთვის დამახასიათებელია არსებული მდგომარეობის კონსერვაცია, წინააღმდეგობა ყოველგვარი ურთიერთქმედების მიმართ, რასაც შეუძლია შეცვალოს სისტემა (განვითარების რეგრესული ტიპი). კაცობრიობის განვითარების წინსვლით მოძრაობას სწორედ ღია სისტემები უზრუნველყოფენ.

სისტემა დახურული რჩება მანამდე, სანამ გარკვეული ხასიათის ელემენტებისა და თვისებების დაგროვილი რაოდენობა არ გამოიწვევს შინაგან აფეთქებას და განადგურების საფრთხე არ აიძულებს სისტემას მონახოს არსებობის ახალი, შეცვლილი გარემოს მოთხოვნების უფრო ადექვატური ფორმები. სწორედ ეს გარდაქმნის დახურული ტიპის სისტემას ღია სისტემად. ამ კანონზომიერი პროცესის ხელოვნური შეფერხება, თუნდაც იგი ტრადიციული ეთნიკური თვითმყოფადობის გადარჩენის კეთილი სურვილით იყო გამორჩეული, საბოლოო შედეგს მაინც ვერ აღწევს. განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლა გარდუვალია, მაგრამ ამ შემთხვევაში ის თანამედროვეთათვის უფრო მტკივნეულია და ხშირად დამანგრეველი მოვლენების სახეს იღებს.

სოციოკულტურულმა ადაპტურმა პროცესებმა გამოიწვია სისტემის მხოლოდ გარეგნული ცვლილება, მიმიკრია, სისტემის ბირთვი კი უცვლელი დარჩა და ხელსაყრელ პირობებში გამოვლინდა სახეშეცვლილი და ფუნქციადაკარგული.

ღია და დახურული სისტემები თავისთავად წარმოადგენენ მსგავს სტრუქტურას, რომელიც შეიძლება შეფასდეს ზოგ საზოგადოებაში ორმაგი სისტემის ან ტიპის თანაარსებობით და გამოიხატოს ბირთვისა და პერიფერიის სახით. მიღებულია აზრი, რომ ღია სისტემა უფრო ევროპული, ხოლო დახურული კი აზიური ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა სუფთა სახით ისინი სამყაროში არ არსებობენ. საინტერესოდ გვეჩვენება ქართული კულტურა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ორივეს მეტ-ნაკლები დოზით შეიცავს. მაგრამ მთლიანობაში მას ჩვენ მაინც უფრო მეტად დახურულ სისტემებს მივაკუთვნებთ. ამავე დროს ჩვენს კულტურაში იმდენად ძლიერია ბირთვის პრინციპები, რომ პერიფერიული ტიპი ვერ ახერხებს მის დამუხრუჭებას. კულტურის ბირთვი უფრო ქალაქური ცხოვრების წესისთვის არის დამახასიათებელი და ის ყოველთვის პროგრესისკენ მიიწევდა, მიღებულ ახალ ელემენტს თავის თავში გადაბარშავდა, ეროვნულ ელფერს შესძენდა და დაიმკვიდრებდა. ამის შემდგომ იგი ქმედებითი ხდებოდა, ბოლო სტადიაზე პერიფერიაზეც გადაინაცვლებდა და ასე უწყვეტ ტრიალში სახეს იცვლიდა საუკუნეების მანძილზე. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და გეოპოლიტიკა დიდად განსაზღვრავს კულტურათა სისტემების ღიაობას და დახურულობას. თუ დღეს ევროპული კულტურა ღია სისტემას

მიეკუთვნება და აზიური კი – დახურულს, საქართველოში, შეიძლება ითქვას, ორივე სისტემა მოქმედებს, მაგრამ დომინანტი მაინც დახურული სისტემაა. ამას განაპირობებს ასევე საქართველოს მრავალფეროვანი გარემო – მთამ მეტად შემოინახა დახურული სისტემები, ხოლო ხალხთა მიგრაციის პროცესმა ღია სისტემაზე ანუ ბირთვზე იქონია გავლენა. გარდამავალ პერიოდში სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ეთნოკონფლიქტებით გამოწვეულმა მიგრაციებმა კიდევ მეტად მოახდინა გავლენა ღია სისტემებზე. პერიფერიული კულტურა ძლევს ბირთვს. ამიტომ საზოგადოებაში შეინიშნება კულტურათა ტიპების ჭიდილი. ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, დემოკრატიულობისთვის ღია სისტემა გაცილებით ადვილი მოსარგებია, მაგრამ მას ამუხრუჭებს კულტურის დახურული სისტემა. ამიტომაა, რომ რეფორმების განხორციელება ძნელდება, ამის შესანიშნავი მაგალითია მოქალაქეობის გრაფის შემოღებასთან დაკავშირებული მოვლენები. როგორი კულტურის მატარებელიც არის ქვეყანა, ისე ვითარდება მასში გარდაქმნები. შედარებით ღია სისტემის მატარებელი კულტურის მქონე ბალტიისპირეთის ქვეყნები უფრო სწრაფად ახერხებენ რეფორმების გატარებას. კორუფციის დონეც იქ ნაკლებია. ამის საწინააღმდეგო პროცესი ხდება შუა აზიის ქვეყნებში, რომელთა კულტურები დახურულ სისტემას განეკუთვნება. აქ გარდაქმნის შემდგომი პერიოდი მეტი იზოლაციით და კარჩაკეტილობით ხასიათდება.

ქართული ეთნიკური კულტურა დიდი ხანია იღწვის ღიაობისკენ, მაგრამ ის რამდენჯერმე მექანიკურად შეაჩერეს, არ მისცეს უფლება მისი ევოლუცია ბუნებრივი გზით განვითარებულიყო. ჯერ კიდევ კაპიტალიზმის შემოჭრისთანავე მოხდა დამუხრუჭება, ხოლო შემდგომ, სოციალიზმის მითოლოგიზაციით, ყალბი ღირებულებების ჰიპერბოლიზაცია.

ამ პროცესებმა ხელი შეუშალა საქართველოს ეთნიკური, ტრადიციული კულტურის კონსოლიდაციას. ყოველივე ზემოთქმულმა კი გამოიწვია ის, რომ საქართველოს მოსახლეობის ფსიქიკაში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბდა მოქალაქეობრივი ცნობიერება, როდესაც შენია არა მარტო შენი სახლი, არამედ შენი სახლია შენი სადარბაზოც, შენი ქუჩაც, შენი სოფელიც, შენი ქალაქიცა და შენი ქვეყანაც მთლიანად. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ 70 წლის საბჭოთა პრესის ქვეშ ყოფნამ, უდავოდ, დიდი გავლენა მოახდინა ადამიანის მენტალიტეტზე.

„მოქალაქეობის გრძნობა აბსოლუტურად უცხოა საბჭოთა ადამიანისათვის. ის კი არ არის საქმე, ჭკვიანია იგი თუ სულელი: უბრალოდ, მისთვის პრინციპულად უცხოა მოქალაქეობა, როგორც შესაძლებელი გრძნობა...როდესაც ადამიანისათვის ასეთი გრძნობა შესაძლებელია, როცა მას შესწევს ძალ-ღონე ამ შესაძლებლობების განხორციელებისა, მაშინ ის მისთვის აუცილებელია იმ გაგებით, რომ უიმისოდ ადამიანს თავი ვერც წარმოუდგენია: თუ ეს არ არის, მეც არა ვარ“, – (მ. მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992, გვ. 144-145), – ასეთია მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური გააზრება.

დასკვნა

ერთობა – საზოგადოება არის ზიარ გარემოში მცხოვრებ ადამიანთა ორგანიზებული ერთობლიობა, რომელიც მყარი სტრუქტურების არსებობას გულისხმობს. ამ სტრუქტურების გარეშე წარმოუდგენელია კოლექტიური საქმიანობის პროცესის ორგანიზება, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მართვა, კონფლიქტის რეგულირება, კულტურის განვითარება და სხვა. კოლექტიური ქმედებები, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების შემდგომ განვითარებას. საზოგადოება, ასევე, არის ადამიანთა ჯგუფი, რომლის წევრების ქმედობანიც მიმართულია მათივე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

საზოგადოებაში გაერთიანებულ ადამიანებს ამოძრავებთ გარკვეული მიზნები, იდეები; ისინი ირჩევენ კონკრეტულ საშუალებებს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. როგორც ცნობილია, მათი ძირითადი მიზანდასახული მოქმედება, უპირველეს ყოვლისა, არის მისწრაფება დაიკმაყოფილონ მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

საზოგადოება ცალკეული პიროვნებებისგან შედგება. საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანობით სტრუქტურა, რომელსაც თავისი მოქმედების კანონზომიერებები გააჩნია, მაინც ცალკეული პიროვნებებისგან, ან პიროვნებათა ჯგუფებისგან შემდგარ მთელს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ცალკეული პიროვნებები (ან პიროვნებათა ჯგუფები) ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, მის ცნობიერებაზე, კულტურაზე და სხვ. ამდენად საზოგადოების წევრების სოციალური „მე"-ს (პიროვნების) ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია თვით ამ საზოგადოების სტრუქტურისა და ბუნების შესასწავლად. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ გარკვეულ სოციალურ გარემოში პიროვნული „მე"-ს ჩამოყალიბებაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ სოციუმის შესახებ ცოდნისა და სხვა ადამიანების გამოცდილების შეთვისება. აქტიურ სწავლასთან ერთად ცოდნის შეძენის პროცესში უდიდესი ადგილი ეკუთვნის პრაქტიკულ გამოცდილებას და გარესამყაროს შესახებ ცოდნის შეძენას ე.წ უნებლიე, და ხშირად გაუცნობიერებელი სწავლის შედეგად. ადამიანი უამრავ რამეს სწავლობს და ითვისებს წინა თაობათა გამოცდილების გაზიარების გზით. ასე ხდება გემოვნების ჩამოყალიბება, გარკვეულ კულტურულ გარემოში მოქცევის წესების შეთვისება, გენდერული როლების გათავისება, გარკვეული ეროვნულობის ნიშნის მატარებლობის ცნობიერების ჩამოყალიბება და სხვ.

ასეთი კულტურულ-სოციალური ინფორმაციის მატარებელია ზოგადად ენა, ლიტერატურა, პოეზია... საზოგადოების სოციალური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე არანაკლებ გავლენას ახდენს ე.წ. ზეპირი ისტორიები. ისინი თაობიდან თაობას გადაეცემიან, და მათში ასახული სოციალური მიმართულებები, ღირებულებები, ოჯახური თუ ეროვნული ტრადიციები ქმნიან იმ მნიშვნელოვან კოგნიტურ ბაზას, რომელიც ახალი თაობების აღზრდას ედება საფუძვლად. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ზეპირი ისტორიებიც, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრავენ ადამიანის, როგორც გარკვეული სოციალური ფენის, ეროვნების, კულტურისა და ტრადიციების მქონე პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით ზეპირ ისტორიებს ფართოდ იყენებს თანამედროვე ეთნოლოგია ამა თუ იმ ეთნოსისათვის დამახასიათებელი კულტურული, სოციალური თუ ყოფითი ტრადიციების შესასწავლად. ჩვენი ზეპირი ისტორიებიდან კარგად ჩანს უკვე მრავალგზის დამტკიცებული რეალობა – ადამიანის სოციალიზაციის პროცესი. ადამიანი თავის თავში იტევს ორ ძირითად მახასიათებელს და ეს მახასიათებლები – ინდივიდუალობა და კოლექტიურობა – ურთიერთქმედებს ერთმანეთზე: ადამიანი საზოგადოებაზე და საზოგადოება ადამიანზე. ეს ურთიერთობები თავის თავში შეიცავს ინტერესებს. ინტერესი კი ის ფაქტორია, რომელიც ააქტიურებს პიროვნების ქმედობას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები და განავითაროს და შეიცნოს საკუთარი თავი. თუ ეს არ არის, ადამიანში ირღვევა პიროვნების ფაქტორი და ამას იგი ასოციალურ ქცევამდე მიჰყავს. მაგრამ როგორც კარგად ჩანს ჩვენი ზეპირი ისტორიებიდან, ადამიანები ყოველთვის ვერ იკმაყოფილებენ საკუთარ ინტერესებს; პირიქით, ზოგ შემთხვევაში ისინი თავის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედობებს ახორციელებენ საზოგადოებრივი ინტერესების ზეგავლენით.

ლია მელიქიშვილი
ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

3. საბედაშვილი, თ., ზეპირი ისტორია: მეთოდი და სინამდვილე // *მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში*, ჯისიაი, თბილისი, 432-439.

ზეპირი ისტორია: მეთოდი და 'სინამდვილე'

ვინ დაგიკრიფავს იისფერ გვირილებს ასე რომ ელოდი?
ვინ დაგიკოცნის გათოშილ ხელებს?
ღამის დემონი გადიქროლებს ამაღამ ველებს
და შენ არასდროს, აღარავის მოაგონდები...[1]

ჩვენს ტექსტუალურ სამყაროში, სადაც თხრობის პროცესში ადამიანის ცხოვრების მრავალფეროვანი გამოცდილება და ცოდნა კონკრეტულ სიტყვიერ სახეს იღებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რომელ მეთოდს[2] გამოვიყენებთ ამ გამოცდილებისა და ცოდნის გადმოსაცემად და მისაღებად. ეს ნაშრომი მოკლედ მიმოიხილავს წიგნში წარმოდგენილი მასალის მოპოვება დამუშავების მეთოდის — ზეპირი ისტორიის — ჩასახვისა და განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს, ასევე ეხება სოციალურ მეცნიერებებში ადამიანის ცხოვრების ამსახველი მონათხრობებისადმი არსებულ მიდგომებს და მიმოიხილავს წიგნში წარმოდგენილი კვლევის თავისებურებებსა და მნიშვნელობას საქართველოში ზეპირი ისტორიის, როგორც კვლევითი მიმართულების განვითარებისთვის.

1938 წელს ამერიკელმა ბიოგრაფმა, ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა ალან ნევინსმა რამოდენიმე სიახლე შესთავაზა საზოგადოებას, ერთ-ერთი მათგანი იყო "ზეპირი ისტორია". ნაშრომში "კარიბჭე ისტორიისკენ" ("The Gateway to History"), ნევინსმა გამოთქვა სურვილი ისეთი ორგანიზაციის შექმნისა, რომელიც სისტემატიურად შეეცდებოდა სახელოვანი მოქალაქეების ცხოვრების მონათხრობების ჩაწერა-შეგროვებას; უახლესი 60 წლის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის შესავსებად.[3] ეს შეთავაზება ამერიკის მეცნიერების მესვეურებმა მაშინვე არ აიტაცეს, მაგრამ დაჟინებული მუშაობის შედეგად, ათი წლის შემდეგ (1948 წელს), ალან ნევინსი სათავეში ჩაუდგა ზეპირი ისტორიის პირველ პროექტს, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტის ბაზაზე დაიწყო.

თუ თავდაპირველად, ორმოციანი წლების ბოლოდან ორმოცდაათიანი წლების ჩათვლით, ზეპირი ისტორიის მეთოდით მომუშავე მკვლევარები ძირითადად საზოგადოებისთვის ნაცნობი და მნიშვნელოვანი ადამიანების ცხოვრების ამბების მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი, სამოციანი წლებიდან მათი ინტერესის საგანი საგრძნობლად შეიცვალა. მკვლევარები დაინტერესდნენ საზოგადოებისთვის ნაკლებად ნაცნობი ჯგუფებისა და ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილებებით, მათი თვალით დანახული ისტორიული სინამდვილით. ხოლო სამოცდაათიანი წლების ბოლოსა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში, მეორე ტალღის ფემინიზმის გაძლიერებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალებთან მუშაობას და მათი ზეპირი ისტორიების ჩაწერას.

ყველაზე მეტად გავრცელებული განმარტების მიხედვით ზეპირი ისტორია წარმოადგენს ინტერვიუს წარსული ამბების თვითმხილველ მონაწილეებთან, რომელიღაც მოცემული სიტუაციის ისტორიული აგების მიზნით.[4] ზეპირი ისტორია, უპირველესად არის იარაღი, მეთოდი, რომლის გამოყენებაც სხვადასხვა სახის კვლევებში, პირველ რიგში კი ისტორიულ კვლევებში შეიძლება. თანამედროვეობის ისტორიულ კვლევებში ეს მეთოდი ისტორიის ალტერნატიული წყაროების აკუმულირებას ახდენს, თუმცაღა ამ მეთოდის გამოყენებით შეგროვებული მასალა — ადამიანის ცხოვრებისეული მონათხრობი, მრავალგანზომილებიან ინფორმაციას გვაწვდის არამარტო მშრალი ისტორიული ფაქტების შესახებ, არამედ ადამიანის და მისი უშუალო გარემოს სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებაც. შესაბამისად, ამ მეთოდით მოპოვებული მასალა სხვადასხვა სახის სამეცნიერო ნაშრომში შეიძლება გამოვიყენოთ. მაგალითისთვის, წიგნში გამოქვეყნებული მონათხრობები შეიძლება წარმატებით გამოიყენოს ქალთა კვლევებით, ეთნოგრაფიით, კონფლიქტოლოგიით, კულტუროლოგიით და სხვ. დაინტერესებულმა მკვლევარმა.

ზეპირ ისტორიას, როგორც მეთოდს ბევრი საერთო აქვს ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდებთან, მთავარ მსგავსებას ადამიანებთან ველად, ანუ მათივე გარემოში მუშაობა წარმოადგენს. თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე პრინციპული განსხვავება, რომელიც ძირითადად მოპოვებული მასალის გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ზეპირი ისტორიის მეთოდის გამოყენებისას უაღრესად მნიშვნელოვანია რესპონდენტის ვინაობის ცოდნა და გამხელა, რადგან იგი ინფორმაციის წყაროა. ეთნოგრაფიული კვლევისას კი, შეიძლება რესპონდენტების ვინაობა შეგნებულადაც დამალოს მკვლევარმა, მათი სურვილისა და ინტერესების მიხედვით, ამ დროს ზოგადი მახასიათებლები — სქესი, ასაკი, საქმიანობა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვთქვათ, რესპონდენტის სახელი, ან ინტერვიუს ჩაწერის თარიღი. ზეპირი ისტორია კი არასრულყოფილია რესპონდენტის სახელის, ინტერვიუს თარიღის და ჩაწერის ადგილის მითითების გარეშე. ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდებისგან ზეპირი ისტორია იმითაც განსხვავდება, რომ მას

1. "ელზას", თამარ საბედაშვილი, 1999.
2. ზეპირ ისტორიას, ცხოვრების თხრობით ინტერვიუს, შინაარსის ანალიზს, და სხვა.
3. David K. Dunaway and Willa K. Baum (eds.), Oral History: An Interdisciplinary Anthology. (Walnut Creek, Lanham, New York, Oxford: Altamira Press, 1996), 29-30. (დ. კ. დუნავეი, ვ. ბრაუნი. ზეპირი ისტორია: ინტერდისციპლინარული ანთოლოგია, გვ. 29-30)

4. R.J. Grele, "Directions of oral history in the United States", in D.K. Dunaway and W.K. Baum (eds.), Oral History: An Interdisciplinary Anthology. (Walnut Creek, Altamira Press, 1996), 63. (რ. ჯ. გრილი, "ზეპირი ისტორიის მიმართულებები ამერიკის შეერთებულ შტატებში", გვ. 63. ინგლისურად გრილის მიერ მოცემული ზეპირი ისტორიის განმარტება შემდეგია: "[Oral History] ... is the interviewing of eye-witness participants in the events of the past for the purposes of historical reconstruction"

შენახვის, დაარქივების თავისი წესები აქვს, მაშინ, როცა ეთნოგრაფიული მასალა, მკვლევარის ან მკვლევართა ჯგუფის საკუთრებაა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაეცემა არქივს.

სოციალურ მეცნიერებებში ალასუუთარის აზრით ცხოვრების ამსახველი მონათხრობების მიმართ სამი ტრადიციული მიდგომა არსებობდა:[5] სოციო-სტრუქტურული, სოციო-ლინგვისტური და წინა ორის შერწყმა. ცხოვრების ამსახველი მონათხრობისადმი სოციო-სტრუქტურული მიდგომა წარმოადგენს "ფაქტებზე დაყრდნობილ მექანიკურ ვარიანტს, სადაც მონათხრობი აღქმულია ინფორმაციის წყაროდ, გარკვეული მშრალი ფაქტების მიღმა არსებული რეალობის შესახებ".[6]

სოციო-ლინგვისტური მიდგომის მიმდევრებს კი არ აინტერესებთ ფაქტების მიღმა არსებული რეალობა, არამედ მთხრობელის პიროვნებით, მისი სუბიექტურობით ინტერესდებიან. შესაბამისად, მესამე მიდგომა წარმოადგენს სინთეზს და მკვლევარი უღრმავდება როგორც მონათხრობში გადმოცემულ ინფორმაციას, ასევე მთხრობელის ინდივიდუალიზმს, მის ინდივიდუალურ ხედვას.

თუმცაღა, ამ მიდგომათაგან არცერთი ამახვილებს საკმარის ყურადღებას მონათხრობის განპირობებულობასა და აგებადობაზე. ისინი აქცენტს აკეთებენ მონათხრობზე, როგორც სტატიურ რეზულტატზე და არ უთმობენ საკმარის ყურადღებას თხრობას (ინტერვიუს) როგორც პროცესს. ამგვარად, აუცილებლობას წარმოადგენს თხრობისადმი ახალი მიდგომის ჩამოყალიბება, რომელსაც ალასუუთარი "დისკურსულ (განსჯით) ხედვას" ("a discursive view") უწოდებს. "დისკურსიული ხედვა" აღიარებს, რომ "თხრობა ყოველთვის სიტუაციურია და გარკვეულ მიზანს ემსახურება".[7]

მე ვეთანხმები ალასუუთარის შეხედულებას მთხრობელის პოზიციასთან დაკავშირებით ინტერვიუს დროს: "ინდივიდები ტვინის ხვეულებში არ ინახავენ თავიანთი ცხოვრების ამსახველ ამბებს მზად, იმის მოლოდინში, რომ მკვლევარი ჩამოივლის და შეაგროვებს მათ. ადამიანის წარსულის ამსახველი ნებისმიერი მონათხრობი (მათ შორის მკვლევარისთვის გაზიარებული ცხოვრების ამბავი) გარკვეულ მიზანს ემსახურება და სიტუაციურია. ამიტომ ნებისმიერი ცხოვრების ამსახველი ამბავი უნდა დავუკავშიროთ თხრობის მომენტს და ვითარებას, რომ გავიაზროთ მისი დანიშნულება".[8]

ზემოთქმულს მინდა დავუმატო, რომ არათუ თხრობა, არამედ ამ მონათხ-

5. აღწერილი მიდგომები ეხება ცხოვრების ამსახველი მონათხრობების როგორც მოპოვების, ასევე დამუშავების, ინტერპრეტაციის პროცესებს.

6. ertti Alasuutari, "The Discursive Construction of Personality", Amia Lieblich Ruthellen Josselson (ed.) The Narrative Study of Lives, Volume 5, (London, New Delhi: Sage Publication, 1997), 3. (ფერთი ალასუუთარი, "პიროვნების დისკურსული აგება", გვ. 3. ამ და ყველა სხვა უცხოური წყაროს თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს).

7. იქვე 5.

8. იქვე 6.

რობის ინტერპრეტაციაც სიტუაციურია და გარკვეულ მიზანს ემსახურება. ინტერვიუერის / მკვლევარის მიდგომა კვლევისადმი, გამოყენებული მეთოდები და მასალის შესაბამისი ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს მზა კრებულს, რომელიც მკვლევრის აკადემიური და სხვა გარემოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, არამედ, ეს მეთოდები და მასალის შემდეგი დამუშავება ასევე ემსახურება გარკვეულ მიზანს, სიტუაციურია ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტებთან მიმართებაში და ამ ჭრილში უნდა მოვიაზროთ.

ჩემი აზრით მეცნიერების დაუინებული მუშაობა კვლევის მეთოდების დახვეწად სოციალურ მეცნიერებებში ნაკარნახევია სწორედ "ობიექტიურობასთან" მიახლოების სურვილით, თუმცაღა ამ მიზნის მიუღწევლობას საბედნიეროდ, უფრო მეტი და მეტი მოაზროვნე აცნობიერებს. ამიტომ აუცილებელია მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ, როგორც მკვლევრის, ასევე მოსაუბრეთა განლაგებას, როგორც მასალის მიღების, ასევე მისი დამუშავების პროცესში და ვაღიაროთ მათი კონტექსტურობა.

ქალთა ზეპირი ისტორიების წარმოდგენილი მასალა ასახავს პროექტის მკვლევართათვის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და ეთნიკურად ქართველი ქალების მიერ მოთხრობილ ცხოვრების ამბებს. თავიდან პროექტი მიზნად ისახავდა ქალების 1991-2001 წლებში მიღებული გამოცდილების დაფიქსირებას, მაგრამ, როგორც მკვლევარმა ქეთევან კობალაძემ აღნიშნა, ეს დროის მონაკვეთი იმდენად მძიმე მოგონებებით გამოირჩეოდა ქალების აბსოლუტური უმრავლესობისთვის, რომ ინტერვიუერები ცდილობდნენ უფრო შორეული წარსულის შესახებაც ეკითხათ თავიანთი რესპოდენტებისათვის:

> "ის პერიოდი, რომელზეც მათ უნდა ესაუბრათ, ძალიან მძიმე და დაძაბული იყო (უკანასკნელი ათწლეული). ამიტომ, საუბარი, ძირითადად, ემოციურ კალაპოტში მიმდინარეობდა. ხშირად რესპოდენტები ტიროდნენ, რის გამოც საუბრის ჩაწერას ბევრი დრო სჭირდებოდა; მინიმუმ, სამი საათი და, ხშირად, გაცილებით მეტი".[9]

დროის მონაკვეთის გავრცობის შედეგად უფრო მეტი და ძალიან საინტერესო მასალის აკუმულირება მოხერხდა. ის ფაქტი რომ კვლევის პროცესმა კვლევის თავდაპირველი გეგმის და სათაურის შეცვლაც კი გამოიწვია, მეტყველებს მკვლევართა ჯგუფის მგრძნობელობაზე სამუშაოს მიმართ, ასევე იმაზე, რომ მხოლოდ მკვლევარი ვერ აკონტროლებს კვლევის პროცესს და როგორც ის ხდება თანაავტორი რესპონდენტის მიერ მოწოდებული მასალის, ასევე რესპონდენტები ხდებიან კვლევის მიმართულებების და მასშტაბების თანაავტორები.

მუშაობისას მკვლევარები რესპონდენტებთან კონტაქტის დამყარების და

9. ნაწყვეტი პროექტზე მომუშავე მკვლევარ, ქეთევან კობალაძის, წერილობითი პასუხიდან სტატიის ავტორის მიერ მიწოდებულ კითხვარზე, 2003 წლის თებერვალი.

მათი ნდობის მოპოვების სხვადასხვა გზებს მიმართავდნენ. მკვლევართა უმეტესობა ნაცნობებისა და ახლობლების მეშვეობით უკავშირდებოდა ქალებს, ან უკვე თავად მთხრობელს ეკითხებოდა თუ ვის დალაპარაკებოდა კიდევ სოფელში. მკვლევარ ცისანა გოდერძიშვილის გამოცდილება ძალიან საგულისხმოა; თუ ბერკლის უნივერსიტეტის სოციოლოგი არლი რასელ ჰოჰშილდი უნივერსიტეტში, თავის კაბინეტში ჩვილი შვილის მიყვანით შეეცადა სამუშაო ადგილის, როგორც განსაზღვრული საქმიანობისთვის მონიშნული სივრცის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას,[10] ცისანა გოდერძიშვილს საველე მუშაობაში ძალიან დაეხმარა დედისა და ხუთი წლის ქალიშვილის თანხლება, რაც მკვლევარის ამდაგვარი საქმიანობისთვის ასევე ატიპიურია;

> "როგორც კი ჩავედით მომდევნო სოფელში, მე, დედა და ჩემი 5 წლის გოგო, იქაურმა ქალებმა მაშინვე შემოგვთავაზეს თავიანთი საცხოვრებლები. ეტყობა ის ოჯახური გარემო, რომელსაც ჩვენ ერთად ვქმნიდით, ადამიანებს მეტ ნდობას და დახმარების სურვილს უღვიძებდა და უხსნიდა ზედმეტ ეჭვებსა და უხერხულობას – იხენებს მკვლევარი.[11]

ამ შემთხვევაში, შეიძლება მკვლევრის საქციელი არ შეესაბამებოდა ტრადიციულად ველზე მასალის შესაგროვებლად წასული ადამიანის ქმედებას, მაგრამ აღნიშნულმა გზამ პირიქით ხელიც კი შეუწყო მასალის მოპოვების პროცესს. ეს მაგალითები კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ, რომ მკვლევარი თავისი მიდგომით მოპოვებული მასალის თანაავტორი ხდება.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა სახის მასალაზეა ლაპარაკი, ვინაიდან ქალთა ავტობიოგრაფიული ხასიათის ზეპირი ისტორიები ძალიან ბევრს ამბობენ არა მარტო თვით ქალებზე და მათ ცხოვრებაზე, არამედ ჩვენს საზოგადოებაზე მთლიანად. აქცენტი ქალებზე არ არის შემთხვევითი, არ არის შემთხვევითი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებზე გაკეთებული აქცენტიც. მაშინ, როდესაც ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ფორმირების პროცესშია, ყველაზე ნაკლებად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ხმა ისმის. მათი ხმა არც საბჭოთა პერიოდში გუგუნებდა, არადა ძალიან მნიშვნელოვანია ამ ხმის გაგონება მოქალქეობრივი მიზეზების გამო, თავი რომ დავანებოთ მათი გამოცდილების ეპისტემოლოგიურ მნიშვნელობას და პრივილეგიებს.

ჯულია სვინდლერსი წერს: "ადამიანთა უმრავლესობა ისეთ მდგომარეობაში ცხოვრობს, რომ ვერ იმყარებს და იმთლიანებს საკუთარი სუბიექ-

10. იხილეთ atherin P. Meadow Orlans, Ruth A. Wallace (eds.), Gender and the Academic Experience. (Lincoln and London: University of Nebraska Press, 1994), 124-139. (კატრინ მიდოუ ორლანსი, "გენდერი და აკადემიური გამოცდილება", გვ. 124-139).

11. ნაწყვეტი პროექტზე მომუშავე მკვლევარ, ცისანა გოდერძიშვილის, წერილობითი პასუხიდან სტატიის ავტორის მიერ მიწოდებულ კითხვარზე, 2003 წლის თებერვალი.

ტურობის განცდას იმ იდეოლოგიურ გარემოში სადაც არსებობს",[12] და შედეგად, მათი ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა გამოუთქმელი რჩება. შესაბამისად არ ფიქსირდება იმ იდეოლოგიური გარემოს, ანუ იმ ფაქტორების მუშაობის სპეციფიკაც, რაც არ აძლევს ადამიანს საშუალებას "გაიმყაროს და გაიმთლიანოს საკუთარი სუბიექტურობის განცდა". ამ წიგნის გამოქვეყნება სწორედ იმისთვისაა აუცილებელი, რომ ეს ავტობიოგრაფიები, ისევე როგორც თავად კვლევა, არ დაიკარგოს და ხელმისაწვდომი გახდეს მეტი და მეტი ადამიანისთვის. იმისთვის, რომ ჩვენ შევიგრძნოთ და გავიზიაროთ იმ ადამიანების ბედი, ვინც გაბატონებულის მეორე მხარეს, სულ კიდეში, ცხოვრობს.

ზეპირი ისტორიების ნაკითხვისას გაოცებას იწვევს, რაოდენ ძლიერად საუბრობენ ქალები ომისა და ძალადობის წინააღმდეგ, უბრალოდ თავისი ცხოვრების ამბების თხრობით. ეს ცხოვრების ამბები ისე მრავალმხრივ და მრავალფეროვნად, ისე კომპლექსურად გადმოსცემენ ქალის მდგომარეობას საზოგადოებაში, რომ ვერც ერთი თეორიული კონცეფცია ვერ შეძლებს იგივეს ასე სულისშემძვრელად და ამომწურავად (მაგალითად ისეთი კონცეფციები როგორიცაა დისკრიმინაცია, პატრიარქატი, ტრადიციული საზოგადოება და სხვა.). თუ თეორია გვეხმარება ჩარჩოებში მოვაქციოთ, სახელი დავარქვათ და განვაზოგადოთ ესა თუ ის ცხოვრებისეული პროცესი, თეორიულად დაუმუშავებელი ცხოვრებისეული გამოცდილებების მონათხრობები წარმოადგენენ უშუალო, კომპლექსურ სურათს და მეტყველებენ ბევრი სხვადასხვა ბრძოლებისა და პროცესების სისავსით.

მოთხრობილ ამბებში მკითხველს ნათლად შეუძლია დაინახოს იერარქიული ურთიერთობები ქალებსა და კაცებს, უფროსებსა და უმცროსებს შორის. დააკვირდეს, როგორ ეწყობიან და თმობენ ქალები, ანდა პირიქით, როგორ უძალიანდებიან და ცდილობენ გადალახონ სირთულეები. ამგვარად, ზეპირ ისტორიებში "ძალის", "ბრძოლის", "სიხარულის", "ძალადობისა", და სხვა თეორიზირებული კონცეფციები რთულ დინამიკაში, კონკრეტული სახეებითა და გამოხატულებებით ურთიერთქმედებენ. ზემოთქმულით თეორიზაციის დისკრედიტირება კი არ მსურს, არამედ, ცხოვრების ამსახველი მონათხრობის მნიშვნელობის გაზრდა, რადგან ეს უკანასკნელი, ამ შემთხვევაში, ქალების ცხოვრებების, უფრო უშუალო და მკვეთრ სურათს წარმოგვიდგენს.

ბევრი შეიძლება ითქვას წიგნში წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობაზე და კონტექსტზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოს მეცნიერებაში, როცა მკვლევართა ორგანიზებულმა ჯგუფმა მიზანმიმართულად იმუშავა ქალთა ზეპირ ისტორიებზე. ზეპირი ისტორიებით დაინტერესება, ისევე როგორც ჯგუფის ჩამოყალიბება, სამართლიანად უნდა მივაწეროთ დასავლურ ინტერესს განვითარდეს კვლევის ეს მიმართუ-

12. Julia Swindells, "Introduction", in Julia Swindells (ed.), The Uses of Autobiography, (London: Taylor & Francis, 1995), 5. (ჯულია სვინდლერსი, "შესავალი", გვ. 5).

ლება საქართველოში. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ იმ ნიადაგის მნიშვნელობა, რომელზეც ეს ინტერესი მოხვდა და გაღვივდა. ჩვენ, სამწუხაროდ, მოწმენი ვართ ბევრი თითიდან გამოწოვილი ინიციატივისა, რომელიც ვერ ეხმიანება ჩვენს სინამდვილეს ხან რა მიზეზით, და ხან რა მიზეზით. ამ შემთხვევაში კი სწორედ საპირისპირო მოხდა. თითოეული მკვლევარისთვის ამ პროექტში მონაწილეობა პროფესიული ზრდის და მატერიალური შემოსავლის წყაროდ იქცა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყანაში, სადაც სულ უფრო ნაკლები თანხა იძებნება განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოპოვებული მასალა ძალიან შთამბეჭდავია. თუმცაღა, ჩემი აზრით, იმ ფაქტმა, რომ მკვლევარების წინა-სავალ მომზადება არ იყო ამომწურავი, მცირე გავლენა იქონია მასალის საერთო ხარისხზე. მკვლევართა ჯგუფის ყველა წევრს რომ ჰქონოდა საშუალება მიეღო უფრო მეტი ინფორმაცია ზეპირი ისტორიების მეთოდის შესახებ, შესაძლოა ხარისხობრივად უკეთესი მასალა გვქონოდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ კვლევის კონტექსტის მნიშვნელობა მისი შეფასებისას, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული. კვლევის კონტექსტი კი გახლდათ ერთის მხრივ მეთოდის სიახლე და საქართველოს პირობებში ინფორმაციის სიმწირე, ხოლო მეორეს მხრივ, პროექტის მონაწილეებისა და ხელმძღვანელების დიდი სურვილი და თავდადება სრულფასოვანი კვლევის ჩასატარებლად. შედეგად, პროექტის საშუალებით არამარტო ამაღლდა დასაქმებულ მკვლევართა კვალიფიკაცია, არამედ, შეიქმნა ზეპირ ისტორიებზე მომუშავე ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც შეუძლია რეალურად გააფართოვოს და საფუძველი განუმტკიცოს ამ მეთოდის გამოყენება-განვითარებას ქვეყანაში.

ეს კვლევა მთლიანობაში, თავისი კვლევის საგნიდან დაწყებული, მკვლევრებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსების მოზიდვით დასრულებული, უნიკალურია – იგი გვაცნობს ახალ და უხილავ ადამიანებს და საფუძველს უყრის ქვეყანაში კვლევის ახალი მეთოდის — ზეპირი ისტორიის — განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alasuutari, Pertti "The Discursive Construction of Personality", Amia Lieblich Ruthellen
- Josselson (ed.) The Narrative Study of Lives. Volume 5, London, New Delhi: Sage Publication, 1997
- Dunaway, David K. and Willa K. Baum (eds.), Oral History: An Interdisciplinary Anthology.
- Walnut Creek, Lanham, New York, Oxford: Altamira Press, 1996.
- Grele, R.J. "Directions of oral history in the United States", in D.K. Dunaway and W.K.
- Baum (eds.), Oral History: An Interdisciplinary Anthology. Walnut Creek, Altamira Press, 1996.
- Meadow Orlans, Katherin P. Ruth A. Wallace (eds.), Gender and the Academic

Experience.
- Lincoln and London: University of Nebraska Press, 1994.
- Swindells, Julia."Introduction", in Julia Swindells (ed.). The Uses of Autobiography. London:
- Taylor & Francis, 1995.

სხვა გამოყენებული მასალები

- თამარ საბედაშვილი, "ელზას", 1999.
- ნაწყვეტი პროექტზე მომუშავე მკვლევარ, ქეთევან კობალაძის, ნერილობითი პასუხიდან ავტორის მიერ მიწოდებულ კითხვარზე, 2003 წლის თებერვალი.
- ნაწყვეტი პროექტზე მომუშავე მკვლევარ, ცისანა გოდერძიშვილის, ნერილობითი პასუხიდან ავტორის მიერ მიწოდებულ კითხვარზე, 2003 წლის თებერვალი.

თამარ საბედაშვილი

7. ხომერიკი, ლ., *გენდერი და პოლიტიკა*, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, 6-43.

CSS
Center for Social Sciences
STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

სოციალურ მეცნიერებათა სერია

გენდერი
და
პოლიტიკა

მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის
აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე

ინტენსიური სემინარი
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

ლელა ხომერიკი

თბილისი
2006

თემა I

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, ქალთა წარმომადგენლობა სახელმწიფო სტრუქტურებში სხვადასხვა დონეზე, ქალთა პოლიტიკაში წინსვლის შემაფერხებელი მიზეზები.

ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ქალმა წარმატებას მიაღწია განათლების, სამართლის, ეკონომიკის, სპორტისა თუ ხელოვნების სფეროებში, პოლიტიკურ არენაზე ქალები მაინც ცოტანი არიან. მართალია, მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ქვეყნების 95%-ში ქალებს მოპოვებული ჰქონდათ საარჩევნო უფლებები, 1998 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით ქალი ლიდერი ჰყავდა პარტიების მხოლოდ 11%-ს, ხოლო პარლამენტარი ქალები მსოფლიო პარლამენტართა რიცხვის 11,4%-ს შეადგენდნენ. 2006 წლისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა რიცხვმა უმნიშვნელოდ მოიმატა და საშუალოდ 16,3% შეადგინა.

საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა მონაწილეობის საშუალო პროცენტული მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბით 2006 წლის იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

ორივე პალატა ერთად	
პარლამენტართა ჯამური რაოდენობა	44'204
გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკა არსებობს	43'387
კაცი	36'827
ქალი	7'160
ქალთა მონაწილეობის %	**16.3%**



ერთპალატიანი პარლამენტები და ქვედა პალატა	
პარლამენტართა ჯამური რაოდენობა	37'269
გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკა არსებობს	36'994
კაცი	30'887
ქალი	6'107
ქალთა მონაწილეობის %	**16.5%**

ზედა პალატა ან სენატი	
პარლამენტართა ჯამური რაოდენობა	6'935
გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკა არსებობს	6'993
კაცი	5'940
ქალი	1'053
ქალთა მონაწილეობის %	**15.1%**

საშუალო მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით

	ერპალატიანი პარლამენტები და ქვედა პალატები	ზედა პალატა ან სენატი	ორივე პალატა ერთად
სკანდინავიის ქვეყნები	**40.0%**	---	40.0%
ამერიკა	**20.1%**	19.9%	20.1%
ევროპა – ეუთოს წევრი ქვეყნები სკანდინავიური ქვეყნების ჩართვით	**19.0%**	16.3%	18.4%
ევროპა – ეუთოს წევრი ქვეყნები სკანდინავიური ქვეყნების გამოკლებით	**16.9%**	16.3%	16.8%
საჰარის ქვემო აფრიკა	**16.4%**	17.6%	16.6%
აზია	**16.1%**	14.5%	15.9%
წყნარი ოკენის ქვეყნები	**12.0%**	26.5%	13.9%
არაბული ქვეუნები	**7.0%**	5.9%	6.8%

წყარო: პარლამენტთაშორისი კავშირი (The Inter-parliamentary Union), http://www.ipu.org/wmn-e/world.htm

ქალთა წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოებში ქვეყნების მიხედვით იხ. დანართში.

საქართველოში საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის სურათი შემდეგია:

არჩევნების თარიღი	საკანონმდებლო ორგანოს დასახელება	დეპუტატთა საერთო რაოდენობა	დეპუტატ ქალთა რაოდენობა	ქალთა მონაწილეობის %
1919 წ.	დამფუძნებელი კრება	130	4	3%
1990 წ.	უზენაესი საბჭო	250	18	7,2%
1992 წ.	პარლამენტი	222	14	6,3%
1995 წ.	პარლამენტი	250	16	6,4%
1999 წ.	პარლამენტი	235	17	7,2%
2004 წ.	პარლამენტი	235	22	9,4%

2001 წლის შემოდგომაზე ნინო ბურჯანაძე გახდა საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველი სპიკერი ქალი. 2004 წელს ისევ ნ. ბურჯანაძე იქნა არჩეული პარლამენტის თავმჯდომარედ.

აღმასრულებელი ხელისუფლება. 1998 წლისა და 2000 წლის მთავრობის რეორგანიზაციების შედეგად ორ-ორი მინისტრი ქალი იყო მთავრობაში. 2003 წელს, ვარდების რევოლუციის წინ მთავრობაში 18 მინისტრიდან მხოლოდ 2 იყო ქალი (ნინო ჩხობაძე, გარემოს დაცვის მინისტრი და სესილი გოგიბერიძე, კულტურის მინისტრი). ვარდების რევოლუციის შემდეგ 2004 წლის თებერვალში დაკომპლექტებულ მინისტრთა კაბინეტში

4 მინისტრი ქალი იყო (თამარ ლებანიძე – გარემოს დაცვის მინისტრი, თამარ სულუხია – ინფრასტრუქტურის მინისტრი, ეთერ ასტემიროვა - ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, თამარ ბერუჩაშვილი – ევროპასთან ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი, მოგვიანებით მათ დაემატა საგარეო საქმეთა მინისტრი – სალომე ზურაბიშვილი) და მინისტრ ქალთა რიცხვმა მთავრობის წევრთა 20% შეადგინა, რაც საქართველოსათვის რეკორდული მაჩვენებელი იყო. აღსანიშნავია, რომ მთავრობის დაკომპლექტებისას პირველად გაესვა ხაზი, გენდერულ მახასიათებელს. 2006 წლის დასაწყისისათვის მთავრობაში მინისტრ ქალთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა და მინისტრის პოსტზე მხოლოდ ერთი ქალი დარჩა (სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი – ზინაიდა ბესტაევა).

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებლები არც ისე სახარბიელოა: 1998 წელს ჩატარებული არჩევნებით საკრებულოს წევრთა შორის ქალებმა მხოლოდ 14% შეადგინეს.

2002 წლის არჩევნების შედეგად ქალთა რიცხვმა საკრებულოებში კიდევ უფრო იკლო და პირველი დონის თვითმმართველობის ორგანოებში მხოლოდ 11,9% შეადგინა. ადგილობრივ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის ხარისხი რეგიონების მიხედვითაც განსხვავდება. ყველაზე დაბალი პროცენტია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს აზერბაიჯანელი მოსახლეობა: მაგალითად, მარნეულში – 1,9%, ბოლნისში 4,7%.

ორივე არჩევნების შედეგად გამოიკვეთა ძალზე საყურადღებო ტენდენცია: რაც უფრო მსხვილდება ადმინისტრაციული ერთეული, მით უფრო კლებულობს ქალთა პროცენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. 1998 წელს სოფლის საკრებულოებში ქალები შეადგენენ 15%-ს, რაიონული მნიშვნელობის ქალაქებსა და დაბებში – 13%-ს, რაიონის საკრებულოებში 9-%-ს, დიდ ქალაქებში კი მხოლოდ 7,4%-ს. 2002 წელსაც დიდი ქალქის საკრებულოებში ქალთა რიცხვი 7%-ს არ სცილდება. უკიდურესად არასახარბიელოდ არიან წარმოდგენილი ქალები ადგილობრივი თვით-მმართველობის ხელმძღვანელ პოზიციებზე: მაგალითად, 1998 წელს 60 რაიონის საკრებულოდან მხოლოდ ერთის თავმჯდომარე იყო ქალი (1,6%). შეიძლება ითქვას, რომ სადაც მეტი ძალაუფლება და რესურსია, იქ ნაკლები ქალია.

2002 წელს მკვეთრად შემცირდა ქალთა წარმომადგენლობა რაიონულ საკრე-ბულოებში, რადგანაც ახალი საარჩევნო კანონით რაიონის საკრებულო კომპლექტდება სოფლის საკრებულოთა თავმჯდომარეებით და რადგანაც, ქალი პრაქტიკულად ვერ ხვდება ხელმძღვანელ პოსტზე, შესაბამისად, მეორე დონის თვითმმართველობაშიც უკიდურესად მცირედ არის წარმოდგენილი.

2006 წელს თვითმმართველობის არჩევნები ახალი კანონით ჩატარდება, რომელიც თვითმმართველი ერთეულების გამსხილებასა და შესაბამისად, მათი რიცხვის მკვეთრად შემცირებას ითვალისწინებს, რაც ადგილებზე პოლიტიკურ კონკურენციას გაზრდის და ქალი კანდიდატების შანსებს შეამცირებს. ამიტომ, თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის გადაუდებელი ამოცანაა წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატ ქალთა მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება. მნიშვნელოვანია, სერიოზული მუშაობის წარმართვა პოლიტიკურ პარტიებთან, რათა პარტიებში კანდიდატთა შერჩევის მკაფიო და დადგენილი პროცედურა ჩამოყალიბდეს, რომელშიც გენდერული ხედვაც იქნება გათვალისწინებული. კარგია, ქალთა ორგანიზაციებმა ერთობლივი ძალებით მიადევნონ თვალყური, თუ რამდენი კანდიდატი ქალი ჰყავს დასახელებული ამა თუ იმ პარტიას. მნიშვნელოვანია ასევე, ამომრჩეველ ქალთა სამოქალაქო განათლების პროგრამების განხორციელება, რათა დაჩქარდეს მათი ინტერესებისა და მოთხოვნების მკაფიო ფორმულირება, რაც აიძულებს პოლიტიკურ პარტიებს მეტი ყურადღებით მოეკიდონ ქალი კანდიდატების წამოწევასა და გენდერული პრობლემატიკის ჩართვას წინასაარჩევნო პროგრამებში.

პოლიტიკაში ქალთა წინსვლის შემაფერხებელი მიზეზები

წყარო: Women in Parliament: Beyond Numbers, International Institute for democracy and Electoral Assistance, 1998.

გამოყოფენ პოლიტიკაში ქალთა როლის გაზრდის ხელისშემშლელ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ მიზეზებს.

არსებულ პოლიტიკურ სისტემებში ბევრი დაბრკოლებაა ქალთა პოლიტიკაში წინსვლისათვის, კერძოდ:

- პოლიტიკური ცხოვრება და სახელმწიფო სტრუქტურები მასკულინური მოდელისაა;
- პოლიტიკურ არენაზე მამაკაცები დომინირებენ, ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკური თამაშის წესებს და პოლიტიკოსის შეფასების სტანდარტებს;
- პოლიტიკური ცხოვრება და მუშაობის რეჟიმი ორგანიზებულია მამაკაცური ნორმებისა და მამაკაცის ცხოვრების სტილის შესაბამისად;
- პოლიტიკა დაფუძნებულია „გამარჯვება-დამარცხებისა“ და შეჯიბრისა და კონფრონტაცის მოდელზე და არა ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და კონსენსუსის მიღწევაზე;
- ასეთი ზედმეტად მამაკაცური პოლიტიკა აღიქმება ჭუჭყიან საქმედ და ქალებს არ სურთ ასეთ გარემოში მოხვედრა;
- კანდიდატ ქალებს პარტიების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა აქვთ, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა.

გარდა პოლიტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელი ბარიერებისა, შეიძლება გამოვყოთ სხვა ხელისშემშლელი მიზეზებიც:

- საოჯახო მოვალეობების არათანაბარი გადანაწილება და სოციალური სამსახურების ნაკლებობა ქალებს არათანაბარ პირობებში აყენებს პოლიტიკური აქტივობისათვის საჭირო დროის თვალსაზრისით.
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არასაკმარისად წარმოადგენს ქალთა პოლიტიკურ ხმებს, მათ შეხედულებებს, ლიდერობის მოთხოვნებს. ეს ნიშნავს, რომ ქალებს არ გააჩნიათ საკუთარი პოლიტიკური იდენტიფიკაციის მოდელი.
- ქალთა უფრო დაბალი შემოსავალი და შესაბამისად დაბალი ეკონომიკური სტატუსი, წინასწარი განწყობა, რომ ქალის შემოსავალი მთლიანად ოჯახის საჭიროებებზე უნდა მიდიოდეს არათანაბარ ფინანსურ სასტარტო პირობებს ქმნის ქალისა და მამაკაცისათვის.
- ძალადობისა და კონტროლის კერძო თუ საზოგადოებრივი ფორმები, რომლებიც გამოიყენება ქალების მიმართ, ზღუდავენ და აკონტროლებენ ქალთა ქცევას, განსაკუთრებით იქ, სადაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება სარისკო სიტუაციაში.

წყარო: გ. აშვორდი, გენდერული მიდგომების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, UNDP.

თემა II

გენდერული პარამეტრები პოლიტიკურ პარტიებში

ქალთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკური პარტიებში

ქალთა და გენდერული საკითხები ქართულ პოლიტიკურ დისკურსში საერთოდ არ ჟღერს. არც ერთ პარტიას ჯერჯერობით არა აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია გენდერულ საკითხზე; წევრთა გენდერული სტატისტიკაც კი არ წარმოებს. გამოკითხვისას ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ ნიშნით არ განასხვავებენ თავიანთ წევრებს და კითხვაზე: "რამდენი ქალია თქვენს პარტიაში?", ყველაზე ტიპური პასუხია — წევრთა დაახლოებით მესამედი.

ამ შეფასებას ადასტურებს 1998 და 2001 წელს ჩატარებული გამოკითხვები[1], რომელთა მიხედვითაც ქალები პოლიტიკური პარტიების წევრთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 30%-ს შეადგენენ. ქალთა მონაწილეობის პროცენტი გაცილებით დაბალია პარტიების მმართველ ორგანოებში. 1995 წელს პარტიათა ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა რიცხვი მხოლოდ 9% იყო, შემდგომ კი უმნიშვნელოდ მოიმატა და 11%-ს მიაღწია.

1997 წელს 158 პოლიტიკური პარტიიდან ქალები ხელმძღვანელობდნენ ათს (პარტიათა საერთო რიცხვის 6%). 1998 წელს არსებული 79 პარტიიდან ქალი ლიდერი ჰყავდა მხოლოდ 4 პარტიას (5%). 1999 წელს რეგისტრირებული 124 პარტიიდან ქალები ხელმძღვანელობდნენ 5 პარტიას (4%).

პარტიების პროგრამები ქალთა საკითხებს სრულებით არ ითვალისწინებს. ზოგიერთი პარტია თვლის, რომ ქვეყანაში შექმნილი საერთო მძიმე მდგომარეობის ფონზე ეს პრობლემა ჯერჯერობით აქტუალური არ არის. ბევრის აზრით, არ არის აუცილებელი ქალთა პრობლემატიკის გადასაწყვეტად სპეციფიკური, მიზანმიმართული საქმიანობის წარმართვა, რადგან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება ავტომატურად მოაგვარებს ქალთა პრობლემებსაც. იშვიათი გამონაკლისის სახით პარტიულ პროგრამებში გვხდება დედობის ხელშეწყობის საკითხი (იგულისხმება მრავალშვილიან, მარტოხელა და ჩვილბავშვიან დედათა დახმარება).

ზოგადად, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს არათანმიმდევრული და ბუნდოვანი იდეოლოგიური პოზიციები აქვთ, შესაბამისად, ძნელია ამ ბუნდოვან იდეოლოგიურ სურათში მკაფიო გენდერული ხედვებისათვის ადგილის მოძებნა.

იმ პოლიტიკური პარტიებიდან, რომლებიც შედარებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქალთა სექციები ერთ-ორ პარტიაში თუ არის შექმნილი, მაგრამ არ არიან იმდენად ძლიერნი, რომ გავლენას ახდენდნენ პარტიის პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე. ჯერჯერობით პარტიებში არ ჩანან გენდერულად მგრძნობიარე და თანასწორობის საკითხებზე სამუშაოდ მოტივირებული ქალები, რომლებიც შეძლებდნენ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ქალთა და გენდერული პრობლემატიკის წამოწევას.

2005 წლის შემოდგომაზე კავკასიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად პარტიების ქალთა სექციები ძირითადად, საქველმოქმედო საქმიანობით არიან დაკავებული, «ქალთა ორგანიზაციების ინიციატივით პარტიებს ბევრჯერ გაუწევიათ მრავალშვილიანი და ინვალიდი ოჯახებისათვის დახმარება. ისინი აღრიცხავენ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, სწავლობენ მათ პრობლემებს და შესაძლებლობების ფარგლებში გასცემენ... ფინანსურ და სხვა მატერიალურ დახმარებებს». ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკური პარტიების წევრ ქალებს ლიდერობისა და სხვა საჭირო უნარ-ჩვევების ტრენინგებს საერთაშორისო და

---

[1] ხომერიკი ლ., ნ. ჩუბინიძე, ქალები საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში/ცნობარი - საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ცნობარი, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 1998.
ლ. ხომერიკი, შ. მურუსიძე, ქალთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში, გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი, თბილისი, 2002.

ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები უტარებენ, «თუმცა, მსგავსი პროექტები არარეგულარულია და მათში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია[2]».

პარტიებში ქალთა როლის გამოკვეთისათვის საინტერესო მასალას იძლევა პარტიათა საარჩევნო სიები. მათი შესწავლა გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევეაშიც კი, როდესაც პარტიული სია გენდერულად ასე თუ ისე დაბალანსებულია, პირველ ათეულში ქალი კანდიდატები პრაქტიკულად არ არიან წარმოდგენილი და ძირითადად სიის ბოლო ადგილებზე გვხვდებიან, რაც აისახება კიდეც არჩევნების შედეგებზე.

საქართველოს პოლიტიკური პარტიებში ქალთა მონაწილეობის ზრდას ბევრი მიზეზი აფერხებს; მათგან ერთ-ერთი მთავარია შიდაპარტიული დემოკრატიის ზოგადი განუვითარებლობა. იმ პირობებში, როცა პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურა არ არის დემოკრატიული და დაუხვეწავია შიდაპარტიული არჩევნების სისტემა, ქალებისათვის ძალიან ძნელია პარტიულ იერარქიაში დაწინაურება. კავკასიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ზემოთ ნახსენები კვლევის შედეგების თანახმად, ქართულ პარტიებში წევრებს შორის ურთიერთობა არაფორმალურ, ერთმანეთის მიმათ პირად ნდობაზეა დამყარებული და ნაკლები ყურადღება ექცევა ზოგადად აღიარებულ პრინციპებსა და ფორმალურად განსაზღვრულ პროცედურებს, პარტიების წევრების უმრავლესობის თქმით, მათ შორის ურთიერთობა ოჯახური ურთიერთობების მსგავსია.

არადა, რაც უფრო ნაკლებად პატრონაჟულია პარტიაში დაწინაურებისა და საარჩევნო სიებში მოხვედრის სისტემა, მით უფრო ადვილია ქალებისათვის პარტიაში თანამდებობრივი წინსვლა. შესაბამისად, პარტიებში მკაფიო შიდა პროცედურების არსებობა, ერთი მხრივ, შიდა პარტიული მართვის დემოკრატიული მოდელის ჩამოყალიბებას მოემსახურება, მეორე მხრივ კი, პარტიულ სტრუქტურებში გენდერული ბალანსის მიღწევასაც შეუწყობს ხელს.

გენდერული საკითხების პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვედრას ისიც აფერხებს, რომ არ მომხდარა ქალთა, როგორც ამომრჩეველთა სპეციფიკური ჯგუფის, ინტერესთაგამოკვეთა და ამ ინტერესთა გარშემო კონსოლიდირება, რაც აიძულებდა პოლიტიკურ პარტიებს ეღიარებინათ ქალთა და გენდერული პრობლემატიკა და ჩაერთოთ თავიანთ პროგრამებში.

საშინაო დავალება სტუდენტებისათვის: კითხვარის შემუშავება პოლიტიკური პარტიების ანალიზისათვის და საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მონაწილეობის ანალიზი (წევრობა, ხელმძღვანელი ორგანოები, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, საარჩევნო სიები, საარჩევნო პროგრამები, მუშაობა ამომრჩეველ ქალებთან).

[2] საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები, რედაქტორები: გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტაბახი, მშვიდობის. დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006 წ.

თემა III

საქართველოს საარჩევნო სისტემის გენდერული ასპექტები

საქართველოში ტარდება 3 სახის არჩევნები: პარლამენტის, პრეზიდენტის და თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები.

არჩევნებს არეგულირებს საქართველოს საარჩევნო კოდექსი. საქართველოში 75 საარ-ჩევნო ოლქია.

პარლამენტის არჩევნები ტარდება შერეული პრინციპით: მაჟორიტარულით და პრო-პორციულით. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც ასევე ორი სისტემით ტარდება: მაჟორიტარულითა და პროპორციულით.

ზოგადად, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, ითვლება რომ პროპორციული სისტემა უფრო ხელსაყრელია ქალებისათვის ვიდრე მაჟორიტარული, პარლამენტის არჩევნების დროს ეს საქართველოშიც ასეა, პარლამენტში არჩეული 22 დეპუტატი ქალიდან მხოლოდ სამია მაჟორიტარული წესით არჩეული (კერძოდ, ქუთაისის (ნინო ბურჯანაძე), ბოლნისისა (სოფიო ლარცულიანი) და ყვარლის (ნანა პატარკაციშვილი) საარჩევნო ოლქიდან.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, სადაც ადგილებზე 1998 წლისა და 2002 წლის არჩევნებზე აირჩეოდა 1100 პირველი დონის ადგილობრივი საკრებულო, და არჩევნები ნაკლებად კონკურენტული იყო, აქ არ ჩანს დიდი განსხვავება იმაში, ქალების არჩევისათვის რომელი სისტემაა უფრო სასარგებლო.

რა შეიძლება პოსტ-საბჭოთა საარჩევნო გამოცდილებიდან ჩაითვალოს საკანონმდებლო თვალსაზრისით ყველაზე ხელისშემშლელად ქალებისათვის?

2002 წლის მოწვევის რაიონის საკრებულოები არის ე.წ. ასოცირებული საკრებულოები და შედგება რაიონში შემავალი პირველი დონის საკრებულოს თავმჯდომარეებისაგან. ამიტომ, რადგანაც ქალი იშვიათად ხდება საკრებულოს თავმჯდომარე, შესაბამისად 2002 წლის მოწვევის რაიონულ საკრებულოებში ბევრად ნაკლები ქალი შევიდა (პრაქტიკულად არ არიან ქალები რაიონის დონეზე). 1998 წლის არჩევნებში რაიონის საკრებულოები პირდაპირ აირჩეოდნენ და მათში იყო გარკვეული პროცენტი ქალებისა. კერძოდ, რაიონის საკრებულოებში ქალთა რიცხვი 9-%-ს შეადგენდა.

ასევე საყურადღებოა, რომ თუ 1998 წელს დიდ ქალაქებში ქალთა წარმომადგენლობა საკრებულოებში იყო 7,8%, 2002 წელს არჩეულ ქუთაისისა და რუსთავის საკრებულოში არც ერთი ქალი დეპუტატი არ არის. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებზე პარტიები მეტი შემართებით იბრძოდნენ, რადგან ეს არჩევნები 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების ტრამპლინად აღიქმებოდა, მეორეც შესაძლოა იმით, რომ არჩევნები 1998 წლისაგან განსხვავებით ამჯერად მაჟორიტარულად ჩატარდა.

საკანონმდებლო დონეზე პრობლემა ის არის, რომ საარჩევნო კოდექსი გენდერულად ნეიტრალურია და არ ითვალისწინებს გარკვეულ ხელშესწყობას გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის. ამიტომ, გენდერული თვალსაზრისით მისი მთავარი ნაკლიც ეს არის.

თემა IV

სპეციალური დროებითი ზომები პოლიტიკაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფისათვის

კვოტები ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაზრდელად

რადგან პოლიტიკაში ქალთა რიცხვი ნელა იზრდება, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალები მოითხოვენ ეფექტური მეთოდების გამოყენებას პოლიტიკაში გენდერული ბალანსის მისაღწევად. კვოტა ერთ-ერთი ასეთი ეფექტური მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა ნახტომისებურად გავზარდოთ პოლიტიკოს ქალთა რაოდენობა. ამიტომ გენდერული თანასწორობის ბევრი მომხრე კვოტებს იმედით უყურებს. ამავე დროს კვოტების სისტემა ბადებს ბევრ სერიოზულ კითხვას და, ხშირად, ძალიან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. რა არის კვოტების განხორციელების საუკეთესო გზა? რა არგუმენტები არსებობს კვოტების დასაცავად და მის საწინააღმდეგოდ?

რა არის კვოტა?

კვოტების იდეის საფუძველია, გადალახოს პოლიტიკისაგან ქალების იზოლირების არსებული მდგომარეობა და ჩართოს ქალები პოლიტიკურ პროცესში.
კვოტების სისტემა ქალების პოლიტიკაში ჩართვის პასუხისმგებლობას აკისრებს არა ცალკეულ ქალებს, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც პოლიტიკაში რეკრუტირების პროცესს აკონტროლებენ.

კვოტას სხვაგვარად **სპეციალური დროებითი ზომებს** უწოდებენ, რადგანაც ის წარმოადგენს **დროებით ღონისძიებას**, რომელიც მანამდე მოქმედებს, სანამ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ბარიერები დაიძლევა.

კვოტები შეიძლება იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული ანდა შეიძლება იყოს შიდა პარტიული, ანუ პოლიტიკური პარტიების მიერ იყოს დაწესებული.

სახელმწიფო კანონმდებლობით განსაზღვრული კვოტების განხორციელება შედარებით იოლი განსახორციელებელია დანიშვნით ადგილებზე, ვიდრე არჩევითზე, რადგანაც არჩევნების დროს კვოტების სისტემა ეხება დემოკრატიული პროცესის საფუძვლებს და შეიძლება შეეჯახოს ამომრჩეველთა მიერ არჩევანის თავისუფლად განხორციელების იდეას, თუმცაღა კანდიდატების ნომინაციის პროცესზე ამომრჩევლების მეტ-ნაკლები გავლენის მიუხედავად, საარჩევნო სისტემების უმრავლესობაში კანდიდატების შერჩევა-დასახელების პრეროგატივა პოლიტიკურ პარტიების ხელშია.

სახელმწიფო კანონმდებლობით განსაზღვრული კვოტების ერთ-ერთი სახეობაა ე. წ. რეზერვირებული ადგილები. რეზერვირებული ადგილების საწინააღმდეგოა ის არგუმენტი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული სისტემა არ არის სრულყოფილი, ხელისუფლებას შეუძლია კვოტების სისტემა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. სპეციალურად შერჩეული ქალებით მიიღოს თავისი მორჩილი ჯგუფი და თანაც თავი მოიწონოს პოლიტიკაში ქალთა დაწინაურებისათვის ხელშეწყობით.

ქალთა მოძრაობის მხრიდან რეზერვირებული ადგილების კრიტიკა (მით უფრო თუ ასეთი ადგილების რიცხვი 1/3-ს არ აღემატება ან ამაზე მცირეა) ეფუძნება არგუმენტს, რომ ასეთი სისტემა აფერხებს ქალთა რიცხვის ზრდას, მას შემდეგ, როცა მოთხოვნა შესრულებულია.

> „კვოტა ავადმყოფობის წამალია, მაგრამ გვერდითი მოვლენებიცა აქვს. კვოტას შეუძლია გამოიწვიოს ერთგვარი ზედა ზღვარის დაწესება ქალთა მონაწილეობისათვის. აგრეთვე, მას შეიძლება არ მოჰყვეს ავტომატურად პოლიტიკური კულტურის განვითარება.“
>
> *კრისტინ პინტა, ინტერ-საპარლამენტო კავშირი*

კვოტები პოლიტიკურ პარტიებში. კვოტირების ეფექტური და წარმატებული ნიმუშია შიდა პარტიული კვოტები. ასეთი კვოტები გამოიყენება ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში ყველაზე მაღალია. (1998 წლის მონაცემებით შვედეთის პარლამენტში ქალები შეადგენდენ 40%-ს, ნორვეგიაში 38%-ს, ფინეთსა და დანიაში 34%-ს).

არც კონსტიტუცია და არც საარჩევნო კანონი არ აწესებს ქალთა მაღალი წარმომადგენლობის აუცილებლობას. ქალთა რიცხვის გაზრდა პოლიტიკაში უკავშირდება პარტიების ქალთა სექციებისა და ქალთა ორგანიზაციების ზეწოლას პოლიტიკურ პარტიებზე. ასეთი მოთხოვნის საპასუხოდ, რათა არ დაეკარგა ისეთ ამომრჩეველთა მხარდაჭერა, რომელთა სიმპათიაც გენდერულად დაბალანსებულ პარტიების მხარეს იხრებოდა, ზოგიერთმა პარტიამ გადაწყვიტა გენდერული კვოტების სისტემა შემოეღო პარტიის შიგნით. 1970-80 წლებში კვოტები შემოიღეს მემარცხენე პარტიებმა. ცენტრისტული და მემარჯვენე პარტიების უმეტესობას ასეთი ღონისძიებები იმ ხანად არალიბერალურად მიაჩნდათ.

1983 წლის ნორვეგიის ლეიბორისტულმა პარტიამ გადაწყვიტა, რომ „ყველა არჩევნებზე თითოეული სქესის კანდიდატები უნდა წარმოადგენდნენ მინიმუმ 40%-ს“.

1988 წელს დანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ განაცხადა „თითოეულ სქესს აქვს უფლება წარმოადგენდეს სულ მცირე 40%-ს პარტიის კანდიდატთა სიაში ადგილობრივი და რეგიონალური არჩევნებისათვის. თუ არ იქნა საკმარისი რაოდენობა თითოეული სქესის კანდიდატების, ეს უფლება სრულად ვერ განხორციელდება“. ეს წესი 1996 წელს გაუქმდა.

1994 წელს შვედეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შემოიღო პრინციპი „ყოველი მეორე სიაში ქალი უნდა იყოს“.

პარტიები, კვოტებს არა მხოლოდ სხვადასხვა დონის არჩევნების დროს იყენებენ, არამედ შიდაპარტიული სტრუქტურებისა და ხელმძღვანელობის არჩევისთვისაც.

კვოტების შემოღებას სკანდინავიის ქვეყნებში ორი ძირითადი წინააღმდეგობა ჰქონდა: ხანდახან ძნელია ქალი კანდიდატების სათანადო რიცხვის მოძიება, მეორეც ხშირად პრობლემატურია პარტიის ინკუმბენტი მამაკაცი წევრების გვერდით გაწევა ქალის დასაწინაურებლად. შვედეთში და დანიაში ადგილობრივ არჩევნებში ინკუმბენტების 2/3-ს ხელახლა ირჩევენ. მათი უმეტესობა მამაკაცია და ცხადია, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქალებისათვის კვოტების შემოღებას, რადგანაც ეშინოდათ ადგილების დაკარგვა.

ამ ტიპის კონფლიქტის შესამცირებლად პარტიები იყენებენ შემდეგ სტრატეგიას:
დანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, როდესაც შიდა პარტიულ პოსტებზე 40%-იანი კვოტა დააწესა, გაზარდა კომიტეტის წევრთა რიცხვი, ისე რომ მამაკაცმა წევრებმა არ დაკარგეს თავიანთი ადგილები. ასევე, თუ მანამდე პარტიის ხელმძღვანელს ერთი მოადგილე ჰყავდა, დაამატეს კიდევ ერთი პოსტი მოადგილის, რომელზედაც ქალი აირჩიეს.

ცალკეული ქვეყნების გამოცდილება კვოტების გამოყენების სფეროში

რადგანაც გადაწყვეტილების მიღების ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის კოეფიციენტი მცირეა, პოლიტიკაში გენდერული დიბალანსის დასაძლევად მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში მოისინჯა ისეთი სპეციალური ღონისძიებები, როგორიცაა საარჩევნო კვოტები. როგორც აღვნიშნეთ, კვოტები მრავალფეროვანია, კონსტიტუციით ან კანონმდებლობით დაწესებულიდან დაწყებული პოლიტიკური პაარტიების მიერ ნებაყოფლობით შემოღებული შიდაპარტიული კვოტებით გათავებული.

მიმოვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება კვოტების გამოყენების სფეროში. **წყარო:** გენდერული კვოტების გლობალური მონაცემთა ბაზა, დემოკრატიისა და არჩევნე-ბის საერთაშორისო ინსტიტუტი და სტოკჰოლმის უნოვერსიტეტი (http://www.quotaproject.org/).

ნორვეგია

ნორვეგია შიდაპარტიული კვოტების გამოყენების პიონერია. მემარცხენე სოციალისტურ პარტიას (SV) 1975 წლიდან აქვს შემოღებული 40% კვოტა ორივე სქესისათვის. ასევე ახორციელებს სიაში სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის წესს (zipping system).

40% კვოტა ორივე სქესისათვის ასევე დაწესებული აქვს ნორვეგიის ლეიბორისტული პარტიას 1983 წლიდან, ცენტრისტულ პარტიას 1989 წლიდან, ქრისტანულ სახალხო პარტიას 1993 წლიდან.

გერმანია

გერმანიში კვოტები არც კონსტიტუციითა განსაზღვრული და არც საარჩევნო კანონით. მაგრამ პოლიტიკური პარტიები იყენებენ შიდაპარტიულ კვოტებს საარჩევნო სიის ფორმირებისას. მაგალითად, დემოკრატიული სოციალიზმის პარტია (PDS) იყენებს 50% კვოტას პარტიულ სიებში. ალიანსი 90/მწვანეებიც 1986 წლიდან იყენებენ ასევე 50%-იან კვოტას. ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში 1996 წლიდან დაწესდა, რომ სიაში მინიმუმ ყოველი მესამე კანდიდატი ქალი უნდა იყოს. სოციალ-დემოკრატიული პარტიამ (SPD) კვოტების სისტემა შემოიღო 1988 წლიდან. 1990 წლისათვის მიზანი იყო 25% ქალი კანდიდატის ჩართვა სიებში, 1994 წლისათვის 33%-ს, და 1998 წლისათვის კი უკვე 40%-ისა. 40%-იანი გენდერული კოვტა მოითხოვს ასევე, სიის ისე აგებას, რომ სიის ბოლო ადგილებზე მხოლოდ ერთი სქესი არ მოხვდეს, რისთვისაც სიაში მინიმუმ ყოველი მეხუთე მაინც იყოს განსხვავებული სქესის, ვიდრე წინა ოთხეული.

რაკიღა 80-იანი წლებიდან თითქმის ყველა პარტიამ დაუჭირა მხარი საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას, ბუნდესტაგში ქალთა რიცხვი გაიზარდა 10%-დან (1983 წ.) 20%-მდე (1990 წ.), 1997 წ. გახდა 26,6%, 2005 წლისათვის კი 31,8%-ს მიაღწია.

დიდი ბრიტანეთი

ბრიტანეთში დიდი ხნის მანძილზე ქალები მხარს უჭერდნენ კონსერვატიულ პარტიას და ითვლებოდნენ კონსერვატორთა „საიდუმლო იარაღად“. 1990 წლებში კონსერვატიული პარტია მივიდა დასკვნამდე, რომ ქალთა მდგომარეობაში მომხდარი რადიკალური ცვლილებების შემდეგ, მას ერთხელ და სამუდამოდ არ ჰქონდა გარანტირებული ქალი ამომრჩევლების მხარდაჭერა. პარტიამ დაიწყო ქალების მიმართ პოზიტიური დეკლარაციების და საქმიანობის განხორციელება. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარტიის თავმჯდომარემ ნ. ფაულერმა მოუწოდა თავის პარტიას წარედგინათ არა ნაკლებ 100 ქალი კანდიდატისა, პარლამენტის შემდგომი არჩევნებისათვის. მართალია, ეს მიზანი ბოლომდე ვერ იქნა მიღწეული, მაგრამ 1997 წლის არჩევნებზე კონსერვატორებმა წარადგინეს 67 კანდიდატი ქალი.

ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს წესი, რომ ყოველ საარჩევნო ოლქში კანდიდატთა ჩამონათვალში არც ერთი სქესი არ უნდა იყოს ერთ მესამედზე ნაკლები. ასევე, პარტიამ გამოიყენა საარჩევნო სიაში სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის პრინციპი ევროპის პარლამენტის არჩევნებზე 1999 წელს.

ლეიბორისტული პარტიისათვის, რომელიც 18 წლის განმავლობაში (1979-დან 1997 წლამდე) ოპოზიციაში იყო, ქალთა დაწინაურება პარტიაში ამომრჩეველთა შორის მხარდაჭერის გაზრდის ერთ-ერთი გზა აღმოჩნდა. გენდერული დემოკრატიის გაფართოება იყო ნაწილი პარტიის ზოგადი მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციისა, რამაც ხელი შეუწყო ლეიბორისტების გამარჯვებას. პარტიამ შეიცვალა თავისი „მამაკაცური“ იმიჯი და 80-იანი წლების ბოლოს შეიმუშავა გენდერული კვოტირების პროგრამა. დაწესდა 40%-იანი გენდერული კვოტა პარტიის ყველა არჩევითი

ორგანოსათვის და დაისახა გეგმა საპარლამენტო ფრაქციაში ქალთა რიცხვს მიეღწია 50%-თვის. ეს ბოლო დებულების შესრულებას ბევრი სიძნელე ახლდა, რადგანაც ბრიტანეთში მოქმედებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, ერთმანდატიან ოლქებიდან აირჩევა თითო დეპუტატი.

ლეიბორისტულმა პარტიამ 1992 წელს გადაწყვიტა გათავისუფლებული, ვაკანტური ადგილების 50%-ზე მხოლოდ ქალების დაესახელებინა. მაგრამ ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა და 1996 წელს სასამართლომ ის გააუქმა, როგორც მამაკაცებისათვის დისკრიმინაციული და 1975 წელს მიღებული "სქესების დისკრიმინაციის აქტთან" შეუთავსებელი. შოტლანდიის პარლამენტისა და უელსის ეროვნული ანსამბლეის 1999 წლის არჩევნებისათვის ლეიბორისტულმა პარტიამ გამოიყენა მეზობელი საარჩევნო ოლქების დაწყვილების სისტემა. თითოეულ წყვილისათვის ამ ორი ოლქის პარტიის წევრები იკრიბებოდნენ და ერთად ირჩევდნენ ერთ ქალსა და ერთ მამაკაც კანდიდატს. პარტიის თითოეულ წევრს ჰქონდა ორი ხმა ერთი ქალი კანდიდატის ასარჩევად და ერთიც მამაკაცი კანდიდატისათვის.

2001 წელს პარლამენტმა მიიღო სქესთა დისკრიმინაციის (საარჩევნო კანდიდატების) აქტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკურ პარტიას განახორციელოს პოზიტიური ქმედებები (positive action) ქალ კანდიდატთა სასარგებლოდ, ისე რომ არ დაარღვიოს შრომის კანონმდებლობა.

საფრანგეთი

საფრანგეთში გენდერული კვოტების აუცილებლობა კონსტიტუციით არის განსაზღვრული. 1999 წელს კონსტიტუციაში შევიდა დამეტება, რომლის მიხედვითაც "კანონმდებლობა მხარს უჭერს ქალისა და კაცისათვის საარჩევნო მანდატთა თანაბარ მისაწვდომობას" და პოლიტიკურს პარტიებს აკისრებს თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას. ამ შესწორებას "პარიტეტული რეფორმა" ეწოდა.

200 წელს ახალი საარჩევნო კანონით განისაზღვრა, რომ პარიტეტული რეფორმა 50%-50% შეეხება ყველა დონის პროპორციულ არჩევნებს:

- მუნიციპალურ არჩევნებს ქალაქებისათვის, სადაც 3 500 მეტი მცხოვრებია;
- სენატის არჩევნებს, პროპორციულად არჩეული სენატორთა მანდატებისათვის;
- რეგიონულ არჩევნებს;
- ევროპის პარლამენტის არჩევნებს;
- პარიზის საბჭოს არჩევნებს;
- პარიზის, ლიონისა და მარსელის რაიონის საბჭოების არჩევნებს.

ეს რეფორმა მოითხოვს ასევე პარტიების მიერ დასახელებულ კანდიდატთა შორის გენდერული ბალანსის დაცვას საფრანგეთის პარლამენტის არჩევნებისას, რომელიც ორტურიანი მაჟორიტარული სისტემით ტარდება.

2000 წლის საარჩევნო კანონმა დააწესა ფინანსური დასჯა იმ პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც არ დაიცავდნენ დასახელებულ კანდიდატთა შორის გენდერულ ბალანსს. საფრანგეთში სახელმწიფო ფინანსირებას პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, 1999 წელს სახელმწიფო დოტაციამ შეადგინა პოლიტიკური სუბიექტების მთელი შემოსავლის 51 პროცენტი.

სახელმწიფოსაგან მიღებული ფინანსები მცირდება, თუ პარიტეტიდან გადახრა გაცდება 2%-ს. ამგვარად, პარტია, რომელიც დაასახელებს 49% ქალ კადიდატს და 51% მამაკაცს არ დაჯარიმდება, მაგრამ მეტი განსხვავების შემთხვევაში დაჯარიმდება, შემდეგი წესით: თუ პარტიის მიერ წარდგენილი ქალი და მამაკაცი კანდიდატების რიცხვი 2%-ზე მეტად განსხვავდება, მაშინ სახელმწიფო დახმარება მცირდება ამ განსხვავების ნახევრით. მაგალითად, თუ პარტიიმ წარადგინა 60% მამაკაცი კანდიდატი, ხოლო 40% ქალი, განსხვავება 20%-ის ტოლი იქნება და მაშინ პარტიას სახელმწიფო დახმარება შეუმცირდება 10%-ით.

მუნიციპალურ დონეზე კი, სადაც არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება, კვოტები კიდევ უფრო ეფექტურად ტარდება: საარჩევნო ადმინისტრაცია უბრალოდ არ გაატარებს რეგისტრაციაში ისეთი პარტიის სიას, რომელიც პარიტეტის მოთხოვნას არ შეესაბამება.

პოლიტიკური პარტიებიდან საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას (Parti Socialiste) 1990 წლიდან ჰქონდა 50% კვოტა საარჩევნო სიებისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები

სლოვენიაში გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ 33% კვოტა ორივე სქესისათვის.
პოლონეთში 30% კვოტა ორივე სქესისათვის შემოღებული აქვს სამ პარტიას: დემოკრატიულ მემარცხენე ალიანსს, შრომის კავშირსა და თავისუფლების კავშირს.
ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან არჩეულთა 25% უნდა იყოს ქალი. თუ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია ვერ დაასახელებს 25%-ს ქალი კანდიდატებისა, მაშინ სოციალ-დემოკრატების ქალთა ორგანიზაციას აქვს უფლება დაასახელოს ექსტრაკანდიდატები კვოტის შესავსებად.
უნგრეთის სოციალისტურ პარტიას დაწესებული აქვს 20% კვოტა ქალებისათვის.

ბალტიის ქვეყნები

ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს დაწესებული კვოტა - მინიმუმ 1/3 ორივე სქესისათვის.

გენდერული კვოტირების დადებითი მხარეები და სიძნელეები

კვოტების წარმატებულ სისტემას მოსდევს:

- პარტიების მიერ აქტიური პოლიტიკის წარმოება კვალიფიციური კანდიდატი ქალების მოსაზიდად;
- ქალებს საშუალება ეძლევათ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
- პოლიტიკაში ჩნდება ქალთა კრიტიკული მასა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ ნორმებსა და კულტურაზე.

კვოტების განხორციელებას პარტიისათვის შემდეგი დადებითი მხარეები აქვს:

- პარტიას ემატება ახალი რესურსი, იზრდება პარტიაში აქტიური წევრი ქალების რიცხვი;
- პარტია უკეთ მუშაობს ამომრჩეველ ქალებთან, შესაბამისად იზრება პარტიის მხარდამჭერ ქალთა რიცხვი.

კვოტების შემოღებას თან სდევს სიძნელეები:
— კვოტების შემოღება იმისთვისაა საჭირო რომ ქალები გააძლიეროს, მაგრამ თუ ქალები უკვე გარკვეულ ძალას არ ფლობენ, კვოტების შემოღებას ვერ მიაღწევენ, რადგან, როგორც წესი, კვოტების დაწესება გაფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება.
— კვოტების ეფექტურად ასამუშავებლად აუცილებელია კანდიდატი ქალების მოზიდვა. ძნელი არ არის პოლიტიკურ საქმიანობაში უკვე ჩართული ქალების დათანხმება ზედა პოზიციებზე წასაწევად. ძნელია, ქალების პირველადი დაინტერესება პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივ დონეზე.
— გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამი არჩევნები მაინც არის საჭირო, რომ კვოტების სისტემა სრულყოფილად ამუშავდეს.
— კვოტების ბევრ მომხრეს ჰგონია, რომ კამათი და კონფლიქტი კვოტების გარშემო დროებითი მოვლენაა და მის მიღებასთან ერთად შეწყდება, მაგრამ გამოცდილება ადასტურებს, რომ ამგვარი დებატები მერეც არ წყდება.

თემა V

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის სტრატეგიები

პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის წარმატებული გაზრდა
(ნორვეგიის მაგალითი)

წყარო: Jill M. Bystydzienski, Women in Politics in Norway/Women and Politics, Vol. 8, Haworth Press, Inc. 1988.

1969 წელს ნორვეგიის პარლამენტში ქალები მხოლოდ 9%-ით იყვნენ წარმოდგენილი. 1970 წელს ადგილობრივ თვითმმართველობაში იყო 17% ქალი, 1975 წელს ქალთა რიცხვი 25% გახდა, 1983 წელს კი 33%. როგორ და რატომ მიაღწიეს ნორვეგიელმა ქალებმა უჩვეულოდ მაღალ წარმომადგენლობას პოლიტიკაში? ქალთა პოლიტიკაში წინსვლის რა ხელშემწყობი სოციალური და პოლიტიკური წინაპირობები არსებობდა?

ისტორიული და კულტურული ფაქტორები:

- ისტორიულად ნორვეგიაში **ძლიერია თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის ღირებულებები.** ნორვეგიელთა რწმენით, სახელმწიფო უნდა ასრულებდეს ეკონომიკური და სოციალური განსხვავებების გამათანაბრებელ როლს და ეხმარებოდეს იმ ჯგუფებს, რომელთაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საზოგადოებრივ რესურსებზე. ამ პირობებში ქალთა მიერ სქესთაშორის თანასწორობის მოთხოვნები ლეგიტიმურად აღიქმება.
- ნორვეგიული **საზოგადოება** ტრადიციულად ძალიან **ორგანიზებულია.** სხვადასხვა ტიპის ბევრი ასოციაციაა, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაწილეობის მაღალ ხარისხს. ქალები წარმოდგენილი იყვნენ ყველა ტიპის საზოგადოებებში, აგრეთვე, ქალთა ორგანიზაციებში, როგორიცაა დიასახლისების და სოფლის ქალთა ასოციაციები, საქველმოქმედო სააგენტოები. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საქმიანობამ ქალებს განუვითარა პოლიტიკაში მონაწილეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები: საჯარო სიტყვის წარმოთქმა, შეხვედრების გამართვა, ლობინგი.
- ზოგადად, ნორვეგიაში **პოლიტიკური აქტივობის დონე მაღალია**.
- ნორვეგიაში **საარჩევნო და პარტიული სისტემა შედარებით ღია და მონაწილეობითია**.

ნორვეგიაში პოლიტიკურ პარტიათა ფართო სპექტრია რადიკალური მემარცხენეებიდან მემარჯვენეებამდე. პოლიტიკური პარტიების სისტემა დემოკრატიული, ღია და მონაწილეობითია. არჩევნები ხდება პროპორციული სისტემით. პარტიის საარჩევნო სიები დგება ღია შეხვედრებზე და პარტიის ნებისმიერ წევრს შეუძლია დაასახელოს კანდიდატურა. არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება. საერთოდ, პროპორციული სისტემის დროს ქალები უფრო ადვილად მოდიან პოლიტიკაში, რადგანც მაჟორიტარული სისტემის დროს, როდესაც ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი კანდიდატი უნდა შეირჩეს, ქალებს როგორც წესი, უჭირთ უპირატესობის მოპოვება.

გარდა პროპორციული სისტემისა ნორვეგიაში საარჩევნო კანონით ამომრჩევლებს დამატებითი მექანიზმები აქვთ იმის გასაკონტროლებლად თუ ვის ირჩევენ. ამომრჩეველს შეუძლია საარჩევნო ბიულეტენში არა მარტო გადახაზოს გვარები, არამედ ჩაუმატოს ახალი კანდიდატის გვარი. (მართალია, ეს წესი შემდეგში ნაწილობრივ შეიცვალა, მაგრამ რაღაც ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიტიკურ პოსტებზე ქალების რიცხვის გაზრდაში).

ბევრ ქვეყანაში ფინანსური დაბრკოლება უმთავრესია ქალების პოლიტიკაში წინ-სვლისათვის. ნორვეგიაში საარჩევნო კამპანია, ძირითადად, ადმინისტრაციის და თვით პარტიების მიერ ფინანსდება. ამიტომ კანდიდატებს დიდი ფინანსური დანახარჯების გაღება არ უხდებათ, რაც უადვილებს ქალებს პოლიტიკაში ჩართვას.

ნორვეგიის სახელისუფლებო სისტემა სამდონიანია: ეროვნული, საოლქო და მუნიციპალური დონეები. ტიპიური პოლიტიკური კარიერა გულისხმობს ამ დონეების მეთოდურ გავლას. დრამატული აღმასვლა პოლიტიკაში პრაქტიკულად შეუძლებელია. თითქოსდა ისე ჩანს, რომ ამან პოლიტიკაში ახალი ჯგუფების გამოჩენას ხელი უნდა შეუშალოს, მაგრამ სინამდვილეში პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი სისტემა საშუალებას აძლევს პოლიტიკოს ქალებს თანდათანობით მისაღები და ლეგიტიმური გახდნენ.

50-იანი წლების ბოლოს და განსაკუთრებით 60-იან წლებში სკანდინავიის ყველა ქვეყანაში ფართო დისკუსია გაჩაღდა გენდერული როლებისა და თანასწორობის შესახებ. მომზადდა ოფიციალური ანგარიშები ნორვეგიაში ქალთა სტატუსის შესახებ, 1959 წელს დაარსდა თანაბარი ანაზღაურების საბჭო, მეცნიერებმა და აქტივისტებმა პოპულარიზაცია გაუწიეს სქესთა შორის თანასწორობის იდეას. ამგვარად, 60-იანი წლების შუა ხნებში ხელსაყრელი კლიმატი ჩამოყალიბდა ქალთა აქციებისათვის.

1967 წლის პოლიტიკური კამპანია. ქალთა მობილიზაციის პირველი მნიშვნელოვანი აქცია პოლიტიკაში ქალის როლის გასაზრდელად ორგანიზებული იყო 1967 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის. აქციას ხელმძღვანელობდა **ქალთა ეროვნული საბჭო**. ეს საბჭო გახლდათ ქოლგა ორგანიზაცია, რომელიც შედგებოდა ქალთა ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ქალთა სექციების წარმომადგენლებისაგან. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო პოლიტიკური პარტიებთან მუშაობა საარჩევნო სიებში კანდიდატი ქალების რიცხვის გასაზრდელად. ასევე მიდიოდა მუშაობა იმისათვის, რომ ქალი კანდიდატები მოხვედრილიყვნენ სიის ზედა ნაწილში, რათა ჰქონოდათ შანსი გამარჯვებისა. პარალელურად ამისა, მიდოდა ფართო სარეკლამო კამპანია ქალების არჩევის იდეის პოპულარიზაციისათვის.

შემუშავებული სტრატეგიის შემდეგი ნაბიჯებისაგან შედგებოდა:

- შესაფერისი კანდიდატურების მოძიება;
- მათი დარწმუნება თავიანთ ძალებში და დათანხმება საარჩევნო ბრძოლისათვის;
- პარტიებთან მუშაობა, მათი დარწმუნება რომ ამ კანდიდატი ქალის ჩართვა სიაში კარგი იდეაა და პარტიას ბევრ ხმას მოუტონს;
- სიაში შეყვანის შემდეგ თვალყურის დევნება და მუშაობა იმაზე, რომ ქალი კანდიდატები სიაში პერსპექტიულ პოზიციებზე მოხვედრილიყვნენ;
- დასკვნითი ნაბიჯი იყო მედიისა და საჯარო ფორუმების საშუალებით ელექტორატთან მუშაობა, ქალი კანდიდატებისათვის მხარდაჭერის მისაღწევად.

1967 წლის აქციებმა საგრძნობი შედეგი მოიტანეს, ქალთა რიცხვი ადგილობრივ თვითმმართველობაში გაორმაგდა და 5%-დან 12%-მდე გაიზარდა.

მაგრამ პოლიტიკაში ქალები ისევ მცირე ჯგუფად რჩებოდნენ და 1971 წელს ორგანიზდა მეორე მნიშვნელოვანი აქცია. ამჯერად ისტებლიშმენტის ქალებს შეუერთდნენ ახალი ფემინისტები, რომელიც 1970 წელს ნორვეგიაში ძალიან გააქტიურდნენ.

1971 წელი ისედაც პოლიტიკურად აქტიური წელი იყო ნორვეგიის ისტორიაში. ქვეყანაში გაჩაღდა ცხარე დებატები ევროპის ეკონომიურ თანამეგობრობაში გაწევრიანების გარშემო. 1972 წ. ჩატარდა რეფერენდუმი ამ საკითხზე. დებატებმა ბევრი ქალის პოლიტიზირება მოახდინა. მემარცხენე თუ მემარჯვენე შეხედულებების ბევრი ქალი პოლიტიკურად აქტიური გახდა სწორედ ამ დებატების დროს. ის ქალები, რომლებიც ყველაზე მეტად ჩანდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე გახდნენ ლოგიკური კანდიდატები მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში.

ამ არჩევნების დროსაც გამოყენებული იქნა ის ტაქტიკა, რაც 1967 წლის არჩევნებში, თანაც დაემატა ამომრჩევლებთან მუშაობა ბიულეტენის შევსებასთან დაკავშირებით. ამომრჩევლებს უნდა გადაეხაზათ ყველა მამაკაცი კანდიდატი, რათა ქალ კანდიდატს, რომელიც არ იყო სიის მოწინავე პოზიციაზე არჩევნებში გამარჯვების შანსი მისცემოდა. საარჩევნო კანონი იძლეოდა კანდიდატის ჩამატების შესაძლებლობასაც.

ისტებლიშმენტის ქალები და ახალი ფემინისტები პარალელურად მუშაოდნენ. ახალი ფემინისტები თავიანთი გამოსვლებით ქმნიდნენ ხელსაყრელ საზოგადოებრივ კლიმატს ქალების პოლიტიკაში წინსვლისათვის, ხოლო ისტებლიშმენტის ქალები ასრულებდნენ ინსტრუმენტალურ სამუშაოს (კანდიდატების შერჩევა, პარტიების დათანხმება, ამომრჩევლებთან მუშაობა).

1971 წლის არჩევნების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სამ დიდ მუნიციპალიტეტში ასკერში, ოსლოსა და ტრონდჰეიმში ქალებმა გადააბიჯეს 50% ბარიერს. (ტრონდჰეიმში 20%-დან 54%-ს მიაღწიეს, ასკერში 26%-დან-57%-ს, ოსლოში 28%-დან 56%-ს). 6 მუნიციპალიტეტში ქალთა რიცხვმა 40%-ზე მეტს მიაღწია.

ასეთი წარმატების შემდეგ ქალებმა გარკვეული უკანსვლა განიცადეს. ძალიან ბევრი ქალი კანდიდატი არ ელოდა ასეთ წარმატებას და არ ელოდა, რომ არჩეული იქნებოდა. პოლიტიკური ცხოვრებისა და საოჯახო პასუხისმგებლობების შეთავსების სიძნელეებმა ბევრს გადააფიქრებინა შემდეგ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. პოლიტიკოსმა კაცებმა ქალებს ბრალი დასდეს „არადემოკრატიულ ტაქტიკის“ გამოყენებაში და შეცვალეს საარჩევნო კანონის ის ნაწილი, რომელიც ნებას აძლევდა ამომრჩევლებს ჩაემატებინათ ბიულეტენში ახალი კანდიდატები. მამაკაცებმა 1975 წლის არჩევნებში ქალი კანდიდატების წინააღმდეგ გამოიყენეს ბიულტენიდან გვარების ამოშლის ის ტაქტიკა, რაც ქალებმა განავითარეს 1971 წლის არჩევნებში.

ამ გამოცდილების შემდეგ დაისახა ქალთა მობილიზაციის ახალი ტაქტიკა, რომელიც ფოკუსირებული იყო არა ბუილეტენებით მანიპულირებაზე, არამედ მიმართული იყო პარტიულ სიებში ქალი კანდიდატების რიცხვის მაქსიმალური გაზრდისაკენ.

ფორმალურმა ქალთა ორგანიზაციებმა და ახალმა ფემინისტებმა უფრო მჭიდრო ალიანსი შექმნეს. ახალი ფემინისტების ერთ-ერთი წარმომადგენელი იხსენებს: „70-იანი წლების მეორე ნახევრამდე ახალი ფემინისტები არ ვეწინააღმდეგებოდით მეტი ქალის არჩევას პოლიტიკურ პოსტებზე, მაგრამ არ ვთვლიდით საჭიროდ მუშაობას პოლიტიკურ სისტემასთან. ჩვენ ვცდილობდით გაგვეზარდა ქალთა თვითშეგნება, რათა კი არ გვეთანამშრომლა ქალების შემზღუდავ სისტემასთან, არამედ შეგვეცვალა ის. იმ ხანებში ჩვენ ვფიქრობდით, რომ უნდა შეგვეცვალა ის გარედან და არა შიგნიდან. 1975 წლის შემდეგ ჩვენ მივხვდით, რომ თუ გვსურს ცვლილებების განხოციელება, საჭიროა ქალებმა მოიპოვონ ძალაუფლება არსებულ სისტემაში“.

1977 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 1979 წლის მუნიციპალური არჩევნების წინ ქალებმა ახალი კამპანიები გამართეს. ჩამოყალიბდა ე.წ. „400-ის კოალიცია“, მასში შედიოდნენ ქალები ყველა პოლიტიკური პარტიიდან, ქალთა ორგანიზაციებისა და ახალი ფემინისტების წარმომადგენლები. ამ ქალებს შორის ბევრ საკითხზე იყო უთანხმოება, მაგალითად, მემარჯვენეები აბორტის წინააღმდეგნი იყვნენ, ხოლო მემარცხენეები მომხრენი, მაგრამ მათ აერთიანებდათ ერთი რამ, უნდოდათ ყველა პოლიტიკურ პოზიციაზე 50% ქალი ყოფილიყო.

კოალიცია ორი მიმართულებით მუშაობდა:

- საარჩევნო სიებში მეტი ქალი კანდიდატის ჩასმა;
- ქალთა პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავება, ანუ შემუშავება ქალებისათვის მისაღები პოლიტიკისა ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში: განათლება, ეკონომიკა, სამართლებრივი სისტემა, ხელოვნება, რელიგია.

კოალიციაში შეიქმნა კომიტეტები ქალთა პოლიტიკური ხედვების შესამუშავებლად.

პარტიებზე ზეწოლის შედეგად მიაღწიეს იმას, რომ პარტიებმა დაიწყეს დათანხება გენდერული კვოტის შემოღებაზე. 1976 წლისათვის 2 პარტია დაეთანხმა გენდერულ კვოტას ლიბერალები და მემარცხენე სოციალისტები, 1983 წელს მათ შეუერთდა ლეიბორისტული პარტია.

ბევრი რამ სცენის მიღმა განვითარდა. ბევრ პარტიულ, პროფკავშირულ და მეწარმე ლიდერ ქალს არ სურდა იდენტიფიკაცია რადიკალურ ფემინისტებთან, მაგრამ თანაუგრძნობდნენ კოალიციას და ფაქტობრივად იყვნენ მისი წევრები ისე, რომ არ აკეთებდნენ ამის აფიშირებას.

კოალიცია მოქმედებდა 18 თვე და საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. პარლამენტში ქალთა რიცხვმა 16% დან 24%-მდე აიწია. პარლამენტის დღის წესრიგში ქალთა საკითხები პერმანენტულად ხვდებოდა. 1980-იანი წლების დასაწყისისათვის ცხრავე პარტიამ ჩართო თავის პროგრამებში ქალთა მოთხოვნები.

1979 წელს ქალთა ორგანიზაციებმა და ახალმა ფემინისტებმა ჩამოაყალიბეს კომიტეტი და დროებითი სამდივნო. როგორც ადრე მუშაობის ძირითადი მიმართულებები იყო:

- მეტი ქალის ჩართვა პარტიათა საარჩევნო სიებში;
- ზეწოლა პარტიებზე ქალთა მოთხოვნების პროგრამებში ჩასართავად;
- მუშაობა ელექტორატთან კანდიდატი ქალების მხარდაჭერის გასაძლიერებლად.

ამგვარი კამპანიები 80-იან წლებშიც გაგრძელდა, მაგრამ ასეთი მიზანდასახულობითა და ინტენსიობით არა. ქალთა მოძრაობა ისე ძლიერი აღარ იყო. დიდი ნაწილი მისი აქტივისტებისა შევიდნენ პოლიტიკურ პარტიებში, პროფკავშირებში, სახელმწიფო ადმინისტრაციაში. მიუხედავად ამისა, ქალთა წარმომადგენლობის ზრდა პოლიტიკაში გაგრძელდა და კულმინაციას მიაღწია გრო ჰარლემ ბრუნდტლანდის მმართველი კაბინეტის დროს, 1987 წელს — ეს იყო მსოფლიო რეკორდი, ქალები შეადგენდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ შედგენილი მმართველი კაბინეტის 44%-ს.

თემა VI

სისტემებისა და ორგანიზაციების გენდერული პოლიტიკა

გენდერული თანასწორობა ჰარმონიული, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას, პირიქით — დემოკრატიულ პლურალისტურ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი, მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

როდესაც გენდერული თანასწორობას ვეხებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთი მხრივ, იგი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხია, მეორე მხრივ, კი იგივე გენდერული თანასწორობა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი პირობაა. მრავალფეროვნება თავისთავადი ღირებულებაა, რომელიც კეთილდღეობას ქმნის.

წარმატებული დემოკრატია გულისხმობს საზოგადო საქმეების წარმართვისას ქალსა და მამაკაცს შორის ჭეშმარიტ თანამშრომლობას, მათ თანასწორ და შემავსებელ საქმიანობას, ურთიერთგამდიდრებას თავიანთი განსხვავებულობით. (დემოკრატიის უნივერსალური დეკლარაცია, პარლამენტთაშორისი საბჭო, 1997 წ.).

გენდერული პოლიტიკები

გენდერული პოლიტიკაა, ისეთი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ პარამეტრებს და მიმართულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ. განასხვავებენ გენდერული პოლიტიკის განხორციელების სხვადასხვა დონეებს.

გენდერულად ბრმა პოლიტიკა

გენდერულად "ბრმა" პოლიტიკა, პროგრამები, პროექტები უგულვებელყოფს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ მოთხოვნილებებს. "ჩვენ ყველას ერთნაირად ვეპყრობით". ასეთ შემთხვევებში:

- არ ხდება ქალისა და მაკაცის მოთხოვნილებების, პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება. მოსახლეობა, სამუშაო კოლექტივი ან სხვა ჯგუფი განიხილება ერთგვაროვან ჯგუფად;
- არ იწარმოება დაცალკევებული სტატისტიკა: მაგალითად, ვის უკავია უმაღლესი თანამდებობები, ვის აქვს გადამზადების და კვალიფიკაციის მიღების მეტი შესაძლებლობა.

გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა

ეს პოლიტიკა ზოგჯერ გამოსადეგია მოკლევადიანი პრობლემების გადასაჭრელად.

- ასეთი მიდგომისას ყურადღება მიმართულია ქალების პრაქტიკულ და არა სტრატეგიულ მოთხოვნილებებზე;
- უცვლელი რჩება რესურსების და პასუხისმგებლობის არსებული განაწილება.

გენდერულად გაცნობიერებული პოლიტიკა

გენდერული ცნობიერება ნიშნავს რეალობას შევხედოთ "ახალი" თვალით და დავინახოთ გენდერული განსხვავებები. ამ მიდგომას ახასაითებს:

- გაცნობიერება და აღიარება, რომ არსებობს სხვაობები;
- გენდერულად დაცალკევებული მონაცემების შეგროვება;
- კონსულტირება როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან.

გენდერულად ტრანსფორმაციული პოლიტიკა გულისხმობს:

- არსებული განსხვავებების, საჭიროებების, დისკრიმინაციის მიზეზების შესწავლას;
- ორივე სქესის პრაქტიკული და სტრატეგიული მოთხოვნილებების დადგენასა და გათვალისწინებას;
- არსებული გენდერული როლების და ტრადიციების ეჭვქვეშ დაყენებას და კრიტიკულად გააზრებას;
- ქალებისა და მამაკაცების თანამშრომლობის გაუმჯობესებას;
- ქალებისა და მამაკაცების პოტენციალის გაძლიერებას, მათთვის სამსახურში მიღებისა და კვალიფიკაციის გაზრდის თანაბარი შანსების მიცემას.

თუ არ განხორციელდება ტრანსფორმაციული პოლიტიკა:

- უცვლელად დარჩება რესურსების და პასუხისმგებლობის არსებულ უსამართლო განაწილებას;
- ვერ ამაღლდება ცნობიერება და იმის გააზრება, რომ არსებობს გენდერული განსხვავებები და საზოგადოების ერთი ნახევრის შესაძლებლობები ბოლომდე არ არის რეალიზებული.

გენდერული მიდგომა

გენდერული მიდგომა ნიშნავს სხვადასხვა სფეროში სქესისაგან დამოუკიდებელი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელების ხერხების შემუშავებას.

გენდერული მიდგომის განხორციელების ეტაპები შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

- კონკრეტული გენდერული პრობლემის (გენდერული უთანასწორობის) არსებობის გაცნობიერება
- ვითარების შესწავლა, ინფორმაციის მოპოვების, კვლევისა და ანალიზის საშუალებით
- გენდერული ცვლილების სტრატეგიის შემუშავება
- სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება
- სამოქმედო გეგმის განხორციელება
- განხორციელების შემუშავება

თემა VII

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გენდერული პოლიტიკა. მედიაში პოლიტიკის გაშუქების გენდერული ასპექტები

მედიის გენდერული ანალიზი, ანდა მედიის გენდერული მონიტორინგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გენდერული პარამეტრების შესწავლაა.

მედია უდიდეს როლს ასრულებს გენდერული პრობლემების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და ზოგადად, სტერეოტიპების, მათ შორის, გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა თუ კვლავწარმოებაში, ამიტომ იგი ხშირად ხდება გენდერული ანალიზის სამიზნე. მედიის მონიტორინგები საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ტარდება გლობალური მედია-მონიტორინგებიც კი, რომელთაც მსოფლიო მასშტაბის აქციის სახე ეძლევათ. მსგავსი ღონისძიება, „ვინ აკეთებს ახალ ამბებს", პირველად 1995 წლის 18 იანვარს ჩატარდა, რომლის დროსაც გაანალიზეს 71 ქვეყნის 15 ათასამდე მედია სიუჟეტი. მსოფლიო მონიტორინგი მეორედ 2000 წელს, მესამედ კი 2005 წელს განხორციელდა.

მედიის მონიტორინგის დროს გამოიყენება კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები.

ქართული მედია და გენდერული საკითხები

ქართულ მედიაში ქალები მცირედ არიან წარმოდგენილები, ქალთა და გენდერული საკითხები სათანადო მოცულობითა და სიღრმით არ შუქდება, სარედაქციო პოლიტიკა მოვლენების გაშუქებისას არ ითვალისწინებს გენდერულ განზომილებას, ჟურნალისტები არ არიან გენდერულად მგრძნობიარენი. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ქართული მედია ხელს უწყობს დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებას.

მედიის ყურადღება ძირითადად მიპყრობილია პოლიტიკური მოვლენებისადმი, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში კი ქალთა საკითხები საერთოდ არ ჟღერს. პოლიტიკა დღემდე რჩება საზოგადოებრივი აქტივობის ყველაზე მასკულინიზებულ სფეროდ. ასევე ნაკლებად ისმის ქალების აზრი მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ, რაც გამოწვეულია პოლიტიკური დისკუსიის საზღვრების სივიწროვით, როდესაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოება ნაკლებად მონაწილეობს.

ქალები თითქმის არ ჩანან ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილ რუბრიკებში, რადგანაც ძირითადად, მცირე ბიზნესით არიან დაკავებული, ხოლო ეკონომიკის ეს სფერო ქართულ მედიაში მაინცდამაინც აქტიურად არ შუქდება ასევე, დაუმუშავებელი თემაა მედიისათვის შრომის უფლებები და ზოგადად, შრომითი ურთიერთობები, რომლის სათანადოდ გაშუქების შემთხვევაშიც გენდერული პრობლემატიკა აუცილებლად იჩენდა თავს. მედიაში წარმოდგენილ ქალთა სიმცირეს განსაზღვრავს აგრეთვე ის ფაქტორი, რომ ძალიან მცირედ და ზედაპირულად შუქდება განათლების, ჯანდაცვის, სოციალური სფეროები, ანუ ის სფეროები, რომლებშიც ძირითადად, ქალები არიან დაკავებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტების უმეტესობა ქალია, ქართული მედიას აკლია გენდერული მგრძნობიარობა. საქართველოში გლობალურ მედია-მონიტორინგის ჩარჩოებში ჟურნალისტთა ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიის მიერ 2005 წელს განხორციელებულმა ანალიზმა გამოარკვია, რომ:

- ტელევიზიისა და რადიოს წამყვანთა შორის 92 პროცენტი ქალია, 8 პროცენტი — მამაკაცი;
- რეპორტიორთა შორის 71 პროცენტი ქალია, 29 პროცენტი მამაკაცი;
- ახალი ამბების გმირებს შორის კი მხოლოდ 19 პროცენტია ქალი.

მონიტორინგის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში: http://www.gmc.ge/images/news.html

რათა ნათელი გახდეს სურათი, თუ როგორ არიან ქალები წარმოდგენილი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ მედიაში, მოგვყავს სხვადასხვა წლების ქართულ

პრესაში ქალებისა და ქალთა საკითხების შესახებ მასალების მოცულობის პროცენტული მაჩვენებლები:

მასალები ქალების შესახებ	1989	1990	1999	2001
	23,4%	7,2%	9%	15%

წყარო: ლ. ხომერიკი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ნიკურაძე, **გენდერული პოლიტიკა და მასმედია**, თბილისი, 2002.

1990 წლის მედიაში ჯერ კიდევ შეინიშნება ქალებისადმი ფორმალურ ყურადღების საბჭოური ინერცია. ნიშანდობლივია, რომ პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, 1991 წლიდან ქალების შესახებ მასალები მკვეთრად იკლებს 7,2%-მდე. აღსანიშნავია, რომ ამ დროს საგაზეთო ფოტოების 39% მამაკაცთა ინდივიდუალური ფოტოებია, ხოლო 54% შეადგენს ჯგუფური ფოტოები, რომლებზედაც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი მამაკაცი პოლიტიკოსები არიან წარმოდგენილი. რადგანაც ქართული ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიისათვის გენდერული თანასწორობის საკითხი აბსოლუტურად არააქტუალური იყო, ქალებსა და ქალთა პრობლემატიკის შესახებ პუბლიკაციებს რიცხვის ასეთი კლება ბუნებრივია.

ქართული მედიის ანალიზმა გამოკვეთა ის ტენდენციები, რომლებიც ხელს უშლიან ძველი გენდერული სტერეოტიპების მოშლას;

- იმ პუბლიკაციებში, რომლებიც ოჯახს, მის სიმტკიცეს, მეუღლეთა მოვალეობებსა და ზოგადად, ოჯახურ ტრადიციებს შეეხება, ძალიან ხშირად იკვეთება, რომ ოჯახურ სიმყუდროვესა და ოჯახის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ქალს ეკისრება.
- ქალისა და მამაკაცის სექსუალური ქცევის შეფასება უმეტესწილად ორმაგი სტანდარტით ხდება, ის რაც ქალისათვის დაუშვებელია, მამაკაცისათვის მხოლოდ ხალისიანი თავგადასავლია.
- ინტერვიუებსა და სხვა ტიპის სიუჟეტებსა თუ პუბლიკაციებში საცოლის მოტაცება ხშირად სახელდება, როგორც გავრცელებული და რაც ყველაზე ცუდია, სავსებით მისაღები ფორმა დაქორწინების, რომელიც არამცთუ აღშფოთებას, გაკვირვებასაც არ იწვევს.
- პუბლიკაციებში ძალზე ხშირად გვხდება შემთხვევები, როდესაც გათხოვების შემდეგ ქალები თავს ანებებენ ან ზღუდავენ თავიანთ პროფესიულ კარიერას.
- ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელებულ ე. წ. საოჯახო ინტერვიუებში უმეტესწილად იკვეთება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქალიც ქმრის პარალელურად საინტერესო და მნიშვნელოვანი პროფესიული საქმიანობით არის დაკავებული მთელი საოჯახო საქმეები მას აწევს მხრებზე.
- სტერეოტიპები განსაკუთრებით კარგად ჩანს რეკლამაში**,** სადაც ძირითადად ქალის ორი ტიპი ფიგურირებს:
  - ⇒ ოჯახის დედა, კარგი დიასახლისი და მზრუნველი ოჯახის სისუფთავესა და კვებაზე (საკვებისა და სარეცხი ფხვნილების რეკლამაში).
  - ⇒ კომერციული სახე ლამაზი და სექსუალური ქალისა, რომელიც ნებისმიერი ტიპის საქონლის რეკლამაში შეიძლება იქნეს გამოყენებული.
- როდესაც მასალა ქალს შეეხება, მაშინაც კი, როდესაც თემა საკმაოდ სერიოზულია, ხშირად ახლავს ეროტიული შეფერილობის ფოტო.
- იშვიათად, მაგრამ მაინც გვხდება აშკარად სექსისტური გამონათქვამები.
- სიტყვა ფემინიზმი, ქართულ მედიაში ძალიან იშვიათად ჟღერს და უმეტეს შემთხვევაში ძალიან უარყოფით კონტექსტში.
- ნიშანდობლივია, რომ გენდერული თანასწორობის შესახებ ანტისტერეოტიპული მასალები და აზრები ძირითადად გვხდება ისეთ სტატიებში, რომლებიც უცხოეთს შეეხება.

თემა VIII

სახელმწიფო პოლიტიკა გენდერული და ქალთა პრობლემების სფეროში

ბევრი ქვეყანა აღიარებს, რომ არსებობს გენდერული და ქალთა პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებასა და სპეციალური ზომების განხორციელებას.

ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული უთანასწორობის პრობლემის გადასაჭრელად კომპლექსური და მიზანმიმართული პოლიტიკის აუცილებლობა ხაზგასმით აღინიშნა პეკინში გამართულ ქალთა მსოფლიო კონფერენციაზეც. ამ შეხვედრის ერთ-ერთ საკვანძო მოთხოვნას წარმოადგენდა მთავრობების მიერ ეროვნული სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება.

ქალთა და გენდერული საკითხების მოგვარებისადმი მიმართული სახელმწიფო პროგრამები სხვადასხვაგვარი და მრავალფეროვანია, მაგრამ თუ ძალიან განვაზოგადებთ შესაძლებელია გამოვყოთ მსგავსი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა:

- ⇒ სრულყოფილი გედერული სტატისტიკის წარმოება;
- ⇒ პრობლემების ყოველმხრივი სამეცნიერო შესწავლა;
- ⇒ სტატისტიკური მონაცემებისა და კვლევის შედეგების ფართოდ გავრცელება, საინფორმაციო კამპანიების მოწყობა, საზოგადოების ცოდნის ამაღლება ქალთა და გენდერული საკითხების სფეროში;
- ⇒ სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევებზე დაყრდნობით გენდერული და ქალთა საკითხების მოგვარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება;
- ⇒ საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის მიზნით;
- ⇒ სახელმწიფო პროგრამით დასახული ღონისძიებების ინსტიტუციონალური საფუძვლის შექმნა და განვითარება (სოციალური სამსახურები, კრიზისული ცენტრები, მონიტორინგის სამსახურები);
- ⇒ თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა (მაგალითად, საბერძნეთის თანასწორობის ბიურო, პორტუგალიის თანასწორობისა და ქალთა უფლებების კომისია);
- ⇒ ქალთა მონაცემთა ბაზების შექმნა (1974 წელს ირლანდიის მთავრობამ შექმნა კვალიფიციურ ქალთა მონაცემთა ბაზა, რისი მეშვეობით ხდება სახელმწიფო სამსახურისათვის შესაბამისი კანდიდატურების მოძიება. 1995 წელს ნიდერლანდის მთავრობამ დაარსა ორგანიზაცია „თოპლინკი“, რომლის მიზანიც არის შექმნას კვალიფიციურ ქალთა მონაცემთა ბაზა, რომელიც დაეხმარება სახელმწიფო სააგენტოებს, პარტიებს, კერძო კომპანიებს მოძებნონ შესაბამისი კვალიფიკაციის ქალები).

როგორც წესი, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები აუცილებლად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ⇒ **დედობისა და ოჯახის დახმარება** (რა ხასიათისაა და მოცულობის ამგვარი პროგრამები, როგორია დაფინანსება);
- ⇒ **მარტოხელა მშობლებისა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;**
- ⇒ **ოჯახური ძალადობა და ძალადობა ქალის მიმართ** (როგორია კანონმდებლობა, არსებობს თუ არა დახმარების სამსახურები, რა ხარისხისა და მოცულობის მომსახურების გაწევა შეუძლიათ, როგორია სამართალდამცავ ორგანოებში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისა და სასამართლო საქმეების წარმოების ხარისხი, ტარდება თუ არა პრევენციული ზომები);
- ⇒ **გადაწყვეტილების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის უზრუნველყოფა;**
- ⇒ **ტრეფიკინგი;**
- ⇒ **პროსტიტუცია;**
- ⇒ **ჯანდაცვის პროგრამები** — ორსულთა, ახალშობილთა და მშობიარეთა, ბავშვთა

ჯანდაცვა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, კონტრაცეფციისა და მათ შორის, აბორტის საკიხები, ქალურ ორგანოთა დაავადებები (მათ შორის, სიმსივნური).

გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი კანონმდებლობა

ლიტვა

1998 წელს ლიტვამ მიიღო ***კანონი ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობების შესახებ*** და დააწესა ***თანაბარი შესაძლებლობების კონტროლიორის*** სამსახური. ეს იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში ამგვარი ხასიათის კანონის მიღების პირველი შემთხვევა.

კანონი მოქმედების სფერო მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო მართვის ორგანოებს და საკუთრების ნებისმიერი ფორმის დაწესებულებებს.

თანაბარი შესაძლებლობების კონტროლიორი განიხილავს საჩივრებს გენდერული დისკრიმინაციისა და სამუშაო ადგილზე სექსუალური იძულების შესახებ. კონტროლიორს შეუძლია შემთხვევის შესწავლის შემდეგ დააწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა ან სასამართლოს გადასცეს საქმე. ფულადი ჯარიმები მიდის სახელმწიფოს ბიუჯეტში და არა დაზარალებულ პირთან. კონტროლიორს გამოძიებებს აწარმოებს თავისი ინიციატივითაც, ასევე მონიტორინგს უწევს დისკრიმინაციული ხასიათის განცხადებებს პრესაში, შეიმუშავებს წინადადებებს კანონმდებლობის დახვეწის მიზნით.

კანონის მიღებისა და კონტროლიორის სამსახურის გაჩენის შემდეგ ლატვიის პრესაში შემცირდა დისკრიმინაციული ხასიათის განცხადებები. 2000-2001 წლებში, ანუ ფუნქციონირების პირველ წელს ქალისა და მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობების კონტროლიორის სამსახურმა განიხილა 47 განცხადება. საჩივრების რიცხვი იზრდება და ლიტვის რიგითი მოქალაქეები უფრო ხშირად მიმართავენ თანაბარი შესაძლებლობების კონტროლიორს.

ესტონეთი

ესტონეთმა 2000 წელს ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს სოციალურ ქარტიას (Social Charter of Council of Europe). ესტონეთს ჰყავს თავისი წარმომადგენელი ევროპის საბჭოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის კომიტეტში (Steering Committee for Equality Between Women and Men).

ევროპის საბჭომ მიიღო დაახლოებით 20 დოკუმენტი, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გასავითარებლად ევროპის სახელმწიფოებში. ესტონეთმა დაიწყო თავისი კანონმდებლობისა და ევროპის საბჭოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. გამოჩნდა მნიშვნელოვანი განსვლები თანასწორობის ევროპულ სტანდარტებსა და ესტონეთის კანონმდებლობას შორის. ესტონეთმა აიღო ვალდებულება მიიღოს **გენდერული თანასწორობის აქტი**. გენდერული თანასწორობის კანონის მიღება იქნება ერთ-ერთი წინაპირობა ესტონეთის მიერთებისა ევროპის კავშირისადმი. თანასწორობის კანონმა უნდა შექმნას სამართლებრივი ბაზისი გენდერული თანასწორობისადმი მიმართული საქმიანობების სახელმწიფო დონეზე წარსამართავად.

სახელმწიფო პოლიტიკა ოჯახური ძალადობის სფეროში (კანადის მაგალითი)

კანადა მოწინავე ქვეყანაა ოჯახური ძალადობის სფეროში ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით. კანადაში კარგად არის დამუშავებული ფედერალური და რეგიონალური კანონები ოჯახური ძალადობის შესახებ და, ასევე, არსებობს ეფექტური სოციალური პროგრამები ადგილობრივ დონეზე. შექმნილია ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემმუშავებელი კომისია. 1988 წლიდან მოქმედებს ოჯახური ძალადობის სამთავრობო პროგრამა.

ფედერალური დონე

საკითხის შესწავლა. ქალის წინააღმდეგ ძალადობის პრობლემის კვლევა კანადაში 20 წელზე მეტი ხანია რაც მიმდინარეობს. 1991-93 წწ. ჩატარდა მსხვილმაშტაბიანი

გამოკითხვა, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა. შეიკრიბა მონაცემები ოჯახური ძალადობის პრობლემის ბუნებისა და მასშტაბის გასარკვევად. არსებობს ოჯახური ძალადობის შემსწავლელი 5 ცნობილი კვლევითი ცენტრი, რომლებიც ფინანსირდება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და კანადის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სამეცნიერო საბჭოს მიერ. ეს ცენტრები უზრუნველყოფენ პარტნიორულ ურთიერთობებსა და ურთიერთთანამშრომლობას ოჯახური ძალადობის საკითხზე მომუშავე მეცნიერებს, პედაგოგებს, პრაქტიკოსებს, პოლიტიკოსებსა და ქვეყნის მასშტაბით მოქმედ 600-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის.

კანონდებლობა. სპეციალური ცალკე ფედერალური კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ არ არსებობს. მაგრამ 1994 წლიდან მოყოლებული სისხლის სამართლის კოდექსში შედის შესწორებები, რომლებიც ითვალისწინებენ სამართლებრივი ზომების სისტემის შექმნას ქალების, ბავშვებისა და ხანდაზმულთა ძალადობისაგან დასაცავად.

პროგრამები. 1997/98 წწ. ოჯახური ძალადობის შესამცირებლად მიმართულმა ფედერალურმა ფინანსირებამ შეადგინა 30,7 მლნ. დოლარი, ეს თანხა ხმარდება თავშესაფრების შენახვასა და, ასევე, პროფილაქტიკურ მუშაობას.

კანადის მთავრობის საქმიანობა წარმოადგენს ოჯახური ძალადობის საკითხთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების ახალ საფეხურს. ამ პრობლემაზე მუშაობა ინტეგრირებულია ისეთი სტრუქტურების მიმდინარე პროგრამებში, როგორიცაა ჯანდაცვის დეპარტამენტი, პოლიცია, ქალთა საქმეების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სტატისტიკის სამმართველო, მშენებლობისა და უძრავი ქონების სამინისტრო, მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამინისტრო.

სახელმწიფო პროგრამა მრავალ მიმართულებიანია:

ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს საქმიანობას მსხვერპლთათვის სამედიცინო დახმარების გასაუმჯობესებლად:

⇒ სამედიცინო პერსონალისათვის სპეციალური სწავლების ორგანიზება (სემინარებისა და კურსების ჩატარება სამედიცინო სასწავლებლებთან და ექიმებისა და ექთნების ასოციაციებთან თანამშრომლობით);

⇒ კვლევის განხორციელება „ჯანდაცვა და ძალადობა ქალის წინააღმდეგ“ (ძალადობის გავლენის შესწავლა მსხვერპლთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე);

⇒ ძალადობის მსხვერპლებთან მოპყრობისას ქცევის წესების შემუშავება ექიმებისათვის;

⇒ სახელმძღვანელოს მომზადება ექთნებისათვის, რომლებიც დახმარებას უწევენ ოჯახური ძალადობით დაზარალებულთ.

გენერალური პროკურატურა და იუსტიციის სამინისტროს განსახორციელებელ საქმიანობაში შედის:

⇒ შესწორებების მომზადება პარლამენტში წარსადგენად კანონმდებლობის დახვეწის მიზნით;

⇒ პოლიციელთა, პროკურორთა, საპატრულო სამსახურებისა და პენიტენციალური სისტემის მუშაკთა ტრენინგი;

⇒ სპეციალური ინსტრუქციის შემუშავება პოლიციელებისათვის, როგორ იმოქმედონ ოჯახური ძალადობის შემთხვევებში;

⇒ საინფორმაციო მასალების შემუშავება პოლიციელებისათვის, იმის შესახებ თუ როგორ აღმოუჩინონ დახმარება ძალადობით დაზარალებულებს;

⇒ სახელმძღვანელოს მომზადება სოციალური მუშაკებისათვის.

ოჯახური ძალადობის პრობლემაზე მუშაობა რეგიონულ დონეზე

ცალკეულ პროვინციებს აქვთ შემუშავებული სპეციალური რეგიონალური კანონები ოჯახური ძალადობის საკითხზე. მაგალითად, ალბერტის პროვინციამ 1998 წელს მიიღო ***ოჯახური ძალადობისაგან დაცვის აქტი,*** რომელიც ითვალისწინებს ოჯახის ყველა

წევრის (ქალების, მამაკაცების, ბავშვების, ხანშიშესულების) დაცვას ძალადობისაგან. 1995 წელს სასკეჩევანის პროვინციამ მიიღო **აქტი ოჯახური ძალადობის მხვერპლთა შესახებ**. აქტი ითვალისწინებს სპეციალური ორდერების გაცემას, რომელიც იძლევა პოლიციის მხრიდან დაუყოვნებელი ჩარევის უფლებას და ავალებს პოლიციას თვალყური ადევნონ კრიზისულ ოჯახებს და დაიცვან მისი წევრები მოძალადისაგან.

რეგიონებში მოქმედებს სხვადასხვაგვარი პროგრამები, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა **პრევენციული ზომების** მიღებას. ტარდება საინფორმაციო კამპანიები, მოზარდებისათვის შემუშავებულია საინფორმაციო პაკეტი ძალადობის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად.

ონტარიოს პროვინციაში ტარდება ყოველწლიური ტრენინგი იმ პროკურორებისათვის, ვინც სპეციალიზდებიან ოჯახური ძალადობის საქმეებზე. წარმატებით მოქმედებს, აგრეთვე, პროგრამა „მოწმე — მსხვერპლი“, რომელიც ითვალისწინებს იმ მოწმეების დახმარებას, რომლებიც თვითონაც დაზარალდნენ. ამ მოწმეების უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან.

მანიტობას პროვინციაში მოძალადეებისათვის შემუშავებულია 3 ტიპის პროგრამა:

⇒ ჯგუფური თერაპიის 24 საათიანი მეცადინეობები;
⇒ 84 საათიანი ინტენსიური თერაპიის პროგრამა (მათთვის, ვისაც პირობითი სასჯელი აქვს);
⇒ 300 საათიანი პროგრამა მსჯავრდებულებისათვის.

მოქმედებს ქალთა დაცვის პროგრამები (The Women's Advocacy Program), რომელთა ფარგლებშიც ხდება ქალებს ეხმარება სამართალდამცავ სისტემასთან ურთიერთობის ნებისმიერ საფეხურზე.

ერთ-ერთ პროვინციაში შექმნილია **ოჯახური ძალადობის სასამართლო**, ქალების, ბავშვებისა და ხანდაზმულთა წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევების მეტი ყურადღებითა და პროფესიონალურად განხილვისათვის. მოსამართლეებსა და პროკურორებს სპეციალური სწავლება აქვთ მიღებული და სასამართლო ძალზე წარმატებულად მუშაობს. ონტარიოში ოჯახური ძალადობის ორგვარი სასამართლო მოქმედებს, ერთი, რომელიც შედარებით იოლ შემთხვევებს განიხილავს (როდესაც ოჯახის წევრებს, სურთ შემდგომში ერთად ცხოვრების გაგრძელება), და მეორე, რომელსაც სერიოზულ საქმეებთანა აქვს საქმე. ასეთმა სპეციალიზაციამ მართლმსაჯულების ხარისხი მკვეთრად გააუმჯობესა.

დიდ ქალაქებში, მაგალითად, ტორონტოში მოქმედებს ოჯახურ ძლადობაზე დაუყოვნებელი რეაგირების სისტემა (Domestic Violence Emergency Response System). ამ სისტემის დამნერგავები არიან კანადის უსაფრთხოების სამსახური, ტორონტოს პოლიცია და მსხვერპლთა დახმარების სამსახურები.
სისტემა მუშაობს 24 საათიან რეჟიმში. ძალადობის მსხვერპლები უსასყიდლოდ არიან უზრუნველყოფილი პორტატიული სასიგნალო აპარატურით, რაც საშუალებას აძლევთ საშიშროების შემთხვევაში სასწარფოდ გამოიძახონ პოლიციის თანამშრომელი. რისკ-ჯგუფის განსაზღვრას ახდენენ ადგილობრივი სოციალური სამსახურები.

თავშესაფრები. კანადაში ამჟამად მოქმედებს მხსვერპლთა თავშესაფრების ქსელი, რომელშიც გაერთიანებულია 470 დაწესებულება. თავშესაფრები არის როგორც ქალაქებში, ისე სასოფლო რაიონებში.

თავშესაფრების დაფინანსების 82% მოდის ფედერალური სახსრებიდან, დანარჩენს რეგიონისა და მუნიციპალური სახსრები შეადგენს. 30 მლნ. დოლარი შემოდის არასამთავრობო წყაროებიდან (შემოწირულობები, საქველმოქმედო ლატარიები, გრანტები).

90-იან წლებში კანადის მთავრობამ გაითვალისწინა ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემმუშავებელი კომისიის რეკომენდაციები და გააფართოვა მუშაობა ისეთ ჯგუფებთან, რომლებისთვისაც ნაკლებად მისაწვდომი იყო კრიზისული ცენტრების მომსახურება. ასეთი ჯგუფებია: სოფლად მცხოვრები ქალები, ეთნიკური უმცირესობები, ემიგრანტები, ინვალიდები.

თემა IX

გენდერული ბიუჯეტი

ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ნიშნავს ქალებსა და მამაკაცებზე ბიუჯეტის განსხვავებული ზემოქმედების კვლევას. გენდერული ბიუჯეტი ხელს უწყობს საჯარო სახსრების სამართლიან განაწილებასა და მათ ეფექტურ განთავსებას, ბიუჯეტის დაგეგმვისას სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებას. გენდერული ბიუჯეტი, ასევე, ხელს უწყობს კარგი მართვის პრინციპების გამყარებას, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

გენდერული ბიუჯეტის ინიციატივა პირველად ავსტრალიაში განხორციელდა 1984 წელს. გაანალიზდა ბიუჯეტის გავლენა გენდერულ ურთიერთობებზე. ავსტრალიური გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლების თვალ-საზრისით, არამედ ეს მიდგომა სარეკომენდაციო იყო შემდგომი ინიციატივებისათვის.

ბრიტანეთში 1989 წლიდან მოყოლებული ქალთა საბიუჯეტო ჯგუფი (British Women's Budjet Group), რომელიც აერთიანებს ექსპერტებს უნივერსიტეტებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფკავშირებიდან, ყოველწლიურად აქვეყნებს კომენტარებს ეროვნულ ბიუჯეტზე.

1993 წელს მშვიდობისა და თავისუფლების ქალთა საერთაშორისო ლიგამ წამოიწყო გენდერული ბიუჯეტის ინიციატივა კანადაში. უსაფრთხოების ალტერნატიულ კონცეფციაზე დაფუძნებული ეს ინიციატივა ფოკუსირებულია სოციალური უზრუნველყოფისა და თავდაცვის ხარჯებზე. ბრიტანეთისა და კანადის გარდა გენდერული ბიუჯეტის პროექტების უმეტესობა სამხრეთ ნახევარსფეროში განხორციელდა. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სამხრეთ აფრიკის ქალთა საბიუჯეტო ინიციატივა, წამოწყებული 1995 წლის პირველი დემოკრატიული არჩევნების შემდეგ.

ამჟამად გენდერული ბიუჯეტირება ხორციელდება მსოფლიოს 40-ზე ქვეყანაში. გენდერული ბიუჯეტირების ინიცირებისა და წარმართვის პრაქტიკა მრავალფეროვანია. (**Parliament, the Budget and Gender,** Joachim Wehner, Winnie Byanyima, the handbook jointly produced by the IPU, UNDP, WBI and UNIFEM).

გენდერული ბიუჯეტი – თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა დაინერგოს სამთავრობო პოლიტიკის მიერ ინტერესთა გათვალისწინების დიფერენცირებადი აღრიცხვის პრინციპი სოციალურ-გენდერული ნიშნის მიხედვით. გენდერული ბიუჯეტი არ წარმოადგენს განსხვავებულ ბიუჯეტებს ქალისა და მამაკაცისათვის, ის ითვალისწინებს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას. გენდერული ბიუჯეტი არის ფინანსური მექანიზმი თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად. (ჩარიტა ჯაში, გენდერული ბიუჯეტი/სემინარის მასალები, თბილისი, 2004).

თემა X

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში

ქართულ საზოგადოებაში მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი და ხშირად რადიკალური ცვლილებების მიუხედავად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული მიდგომების დანერგვა სახელმწიფო თუ ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სქესთა შორის უთანასწორობის პრობლემის აქტუალიზებას ხელს უშლის წლების მანძილზე დაგროვილი და გადაუჭრელი უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომლებიც როგორც პოლიტიკური სპექტრის, ისევე საზოგადოების უმეტესი ნაწილის მიერ უფრო მნიშვნელოვნად აღიქმება. ამავე დროს, ჯერ არ არის სათანადოდ გააზრებული, რომ ნებისმიერი სფეროს პოლიტიკის შემუშავებისას, ნებისმიერი ეროვნული თუ ადგილობრივი დონის პროგრამის წარმატებულობისათვის აუცილებელია მასში გენდერული მიდგომების დანერგვა. საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთის ქვეყნები დიდი ხანია აღიარებენ, რომ გენდერული მეინსტრიმინგი, ანუ გენდერული პარამეტრების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში არა მარტო გენდერული თანასწორობის მიღწევას უწყობს ხელს, არამედ, ნებისმიერი პოლიტიკის ეფექტურობის მნიშვნელოვანი წინაპირობაცაა. გენდერული მიდგომების დანერგვა, ანუ განსხვავებული საჭიროებებისა და პრობლემების დანახვა, გამოცდილებისა და ხედვების მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინება, თავისთავად ძალიან ღირებულია და ხელს უწყობს სოციალურად მგრძობიარე, საზოგადოების ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკის განხორციელებას. მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფცია გენდერული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია.

სახელმწიფო დონეზე ეფექტური გენდერული პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს **ინსტიტუციური მექანიზმები**, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის მიღწევის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, აგრეთვე, ამ სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კოორდინირებას.

1994 წელს საქართველო მიუერთდა „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენციას“. 1995 წელს კი, პეკინში გამართულ ქალთა IV მსოფლიო კონფერენციაზე შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც შეთანხმდნენ, შეემუშავებინათ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა პეკინის პლატფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. დღემდე ამ მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

პეკინის პლატფორმის 12 მიმართულებიდან ერთ-ერთი სწორედ ეროვნულ დონეზე ინსტიტუციური მექანიზმების შექმნაა. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, გენდერული თანასწორობის ეროვნულმა ინსტიტუციურმა მექანიზმმა ეფექტურად რომ იმუშაოს, ანუ წარმატებით მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში გენდერული პარამეტრების ინტეგრირება, საჭიროა ის მაღალ სამთავრობო დონეზე არსებობდეს, ფლობდეს გარკვეულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს და ჰქონდეს პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც გენდერული თანასწორობის საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში არ შედის, სახელმწიფო დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების სტიმულირებას ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციები ახდენენ. 1998 წელს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „ქალები განვითარების პროცესში“ ხელშეწყობით პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს უშიშროების საბჭოში შეიქმნა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული კომისია. ეს იყო პირველი მცდელობა საქართველოში სამთავრობო დონეზე გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე სტრუქტურის შექმნისა. თუმცა, ამ სტრუქტურის ეფექტური ამოქმედება იმ პერიოდისათვის ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ ასევე ქაღალდზე დარჩა პეკინის სამოქმედო პლატფორმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების 1998-2000 წლების

სამოქმედო გეგმა, რომელსაც მოჰყვა 2000-2004 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც წინა არშესრულებული დოკუმენტის თითქმის მექანიკური ასლია.

საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების შემდგომი ეტაპი ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო. მუშაობა ორი მიმართულებით წარიმართა: ადგილობრივი ქალთა ორგანიზაციების კოალიციის ერთმა ჯგუფმა მთავრობას წარუდგინა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა **გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიის** შექმნას, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ახალამოქმედებულმა პროექტმა „გენდერი და პოლიტიკა" მიზნად დაისახა პარლამენტის სპიკერთან არსებული **გენდერული თანასწორობის საბჭოს** ჩამოყალიბება. ორივე მიმართულებით გაწეული დიდი ძალისხმევის შედეგად, საქართველოში პირველად მივიღეთ ისეთი მდგომარეობა, როცა გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე სტრუქტურა არსებობს ხელისუფლების როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო შტოში.

განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს ის გარემოება, რომ სამთავრობო კომისია შეიქმნა ადგილობრივი ორგანიზაციების ძალისხმევით, ანუ ინიციატივით «ქვემოდან», რაც საკმაოდ უჩვეულო პრეცედენტია. ამ ინიციატივის წარმატება მიანიშნებს იმაზე, რომ ქალთა ორგანიზაციები წინა პერიოდთან შედარებით განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდნენ. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა ხელისუფლებისათვის გენდერული თანასწორობა არ არის პრიორიტეტული საკითხი და ინსტიტუციური მექანიზმების მდგრადობისა და მათი ეფექტური მუშაობის უზრუნ-ველყოფისათვის სწორედ ის ფაქტორი გახდება გადამწყვეტი, თუ როგორ მოახერხებს საზოგადოებრივი სექტორი რესურსების მობილიზებას ამ ახალი სტრუქტურების გასაძლიერებლად.

ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის ინსტიტუციური მექანიზმების ჯგუფმა, სამთავრობო კომისიის შექმნის ინიციატივის პარალელურად, ეუთოს მისიის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა **გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა**. გეგმის ეფექტურობის წინაპირობად თავიდანვე დაისახა, რომ მისი შემუშავების პროცესი ფართო და მონაწილეობითი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ქალთა კოალიციის 56 წევრმა-ორგანიზაციამ, ქალთა სამშვიდობო ქსელის 41 წარმომადგენელმა, ქალთა რეგიონული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის 88 წარმომადგენელმა საქართველოს 10 რეგიონიდან. პარალელურად მოხდა სახელმწიფო სტრუქტურების, კერძოდ 14 სამინისტროს 45 წარმომადგენლის ჩართვა შემუშავების პროცესში. გეგმის პროექტი გაიგზავნა, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებში ექსპერტიზისა და რეკომენდაციების მისაღებად. ამგვარად, ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე დაცულ იქნა პეკინის პლატფორმის 294 პუნქტის მოთხოვნა, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმით უნდა წახალისდეს აქტიური მხარდაჭერა და ფართო მონაწილეობა სხვადასხვა ინსტიტუციონალური აქტორებისა, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოების, აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტებისა, პროფესიული ასოციაციების, მედიის, ადგილობრივი სათემო ჯგუფებისა და არასამთავრობო, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებისა.

ამგვარად, ამ ეტაპზე მიღწეულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებში და ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებული პროექტის არსებობა. თუმცა წინ ურთულესი ამოცანებია:

- სამოქმედო გეგმის წარმატებული ლობირება და მისი დამტკიცება მთავრობის მიერ;
- ინსტიტუციური მექანიზმების კოორდინირებული და ეფექტური და ნაყოფიერი მუშაობის აწყობა;
- სამოქმედო გეგმის წარმატებულად შესრულების უზრუნველყოფა.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ გამოკვეთა ძირითადი გენდერული პრობლემები და დასახა სტრატეგიული მიზნები, ანუ გენდერული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები. გეგმის თანახმად, უნდა გაგრძელდეს მუშაობა ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმების შემდგომი განვითარების მიმართულებით, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა სამინისტროში

გენდერულ საკითხებზე მომუშავე პასუხისმგებელი პირის, ე.წ. გენდერული ოფიცერის თანამდებობის შემოღება, სამინისტროების გენდერული ერთეულების კაპაციტეტის გაძლიერება, მათი ტექნიკური აღჭურვა და სპეციალისტების ტრენინგები. ასევე, უმნიშვნელოვანესი საკითხია, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების საქმიანობის საბიუჯეტო უზრუნველყოფა. შედეგად, სამიზნე სამინისტროებში უნდა მივიღოთ, ისეთი გენდერული ერთეულები, რომელთაც შეუძლიათ სამინისტროს საქმიანობის, პროექტებისა და პროგრამების გენდერული ექსპერტიზის განხორციელება, რეკომენდაციების გაწევა და სამინისტროს მიერ შემუშავებულ პოლიტიკაში გენდერული მიდგომების ინტეგრირება.

მართვაში გენდერული პარამეტრების დანერგვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი სრულყოფილი **გენდერული სტატისტიკაა**. ამიტომ, აუცილებელია გენდერული სტატისტიკის ინდიკატორების შემუშავება და მათი დანერგვა ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების შესაბამის დონეებზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გენდერული სტატისტიკის გავრცელებისა და ეფექტურად გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა. გენდერული სტატისტიკის განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება გენდერული ანალიზის სიღრმის მიღწევა, მკაფიო, გაზომვადი მიზნების დასახვა და მიღწეული შედეგების ზუსტი შეფასება.

გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის, უმნიშვნელოვანესია ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, ტრეფიკინგის წინააღმდეგ, მიგრაციის შესახებ კანონების მიღება. ძალზე აქტუალური და მტკივნეული საკითხია შრომის კოდექსის პროექტის დახვეწა გენდერული თვალსაზრისით. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ პროექტში ბევრი ხარვეზი იყო ამ თვალსაზრისით, რამაც მწვავე საჯარო დებატები გამოიწვია.

გენდერული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა **გენდერული ბიუჯეტის** პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისას. გენდერული ბიუჯეტის ცნება შედარებით ახალია და ითვალისწინებს ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს, რომელიც წარმოაჩენს ქალებსა და მამაკაცებზე საბიუჯეტო ხარჯების განსხვავებული გავლენას და ხელს უწყობს ბიუჯეტის ისეთ დაგეგმვას, რომელიც საბიუჯეტო რესურსებს თანაბრად მისაწვდომს ხდის ორივე სქესისათვის. რაკიღა გენდერული ბიუჯეტი ახალი ცნებაა, დასაწყისისათვის საჭიროა 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელება, საბიუჯეტო პროცესის შეფასების გენდერული ინდიკატორების შემუშავება და სპეციალური სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული ბიუჯეტირების შესახებ ცოდნის გავრცლებას და დაეხმარება სამინისტროებისა თუ ადგილობრივი ხელისუფლების გენდერულ ერთეულებს განახორციელონ სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების ბიუჯეტების გენდერული ანალიზი.

სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს გენდერული პარამეტრების დანერგვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც გულისხობს შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, მცირე ბიზნესის განვითარებასა და მეწარმე ქალთა წახალისებას, სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის შემუშავებას გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძნობიარე სოციალური დაცვის პოლიტიკისა და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ნაბიჯები გადაიდგა ტრეფიკინგის წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი მიდგომის ჩამოყალიბების საქმეში. ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისთვის და ტრეფიკინგის დანაშაულის და მისი ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 დეკემბრის 623 ბრძანებულებით დამტკიცდა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა და ამ სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, 2005 წლის 1 თებერვალს შეიქმნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია. თუმცა, 2005-2006 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებათა უმრავლესობა არ შესრულებულა. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა ჯერ არ ჩამოყალიბებულა, შესაბამისი კონვენციები არ არის რატიფიცირებული, ტრეფიკინგის შესახებ კანონმა მხოლოდ პირველი საპარლამენტო მოსმენა გაიარა, შენობა თავშესაფრისათვის არ არის გამოყოფილი.

გადაუდებელი ამოცანაა, აგრეთვე, ოჯახური ძალადობისაგან დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა და სათანადო სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება.

ცხადია, ამგვარი კომპლექსური ამოცანების გადაჭრა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიისა და საპარლამენტო საბჭოს შემდგომ გაძლიერებასა და ერთობლივ ნაყოფიერ საქმიანობას მოითხოვს. საპარლამენტო საბჭომ და სახელმწიფო კომისიამ ერთობლივად შეიმუშავა **სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის კონცეფცია,** რომლის დამტკიცებაც 2006 წლის ზაფხულშია მოსალოდნელი. კონცეფცია და სამოქმედო გეგმა უნდა იქცნენ იმ ძირითად დოკუმენტებად, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს სტრატეგიას გენდერული თანასწორობის მიღწევის სფეროში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური საფუძვლის შექმნის პროცესი ადგილობრივ დონეზეც წარიმართა. კერძოდ, საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრმა" ბრიტანეთის საელჩოსა და ეუთოს მიერ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში "აქტიური ქალები ცვლილებებისათვის", შესძლო ოთხი რაიონის (მცხეთა, დუშეთი, ჩოხატაური, ახალციხე) მმართველობაში **გენდერულ საქმეთა სამსახურების** შექმნის პროცესის ინიცირება. ეს საქართველოში პირველი პრეცედენტია ადგილობრივ ხელისუფლებაში გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალური სტრუქტურის შექმნისა. ახალშექმნილი სამსახურები ტექნიკურად აღჭურვა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა "გენდერი და პოლიტიკა", ხოლო სამსახურების წარმომადგენლებმა შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად რამდენიმე ტრენინგი გაიარეს, მათ შორის, "პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისათვის — საქართველოსა" და "პარტნიორები – პოლონეთის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რაც ამ სფეროში პოლონური გამოცდილების გაზიარებას ისახავდა მიზნად. იმისათვის, რომ ახალშექმნილმა ერთეულებმა შესძლონ თავიანთი სიცოცხლისუნარიანობის დადასტურება, დააგროვონ გამოცდილება და ნაყოფიერი საქმიანობის პოზიტიური მაგალითი შექმნან სხვა ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის, რაიონის გამგეობების გენდერული სამსახურების ადამიანური და ტექნიკური რესურსების გაძლიერება აუცილებელია შემდგომშიც გაგრძელდეს, მით უფრო, რომ ამ სამსახურებს დებულებით საკმაოდ ფართო პასუხისმგებლობები აკისრიათ, კერძოდ:

- გენდერული პრობლემების შესახებ მონაცემთა მიღებისა და ანალიზის სისტემის ჩამოყალიბება და გენდერული სტატისტიკის შექმნა რაიონის მასშტაბით;
- ადგილობრივი სოციალურ – ეკონომიკური სიტუაციის ყოველწლიური გენდერული ანალიზი;
- გენდერული პარამეტრების უზრუნველყოფა ადგილობრივ ბიუჯეტში, ქალებსა და მამაკაცებზე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების განსხვავების ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;
- ადგილობრივი მმართველობის მოხელეთა გენდერული განათლების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი პროგრამების გენდერული ანალიზი და პროგრამების შემუშავებისას გენდერული პარამეტრების დანერგვის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო პროგრამების გენდერული კომპონენტების შესრულების ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე;
- ანგარიშების მიღება ცალკეული განყოფილებებისა და სამსახურების მიერ გენდერული პარამეტრების შესრულების შესახებ.

გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება, პოლიტიკურ დღის წესრიგში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების წამოწევა და მათი გადაჭრა შეუძლებელი გახდება, თუ ვერ მოხერხდა ძალისხმევისა და რესურსების მაქსიმალური მობილიზება, გენდერულ პრობლემებზე მომუშავე, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 289 პუნქტის თანახმადაც, „არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაკუთრებული როლი აქვთ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე დამყარებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ინტელექტუალური კლიმატის შექმნაში. ქალთა ორგანიზაციები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელებასა და მონიტორინგში".

თემა XI

გენდერული პოლიტიკის განხორციელება რეგიონულ დონეზე

გერმანია/ ზაარის მხარის მაგალითი
1996 წლის ზაარის მხარის ლანდთაგმა (სამხარეო პარლამენტმა) მიიღო **კანონი ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის განხორციელების შესახებ**. კანონის მიზანია გენდერული თანასწორუფლებიანობის რეალურად განხორციელება საჯარო დაწესებულებებში, რაც გულისხმობს ნებისმიერ ფუნქციურ და საშემოსავლო დონეზე ქალთა წარმომადგენლობის არსებული სიმცირის მოშლას და სამსახურეობრივი და ოჯახურ-მზრუნველობითი მოვალეობების შეთანხმებას. ოჯახური მოვალეობა გულისხმობს მცირწლოვანი ბავშვების აღზრდას და ოჯახის იმ წევრებზე ზრუნვას, რომლებიც მოვლას საჭიროებენ.

კანონით საჯარო დაწესებულებებს ევალება:

- **გენდერული სტატისტიკის წარმოება**, რომელიც მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: ქალებისა და მამაკაცების მიერ დაკავებული სრული და არასრული შტატები სატარიფო თანრიგების მიხედვით, შრომის ანაზღაურება, შვებულებების რაოდენობა და ხანგრძლიობა, პროფესიული განათლების მიმღებთა რაოდენობა სქესების მიხედვით. ეს სტატისტიკა უნდა ქვეყნდებოდეს დაწესებულებაში და აგრეთვე, უნდა გადაეცეს სტატისტიკის დეპარტამენტსა და ქალთა, სამუშაოს, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს. უნდა გაანალიზდეს შედეგები სამხარეო დონეზე და გამოქვეყნდეს სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ.

- **ქალთა თანასწორუფლებიანი განვითარების გეგმის შემუშავება.** თითოეულმა სამსახურმა უნდა წარადგინოს სამწლიანი გეგმა ქალთა წარმომადგენლობის სიმცირის აღსაკვეთად. გეგმა უნდა მოიცავდეს მეტწილად მამაკაცებით დაკომპლექტებული სამუშაო ადგილების იმგვარად შეცვლას, რომ მათი დაკავება ქალებმაც შესძლონ.

- **სამუშაო დროის მოდელების გამოცდა პროფესიული და საოჯახო მოვალეობების შეთავსებისათვის.** იმ პირებმა, რომლებიც ზრუნავენ ოჯახის წევრებზე შეუძლიათ გარკვეული ხნით მოითხოვონ არასრული სამუშაო დრო (დღიური, კვირეული, თვიური ან წლიური).

- **ღონისძიებების გატარება სამუშაო ადგილზე სექსუალური იძულების წინააღმდეგ;**

- **ქალთა რწმუნებულები.** საჯარო სამსახურებმა უნდა დააწესონ ქალთა რწმუნებულის თანამდებობა, რომელიც კონსულტაციას გაუწევს და დაეხმარება როგორც მთლიანობაში სამსახურს, ისე თანამშრომლებსაც თანასწორუფლებიანობის რეალურად დამკვიდრებაში. ქალთა რწმუნებულს ირჩევენ მდედრობითი სქესის თანამშრომლები სამი წლის ვადით. ქალთა მუნიციპალური რწმუნებული მონაწილეობას იღებს ყველა გეგმის, ღონისძიების, პროექტის შემუშავება-შეფასებაში, რომლებმაც გავლენა შეიძლება მოახდინოს იმ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ცხოვრებაზე.

ზაარის მხარეში არსებობს ქალთა, სამუშაოს, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. საარბრიუკენის მერიაში შექმნილია **ქალთა განყოფილება**, რომლის მოვალეობაცაა თვალი ადევნოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულ ნებისმიერ დოკუმენტს, განვითარების გეგმას, ბიუჯეტს, მოახდინოს გენდერული ანალიზი და შეიმუშაოს რეკომენდაციები ისეთ დებულებებზე, რომელიც არ ითვალისწინებენ ან ეწინააღმდეგებიან ქალთა ინტერესებს.

საქართველოში ჯერჯერობით სამხარეო დონეზე პოლიტიკის ფორმირებაში გენდერული მიდგომების დანერგვის ერთადერთი ინიციატივა, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შექმნილმა ქალთა რეგიონულმა ცენტრმა წამოიწყო. კერძოდ, ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა სამცხე-ჯავახეთში გენდერული პოლიტიკის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2006-2008 წ.წ.) შემუშავების პროცესს. სამოქმედო გეგმა მიზნად

ისახავს სამცხე-ჯავახეთში გენდერული პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრას, გენდერული პოლიტიკის განხორციელების ლობირებას, მართვის პროცესში გენდერული პარამეტრების გათვალისწინებისა და, რეგიონში არსებული გენდერული ასიმეტრიის შემცირების ხელშეწყობას. გეგმა კომპლექსურია და დასახული მიზნების შესასრულებლად ხელისუფლების ორგანოებისა და საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანებაა საჭირო. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ხელისუფლების, მათ შორის, რეგიონის ექვსივე რაიონის გამგებელმა, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა. სამცხე-ჯავახეთის გენდერული პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა საქართველოში სამხარეო დონეზე შემუშავებული ამ სახის პირველი დოკუმენტია და შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის ფორმირების პირველი მცდელობაა.

თემა 12

გენდერული სტატისტიკა — პოლიტიკის შეფასების, ანალიზის, დაგეგმვის ინსტრუმენტი

წყარო: UNECE's Gender Statistics Website for Europe & North America
http://www.unece.org/stats/gender/web

რა არის გენდერული სტატისტიკა?

გენდერული სტატისტიკა შედარებით ახალი დარგია და კონცეფტუალურად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე, უბრალოდ, სქესის ნიშნით დაყოფილი მონაცემები. გენდერული სტატისტიკა ასახავს ქალისა და მამაკაცის მდგომარეობას ყველა სფეროში – და შესაძლებლობას იძლევა გენდერული საკითხების სისტემური შესწავლისათვის. გენდერული სტატისტიკის შექმნა ნიშნავს ტრადიციულ სტატისტიკის სისტემაში გენდერის მეინსტრიმინგის განხორციელებას, ანუ გენდერული ინფიკატორების დანერგვას სტატისტიკის სისტემის ყველა სფეროში და ყველა დონეზე. სრულყოფილი გენდერული სტატისტიკა გულისხმობს გენდერული ფაქტორების გათვალისწინებას მონაცემთა შეკრების, ანალიზისა და წარმოდგენის დროს და რაც მთავარია, მონაცემების გავრცელებას მომხმარებლისათვის მოხერხებულ ფორმატში.

რატომ არის საჭირო გენდერული სტატისტიკა?

გენდერული სტატისტიკა ხელს უწყობს საზოგადოების მიერ გენდერული პრობლემების სწორ აღქმასა და გენდერული სტერეოტიპების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. გენდერული სტატისტიკა არწმუნებს პოლიტიკის შემმუშავებლებს კორექტირება გაუკეთონ პოლიტიკას და უკეთ უპასუხონ როგორც მამაკაცის, ისე ქალის ინტერესებს. გენდერული სტატისტიკის შექმნა აუცილებელია, აგრეთვე, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სფეროში ცვლილებების მონიტორინგისათვის.

გენდერული სტატისტიკის წარმოება

გენდერული ინიდკატორების დასადგენად აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა გენდერული პრობლემების წინაშე დგას საზოგადოება და რა შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების შეკრებაა საჭირო პრობლემების ყოველმხრივ წარმოსაჩენად და შესასწავ-ლად. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა პოლიტიკის შემმუ-შავებლებსა, გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავეთა და სტატისტიკის მწარმოებელთა შორის. მონაცემთა შეკრებისას გამოყენებული უნდა იყოს ისეთი მეთოდიკა, რომელსაც შეუძლია ადეკვატურად ასახოს არსებული გენდერული განსხვავებები.

გენდერული სტატისტიკის ძირითადი ფუნქციები

- გენდერული სტატისტიკა და ინდიკატორები აუცილებელია გენდერულად კორექტული პოლიტიკისა და გეგმების შემუშავებისათვის.
- გენდერული სტატისტიკა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ცვლილებების მონიტორინგისა და თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით პროგრესის შესაფასებლად.
- გენდერული სტატისტიკა ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას.

გენდერული სტატისტიკის გავრცელება

გენდერული სტატისტიკის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან გზად მიჩნეულია მოპოვებული მონაცემების ისეთი ფორმით გავრცელება, რომელიც მორგებულია მომხმარებელთა საჭიროებაზე. ამისათვის აუცილებელია მომხმარებელთან კავშირების განვითარება და მათგან შესაბამისი უკუკავშირის მიღება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ამ მიზნით სპეციალური ჯგუფიც კი არის შექმნილი: **გენდერული სტატისტიკის მომხარებელთა ჯგუფი**. ეს ჯგუფი მიზნად ისახავს იმგვარი მონაცემების მოპოვებისა და გავრცელების განვითარებას, რომელიც გენდერული განსხვავებებისა და უთანასწორობის გააზრებასა და ამ მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასების გაუმჯობესებას ემსახურება.

გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთა ჯგუფის ამოცანებია:

- სტატისტიკის შექმნისა და გავრცელების იმ ასპექტებისა და საკითხების გამოვლენა, რომელსაც გაუმჯობესება ესაჭიროება;
- თემატური დისკუსიიების ორგანიზება კონკრეტულ სფეროებში გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესების გზების გამოსავლენად;
- მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბება სტატისტიკის მწარმოებლებსა და მომხარებლებს შორის, მომხმარებელთა ინტერესების წარდგენა სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურისა და ოფიციალური სტატისტიკის სხვა მწარმოებელთა წინაშე ;
- მომხმარებელთა შორის ინფორმაციისა და გენდერული სტატისტიკის საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშების გაცვლის ხელშეწყობა.

წყარო: www.eoc.org.uk

გენდერული სტატისტიკა საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს გარკვეული გამოცდილება აქვს გენდერული სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით, თუმცაღა მწირი ფინანსური რესურსების გამო სრულყოფილად ვერ ფლობს ინფორმაცას გენდერულ ჭრილში.

შვედეთის სტატსამსახურის დახმარებით საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა გენდერულად დაცალკევებული სტატისტიკური მონაცემების მოპოვების თვალსაზრისით. კერძოდ, სტატისტიკური დაკვირვების ფორმებს დაემატა რიგი მაჩვენებლები, რომლის შესაბამისად გამოიცა სტატისტიკური პუბლიკაცია "ქალი და კაცი საქართველოში" 1999, 2003 და 2005 წლებში.

მიუხედავად ამისა, საჭიროა, კიდევ უფრო დაიხვეწოს გენდერული ინდიკატორები, შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან და დაინერგოს ინფორმაციის შეკრების ყველა დონეზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გენდერული სტატისტიკის გავრცელების ახალი ფორმატების შემუშავება, რათა ერთი მხრივ, საზოგადოება ინფორმირებული იყოს გენდერული პრობლემების შესახებ და მეორე მხრივ, სხვადასხვა სფეროში ეროვნულ, თუ ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის შემუშავებისას არ მოხდეს გენდერული ფაქტორების იგნორირება.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ჯერჯერობით მიუწვდომელია გენდერულად დაცალკევებული მონაცემები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომა, დროის ბიუჯეტის გამოყენება, ბავშვთა დაცვის მაჩვენებლები ასაკისა და განთავსების სტრუქტურის მიხედვით, ცალკეული დაავადებების და ასაკობრივი ჯგუფების, ექიმთან ვიზიტების სიხშირე, სპეციალისტი ექიმების რაოდენობა, დასალევი წყლის მისაწვდომობა, დამნაშავეობა დანაშაულის სახეების მიხედვით, ძალადობის მსხვერპლი დანაშაულის სახეების მიხედვით, ტრეფიკინგი, კინოთეატრებში, თეატრებში, ბიბლიოთეკებში, ეკლესიებში, სპორტულ დარბაზებში, საკონცერტო დარბაზებში დასწრებათა, მწეველთა რაოდენობა ასაკისა და

ქორწინების სტატუსის მიხედვით, ელექტორატის რაოდენობა და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს სპეციალური სტატისტიკური კვლევების ჩატარებას. სტატიტიკის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში მოთხოვნა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე გაიზარდა; აგრეთვე გაფართოვდა მომხმარებელთა წრე.

თემა XIII

გენდერული მეინსტრიმინგი

გენდერული მეინსტრიმინგი არის ქალთა და მამაკაცთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.

გენდერული მეინსტრიმინგი — რთული, წინააღმდეგობრივი და დინამიურად განვითარებადი კონცეპტია. არ არსებობს მისი ერთიანი, მარტივი განმარტება. თანხმობაა მხოლოდ მისი მიზნის — გენდერული თანასწორობის მიღწევის განსაზღვრაში.

ეკოსოსის განმარტებით, გენდერული მეინსტრიმინგი "ყოველი დაგეგმარებადი საქმიანობის, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკის, ნებისმიერი სფეროსა და ყველა დონის პროგრამების ქალებსა და მამაკაცებზე ზეგავლენის შეფასების პროცესია".

ევროსაბჭოს განვითარების დახმარების კომიტეტი: - "გენდერული მეინსტრიმინგი არის ინიციატივები, რომლებიც როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს საშუალებას აძლევს გამოხატონ თავითი შეხედულებები და მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად".

ევროკომისია განმარტავს გენდერულ მეინსტრიმინგს, როგორც "სტრატეგიული გრძელვადიანი მიდგომას, რომელიც ნერგავს გენდერულ თანასწორობას სისტემებში, სტრუქტურებში, ინსტიტუტებში, პროგრამებში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში".

გენდერული მენისტრიმინგი პრაქტიკული ამოცანაა, მაგრამ საფუძვლად უდევს სხვადასხვა ფილოსოფიური, სოციოლოგიური და პოლიტიკური შეხედულებები.

სიტყვა მეინსტრიმინგის შესატყვისის მოძებნა ქართულად საკმაოდ ძნელია. არა მხოლოდ ქართველები ფრანგები, შვედები, ჰოლანდიელები, რუსებიც პირდაპირ იყენებენ ამ ტერმინს. მეინსტრიმინგი ნიშნავს პერიფერიიდან ძირითად ნაკადში მოქცევას (არსებობს აზრი, რომ ეს ტერმინი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად გადმოღებულია განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ლექსიკონიდან, სადაც მეინსტრიმინგი ნიშნავს მოსწავლის გადაყვანას სპეციალური კომპენსატორული განათლების კურსიდან ძირითად სასწავლო ნაკადში).

გენდერული მეინსტრიმინგის იდეა წარმოიშვა 1970-იან წლებში, დამუშავდა და განვითარდა 1980-იან წლებში ძირითადად განვითარების საკითხებით დაკავებული საერთაშორისო ორგანიზაციების წიაღში (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მსოფლიო ბანკი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია). პეკინის მოქმედებათა პლატფორმამ მკაფიოდ განსაზღვრა გენდერული მეინსტრიმინგი, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის მიზანი.

სამი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს იმ სტრუქტურების, რომლებმაც განავითარეს გენდერული მეინსტრიმინგის იდეა: 1) განვითარების საერთაშორისო სააგენტოები, 2) გაეროს სტრუქტურები (განსაკუთრებით: გაეროს განვითარების პროგრამა UNDP, გაეროს ქალთა პროგრამა UNIFEM), 3) ევროპული სტრუქტურები.

გენდერული მეინსტრიმინგის იდეა ამოიზარდა მიდგომიდან „ქალები განვითარების პროცესში" (Women in Development). ეს მიდგომა თავდაპირველად შეიმუშავა განვითარების საკითხებზე მომუშავე სოციალურად და პოლიტიკურად აქტიურმა ქალთა ჯგუფმა ვაშინგტონში.

დაისვა საკითხი, რა უფრო სწორი და ეფექტურია: ცალკეული, სპეციალური პროექტები ქალებისათვის თუ ქალთა კომპონენტის ინტეგრაცია ყველა პროექტში (მსოფლიო ბანკის პარქტიკა).

განვითარების ტრადიციული თეორიების მიხედვით, მოდერნიზაციას ავტომატურად მოჰყვება ქალთა მდგომარეობისა და სტატუსის გაუმჯობესება. ფემინისტები თვლიდნენ, რომ მოდერნიზაციას ქალის მხოლოდ ნაწილობრივი ემანსიპაცია შეუძლია და აუცილებელია ახალი მიდგომის შემუშავება.

გენდერული მეინსტრიმინგის არგუმენტი, არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობაა, არამედ ეფექტურობაც — ქალის პოტენციალის სრულად გამოყენება (არა მარტო ქალები მოიგებენ განვითარებით, არამედ განვითარებაც ქალთა მონაწილეობით). მიდგომა WID (ქალები განვითარებაში) შეიცვალა GAD (გენდერი და განვითარება).

გენდერული მეინსტრიმინგის ოპერაციონალიზაცია ანუ პრაქტიკაში დანერგვა

გენდერული მეინსტრიმინგის რეალიზაცია ორ დონეზე ხდება – პოლიტიკურ და ტექნიკურ დონეზე. (UNIFEN).

ტექნიკური დონე გულისხმობს — მომზადებული კადრების არსებობას, თეორიული ბაზისა და კვლევის შედეგების ქონას. პოლიტიკურ დონეზე – პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას – სათანადო კანონმდებლობის ქონას, ადამიანთა უფლებების დაცვის, თანასწორობის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების არსებობას.

გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების შეფასებისათვის აუცლებელია კრიტე-რიუმების ქონა: მაგალითად, ევროსაბჭოს აქვს სქემა კონკრეტული სფეროებისათვის, რომელსაც შეუძლია ასახოს დინამიკა. მაგალითად, დასაქმების სფეროს სქემა.

გენდერული მეინსტრიმინგის არასწორი ინტერპრეტაციაა, როცა იმის ნაცვლად რომ ფოკუსი გაკეთდეს გენდერულ თანსწორობაზე, როგორც მიზანზე, ძირითადი აქცენტი კეთდება ქალების ჩართვაზე საქმიანობაში, სადაც ქალების როლი უმნიშვნელოა (სარა ლონგვე, ევროპის განვითარების კომიტეტისათვის ჩატარებული კვლევა). მნიშვნელოვანია არა უბრალო მონაწილეობა, არამედ მონაწილეობა გარკვეული პირობებით - არა მარტო დღის წესრიგში შესვლა, არამედ დღის წესრიგის ფორმირება.

თემა XIV

გენდერული ანალიზი. ცნების განმარტება, გენდერული ანალიზის ინსტრუმენტები

გენდერული ანალიზი წარმოადგენს ქალსა და მამაკაცზე, ამა თუ იმ პოლიტიკის, პროგრამის, სტრატეგიული მიდგომის, ინსტიტუტის განსხვავებული ზემოქმედების გამოვლენასა და შესწავლას. გენდერული ანალიზი ზოგადი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

გენდერული ანალიზი ბუნებრივია მოითხოვს სქესის ნიშნით განცალკევებულ მონაცემებს. გენდერული ანალიზისას, აანალიზებენ რესურსების მისაწვდომობას, რესურსების კონტროლს, საქმიანობის სახეებს, ხელისშემშლელ ფაქტორებს, საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის.

გენდერული ანალიზის მიზანია, მაქსიმალურად გაცნობიერდეს გენდერული განსხვავებები და პოლიტიკა თუ პროგრამა ისე დაიგეგმოს და განხორციელდეს, რომ მაქსიმალურად უპასუხოს განსხვავებულ საჭიროებებს. გენდერული ანალიზი აუმჯობესებს მართვასა და ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას, რადგან ორიენტირებულია მაქსიმალურად უპასუხოს მრავალფეროვან და განსხვავებულ ინტერესებს. გენდერული ანალიზი ხელს უწყობს პროცესებში ქალებისა და მამაკაცების სრულ ჩართულობას და შესაბამისად, ადამიანური რესურსების სრულყოფილ გამოყენებას.

პოლიტიკის განხორციელებისას გენდერული მეინსტრიმინგის აუცილებლობის გაცნობიერებამ გენდერული ანალიზის განვითარებას შეუწყო ხელი. მაგალითად, კანადაში გენდერული ანალიზის მნიშვნელობა სახელმწიფო დონეზეა აღიარებული, გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე სპეციალურ სტრუქტურამ - კანადის ქალთა სტატუსმა – 1999 წელს შექმნა გენდერული ანალიზის დირექტორატი.

ეს დირექტორატი შემდეგნაირად განსაზღვრავს **გენდერული ანალიზის საყრდენ პრინციპებს:**

- ✓ აუცილებელია ყველა სფეროში ქალებსა და მამაკაცებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარება;
- ✓ ყოველი პროგრამა, ქმედება, პროექტი, სოციალურ-ეკონომიკური ტენდენცია სხვადასხვაგვარად აისახება ქალსა და მამაკაცზე;
- ✓ გენდერული თანასწორობა ნიშნავს ქალისა და მამაკაცის თანაბარი სტატუსის და არა მსგავსების მიღწევას;
- ✓ თანაბარი მოპყრობა არ ნიშნავს თანაბარი შედეგების მიღწევას. გენდერული თანასწორობის თანამედროვე კონცეფცია აცნობიერებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს ზოგჯერ განსხვავებული მოპყრობა სჭირდებათ, რათა თანაბარ შედეგებს მიაღწიონ.
- ✓ ქალი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესების არა მხოლოდ სამიზნე, არამედ აგენტიც უნდა იყოს;
- ✓ არსებული გენდერული უთანასწორობის დასაძლევად სპეციალური ზომების მიღებაა საჭირო;
- ✓ ქალის სტატუსის გაძლიერება საკვანძოა გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის ზრუნვისას;
- ✓ არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ტენდენციებმა შესაძლოა მამაკაცებზეც მოახდინოს ნეგატიური გავლენა.

შესაძლოა ნებისმიერი სფეროს გენდერული ანალიზის განხორციელება. მოგვყავს მცირე მაგალითი, რომელშიც დასაქმების პოლიტიკის გენდერული ასპექტებია წარმოჩენილი.

შემთხვევის შესწავლა. დასაქმების პოლიტიკის გენდერული ანალიზი

დასაქმების ბაზარზე დღემდე დომინანტურ მოდელად ითვლება სრული სამუშაო დღე დადგენილი საათებით. ნელ-ნელა ინერგება მოქნილი სამუშაო დროის სისტემაც, თუმცა ნორმად მაინც დადგენილი საათები რჩება.

საჭიროა ზოგადად სამუშაოს ბუნების ახლებურად გააზრება და იმის გაცნობიერება, რომ მოუქნელი სამუშაო საათების სისტემას თავისი გენდერული ასპექტი აქვს. რაკი დღემდე ძირითადად ქალები არიან საოჯახო საქმისა და ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელნი, მათ მამაკაცებზე მეტად სჭირდებათ და აწყობთ არასრული სამუშაო დღე, ან თუნდაც სრული სამუშაო დღე ოღონდ მოქნილი და არა დადგენილი საათებით.

არის მეორე მომენტიც, მაგ. დიდ ბრიტანეთში თანაბარი შესაძლებლობების კომისიის მიერ 2004 წელს განხორციელებულმა არასრული და მოქნილი სამუშაოს (part-time job) კვლევამ აჩვენა, რომ არასრული სამუშაო დღეზე მომუშავე ქალების ანაზღაურება თითოეული ნამუშევარი საათისათვის 40% ნაკლებია, ვიდრე მთლიან სამუშაო დღეზე დაკავებული მამაკაცებისა.

თანამედროვე პირობებში მოქნილი სამუშაო დღით მომუშავეთა რიცხვი იზრდება, მაგრამ ამგვარი მოდელის უფრო ფართოდ დანერგვას შემდეგი წინააღმდეგობები ხვდება:

- შრომის ბაზარი მოუქნელია და შეზღუდულ შესაძლებლობებს გვთავაზობს.
- მოქნილი სამუშაო დღის მოდელი ეფექტური რომ იყოს, მენეჯერსა და დაქირავებულს შორის კარგი კომუნიკაცია და ნდობაა საჭირო.
- ხშირად მოქნილი სამუშაო დროით მომუშავეს პრობლემები ექმნება საპენსიო სფეროში.

გენდერული ანალიზის ინსტრუმენტები მიმართულია სპეციფიურ სფეროსა თუ საკითხის გენდერული განზომილების გამოვლენისაკენ და აჩვენებს თუ როგორ არის დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორები, გენდერზე, ასაკზე, სოციალურ ფენაზე, ეთნიკურობაზე.

არსებობს გენდერული ანალიზის სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტები, იმის შესაბამისად თუ რა სფეროს ან რა ტიპის პროგრამას ვაანალიზებთ. მაგალითად მოგვყავს გენდერული ანალიზის ერთერთი ინტრუმენტი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული შემოთავაზებული მიდგომის სხვადასხვა ჯგუფის უფლებამოსილების გაძლიერებაზე ზემოქმედების შესაფასებლად.

ლონგვეს უფლებამოსილებათა ჩარჩო

	ქალი		**მამაკაცი**	
	პროცესი	ზემოქმედება	პროცესი	ზემოქმედება
კონტროლი				
მობილიზაცია				
ცნობიერება				
მისაწვდომობა				
კეთილდღეობა				

წყარო: Gender Equity Builging Blocks, Care, 2002.

6. ფხაკაძე, რ., ქალთა სექსუალობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები // *გენდერული პრობლემატიკა საქართველოში*, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002, 195-201.

ქალთა სექსუალობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

რუხუდან ფხაკაძე

თანამედროვე სექსოლოგია მრავალწახნაგოვანი დისციპლინაა. იგი მოიცავს ბიო-სამედიცინო, სოციო-კულტურულ და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ გამოკვლევებს. ყველა ეს გამოკვლევა ურთიერთდაკავშირებულია და ამ კავშირის გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენის შექმნა სექსოლოგიაზე.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში სექსოლოგიის შემადგენელ არსებით ელემენტებზე გამოკვლევები პრაქტიკულად არ არსებობს. ასე მაგ., არ არის ცნობილი სოციოლოგიური გამოკვლევები სექსუალური ფსიქოლოგიის კუთხით. თვითონ ფსიქოლოგია სქესობრივი განსხვავებულობის მხრითაც არ იპყრობს ჯეროვან ყურადღებას, არ აღინიშნება სისტემატური გამოკითხვები სექსუალური ქცევების მიხედვით. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, იმდენად საკითხის არაპრაქტიკულობაზე კი არ მიუთითებს, რამდენადაც იმაზე, რომ სექსუალური საკითხების შესწავლისას ვაწყდებით ფრიად რთულ პრობლემებს, რომლებიც მხოლოდ ახლახან გახდა მეცნიერული შესწავლის საგანი და, გარდა ამისა, მრავალ ადამიანს აქვს საკუთარი ყოფითი, ხშირად ძალიან კატეგორიული მსჯელობაც სექსუალური საკითხის შესწავლის თაობაზე.

ჩვენს მიზანს აღარ წარმოადგენს სექსოლოგიის ისტორიული განვითარების მიმოხილვა, ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. უბრალოდ ჩვენი, ფსიქოლოგიური კუთხიდან აღვნიშნავთ, რომ თვითონ ფროიდისათვისაც სექსოლოგია, უპირატესად, წარმოადგენდა სექსოპათოლოგიას, ანუ პათოლოგიური სექსუალური გადახრების კვლევის სფეროს, რაც შეეხება „ნორმალურ" სექსუალურ ქცევას, ის ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული როგორც პრობლემატური და, მითუმეტეს, როგორც ისეთი, ახსნას რომ მოითხოვს. აქედან გამომდინარე, თვითონ ნორმალური სექსუალური ქცევის ანუ მისი მოდელის დადგენა ხდებოდა მხოლოდ ანომალიებზე დაკვირვებით ან ამ ანომალიების ვარიაციების გზით, რომელიც გვხვდებოდა კლინიკური პრაქტიკის ყოფაში. ამგვარად, იმისათვის, რომ გარღვეულიყო ეს მოჯადოებული წრე, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ნორმის ახსნა ხდება მხოლოდ პათოლოგიის შედეგად, ხოლო თვითონ პათოლოგია კი განისაზღვრება ნაგულისხმევი ნორმით, თუმცა ამ საკითხშიც ასევე სარწმუნოდ არაფერია ცნობილი, სექსოლოგია უნდა გამოსულიყო კლინიკის ფარგლებს გარეთ და მომხდარიყო ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანების ქცევების, ფიზიოლოგიისა და მოტივაციების შესწავლა მათ ცხოვრებისეულ პირობებში. სექსუალური საკითხის პრობლემატურობა მხოლოდ ამ კუთხით არ ამოიწურება, არამედ კიდევ გულისხმობს ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც ეხება ნორმის საკითხს - კერძოდ, რა სახის ნორმაზეა ლაპარაკი? არსებობს მორალური, ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური ნორმები, ეს

სხვადასხვა სფეროს ნორმები შეიძლება თანხვდებოდეს ერთმანეთს ან არა. ეს, როგორც ვთქვით, სხვადასხვა სიბრტყის ნორმები შეიძლება იყოს, ვინაიდან მათ ათვლის სხვადასხვა წერტილები გააჩნიათ. ასე მაგ., - სექსუალური ცხოვრების ინტენსიურობა გაიზომება სხვანაირად, ვიდრე მიღებული დაკმაყოფილების ხარისხი და ა.შ. სამწუხაროდ, თვითონ მსჯელობებშიც, რომლებიც ეხება „ნორმალურ“ და „არანორმალურ“ სექსუალობის გამოვლენას, ეს ცნებები ხშირად არ ზუსტდება.

რაც არ უნდა სპეციფიკურად მოგვეჩვენოს სექსუალური პრობლემები, ისინი ყოველთვის მჭიდროდ არიან დაკავშირებული საზოგადოებრივ აზრთან და სოციალური მოქმედების საერთო ტენდენციებთან. სექსუალური პრობლემების შესახებ რეფორმისტული მოძრაობა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დაიწყო, კერძოდ, 1921 წელს ხირშფელდმა ბერლინში მოაწყო პირველი საერთაშორისო კონგრესი სექსუალური რეფორმების თაობაზე, ხოლო 1928 წელს კოპენჰაგენში ჩამოყალიბებულ იქნა სექსუალური რეფორმების მსოფლიო ლიგა, რომლის პირველი პრეზიდენტები იყვნენ ელისი, ფორელი და ხირშფელდი და, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მათ მიერ წამოყენებულ პროგრესულ მოთხოვნებს არანაირად არ დაუკარგავთ აქტუალობა, რადგან მონაწილენი მოითხოვდნენ პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და სექსუალურ თანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის, ქორწინებისა და გაყრის საკითხებში ეკლესიის გავლენისაგან განთავისუფლებას, ისეთი საკითხების წინ წამოწევას, როგორიცაა სექსუალური განათლების განვითარება, კონტრაცეფციებისა და აბორტების წინააღმდეგ მიმართული კანონების შეცვლა, გაუთხოვარი დედებისა და არაკანონიერ ბავშვთა უფლებების დაცვა ა.შ.

30-იან წლებში „სექსუალური რეფორმების“ მოძრაობა დაიჩრდილა უფრო მნიშვნელოვანი და დრამატული სოციალური პროცესებით (მსოფლიო ომი, ეკონომიკური კრიზისი, მთელ რიგ ქვეყნებში ფაშისტური დიქტატურის დამყარება, ახალი მსოფლიო ომის მოახლოება). ასე რომ 70-იანი წლების დასაწყისამდე სექსუალობისადმი ყურადღება ძირითადად გამოიხატებოდა პოპულარული წიგნების გამოცემით. ბოლო წლებში ამ საკითხით დაკავდნენ პროფესიონალი ისტორიკოსები, რომელთა გამოკვლევები მჭიდროდ უკავშირდება ოჯახისა და ქორწინების ისტორიას, ასევე ხელახლა დაიწყო ეროტიკული ხელოვნების ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა.

მოკლედ, არ დარჩენილა საზოგადოებრივი თუ ჰუმანიტარული მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელსაც სექსუალობის განსაზღვრული ასპექტი არ შეესწავლა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სირთულეები ამ საკითხში ზომაზე მეტია.

მთელ რიგ საზოგადოებებში, კერძოდ ქრისტიანული მორალის მქონე და მასკულინური ტრადიციების მქონე ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), სექსუალობა ითვლება ინტიმურ საკითხად და უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება. ეს აიძულებს მკვლევრებს მიმართონ დამატებით წყაროებს (მითოლოგიას, ხელოვნებას, წეს-ჩვეულებებს და ა.შ.). ასე მაგალითად, ქართულ კულტურაში ქალის სახე დაკავშირებულია არა მის სექსუალობასთან, არამედ

მის როლთან. კერძოდ, საქართველოში უძველესი დროიდან არსებობს ქალის კულტი, მაგრამ საინტერესოა ის, რომ ესაა არა ქალის - როგორც სექსუალური ობიექტის, არამედ დედის კულტი. განსაკუთრებულ პატივისცემას საზოგადოების მხრიდან იმსახურებდა სწორედ დედა და არა უბრალოდ ქალი. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი რაინდული გალანტურობის მოთხოვნა პატივისცემის გამომხატველ რიტუალს ერთნაირად ასრულებინებდა მამაკაცს ყველა ქალის წინაშე, საზოგადოების დამოკიდებულება ზოგადად ქალის მიმართ სულაც არაა სახარბიელო - ქალი აქაც, ისევე როგორც სხვა შუა საუკუნეების დროინდელ ქრისტიანულ ქვეყნებში, საკმაოდ დაბეჩავებულად და უუფლებოდ გამოიყურება. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ თუმცა საოჯახო სამართალი ერთნაირად სჯიდა მეუღლეთა წყვილიდან რომელიმეს ღალატს, საერო სამართალი, საზოგადოდ ქალის ღალატს ბევრად მკაცრად ეპყრობოდა, ვიდრე კაცისასო. ამდენად, მიუხედავად ერთგვარი პროგრესისა ქალისადმი დამოკიდებულებაში, „ქართულ ფეოდალურ კანონმდებლობაში ქალის უფლებრივი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტის ერთიანობაში გააზრება, რა თქმა უნდა, ქალის ფენომენს მაინც დაჩაგრულად, მამაკაცზე დაბლა მდგომ არსებად წარმოგვიდგენს“. ამიტომ ბუნებრივია, რომ „...ქალის სამოქმედო ასპარეზი უკიდურესად შეზღუდულია. ამიტომ, ერთეულები თუ ახერხებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე თავიანთი ნიჭისა და უნარის გამოჩენას“. ასეთ პირობებში ერთადერთი რეალური სიტუაცია, რომელშიც ქალს თვითრეალიზაციის შესაძლებლობა ჰქონდა - იყო ოჯახი, სადაც იგი წარმოადგენდა ვიღაცის მეუღლეს ან დედას, აქედან გამომდინარე, ქართველი ქალისათვის ოჯახის ქონა იყო არა მხოლოდ პირადი ბედნიერების, არამედ იმავდროულად საზოგადოებრივი ასპარეზიც, ვინაიდან მისი მეობის თვითრეალიზაციის სფეროები ძლიერ შეზღუდული იყო და მხოლოდ ოჯახი წარმოადგენდა ქალის თვითრეალიზაციის ძირითად ადგილს. მაგრამ ქალს არ შეუძლია თავისი საქმე და საკუთარი ინტერესები არ იქონიოს, ამიტომ იწყება ტრაგედია მის სულიერ სამყაროში. დღეს იგი შურს იძიებს იმისთვის, რომ იგი შეკრეს, შებოჭეს, სული შეუხუთეს. მას თავისი ღირსების აღგენა სურს, სურს თანასწორობა და თავისუფლება ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, სიყვარულში - კერძოდ კი სექსუალურობაში ვლინდება მისი მეორე ასპექტი, კერძოდ, თუ ერთი მხრივ, ქალი მთელი თავისი არსებით მიისწრაფვის ნივთიერი და სულიერი დამოუკიდებლობისაკენ, მეორე მხრივ, იგი ისევ ძველებურად, პირვანდებულად მზად არის მისცეს თავისი თავი სხვას, ე.ი. მზად არის თავისი პიროვნება, სულიერი დამოუკიდებლობა ჩააბაროს იმას, ვინც უყვარს, ვისაც შეჰყურებს. ვფიქრობთ, ამგვარი წინააღმდეგობებით არის სავსე ქართველი ქალის მენტალიტეტი. და ამდენად, სექსუალური საკითხი წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის მიღწევის გზაზე. რადგან წინააღმდეგობებს ადგილი აქვს როგორც ქალის სულიერ სამყაროში, ასევე საზოგადოების მხრიდანაც, ე.ი. ქალი ორმაგი წინააღმდეგობის რკალშია მოქცეული შიგნიდანაც და გარედანაც. როგორც აღვნიშნეთ "გარეგნულში" ვგულისხმობთ საზოგადოების იმ სტრუქტურას, სადაც დაშვებულია სქესთა

შორის „ორნაირი მორალი“ - მამაკაცს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, ხოლო ქალისაგან მოითხოვენ მორალის მკაცრ დაცვას. ჩვენი წინასწარი გამოკვლევებიც ეხება როგორც სექსუალობის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების კვლევას, ასევე ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხის კვლევასაც, ისეთ ინტიმურ სფეროში, რომელსაც სექსუალობა ჰქვია და, თუ რატომ მაინცდამაინც ამ კუთხით, ეს ზემოთ უკვე გვქონდა მოხსენიებული.

რაც შეეხება საზოგადოების მხრიდან ქალის სექსუალურ ობიექტად აღქმის საკითხს, იგი ხანგრძლივი კულტურული ისტორიითაა განპირობებული. ერთი მხრივ, მამაკაცები ცოლში ხედავენ მხოლოდ სექსუალურ ობიექტს, რადგან ცოლი მიეკუთვნება სხვა გვარს ან საზოგადოებას, იგი აუცილებლად საეჭვო ერთგულების მქონედ, ან კი უფრო მეტიც, მტრულად აღიქმება. ქალები დახასიათებულნი არიან როგორც უცხო, საშიში არსებები, ხშირად კი - როგორც ჯადოქრები. მაგ., პაპუასები ახალი გვინეადან პირდაპირ ამბობდნენ, რომ ისინი „ქორწინდებიან თავიანთ მტრებზე“, სხვა გვარის ცოლი ყოველთვის რჩება უცხო ადამიანად, საფრთხის მატარებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, კაცი ხედავს ქალში დედას, დას ან ქალიშვილს, რადგან ისინი არ წარმოადგენენ სექსუალურ ობიექტებს, ეს ქალები მათთვის აღიქმებიან როგორც ახლობელი, მეგობრული. გასაშუალებული სტერეოტიპი ქალისა აუცილებლად წარმოიქმნება ამ ორივე როლური სისტემისაგან და ამიტომაც გარდაუვალია მათი ურთიერთდაპირისპირებულობა.

უფრო რთულადაა საქმე ქალებში, ისინიც ახდენენ მამაკაცის კატეგორიზაციას მათთან სექსუალური უეთიერთობის შესაძლებლობა-არშესაძლებლობის პრინციპის მიხედვით. მამაკაცი, რომელთანაც ქალს შეუძლია ჰქონდეს სექსუალური კავშირი, მისი რეალური თუ პოტენციური ქმარი, მის თვალში, წარმოადგენს სახიფათო, უცხო ძალას, რომელიც ეშმაკურად უნდა მართო, გამოიყენო საკუთარი უფლებები საჭმლის გაკეთებასა და განაწილებაში და ხანდახან, საკუთარ სექსუალურ შესაძლებლობებშიც. ამის საწინააღმდეგოდ, მამაკაცები, რომელთანაც დაუშვებელია სქესობრივი კავშირი — ძმა, მამა, ვაჟიშვილი, მოიაზრება როგორც მეგობრული საწყისი, დახმარებისა და თანადგომის შესაძლო წყარო. სექსუალური დიფერენცირების ამგვარი შეფარდებითობა „ბიოლოგიური“ და „სოციალური“ ფაქტორებით მოითხოვს სერიოზულ ისტორიულ შესწავლას, რომელიც შეეხება ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (მატერიალური წარმოება, ბავშვთა აღზრდა, სოციალური მართვა, სულიერი ცხოვრება), მათ შესაძლებლობებს, რომლებიც შეეხება გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სფეროში, რაც ასევე ჩვენი კვლევის მომავალ მიზნებს წარმოადგენს.

რაც შეეხება სექსუალური საკითხის კვლევას ჩვენს კულტურაში, ჩატარებულმა გამოკითხვამ დაგვიდასტურა ამ საკითხის ფართო სამსჯავროზე გამოტანის მიუღებლობა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვა ანონიმური იყო და არ იყო საჭირო სახელისა და გვარის აღნიშვნა, გულახდილობის კოეფიციენტი მაინც ძლიერ დაბალი იყო. გაცემული პასუხები იყო ერთგვაროვანი ანუ

სტერეოტიპული, შაბლონური. ისინი შეესატყვისებოდა ზოგადად მიღებულ აზრს და არა საკუთარი პიროვნული დამოკიდებულების გამოხატვას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ზოგად მიმართულებას, რომ სტერეოტიპები არ წარმოადგენენ რაიმე „ბუნებრივს“, არამედ თვითონ საზოგადოება ქმნის მათ. კერძოდ, მორალური აკრძალვების გამო, ქალები ვერ პასუხობდნენ ისეთ კითხვებზე, რომლებიც უშუალოდ მათი ინტიმური ცხოვრების სფეროს ეხებოდა, მაგრამ თავისუფლად პასუხობდნენ ზოგადი ხასიათის კითხვებს. კითხვები დაჯგუფებული იყო 5 ბლოკად, თითოეული ბლოკი ეხებოდა სექსუალობას სხვადასხვა პარამეტრით, კერძოდ:

I ბლოკი იკვლევდა სექსის მიმართ დამოკიდებულებას ზოგადად - კერძოდ, რა არის საერთოდ სექსი - ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ქალის ცხოვრებაში, თუ რაიმე უჩვეულო, დღესასწაულის მსგავსი მოვლენა?

II ბლოკი ავლენდა სექსის მიმართ ქალთა კონკრეტულ დამოკიდებულებას, კერძოდ, რას წარმოადგენს სექსი მათ ცხოვრებაში: იძულებით რიტუალს, ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთ პირობას, მუდმივი უსიამოვნების წყაროს, სიამოვნების წყაროს, სრულფასოვან ქალად თავის განცდის საშუალებას, ძალადობას, რომელსაც კანონიერად ახორციელებენ ქალზე, თუ იმას, რაც სჭირდება მას (ქალს), მაგრამ მუდმივად უკრძალავს საზოგადოება.

III ბლოკი იკვლევდა სექსუალური პარტნიორების რაოდენობას 0-იდან N რიცხვის ჩათვლით, ასევე, კმაყოფილნი არიან თუ არა თავიანთი სექსუალური პარტნიორით გამოკითხულნი, რა განაპირობებს მათ დაუკმაყოფილებლობას (როცა პასუხი წინა კითხვაზე ნეგატიურია), ჩამოთვლილია უამრავი მახასიათებელი, რომელთაგანაც ერთ-ერთს უნდა გაესვას ხაზი, ნიშნად თანხმობისა.

IV ბლოკი ეხებოდა მათ ინდივიდუალურ მოქმედებას სექსუალური კონტაქტების დროს, კერძოდ, რამდენად თავისუფალნი არიან სექსუალური კონტაქტის დროს და რამდენად თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ სურვილს პარტნიორთან და ასევე უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად სასურველი სექსუალური პარტნიორები არიან ქართველი მამაკაცები.

V ბლოკი ითვალისწინებდა მათი დამოკიდებულების გამოვლენას ზოგადად ქალის სტერეოტიპისა და უფლებრივი მდგომარეობის მიმართ, კერძოდ, ეხებოდა ამ საკითხებს შემდეგი კითხვით: - „აუცილებელია თუ არა ქალისათვის ოჯახი სექსუალური ურთიერთობისათვის?“ და მეორე - „უნდა ცხოვრობდეს თუ არა ქალი მამაკაცის მსგავსად თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით?“ და სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შედეგად მათ ეძლეოდათ ერთადერთი ღია კითხვა, სადაც პასუხი კი არ უნდა აერჩიათ ჩამოთვლილი პუნქტებიდან, არამედ უნდა დაეწერათ პასუხები, თუ რატომ უნდა ან არ უნდა ცხოვრობდეს ქალი ისევე, როგორც მამაკაცი, თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით.

როგორც აღვნიშნეთ, მიღებული პასუხები იყო სტერეოტიპული, ყოველი ბლოკის პუნქტებიდან ამორჩეული იყო ყველაზე მისაღები პასუხები, ისეთი პასუხები, რომლებიც შეესატყვისებოდა საზოგადოებრივ აზრს და არა

საკუთარი გამოცდილებით მიღებულს.

უმრავლესობისათვის სექსი წარმოადგენს ჩვეულებრივ, ყოფით მოვლენას, განიცდება, როგორც სიამოვნების წყარო, სრულფასოვან ქალად განცდის საშუალება, მხოლოდ 2%-ისათვის 100 გათხოვილი ქალიდან სექსი წარმოადგენს ძალადობას, რომელსაც მასზე კანონიერად ახორციელებენ; სექსუალური პარტნიორების რაოდენობად 60% 1-ს ასახელებს; როგორც წესი, თუ ჰყავთ მუდმივი პარტნიორი (თუ ქვრივი ან გაყრილი არ არის), მოსწონთ და სრულიად დაკმაყოფილებულნი არიან მისით. ასევე სრულიად თავისუფალნი არიან სექსუალური კონტაქტის დროს და თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ სექსუალურ სურვილებს და, ასევე, სასურველი სექსუალური პარტნიორები არიან ქართველი მამაკაცები, თუმცა ფსიქოთერაპევტის კაბინეტში ან ნდობის ტელეფონზე მიღებული ინფორმაციებით სულ სხვაგვარ დამოკიდებულებას ავლენენ ქართველი მამაკაცების მიმართ, რომელთა არაკორექტული ქცევები დიდ სულიერ ტკივილს იწვევს მათ პიროვნებაში. მაგრამ მიუხედავად ასეთი სურათისა, უურადსაღები შედეგი მივიღეთ ქალისა და მამაკაცის სექსუალობის თანასწორობის გამომჟღავნებისას, რაც ყველაზე მეტად წარმოადგენდა ჩვენი მუშაობის ინტერესს და სწორედ ამიტომაც იყო სრული თავისუფლება მიცემული ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. მათ კითხვაზე - „უნდა ცხოვრობდეს თუ არა ქალი ისევე, როგორც მამაკაცი, თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით?“ უნდა გაეცათ პასუხი „დიახ“ ან „არა“, მაგრამ ორივე შემთხვევაში შემდეგ უნდა ეპასუხათ კითხვაზე „რატომ?“, რითაც უნდა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ გამოკვლეული 100 ქალიდან (გათხოვილი, გაყრილი, ქვრივი)

„დიახ“ - დადებითი პასუხი მოგვცა 52%-მა;

„არა“ - უარყოფითი - 40%-მა;

„არ ვიცი“ - ნეიტრალური - 18%-მა (არ იცის, კითხვაზე ვერ პასუხობს).

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებად გამოყენებულ იქნენ 24-იდან 42 წლამდე ქალები, ხოლო კითხვაზე, თუ რატომ ფიქრობენ ასე, - აქ სრულყოფილი, დადებითი პასუხი 62%-იდან მხოლოდ 10%-მა მოგვცა. კერძოდ, მხოლოდ 10%-მა აღნიშნა ის ფაქტი, რომ ქალი როგორც ყველა სხვა სფეროში, ასევე სექსშიც, ისეთივე თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორც მამაკაცი. ხოლო დანარჩენმა 50%-მა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარა თანასწორობა, ვერ გასცა კითხვაზე პასუხი, თუ რატომ მიაჩნიათ ასე. რაც შეეხება 40%-ს, რომელიც თვლის რომ ქალი არ უნდა ცხოვრობდეს ისე, როგორც მამაკაცი - თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით, ისინი პირდაპირ აღიარებდნენ მამაკაცის პრივილეგირებულ მდგომარეობას სხვადასხვა აზრებით. კერძოდ, - „ქალს არ შეეფერება ისეთი საქციელი, როგორიც მამაკაცს“, „ქართული ტრადიციების გამო ქალს არ შეშვენის თავაშვებულობა“, „ქალს არა აქვს ყველაფრის უფლება“, „ქალი იღებს, კაცი კი გასცემს“, „ქალისათვის აუცილებელია პარტნიორის მიმართ გრძნობა, მამაკაცებს კი გრძნობის გარეშეც შეუძლიათ ურთიერთობა“. უმრავლესობა კი ასევე ვერ ასაბუთებს თავის უარყოფით პასუხს. რაც შეეხებოდა დარჩენილ 18%, ისინი კითხვას საერთოდ ვერ პასუხობდენ — ვერც „ჰო-სა“ და

ვერც „არა“-ს მიმართულებით. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს იმას, რომ მათ არც არასდროს უფიქრიათ ამ საკითხებზე და მომავალი სამუშაოებიც სწორედ მათი თვითცნობიერების ამაღლების პრობლემებს შეეხება. ამის გამო, აქტუალურად მიგვაჩნია ქალთა საკითხების ინტენსიური გაშუქება როგორც მასმედიის, ასევე საზოგადოებრივი ღონისძიებების გზით, რათა უკეთ გამოიკვეთოს და გახმაურდეს ქალთა პრობლემები და მათ შორის, რასაკვირველია, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის სფერო, თუნდაც ისეთ ტაბუირებულ საკითხთან მიმართებაში, როგორიცაა სექსუალურობა ქალებში და მასთან დაკავშირებული სირთულეები არა ფიზიოლოგიური, არამედ სოციალური კუთხით, ანუ რამდენად უწყობს ხელს ან წინ აღუდგება საზოგადოება ამ საკითხის მოგვარებას.

ამრიგად, ჩვენმა პილოტაჟურმა გამოკვლევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ქალთა სტატუსის საგრძნობი გაუმჯობესებისა, ადგილი აქვს სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია, ჯერ ერთი, ქალების აქტიურ დისკრიმინაციასთან მამაკაცების მხრიდან, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ თავანთი პრივილეგიები, ძალაუფლება და სიმდიდრე და, მეორეც, იმასთან, რომ - ქალთა და მამაკაცთა არათანასწორუფლებიანობას ღრმა ფესვები აქვს გადგმული სოციალურ სტრუქტურათა უმრავლესობაში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი მენტალიტეტი წარმოადგენს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითონ ქალებშია ის წინააღმდეგობა, რომელიც, ერთი მხრივ, ისწრაფვის თანასწორუფლებიანობისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონვე ამუხრუჭებს და ხელს უწყობს მასკულინური კულტურის შენარჩუნებას, გამომდინარე მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებიდან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია შემდეგი ზომების მიღება და გატარება, რათა დაძლეულ იქნეს ის სირთულეები, რომელთაც ადგილი აქვთ ქალთა თვითცნობიერების ამაღლების პროცესში.

1. სოციალიზაციის ხატების შეცვლა, რომლებიც განაწყობს ქალებს თავიანთი დაქვემდებარებული მდგომარეობის მიმართ;

2. ქმარი — მამის დამოკიდებულების შეცვლა თავიანთი ვალდებულებების მიმართ, მათი მონაწილეობის გაზრდა ბავშვების აღზრდის საკითხში;

3. სასწავლო პროგრამებისა და სამუშაო გრაფიკის მოქნილობის ამაღლება, რაც საშუალებას მისცემს მშობლებს შეათავსონ თავიანთი საქმიანობა ოჯახურ საქმესთან;

4. ახალი შესაძლებლობების გამონახვა, რომლებიც შეეხება ბავშვთა პროფესიული დახმარების მიღებას, სხვადასხვა ფენის გათვალისწინებით;

5. გახმაურება ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლენისა.

ამრიგად, ყველა სხვა მოვლენასთან ერთად, სექსუალური არათანასწორუფლებიანობა წარმოადგენს ნაწილს უფრო ფართო საზოგადოებრივი მოწყობილობის სისტემისა და იმისათვის, რომ ეს მოვლენა შესამჩნევად შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს თვითონ სისტემა.

6. ფხაკაძე, რ., ქალთა სექსუალობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები // *გენდერული პრობლემატიკა საქართველოში*, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002, 195-201.

ქალთა სექსუალობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

რუხუდან ფხაკაძე

თანამედროვე სექსოლოგია მრავალწახნაგოვანი დისციპლინაა. იგი მოიცავს ბიო-სამედიცინო, სოციო-კულტურულ და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ გამოკვლევებს. ყველა ეს გამოკვლევა ურთიერთდაკავშირებულია და ამ კავშირის გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენის შექმნა სექსოლოგიაზე.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში სექსოლოგიის შემადგენელ არსებით ელემენტებზე გამოკვლევები პრაქტიკულად არ არსებობს. ასე მაგ., არ არის ცნობილი სოციოლოგიური გამოკვლევები სექსუალური ფსიქოლოგიის კუთხით. თვითონ ფსიქოლოგია სქესობრივი განსხვავებულობის მხრითაც არ იპყრობს ჯეროვან ყურადღებას, არ აღინიშნება სისტემატური გამოკითხვები სექსუალური ქცევების მიხედვით. ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, იმდენად საკითხის არაპრაქტიკულობაზე კი არ მიუთითებს, რამდენადაც იმაზე, რომ სექსუალური საკითხების შესწავლისას ვაწყდებით ფრიად რთულ პრობლემებს, რომლებიც მხოლოდ ახლახან გახდა მეცნიერული შესწავლის საგანი და, გარდა ამისა, მრავალ ადამიანს აქვს საკუთარი ყოფითი, ხშირად ძალიან კატეგორიული მსჯელობაც სექსუალური საკითხის შესწავლის თაობაზე.

ჩვენს მიზანს აღარ წარმოადგენს სექსოლოგიის ისტორიული განვითარების მიმოხილვა, ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. უბრალოდ ჩვენი, ფსიქოლოგიური კუთხიდან აღვნიშნავთ, რომ თვითონ ფროიდისათვისაც სექსოლოგია, უპირატესად, წარმოადგენდა სექსოპათოლოგიას, ანუ პათოლოგიური სექსუალური გადახრების კვლევის სფეროს, რაც შეეხება „ნორმალურ" სექსუალურ ქცევას, ის ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული როგორც პრობლემატური და, მითუმეტეს, როგორც ისეთი, ახსნას რომ მოითხოვს. აქედან გამომდინარე, თვითონ ნორმალური სექსუალური ქცევის ანუ მისი მოდელის დადგენა ხდებოდა მხოლოდ ანომალიებზე დაკვირვებით ან ამ ანომალიების ვარიაციების გზით, რომელიც გვხვდებოდა კლინიკური პრაქტიკის ყოფაში. ამგვარად, იმისათვის, რომ გარღვეულიყო ეს მოჯადოებული წრე, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ნორმის ახსნა ხდება მხოლოდ პათოლოგიის შედეგად, ხოლო თვითონ პათოლოგია კი განისაზღვრება ნაგულისხმევი ნორმით, თუმცა ამ საკითხშიც ასევე სარწმუნოდ არაფერია ცნობილი, სექსოლოგია უნდა გამოსულიყო კლინიკის ფარგლებს გარეთ და მომხდარიყო ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანების ქცევების, ფიზიოლოგიისა და მოტივაციების შესწავლა მათ ცხოვრებისეულ პირობებში. სექსუალური საკითხის პრობლემატურობა მხოლოდ ამ კუთხით არ ამოიწურება, არამედ კიდევ გულისხმობს ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც ეხება ნორმის საკითხს - კერძოდ, რა სახის ნორმაზეა ლაპარაკი? არსებობს მორალური, ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური ნორმები, ეს

სხვადასხვა სფეროს ნორმები შეიძლება თანხვდებოდეს ერთმანეთს ან არა. ეს, როგორც ვთქვით, სხვადასხვა სიბრტყის ნორმები შეიძლება იყოს, ვინაიდან მათ ათვლის სხვადასხვა წერტილები გააჩნიათ. ასე მაგ., - სექსუალური ცხოვრების ინტენსიურობა გაიზომება სხვანაირად, ვიდრე მიღებული დაკმაყოფილების ხარისხი და ა.შ. სამწუხაროდ, თვითონ მსჯელობებშიც, რომლებიც ეხება „ნორმალურ“ და „არანორმალურ“ სექსუალობის გამოვლენას, ეს ცნებები ხშირად არ ზუსტდება.

რაც არ უნდა სპეციფიკურად მოგვეჩვენოს სექსუალური პრობლემები, ისინი ყოველთვის მჭიდროდ არიან დაკავშირებული საზოგადოებრივ აზრთან და სოციალური მოქმედების საერთო ტენდენციებთან. სექსუალური პრობლემების შესახებ რეფორმისტული მოძრაობა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დაიწყო, კერძოდ, 1921 წელს ხირშფელდმა ბერლინში მოაწყო პირველი საერთაშორისო კონგრესი სექსუალური რეფორმების თაობაზე, ხოლო 1928 წელს კოპენჰაგენში ჩამოყალიბებულ იქნა სექსუალური რეფორმების მსოფლიო ლიგა, რომლის პირველი პრეზიდენტები იყვნენ ელისი, ფორელი და ხირშფელდი და, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მათ მიერ წამოყენებულ პროგრესულ მოთხოვნებს არანაირად არ დაუკარგავთ აქტუალობა, რადგან მონაწილენი მოითხოვდნენ პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და სექსუალურ თანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის, ქორწინებისა და გაყრის საკითხებში ეკლესიის გავლენისაგან განთავისუფლებას, ისეთი საკითხების წინ წამოწევას, როგორიცაა სექსუალური განათლების განვითარება, კონტრაცეფციებისა და აბორტების წინააღმდეგ მიმართული კანონების შეცვლა, გაუთხოვარი დედებისა და არაკანონიერ ბავშვთა უფლებების დაცვა ა.შ.

30-იან წლებში „სექსუალური რეფორმების“ მოძრაობა დაიჩრდილა უფრო მნიშვნელოვანი და დრამატული სოციალური პროცესებით (მსოფლიო ომი, ეკონომიკური კრიზისი, მთელ რიგ ქვეყნებში ფაშისტური დიქტატურის დამყარება, ახალი მსოფლიო ომის მოახლოება). ასე რომ 70-იანი წლების დასაწყისამდე სექსუალობისადმი ყურადღება ძირითადად გამოიხატებოდა პოპულარული წიგნების გამოცემით. ბოლო წლებში ამ საკითხით დაკავდნენ პროფესიონალი ისტორიკოსები, რომელთა გამოკვლევები მჭიდროდ უკავშირდება ოჯახისა და ქორწინების ისტორიას, ასევე ხელახლა დაიწყო ეროტიკული ხელოვნების ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა.

მოკლედ, არ დარჩენილა საზოგადოებრივი თუ ჰუმანიტარული მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელსაც სექსუალობის განსაზღვრული ასპექტი არ შეესწავლა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სირთულეები ამ საკითხში ზომაზე მეტია.

მთელ რიგ საზოგადოებებში, კერძოდ ქრისტიანული მორალის მქონე და მასკულინური ტრადიციების მქონე ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), სექსუალობა ითვლება ინტიმურ საკითხად და უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება. ეს აიძულებს მკვლევრებს მიმართონ დამატებით წყაროებს (მითოლოგიას, ხელოვნებას, წეს-ჩვეულებებს და ა.შ.). ასე მაგალითად, ქართულ კულტურაში ქალის სახე დაკავშირებულია არა მის სექსუალობასთან, არამედ

მის როლთან. კერძოდ, საქართველოში უძველესი დროიდან არსებობს ქალის კულტი, მაგრამ საინტერესოა ის, რომ ესაა არა ქალის - როგორც სექსუალური ობიექტის, არამედ დედის კულტი. განსაკუთრებულ პატივისცემას საზოგადოების მხრიდან იმსახურებდა სწორედ დედა და არა უბრალოდ ქალი. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი რაინდული გალანტურობის მოთხოვნა პატივისცემის გამომხატველ რიტუალს ერთნაირად ასრულებინებდა მამაკაცს ყველა ქალის წინაშე, საზოგადოების დამოკიდებულება ზოგადად ქალის მიმართ სულაც არაა სახარბიელო - ქალი აქაც, ისევე როგორც სხვა შუა საუკუნეების დროინდელ ქრისტიანულ ქვეყნებში, საკმაოდ დაბეჩავებულად და უუფლებოდ გამოიყურება. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ თუმცა საოჯახო სამართალი ერთნაირად სჯიდა მეუღლეთა წყვილიდან რომელიმეს ღალატს, საერო სამართალი, საზოგადოდ ქალის ღალატს ბევრად მკაცრად ეპყრობოდა, ვიდრე კაცისასო. ამდენად, მიუხედავად ერთგვარი პროგრესისა ქალისადმი დამოკიდებულებაში, „ქართულ ფეოდალურ კანონმდებლობაში ქალის უფლებრივი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტის ერთიანობაში გააზრება, რა თქმა უნდა, ქალის ფენომენს მაინც დაჩაგრულად, მამაკაცზე დაბლა მდგომ არსებად წარმოგვიდგენს“. ამიტომ ბუნებრივია, რომ „...ქალის სამოქმედო ასპარეზი უკიდურესად შეზღუდულია. ამიტომ, ერთეულები თუ ახერხებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე თავიანთი ნიჭისა და უნარის გამოჩენას“. ასეთ პირობებში ერთადერთი რეალური სიტუაცია, რომელშიც ქალს თვითრეალიზაციის შესაძლებლობა ჰქონდა - იყო ოჯახი, სადაც იგი წარმოადგენდა ვიღაცის მეუღლეს ან დედას, აქედან გამომდინარე, ქართველი ქალისათვის ოჯახის ქონა იყო არა მხოლოდ პირადი ბედნიერების, არამედ იმავდროულად საზოგადოებრივი ასპარეზიც, ვინაიდან მისი მეობის თვითრეალიზაციის სფეროები ძლიერ შეზღუდული იყო და მხოლოდ ოჯახი წარმოადგენდა ქალის თვითრეალიზაციის ძირითად ადგილს. მაგრამ ქალს არ შეუძლია თავისი საქმე და საკუთარი ინტერესები არ იქონიოს, ამიტომ იწყება ტრაგედია მის სულიერ სამყაროში. დღეს იგი შურს იძიებს იმისთვის, რომ იგი შეკრეს, შებოჭეს, სული შეუხუთეს. მას თავისი ღირსების აღგენა სურს, სურს თანასწორობა და თავისუფლება ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, სიყვარულში - კერძოდ კი სექსუალურობაში ვლინდება მისი მეორე ასპექტი, კერძოდ, თუ ერთი მხრივ, ქალი მთელი თავისი არსებით მიისწრაფვის ნივთიერი და სულიერი დამოუკიდებლობისაკენ, მეორე მხრივ, იგი ისევ ძველებურად, პირვანდებულად მზად არის მისცეს თავისი თავი სხვას, ე.ი. მზად არის თავისი პიროვნება, სულიერი დამოუკიდებლობა ჩააბაროს იმას, ვინც უყვარს, ვისაც შეჰყურებს. ვფიქრობთ, ამგვარი წინააღმდეგობებით არის სავსე ქართველი ქალის მენტალიტეტი. და ამდენად, სექსუალური საკითხი წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის მიღწევის გზაზე. რადგან წინააღმდეგობებს ადგილი აქვს როგორც ქალის სულიერ სამყაროში, ასევე საზოგადოების მხრიდანაც, ე.ი. ქალი ორმაგი წინააღმდეგობის რკალშია მოქცეული შიგნიდანაც და გარედანაც. როგორც აღვნიშნეთ "გარეგნულში" ვგულისხმობთ საზოგადოების იმ სტრუქტურას, სადაც დაშვებულია სქესთა

შორის „ორნაირი მორალი“ - მამაკაცს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, ხოლო ქალისაგან მოითხოვენ მორალის მკაცრ დაცვას. ჩვენი წინასწარი გამოკვლევებიც ეხება როგორც სექსუალობის მიმართ ზოგადი დამოკიდებულების კვლევას, ასევე ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხის კვლევასაც, ისეთ ინტიმურ სფეროში, რომელსაც სექსუალობა ჰქვია და, თუ რატომ მაინცდამაინც ამ კუთხით, ეს ზემოთ უკვე გვქონდა მოხსენიებული.

რაც შეეხება საზოგადოების მხრიდან ქალის სექსუალურ ობიექტად აღქმის საკითხს, იგი ხანგრძლივი კულტურული ისტორიითაა განპირობებული. ერთი მხრივ, მამაკაცები ცოლში ხედავენ მხოლოდ სექსუალურ ობიექტს, რადგან ცოლი მიეკუთვნება სხვა გვარს ან საზოგადოებას, იგი აუცილებლად საეჭვო ერთგულების მქონედ, ან კი უფრო მეტიც, მტრულად აღიქმება. ქალები დახასიათებულნი არიან როგორც უცხო, საშიში არსებები, ხშირად კი - როგორც ჯადოქრები. მაგ., პაპუასები ახალი გვინეადან პირდაპირ ამბობდნენ, რომ ისინი „ქორწინდებიან თავიანთ მტრებზე“, სხვა გვარის ცოლი ყოველთვის რჩება უცხო ადამიანად, საფრთხის მატარებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, კაცი ხედავს ქალში დედას, დას ან ქალიშვილს, რადგან ისინი არ წარმოადგენენ სექსუალურ ობიექტებს, ეს ქალები მათთვის აღიქმებიან როგორც ახლობელი, მეგობრული. გასაშუალებული სტერეოტიპი ქალისა აუცილებლად წარმოიქმნება ამ ორივე როლური სისტემისაგან და ამიტომაც გარდაუვალია მათი ურთიერთდაპირისპირებულობა.

უფრო რთულადაა საქმე ქალებში, ისინიც ახდენენ მამაკაცის კატეგორიზაციას მათთან სექსუალური უეთიერთობის შესაძლებლობა-არშესაძლებლობის პრინციპის მიხედვით. მამაკაცი, რომელთანაც ქალს შეუძლია ჰქონდეს სექსუალური კავშირი, მისი რეალური თუ პოტენციური ქმარი, მის თვალში, წარმოადგენს სახიფათო, უცხო ძალას, რომელიც ეშმაკურად უნდა მართო, გამოიყენო საკუთარი უფლებები საჭმლის გაკეთებასა და განაწილებაში და ხანდახან, საკუთარ სექსუალურ შესაძლებლობებშიც. ამის საწინააღმდეგოდ, მამაკაცები, რომელთანაც დაუშვებელია სქესობრივი კავშირი — ძმა, მამა, ვაჟიშვილი, მოიაზრება როგორც მეგობრული საწყისი, დახმარებისა და თანადგომის შესაძლო წყარო. სექსუალური დიფერენცირების ამგვარი შეფარდებითობა „ბიოლოგიური“ და „სოციალური“ ფაქტორებით მოითხოვს სერიოზულ ისტორიულ შესწავლას, რომელიც შეეხება ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (მატერიალური წარმოება, ბავშვთა აღზრდა, სოციალური მართვა, სულიერი ცხოვრება), მათ შესაძლებლობებს, რომლებიც შეეხება გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სფეროში, რაც ასევე ჩვენი კვლევის მომავალ მიზნებს წარმოადგენს.

რაც შეეხება სექსუალური საკითხის კვლევას ჩვენს კულტურაში, ჩატარებულმა გამოკითხვამ დაგვიდასტურა ამ საკითხის ფართო სამსჯავროზე გამოტანის მიუღებლობა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვა ანონიმური იყო და არ იყო საჭირო სახელისა და გვარის აღნიშვნა, გულახდილობის კოეფიციენტი მაინც ძლიერ დაბალი იყო. გაცემული პასუხები იყო ერთგვაროვანი ანუ

სტერეოტიპული, შაბლონური. ისინი შეესატყვისებოდა ზოგადად მიღებულ აზრს და არა საკუთარი პიროვნული დამოკიდებულების გამოხატვას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ზოგად მიმართულებას, რომ სტერეოტიპები არ წარმოადგენენ რაიმე „ბუნებრივს“, არამედ თვითონ საზოგადოება ქმნის მათ. კერძოდ, მორალური აკრძალვების გამო, ქალები ვერ პასუხობდნენ ისეთ კითხვებზე, რომლებიც უშუალოდ მათი ინტიმური ცხოვრების სფეროს ეხებოდა, მაგრამ თავისუფლად პასუხობდნენ ზოგადი ხასიათის კითხვებს. კითხვები დაჯგუფებული იყო 5 ბლოკად, თითოეული ბლოკი ეხებოდა სექსუალობას სხვადასხვა პარამეტრით, კერძოდ:

I ბლოკი იკვლევდა სექსის მიმართ დამოკიდებულებას ზოგადად - კერძოდ, რა არის საერთოდ სექსი - ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ქალის ცხოვრებაში, თუ რაიმე უჩვეულო, დღესასწაულის მსგავსი მოვლენა?

II ბლოკი ავლენდა სექსის მიმართ ქალთა კონკრეტულ დამოკიდებულებას, კერძოდ, რას წარმოადგენს სექსი მათ ცხოვრებაში: იძულებით რიტუალს, ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთ პირობას, მუდმივი უსიამოვნების წყაროს, სიამოვნების წყაროს, სრულფასოვან ქალად თავის განცდის საშუალებას, ძალადობას, რომელსაც კანონიერად ახორციელებენ ქალზე, თუ იმას, რაც სჭირდება მას (ქალს), მაგრამ მუდმივად უკრძალავს საზოგადოება.

III ბლოკი იკვლევდა სექსუალური პარტნიორების რაოდენობას 0-იდან N რიცხვის ჩათვლით, ასევე, კმაყოფილნი არიან თუ არა თავიანთი სექსუალური პარტნიორით გამოკითხულნი, რა განაპირობებს მათ დაუკმაყოფილებლობას (როცა პასუხი წინა კითხვაზე ნეგატიურია), ჩამოთვლილია უამრავი მახასიათებელი, რომელთაგანაც ერთ-ერთს უნდა გაესვას ხაზი, ნიშნად თანხმობისა.

IV ბლოკი ეხებოდა მათ ინდივიდუალურ მოქმედებას სექსუალური კონტაქტების დროს, კერძოდ, რამდენად თავისუფალნი არიან სექსუალური კონტაქტის დროს და რამდენად თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ სურვილს პარტნიორთან და ასევე უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად სასურველი სექსუალური პარტნიორები არიან ქართველი მამაკაცები.

V ბლოკი ითვალისწინებდა მათი დამოკიდებულების გამოვლენას ზოგადად ქალის სტერეოტიპისა და უფლებრივი მდგომარეობის მიმართ, კერძოდ, ეხებოდა ამ საკითხებს შემდეგი კითხვით: - „აუცილებელია თუ არა ქალისათვის ოჯახი სექსუალური ურთიერთობისათვის?“ და მეორე - „უნდა ცხოვრობდეს თუ არა ქალი მამაკაცის მსგავსად თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით?“ და სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შედეგად მათ ეძლეოდათ ერთადერთი ღია კითხვა, სადაც პასუხი კი არ უნდა აერჩიათ ჩამოთვლილი პუნქტებიდან, არამედ უნდა დაეწერათ პასუხები, თუ რატომ უნდა ან არ უნდა ცხოვრობდეს ქალი ისევე, როგორც მამაკაცი, თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით.

როგორც აღვნიშნეთ, მიღებული პასუხები იყო სტერეოტიპული, ყოველი ბლოკის პუნქტებიდან ამორჩეული იყო ყველაზე მისაღები პასუხები, ისეთი პასუხები, რომლებიც შეესატყვისებოდა საზოგადოებრივ აზრს და არა

საკუთარი გამოცდილებით მიღებულს.

უმრავლესობისათვის სექსი წარმოადგენს ჩვეულებრივ, ყოფით მოვლენას, განიცდება, როგორც სიამოვნების წყარო, სრულფასოვან ქალად განცდის საშუალება, მხოლოდ 2%-ისათვის 100 გათხოვილი ქალიდან სექსი წარმოადგენს ძალადობას, რომელსაც მასზე კანონიერად ახორციელებენ; სექსუალური პარტნიორების რაოდენობად 60% 1-ს ასახელებს; როგორც წესი, თუ ჰყავთ მუდმივი პარტნიორი (თუ ქვრივი ან გაყრილი არ არის), მოსწონთ და სრულიად დაკმაყოფილებულნი არიან მისით. ასევე სრულიად თავისუფალნი არიან სექსუალური კონტაქტის დროს და თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ სექსუალურ სურვილებს და, ასევე, სასურველი სექსუალური პარტნიორები არიან ქართველი მამაკაცები, თუმცა ფსიქოთერაპევტის კაბინეტში ან ნდობის ტელეფონზე მიღებული ინფორმაციებით სულ სხვაგვარ დამოკიდებულებას ავლენენ ქართველი მამაკაცების მიმართ, რომელთა არაკორექტული ქცევები დიდ სულიერ ტკივილს იწვევს მათ პიროვნებაში. მაგრამ მიუხედავად ასეთი სურათისა, უურადსაღები შედეგი მივიღეთ ქალისა და მამაკაცის სექსუალობის თანასწორობის გამომჟღავნებისას, რაც ყველაზე მეტად წარმოადგენდა ჩვენი მუშაობის ინტერესს და სწორედ ამიტომაც იყო სრული თავისუფლება მიცემული ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. მათ კითხვაზე - „უნდა ცხოვრობდეს თუ არა ქალი ისევე, როგორც მამაკაცი, თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით?“ უნდა გაეცათ პასუხი „დიახ“ ან „არა“, მაგრამ ორივე შემთხვევაში შემდეგ უნდა ეპასუხათ კითხვაზე „რატომ?“, რითაც უნდა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ გამოკვლეული 100 ქალიდან (გათხოვილი, გაყრილი, ქვრივი)

„დიახ“ - დადებითი პასუხი მოგვცა 52%-მა;

„არა“ - უარყოფითი - 40%-მა;

„არ ვიცი“ - ნეიტრალური - 18%-მა (არ იცის, კითხვაზე ვერ პასუხობს).

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებად გამოყენებულ იქნენ 24-იდან 42 წლამდე ქალები, ხოლო კითხვაზე, თუ რატომ ფიქრობენ ასე, - აქ სრულყოფილი, დადებითი პასუხი 62%-იდან მხოლოდ 10%-მა მოგვცა. კერძოდ, მხოლოდ 10%-მა აღნიშნა ის ფაქტი, რომ ქალი როგორც ყველა სხვა სფეროში, ასევე სექსშიც, ისეთივე თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორც მამაკაცი. ხოლო დანარჩენმა 50%-მა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარა თანასწორობა, ვერ გასცა კითხვაზე პასუხი, თუ რატომ მიაჩნიათ ასე. რაც შეეხება 40%-ს, რომელიც თვლის რომ ქალი არ უნდა ცხოვრობდეს ისე, როგორც მამაკაცი - თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით, ისინი პირდაპირ აღიარებდნენ მამაკაცის პრივილეგირებულ მდგომარეობას სხვადასხვა აზრებით. კერძოდ, - „ქალს არ შეეფერება ისეთი საქციელი, როგორიც მამაკაცს“, „ქართული ტრადიციების გამო ქალს არ შეშვენის თავაშვებულობა“, „ქალს არა აქვს ყველაფრის უფლება“, „ქალი იღებს, კაცი კი გასცემს“, „ქალისათვის აუცილებელია პარტნიორის მიმართ გრძნობა, მამაკაცებს კი გრძნობის გარეშეც შეუძლიათ ურთიერთობა“. უმრავლესობა კი ასევე ვერ ასაბუთებს თავის უარყოფით პასუხს. რაც შეეხებოდა დარჩენილ 18%, ისინი კითხვას საერთოდ ვერ პასუხობდენ — ვერც „ჰო-სა“ და

ვერც „არა“-ს მიმართულებით. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს იმას, რომ მათ არც არასდროს უფიქრიათ ამ საკითხებზე და მომავალი სამუშაოებიც სწორედ მათი თვითცნობიერების ამაღლების პრობლემებს შეეხება. ამის გამო, აქტუალურად მიგვაჩნია ქალთა საკითხების ინტენსიური გაშუქება როგორც მასმედიის, ასევე საზოგადოებრივი ღონისძიებების გზით, რათა უკეთ გამოიკვეთოს და გახმაურდეს ქალთა პრობლემები და მათ შორის, რასაკვირველია, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის სფერო, თუნდაც ისეთ ტაბუირებულ საკითხთან მიმართებაში, როგორიცაა სექსუალურობა ქალებში და მასთან დაკავშირებული სირთულეები არა ფიზიოლოგიური, არამედ სოციალური კუთხით, ანუ რამდენად უწყობს ხელს ან წინ აღუდგება საზოგადოება ამ საკითხის მოგვარებას.

ამრიგად, ჩვენმა პილოტაჟურმა გამოკვლევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ქალთა სტატუსის საგრძნობი გაუმჯობესებისა, ადგილი აქვს სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებულია, ჯერ ერთი, ქალების აქტიურ დისკრიმინაციასთან მამაკაცების მხრიდან, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ თავანთი პრივილეგიები, ძალაუფლება და სიმდიდრე და, მეორეც, იმასთან, რომ - ქალთა და მამაკაცთა არათანასწორუფლებიანობას ღრმა ფესვები აქვს გადგმული სოციალურ სტრუქტურათა უმრავლესობაში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი მენტალიტეტი წარმოადგენს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითონ ქალებშია ის წინააღმდეგობა, რომელიც, ერთი მხრივ, ისწრაფვის თანასწორუფლებიანობისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონვე ამუხრუჭებს და ხელს უწყობს მასკულინური კულტურის შენარჩუნებას, გამომდინარე მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებიდან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია შემდეგი ზომების მიღება და გატარება, რათა დაძლეულ იქნეს ის სირთულეები, რომელთაც ადგილი აქვთ ქალთა თვითცნობიერების ამაღლების პროცესში.

1. სოციალიზაციის ხატების შეცვლა, რომლებიც განაწყობს ქალებს თავიანთი დაქვემდებარებული მდგომარეობის მიმართ;

2. ქმარი — მამის დამოკიდებულების შეცვლა თავიანთი ვალდებულებების მიმართ, მათი მონაწილეობის გაზრდა ბავშვების აღზრდის საკითხში;

3. სასწავლო პროგრამებისა და სამუშაო გრაფიკის მოქნილობის ამაღლება, რაც საშუალებას მისცემს მშობლებს შეათავსონ თავიანთი საქმიანობა ოჯახურ საქმესთან;

4. ახალი შესაძლებლობების გამონახვა, რომლებიც შეეხება ბავშვთა პროფესიული დახმარების მიღებას, სხვადასხვა ფენის გათვალისწინებით;

5. გახმაურება ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლენისა.

ამრიგად, ყველა სხვა მოვლენასთან ერთად, სექსუალური არათანასწორუფლებიანობა წარმოადგენს ნაწილს უფრო ფართო საზოგადოებრივი მოწყობილობის სისტემისა და იმისათვის, რომ ეს მოვლენა შესამჩნევად შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს თვითონ სისტემა.

5. ჯავახიშვილი, ნ., ფემინიზმის მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა // *გენდერული პრობლემატიკა საქართველოში*, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002, 63-77.

ეროვნული ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი

გენდერული პრობლემატიკა საქართველოში

მადლობას ვუხდით ჰაინრიხ ბიოლის ფონდს ფინანსური შემწეობისათვის

თბილისი 2002

ფემინიზმის მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა

ნინო ჯავახიშვილი

მრავალფეროვანი ფემინიზმი

ფემინიზმზე და ქალთა მოძრაობაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ფემინიზმის, როგორც იდეოლოგიის თუ ფილოსოფიის მრავალფეროვნება და კომპლექსურობა, მისი მნიშვნელოვანი სახესხვაობები. ფემინიზმის ნაცვლად საქმე გვაქვს ფემინიზმებთან, რომლებიც განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს ემყარებიან. საერთო, რაც მათ გააჩნიათ, არის ალბათ ქალების დაქვემდებარებული პოზიციის წინააღმდეგ გამოსვლა და ამ დისკრიმინაციის საბოლოოდ დაძლევის მიზნით სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წყობის შეცვლის მოთხოვნა (3).

ლიბერალური ფემინიზმი

- ემყარება დებულებას, რომ ქალთა ჩაგვრა და გენდერული უთანასწორობა არის სექსიზმისა და დისკრიმინაციის შედეგი, ანუ ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობები არ არსებობს, ან მამაკაცებთან მათი თანასწორი შეჯიბრის გამართვას ხელს უშლის გარკვეული ბარიერები.
- ლიბერალური ფემინიზმის აზრით, გენდერული უთანასწორობა შეიძლება შეიცვალოს კანონების, დამოკიდებულებების, პოლიტიკის ცვლილებით, აქცენტი კეთდება ქალთა უფლებებზე, ქალებს იგივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, რაც მამაკაცებს.
- ლიბერალური ფემინიზმი არ მიისწრაფვის საზოგადოების ფუნდამენტური ცვლილებისაკენ, მას მხოლოდ ინსტიტუციური რეფორმების გატარება სურს.
- პოლიტიკასთან მიმართებაში, მისთვის მნიშვნელოვანია ქალთა თანაბარი წარმოდგენა პოლიტიკურ სტრუქტურებში. არსებულ არათანასწორ სიტუაციას ეს მიმდინარეობა იმით ხსნის, რომ ქალების საშინაო შრომა სათანადოდ არ ფასდება და მიიჩნევს, რომ ძალაუფლების ფორმალურ სტრუქტურებზე ქალების უბრალო „დამატება" არ არის საკმარისი მამაკაცების დომინირებით შექმნილი პოლიტიკური ინსტიტუტების შესაცვლელად.

ლიბერალური ფემინისტების პირველი და უმთავრესი განაცხადი იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერალიზმის მიერ დანერგილი ფასეულობები თუ ნორმები - მაგ. ინდივიდუალური თავისუფლება, რაციონალური არჩევანის უფლება, სამართლიანი საზოგადოების კონცეფცია - იმთავითვე მიუწვდომელი იყო ქალებისათვის.

როგორც ცნობილია, ლიბერალური ფილოსოფია მნიშვნელოვნად

ეფუძნება არსებობის საზოგადო და კერძო სფეროებად დაყოფას. საზოგადო სფერო მოიცავს პოლიტიკურ ცხოვრებას; კერძო - პირადსა და ოჯახურს. ლიბერალური ფემინიზმის პოზიციიდან, ის თავისუფალი ინდივიდები, რომლებიც ცხოვრების ორივე სფეროში მოღვაწეობენ, მხოლოდ მამაკაცებია, ხოლო ქალები მოქცეულნი არიან პირად, ოჯახურ სფეროში და ამდენად მათთვის მიუწვდომელია ყველა ის პოლიტიკური თუ ლეგალური უფლება, რასაც ლიბერალიზმი ქადაგებს (9).

ლიბერალი ფემინისტები მნიშვნელოვნად ემყარებიან ფემინიზმის ცნობილ მოწოდებას - პირადი პოლიტიკურია - და მოითხოვენ თანასწორობისა და სამართლის პრინციპების შეტანას კერძო, პირად სფეროშიც. მათი მოთხოვნები ითვალისწინებს ოჯახის, როგორც ფუნდამენტური პოლიტიკური ინსტიტუტის, აღიარებას, სადაც ლიბერალური სამართალი ისევე უნდა ფუნქციონირებდეს, როგორც გარეთ, საზოგადო სფეროში. ლიბერალური სახელმწიფოს მოქალაქეები საშინაო, ოჯახურ სფეროშიც იმავე სამართლით უნდა არსებობდნენ, როგორც გარეთ.

რადიკალური ფემინიზმი

- განიხილავს ქალთა ჩაგვრას, როგორც ყველაზე ფუნდამენტურს, საიდანაც ჩაგვრის სხვა სახეები გამომდინარეობს, ხოლო მის საფუძველს პატრიარქალური სისტემაში ხედავს.
- **რადიკალური ფემინისტების** აზრით, გაუფასურებულია ქალის სხეულთან დაკავშირებული მოქმედებები და გამოცდილება, სექსუალური ძალადობა არის ქალის სოციალური კონტროლის ფორმა პატრიარქატის პირობებში.
- **რადიკალურ ფემინისტებს** მიაჩნიათ, რომ გენდერული უთანასწორობა საზოგადოებაში ფუნდამენტური ცვლილებების შედეგად უნდა აღმოიფხვრას. ასეთი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს პატრიარქალური სისტემის გარეთ ალტერნატივების შექმნით, ან სისტემის შიგნიდან შეცვლით.
- თუ ლიბერალური ფემინიზმი აქცენტს აკეთებს ქალთა თანაბარ შესაძლებლობებზე, რათა მამაკაცებისათვის განკუთვნილი პრივილეგიები ქალებმაც მიიღონ, რადიკალური ფემინიზმი მოითხოვს მამაკაცების მიერ დადგენილი ნორმებისა და სექსუალური ძალადობისაგან ქალების თავისუფლებას და ავტონომიას.
- პოლიტიკასთან მიმართებაში, ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა აზრით, ქალებმა ფუნდამენტურად უნდ შეცვალონ პოლიტიკური ინსტიტუტები, შემოიტანონ რა ქალთა ღირებულებები და ქცევები.

რადიკალური, ან განსხვავების ფემინიზმისათვის მთავარ საკვლევ საკითხს ქალისა და მამაკაცის განსხვავება წარმოადგენს. ქალის მამაკაცთან გათანაბრების მოთხოვნა სწორედ ქალური საწყისის და ბუნების საბოლოოდ მოშლის და ქალების გამამაკაცურების, მათი მასკულინიზაციის ტოლფასია. განსხვავების ფემინისტებს ხშირად უტოპისტობაშიც ადანაშაულებენ, ვინაიდან მათი მოთხოვნა არსებული სოციალური ნორმებისა და ფასეულობების მთლიან გადაფასებას და „ქალურის“ „მამაკაცურზე“ წინ წამოწევას გულისხმობს.

რადიკალურ ფემინიზმში არ არსებობს ერთიანი თეორია, მის განვითარებასთან ერთად იდეოლოგია სულ უფრო და უფრო დიფერენცირებული ხდება. რადიკალური ფემინისტები სწავლობენ, თუ რომელი ინსტიტუტების გზით ხდება მამაკაცის დომინაცია. მამაკაცური კონტროლის ძირითად ხერხად ისინი სექსუალურ კონტროლს (ძალადობა, პორნოგრაფია, აბორტი, სტერილიზაცია) მიიჩნევენ. მაკკინონის აზრით, სექსუალობა ფემინიზმის ამ მიმდინარეობისათვის იგივეა, რაც შრომა მარქსიზმისათვის (5).

რადიკალურ ფემინიზმს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის ბიოლოგიურად დეტერმინირებულია, ცენტრში აყენებს ქალის ბიოლოგიას და მის უცვლელობას უსვამს ხაზს, ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამოჰყავს ფსიქოლოგიური. ამავე დროს, მან დიდი გავლენა მოახდინა ფემინისტური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაზე, მისი გავლენით მოხდა აქცენტის გადატანა ლიბერალიზმიდან, თანასწორობიდან - გენდერულად ნეიტრალური მიდგომიდან, სხვაობების თანასწორობაზე - გენდერულად მგრძნობიარე მიდგომაზე.

სოციალისტური ფემინიზმი

- ემყარება სხვადასხვა მარქსისტულ სკოლას და რადიკალურ ფემინიზმს.
- აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ ძალებზე, სააშკარაოზე გამოაქვს, თუ როგორ აყენებენ კაპიტალიზმი და პატრიარქალური გენდერული ურთიერთობები ქალებს ჩაგრულ პოზიციაში სამსახურსა და ოჯახში.
- მოითხოვს კოლექტიურ პასუხისმგებლობას ყველა სფეროში, ოჯახის ჩათვლით.
- მხარს უჭერს ცვლილებებს, რომლებიც ხელს უწყობს საშინაო საქმეების განაწილებას და თანაბარ მონაწილეობას შვილების აღზრდაში, რადგან ასეთი ცვლილება ქალს საშუალებას მისცემს მეტი მონაწილეობა მიიღოს ანაზღაურებად სამუშაოსა და პოლიტიკის სფეროში.

მარქსისტული, ანუ სოციალისტური ფემინიზმის წარმომადგენელია ჰარტმანი, მის წიგნში „უბედური ქორწინება“, განხილულია ფემინიზმისა და მარქსიზმის ურთიერთმიმართება. თუ კლასიკური ფემინიზმი საშუალო კლასის თეთრკანიან ქალზეა ფოკუსირებული, სოციალისტური - მუშა ქალზე, ანუ დაბალ ფენაზე.

ორთოდოქსული მარქსისტული ფემინიზმისთვის მთავარია არა პოლიტიკური ან ლეგალური თანასწორობა, არამედ მატერიალური. მარქსისტული ფემინიზმი, უხეშად რომ ითქვას, გენდერულ უთანასწორობას და ქალების ჩაგვრას პირდაპირ უკავშირებს პროდუქციის კაპიტალისტურ სისტემას და ამ სისტემაში შრომის სქესობრივ დანაწილებას (პროდუქციის სფერო მამაკაცებს და რეპროდუქციის ქალებს).

მარქსიზმის გავლენით ფემინიზმი მოითხოვდა, რომ სამუშაო უნდა იყოს ანაზღაურებადი. ქალი ორმაგად მუშაობს, მაგრამ მისი შრომა სათანადოდ ანაზღაურებული არ არის. რადგან საშინაო საქმე ქალის ექსპლოატაციის მთავარ ფორმად ითვლება. ქალმა ამისათვის ხელფასი მაინც უნდა მიიღოს და ქმრისაგან დამოუკიდებელი უნდა გახდეს. მათ 70-იან წლებში დაიწყეს მოძრაობა: „ხელფასი დიასახლისებს". როდესაც თანამედროვე გამოკვლევებით ირკვევა, რომ ქალს მაინც დაბალი ანაზღაურება აქვს მამაკაცთან შედარებით, რომ მას ორმაგი დატვირთვა აქვს, ეს მარქსისტული მიდგომაა. გენდერული თანასწორობის მიღწევა XXს-ის 70-80-იან წლებში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ოფიციალურ დოქტრინებს შეადგენდა, ჩინურმა რეჟიმმა სცადა ქალი გაფართოებული პატრიარქალური ოჯახისაგან გაეთავისუფლებინა და ნუკლეარული ჰარმონიული ოჯახის იდეალით შეეცვალა, თუმცა არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ შრომის განაწილება სქესის ნიშნით უნდა მომხდარიყო. საბჭოთა რეჟიმიც დადებითად უყურებდა იმას, რომ ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა მხოლოდ ქალის საქმე იყო.

სოციალისტური ფემინიზმი ასაბუთებს, რომ კაპიტალიზმი ქალს ეკონომიკურად ჩაგრავს, მაგრამ ამას ემატება პატრიარქალური ურთიერთობები, რომლებიც უშუალოდ ეკონომიკაზე არ არის დამოკიდებული, რადგან ასეთი საზოგადოება მანამდეც არსებობდა. ამიტომ, არა მარტო კაპიტალიზმთან, არამედ პატრიარქალურ საზოგადოებასთანაც უნდა იბრძოლო. მარქსისტულ და სოციალისტურ ფემინიზმს კონტრარგუმენტად უყენებენ იმასაც, რომ ეკონომიკური ჩაგვრა არ არის კაპიტალიზმის შექმნილი, ის მანამდეც არსებობდა. საერთოდ, მარქსისტული კონცეფცია, რომლისთვისაც ქალის ჩაგვრის ძირითადი ფაქტორი კაპიტალისტურ სისტემაში, კლასობრივ და საწარმოო ურთიერთობებშია, გარეგანი ფაქტორების თეორიად ითვლება.

ზემოთ ვნახეთ, რომ რადიკალური ფემინიზმი ზედმეტ აქცენტს აკეთებს გენდერულ სხვაობებზე, მარქსისტული ანუ სოციალისტური კი, პირიქით, საერთოდ ვერ ხედავს სხვაობას. გაჩნდა ახალი, შუალედური პოზიციის მქონე თეორიები, მაგალითად, ტრანსფორმაციული ფემინიზმი, რომლის მიხედვით, თუ პოლიტიკოსს აქვს გენდერული ცნობიერება, ის გენდერულ ლინზებს იყენებს, ხოლო ეს ცნობიერება უნდა შექმნას და განავითაროს ქალთა ორგანიზაციებმა და მათგან გამოსულმა პოლიტიკოსებმა. ანუ აქ მონაწილეობს სასწავლო და კვლევითი დაწესებულებებიც. გარდა ამისა, არსებობს ფსიქოანალიზური ფემინიზმიც, რომელიც მთლად მიმდინარეობად ვერ ჩამოყალიბდა.

პოსტკოლონიალური ან ფერადკანიან ქალთა ფემინიზმი

- ფერადკანიან ქალთა გამოცდილებიდან წარმოიშვა, ცნობილია ასევე, როგორც ანტირასისტული ან ანტიიმპერიალისტური ფემინიზმი.
- ძირითადად ეკონომიკურ საკითხებს აკრიტიკებს, მაგრამ განსაკუთრებით აქცენტს აკეთებს მჩაგრავი ძალების ურთიერთქმედებაზე, კერძოდ, რასობრივ და ეროვნულზე. ამ მიმართულების წარმომადგენლები აანალიზებენ, თუ როგორ არის გადაჯაჭვული გენდერი, რასა, კლასი, ეროვნული და იმპერიალისტური იერარქიები, რაც განსაკუთრებით უთხრის ძირს მესამე სამყაროს ქალის ცხოვრებას.
- მისი აზრით, სისტემატური ჩაგვრა ჩართულია გლობალურ სისტემებში, მაგალითად, მესამე სამყაროს ქალების ძლიერი ექსპლოატაცია წარმოებებში, სადაც ოფლმდენი სისტემა არსებობს, განვითარებად ქვეყნებში შექმნილია მრავლეროვანი კორპორაციების მიერ.

ეს მიმართულება ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა, მისმა წარმომადგენლებმა, ძირითადად ფერადკანიანმა ამერიკელმა ქალებმა, გააკრიტიკეს გაბატონებული ფემინისტური დისკურსი, რომელიც ქალის გამოცდილების საერთოობასა და ერთიანობაში, ანუ ქალურ უნივერსალიზმში მდგომარეობდა. გაჩნდა ეროვნული, ლოკალური და ეთნიკური ფემინიზმები.

პოსტმოდერნისტული ფემინიზმი

- სერიოზულად უდგება ქალის ძალაუფლების, ქალის ჩაგვრის და ქალის ბრძოლის საკითხებს, მაგრამ მიაჩნია, რომ ქალის და გენდერის გაგება გამარტივებულია.
- პოსტმოდერნისტულ ფემინიზმს მიაჩნია, რომ ყოველი ადამიანი მეტია, ვიდრე ქალი ან კაცი. ჩვენ ყველას გვაქვს რასა, კლასი, კულტურული მემკვიდრეობა, ასაკი, და სხვა მრავალი თვისება, რომლებითაც აიგება ჩვენი იდენტობა, ქალები და მამაკაცები ამ და სხვა მაჩვენებლებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.
- ამდენად, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობაზე საუბარი დიდი გამარტივებაა, რადგან ქალთა განსხვავებული ჯგუფები არსებობს.
- ამიტომ, ქალები პოლიტიკაში ერთი ხმით ვერ ილაპარაკებენ, ყველგან უნდა ვაღიაროთ მათი განსხვავება.

პოსტმოდერნისტული ფემინიზმისთვის მიუღებელია განსხვავების ფემინიზმის მიერ ქალების, როგორც განსხვავებული და მამაკაცებთან დაპირისპირებული ჯგუფის დეფინიცია და სქესთაშორის განსხვავებაზე ფოკუსი. პოსტმოდერნისტული ფემინიზმის მთავარ მიზანს სწორედ ისეთი დაპირისპირებების დეკონსტრუქცია წარმოადგენს, როგორიცაა მამაკაცი/ქალი (ან მამაკაცური-/ქალური) ან თანასწორობა/განსხვავება. ამის ნაცვლად, პოსტმოდერნისტული ფემინიზმი გენდერული/სქესობრივი იდენტიფიკაციების არასტაბილურობაზე, მერყეობასა და ცვალებადობაზე აკეთებს აქცენტს (9).

ფემინიზმის ეს მიმდინარეობა გენდერის სოციალური კონსტრუირების თეორიას ეფუძნება. გენდერის, როგორც სოციალური კონსტრუქტის იდეა განხილულია კ. უესტის და დ. ზიმერმანის შრომაში „გენდერის შექმნა" (8). გენდერის კეთება ნიშნავს, რომ სოციალიზაციის პროცესში ბიჭებსა და გოგონებს შორის იქმნება სხვაობები, რომლებიც არ არის ბუნებრივი, არსებითი და ბიოლოგიური.

ინდივიდის გენდერული მიკუთვნებულობა ისაა, რასაც ის გამუდმებით აკეთებს სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედებისას. ეს თეორია ორ პოსტულატს ეყრდნობა.

- გენდერი აიგება სოციალიზაციის გზით, შრომის განაწილებით, გენდერული როლების, ოჯახის, მასმედიის საშუალებების გზით.
- გენდერი აიგება თვითონ ინდივიდების მიერ მათ ცნობიერებაში (გენდერული იდენტიფიკაცია), როდესაც ისინი საზოგადოების მიერ შეთავაზებულ და დაკანონებულ ნორმებსა და როლებს იღებენ და ერგებიან მათ (ტანსაცმელი, გარეგნობა, ქცევის მანერა და სხვ.).

როდესაც გენდერის სოციალური წარმოება კვლევის საგანი ხდება, ჩვეულებრივ სწავლობენ, როგორ აიგება გენდერი სოციალიზაციის ინსტიტუტების მეშვეობით. ძირითადი თემებია გენდერული როლები და სტერეოტიპები, გენდერული იდენტობა, გენდერული სტრატიფიკაციის და უთანასწორობის პრობლემები.

ტერეზა დე ლაურეტისის აზრით, გენდერი არის პროცესი, რომელიც სუბიექტს მისი სქეობრივი სხვაობების გზით აგებს, რომლებიც, თავის მხრივ, კავშირშია მის რასობრივ, ეთნიკურ, სოციალურ სხვაობებთან. გენდერის აგება სოციალურად ხდება, მისი აგების მექანიზმებს კი **გენდერული ტექნოლოგიები** უწოდეს. გენდერული ტექნოლოგიები არის დისკურსიული მექნიზმები, რომლებიც გენდერის წარმოების ფორმებს და სტადიებს იძლევა. გენდერული ტექნოლოგია აჩვენებს, როგორ ხდება სქესი იდეოლოგიური პროდუქტი (2).

პოსტმოდერნიზმის თეორიის მიხედვით არ არსებობს არც სტაბილური „მე" და არც კოლექტიური იდენტობა. ისინი მუდმივად აიგება, როგორც სოციალური ძალების ფუნქცია. ფემინისტური თეორიის მიერ ფსიქოლოგიაში შეტანილი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი არის გენდერის, როგორც სოციალური კონსტრუქტის გაგება. კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ გენდერი არ წარმოადგენს ინდივიდის თვისებას, ის კონსტრუქტია, თუმცა, ეს კონსტრუქტი განსაზღვრავს განსაკუთრებულ, მხოლოდ ამ სქესისათვის დამახასიათებელ ქცევას. პიროვნებათშორისი ურთიერთობა აგებს და ამყარებს გენდერს და ამავე დროს, შეიძლება სრულიად დამოუკიდებელი იყოს ინდივიდის ბიოლოგიური სქესისაგან. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გენდერი უფრო ზმნაა, ვიდრე არსებითი სახელი. სოციალური ფსიქოლოგიის ტრადიციული კვლევები ამ დებულების სასარგებლოდ მეტყველებს. ფემინისტური თეორიის წვლილის უნიკალობა იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად მსგავსად აგებს საზოგადოება დაბალი ძალაუფლების მქონე ჯგუფების მარგინალობას. მაგალითად, ისინი, ვინც კანის ფერის მიმართ პოლიტიკას სწავლობენ, არკვევენ, რომ სქესის მსგავსად, კანის ფერიც განსაზღვრავს ხელფასს, წარმატებას კარიერაში, როგორც ამგვარი მარგინალური ჯგუფების შიგნით, ასევე მათ გარეთაც. ბოლო დროს კი გაჩნდა კვლევები, რომელთა ავტორები ამტკიცებენ, რომ სქესიც სოციალურადაა კონსტრუირებული, აგებული (1).

მიუხედავად განსხვავებისა, პოსტმოდერნისტული ფემინიზმის თეორეტიკოსები ოთხ ძირითად მიმართულებას მისდევენ:

1 ისინი ცდილობენ ყველა სოციალური და ინსტიტუციური ურთიერთობის გენდერულად განპირობებული ბუნების გამოვლენას - ვინ რას აკეთებს, ვისთვის კეთდება ეს, რა ვართ და რა შეგვიძლია გავხდეთ.

2 მათი აზრით, გენდერული ურთიერთობები პრობლემურია და სოციალური ცხოვრების უთანასწორობის და წინააღმდეგობების სისტემაშია ჩართული - ოჯახი, განათლება, სოციალური დახმარება, პოლიტიკა, სამუშაო, დასვენება და კულტურა - სოციალურად არის აგებული გენდერის, კლასის, რასის და სექსუალობის ურთიერთობების გზით.

3 გენდერული ურთიერთობები არ არის რაღაც უცვლელი და ბუნებრივი, არამედ, ისტორიული და სოციო-კულტურული პროდუქტია, რეკონსტიტუციის საგანი. ფემინისტურ ანალიზს შეუძლია დაანგრიოს (დეკონსტრუირება) შეცდომები და მითები ქალთა უნარების შესახებ, გააფართოოს ცოდნა ქალთა ემპირიული რეალობის შესახებ, და ააგოს (კონსტრუირება მოახდინოს) ქალთა თეორიები ქალების შესახებ.

4 ისინი ღიად, პოლიტიკურად მოგვიწოდებენ სოციალური ცვლილებებისაკენ - პროტესტი განუცხადეს ყველაფერ იმას, რაც მათთვის ტრადიციულ რასობრივ, კლასობრივ, სექსუალურ და ძალაუფლების კონვენციებს წარმოადგენს, რომელთა ჩარჩოებში მამაკაცს ქალთან შედარებით უპირატესობა ენიჭება(3).

სოციოლოგიური თეორიების როლი ფემინიზმში

ფემინიზმის ყველა მიმართულება ემყარება სოციოლოგიაში გავრცელებულ თეორიებსა და მიმდინარეობებს, მოკლედ განვიხილოთ თითეული მათგანი.

პოზიტივიზმის - დიურკჰეიმი და ვებერი - ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ობიექტური რეალობის შესწავლა. ამას არ ეთანხმება ფემინიზმი, რომლის აზრითაც, ადამიანები სუბიექტურნი არიან, ობიექტურ სამყაროს ვერ ხედავენ.

პარსონსი პოზიტივიზმის გამგრძელებლი და სტრუქტურული ფუნქციონალიზმის წარმომადგენლია. მისი სქესობრივ-როლური მიდგომა გულისხმობს, რომ მამაკაცს აქვს ინსტრუმენტული როლი, ხოლო ქალს - ექსპრესიული. 40-იან წლებში იგი წერდა, რომ ბიჭს და გოგოს განსხვავებული როლები აქვთ: გოგონა ოჯახში ხედავს, რას აკეთებს მისი დედა, ამიტომ მას ნორმატიული წარმოდგენა უჩნდება, ხოლო ბიჭი ვერ ხედავს, რას აკეთებს მამა, რადგან ის მთელი დღე გასულია სახლიდან, ამას მან სოციალიზაციის პროცესში მამის არდასწრების ფენომენი უწოდა. შემდეგშიც ეს როლური განსხვავება ნარჩუნდება. ჭაბუკთან წამყვანია ფიზიკური ძლიერება, ქალიშვილთან - ფიზიკური მიმზიდველობა. ოჯახში ქალს ექსპრესიული ფუნქცია ეკისრება, ხოლო მამაკაცს - ინსტრუმენტული. ანუ, ქალი ზრუნავს ოჯახზე, მის ფსიქოლოგიურ ბალანსს ინარჩუნებს, ემოციურ სამუშაოს ასრულებს, ხოლო მამაკაცი ოჯახსა და სხვა

-ციალურ სისტემებს შორის ურთიერთობების რეგულაციას ახდენს. თავის ადრეულ შრომებში პარსონსი ძირითადად დიურკჰეიმს და ვებერს ეყრდნობა, 50-იანი წლების შემდეგ იგი ცდილობს დიურკჰეიმისა და ფროიდის გაერთიანებას და ცვლის ფროიდისეულ პიროვნების სტრუქტურას. ფემინისტებმა პარსონსი თავდაპირველად ძალიან გააკრიტიკეს, შემდეგ საერთოდ დაივიწყეს, თუმცა პიროვნულად პარსონსი თავის ასპირანტ ქალებს დიდად უწყობდა ხელს (6).

გენდერში არსებული სქესობრივ-როლური მიდგომა პარსონსის როლურ თეორიას ემყარება. პიროვნება იმ სოციალური სტატუსის პრიზმაში განიხილება, რომელიც მას უკავია. როლის მოქმედებას ამყარებს რეფერენტული ჯგუფი, რომელსაც სანქციები გააჩნია. თუ პიროვნება არასწორად იქცევა, მას სჯიან, თუ სწორად - ის გამართლებას იღებს. პარსონსის აზრით, ასეთი როლური დაყოფა არის საზოგადოების სტაბილურობის გარანტი, სხვა შემთხვევაში საზოგადოება დაინგრევა. ამ თეორიის საფუძველზე გაჩნდა ინტერესი სოციალიზაციის ინსტიტუტებისადმი - ესაა დედა, ოჯახი, მასწავლებლები, თანატოლები, მასმედია. ამ საკითხებს მრავალი კვლევა მიეძღვნა, ამავე თეორიის საფუძველზე გაჩნდა კვლევების კიდევ ერთი ბლოკი, სადაც შეისწავლება სოციალიზაციის აგენტების დამოკიდებულება ბიჭებისა და გოგონების მიმართ, მასკულინობის და ფემინურობის მოდელების ათვისების გზები, სოციალიზაციის მოდელების შერევის შედეგები.

სქესობრივ-როლური თეორია რეფორმების პოლიტიკის პრინციპებს შეიცავს. თუ როლური მოლოდინებიდან გამომდინარე, ქალი არის დაქვემდებარებული და დამხმარე პირი, ხოლო ბუნებით იგი პასიურია, ეს მოლოდინები უნდა შევცვალოთ. თანამედროვე ფემინიზმმა (ძირითადად ლიბერალურმა) დიდი დრო დაუთმო ანტისექსისტური სასკოლო პროგრამების შექმნას, ანტიდისკრიმინაციული კანონების შემუშავებას, თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის განვითარებას შრომის ბაზარზე. სქესობრივი როლების თეორია გენდერული ურთიერთობების ფორმირების შინაგანი ფაქტორების თეორიაა (4).

დიურკჰეიმისა და პარსონსის მიდგომები წამყვანია სოციოლოგიაში (ისინი იყენებენ რაოდენობრივ მეთოდებს). ეს არის მაგისტრალური - **mainstream** სოციოლოგია, დანარჩენი მიდგომების გავლენა შედარებით სუსტია. ახლა მიდის ბრძოლა პოზიტივიზმსა და პოსტპოზიტივიზმს შორის, სადაც პოზიტივიზმში გავრცელებული რაოდენობრივის ნაცვლად, თვისებრივ მეთოდებს იყენებენ. მართალია, თვისებრივი მეთოდები არ არის ობიექტური, მაგრამ სოციოლოგს არც უნდა ჰქონდეს ამაზე პრეტენზია.

60-იანი წლების ბოლოს დასავლეთში, სოციალურ მეცნიერებებში მოხდა რევოლუცია, პარალელურად ამერიკაში სტუდენტური და ახალგაზრდული მოძრაობები მიმდინარეობდა, მათ შორის ქალთა მოძრაობაც, რომლის წევრთა უმეტესობა უნივერსიტეტებიდან მოვიდა. ამ რევოლუციის შედეგად სოციოლოგები მიუბრუნდნენ ფენომენოლოგიას, ე. ჰუსერლს, ანუ დაიწყეს ყოველდღიური ცხოვრების ფენომენების შესწავლა, რათა ამ გზით შეესწავლათ სოციალური

წესრიგი. ამას ყოველდღიურობის სოციოლოგია ეწოდა, ეს ისაა, რასაც ავტომატურად ვაკეთებთ და მხოლოდ მაშინ ვაქცევთ ყურადღებას, როცა აღმოვაჩენთ, რომ რაღაც არაა წესრიგში (მაგ.: წყალი არ მოდის). სოციოლოგის ამოცანაა ამ ყოველდღიურობის აღწერა სხვადასხვა საზოგადოებაში. ამ მიდგომაში მთავარია ადამიანის, მისი ჯგუფის გამოცდილება, ანუ ეს მიკროსოციოლოგიური მიდგომაა (7).

ირვინგ ჰოფმანმა შემოიტანა ფენომენოლოგიური სოციოლოგია, ანუ დრამატურგიული ინტერაქციონიზმი. მისი ანალიზის მთავარი მეთოდი იყო დაკვირვება, საკვანძო კატეგორია კი - სოციალური სიტუაცია. ყოველდღიური ქცევა ხორციელდება კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში, ადამიანი ურთიერთობს სხვებთან, ახორციელებს ინტერაქციას, ამ სიტუაციაში ადამიანი გამოხატავს საკუთარ იდენტობას ჟესტებით, ტონით, ინტონაციით, არტიკულაციით, ჩაცმულობით და ა. შ., ამას იდენტიფიკაციური დისპლეის (გამოვლენის) მექანიზმები ეწოდება. ტერმინი დისპლეი მან ეთოლოგიიდან აიღო, როცა ცხოველი იღრინება, ეს დისპლეია, რომლითაც ის რისხვას გვაჩვენებს, იგივეა ადამიანებთანაც, უბრალოდ, აქ დისპლეის უფრო მეტი მექანიზმია. ჰოფმანმა თავის რამდენიმე შრომაში გენდერული დისპლეიც განიხილა, მათ შორის: „გენდერული დისპლეი", „გენდერული რეკლამა". ურთიერთქმედების პროცესში ადამიანები მიიჩნევენ, რომ ადამიანთა ბუნება, არსი, გამოიხატება რაღაც ნიშნების, ანუ „ფორმალური კონვენციური აქტების" გზით. ქალურობა და მამაკაცურობა პირველივე შეხედვით ჩანს ნებისმიერ სოციალურ სიტუაციაში და ინდივიდის ძირითად მახასიათებლად აღიქმება. „თუ გენდერი არის სქესის კულტურული კორელატი, მაშინ გენდერული დისპლეი ამ კორელატების კონვენციური გამოხატვაა" - ამბობს ჰოფმანი (7). ჰოფმანისეული დისპლეი ცვლის პარსონსის როლურ თეორიას, ეს უფრო მეტია, ვიდრე როლი, რადგან უფრო ცვალებადია, უფრო დახვეწილია. გენდერული დისპლეი კონვენციურია და იმ სოციალური წესრიგის წარმოებას და კვლავწარმოებას უწყობს ხელს, რომელიც მოცემულ კულტურაში ქალურობის და მამაკაცურობის შესახებ არსებულ წარმოდგენაზეა დამყარებული. გენდერი ჰოფმანისთვის არის სოციალური ურთიერთობების შედეგი და ამავე დროს, მისი წყარო (7).

60-იან წლებში ფემინიზმმა დაიწყო ინგლისური ენის რეფორმა, მაგ: მხოლოდ **he**-ს ნაცვლად შემოიტანეს **he/she**, და სხვ. სუბიექტი შეცვალეს აგენტით და აქტორით, რადგან სუბიექტს აქვს კიდევ სხვა, დაქვემდებარებული კონოტაცია (**subject**-ქვეშევრდომი). გაჩნდა ფემინისტური კონსტრუქტივიზმი - ჯუდიტ ბატლერი და სხვები - რომლებიც ი. ჰოფმანის გარდა ეყრდნობიან სოციალურ კონსტრუქტივიზმს, კერძოდ, ბერგერისა და ლუკმანის იდეებს, რომლებიც გამოხატულია წიგნში - „რეალობის სოციალური კონსტრუირება". მათი აზრით, სოციოლოგიის საგანი უნდა იყოს ადამიანის ცოდნა თავისი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. სოციალური რეალობა ობიექტურია, რადგან ის არსებობს, ჩვენ მასში ვიმყოფებით, მაგრამ ამავე დროს, ის სუბიექტურიცაა, რადგან ჩვენი საკუთარი შეგვაქვს მასში. ამავე მიმდინარეობის ცნო-

ლოგიაში“ [illegible] გარფუნკელი, მისი წიგნი „კვლევები ეთნო-მეთოდო-
ვავებული მიდგომით, ქცევას წარმოაჩენდა მისი რღვევის, ნგრევის პრიზმაში
(თუ ადამიანს ეკითხები, როგორ არის, მან უნდა გიპასუხოს მოკლედ, ერთი-ორი
სიტყვით და არა დეტალურად, ერთი საათის განმავლობაში). მანვე აღწერა
აგნესის შემთხვევა, რომელსაც არ გააჩნდა ქალური გამოცდილება და მოუწია
ამისი სწავლა. აგნესი დაბადებიდან 18 წლამდე ბიჭად იზრდებოდა,
ფიზიოლოგიითაც ბიჭი იყო, მაგრამ მან იდენტობა შეიცვალა და სათანადო
ოპერაციის შედეგად ქალიშვილად გადაიქცა. აგნესმა სრულიად ახალი ცხოვრე-
ბა დაიწყო, შეიცვალა სახელი, საცხოვრებელი ადგილი, გარემო, გარეგნობა,
გაიჩინა სექსუალური პარტნიორი - მამაკაცი. მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი
იყო გამხდარიყო ნამდვილი ქალი, ისე მოქცეულიყო, რომ არავის შეპარვოდა
ეჭვი მის სქესში. ამის გამო იგი გამუდმებით სწავლობდა იმას, რაც სხვებმა
ისედაც იცოდნენ, ანუ იგი აგებდა თავის გენდერს. გარფუნკელი აანალიზებს
აგნესის მიერ განვლილ ამ გზას. აქედან გამომდინარე, ფემინისტები ასკვნიან,
რომ გენდერული ქცევაც აიგება (6).

სოციალური კონსტრუქტივიზმი არის გარფუნკელის ეთნომეთოდოლოგია
და ჰოფმანის დრამატურგიული ინტერაქციონიზმი, რომლის მიხედვითაც გენ-
დერი არის არა როლი, არამედ მუდმივი ქმნადობის, წარმოების და კვლავწარ-
მოების პროდუქტი. ამ მიმართულების გენდერული მკვლევრების მთავარი
კითხვაა - როგორ აიგება გენდერი? (ეს მიდგომა ძალიან დეტალურად პასუხობს
კითხვას როგორ? მაგრამ არა კითხვას - რატომ?). სქესი არის სოციალური კონ-
სტრუქტი. გენდერის სოციალურად აგების თეორია არსებითად განსხვავდება
გენდერული სოციალიზაციის თეორიისაგან, რომელიც პარსონსის სქესობრივ-
როლური მიდგომის ჩარჩოებშია შემუშავებული. სოციალიზაციის სქესობრივ-
როლური თეორია გლისხმობს, რომ კულტურულ-ნორმატიული სტანდარტების
ათვისება დასწავლის და ინტერიორიზაციის გზით ხდება, ანუ პიროვნება ა
შედარებით პასიურია, ის აღიქვამს, სწავლობს, ითვისებს, მაგრამ არ ქმნის. გენ-
დერის კონსტრუირების თეორია კი აქცენტს პიროვნებაზე აკეთებს, ის სუბიექ
ტია და არა ობიექტი, ის ქმნის გენდერულ წესებს და ურთიერთობებს. ასეთ
სუბიექტი სწავლობს, ითვისებს, მაგრამ, ამავე დროს თავად ქმნის, ახორციელებს
და ანგრევს კიდეც. ანუ, ასეთი მიდგომა ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო
თეორიულ პლანში, არამედ იდეოლოგიის, პოლიტიკის, თეორიის პრაქტიკაში
გადატანის თვალსაზრისითაც, რადგან ის გვეუბნება, რომ ცვლილებების
გატარება აბსოლუტურად რეალურია, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია, ჩვენ
ვქმნით სოციალურ რეალობას და ჩვენვე შეგვიძლია გავანადგუროთ იგი. გენ-
დერული ურთიერთობები, ერთის მხრივ, ობიექტურია, რადგან აღვიქვამთ,
როგორც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულს, მაგრამ, მეორეს მხრივ, სუბიექ-
ტურია, რადგან სოციალურად აიგება ჩვენს მიერ ყოველდღიურად, აქ და
ამჟამად.

განვიხილოთ ფემინისტური თეორიები იმისდა მიხედვით, თუ რა

დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ისინი შემდეგი ოთხი საკითხისადმი:

1 რა არის გენდერული უთანასწორობის მიზეზი?
2 როგორია ქალი, მისი თვისებები?
3 როგორ შეიცვალოს არსებული სოციალური წესრიგი.
4 რომელ სოციალურ ფენაზეა მიმართული მისი ძალისხმევა.

ლიბერალური ფემინიზმი

1 კანონმდებლობა, არათანაბარი უფლებები და დამატებით არათანაბარი შესაძლებლობები, მაგალითად, განათლების მიღება.
2 ქალი სრულფასოვანი ადამიანია და მამაკაცის თანასწორია.
3 უნდა შეიქმნას თანაბარი უფლებები.
4 მიმართულია განათლებულ თეთრკანიან ქალზე.

ამ მიმართულებას ბევრი საერთო აქვს პარსონსთან და სქესობრივ-როლურ მიდგომასთან. ქალები როლების გამო იჩაგრებიან. ქალების როლები უნდა შევცვალოთ, მათ მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ.

რადიკალური ფემინიზმი (ჯულიეტ მიტჩელი)

1 პატრიარქატული სიტემა, რომელშიც ძალაუფლებრივი ურთიერთობები იერარქიულია.
2 ქალი ჩაგრულია, მაგრამ ისეთი უპირატესობებიც გააჩნია, რომელიც გაბატონებულ მამაკაცს არა აქვს.
3 ქალებმა უნდა შექმნან ავტონომიური სუბკულტურა - თეატრი, გამომცემლობა... ამითი ებრძოლონ პატრიარქატულ სისტემას.
4 ახალგაზრდა თეთრკანიანი ქალი - სტუდენტი, ასპირანტი, რომელსაც აფრთხილებენ, რომ მისი კარიერა ბავშვის გაჩენისთანავე დამთავრდება.

მარქსისტული ფემინიზმი

1 ეკონომიკური სისტემა.
2 ქალი არის იგივე პროლეტარი, მუშა, რადგან მის მსგავს მდგომაროებაშია.
3 უნდა შეიცვალოს ეკონომიკური სისტემა.
4 დაქირავებული მუშაკი.

ფსიქოანალიზური ფემინიზმი (ნენსი ჩოდოროვი)

1 ადრეულ ბავშვობაში ფსიქო-სექსუალური განვითარება ამყარებს დიხოტო-

მიას.

2 ქალი დამოკიდებულია, პასიურია.

3 უნდა შეიცვალოს აღზრდა, რომ ადრეული სოციალიზაცია სწორად წავიდეს.

4 თეთრკანიანი, საშუალო ფენის, განათლებული ქალი.

პოსტკოლონიალური ფემინიზმი

1 ორმაგი ჩაგვრა, სადაც ჩვეულებრივ მჩაგვრელ მამაკაცს ემატება თეთრკანიანი ქალიც.

2 ქალი სხვადასხვაგვარია, ქალებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ.

3 უნდა შეიცვალოს ეკონომიკა, კანონმდებლობა პოზიტიური დისკრიმინაციის და აფირმატიული ქმედებების გზით.

4 ეთნიკური უმცირესობის ქალი, სხვადასხვა რასის, მარგინალური ჯგუფების ქალები.

პოსტმოდერნისტული ფემინიზმი (ჯუდიტ ბატლერი)

1 ქალი და კაცი დამოუკიდებლად როდი არსებობენ, ისინი ჩნდებიან დისკურსში, რომელიც იერარქიულად ლაგდება.

2 ქალი სხვანაირია.

3 ეს დისკურსები უნდა დაინგრეს (დეკონსტრუირება).

4 თეთრკანიანი, საშუალო ფენის, განათლებული ქალი.

ტერმინი „ფემინიზმი“ დასავლეთში ფართოდ გავრცელდა XIII საუკუნის ოთხმოციან წლებში, თუმცა მისი, როგორც მასობრივი მოძრაობის ჩამოყალიბება XIX საუკუნის ფენომენია. ფემინიზმის იდეოლოგიის/ფილოსოფიის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი (ე.წ. ტალღები) არსებობს. პირველი, ლიბერალური XIX საუკუნის ბოლო - XX საუკუნის დასაწყისი - როდესაც მთავარი საზრუნავი ქალებისთვის თანაბარი სამოქალაქო უფლებების და არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვება იყო; მეორე ტალღა, მარქსიზმი/სოციალიზმი ემთხვევა დასავლურ კულტურაში 1960-70-იან წლებში მიმდინარე ახალ სოციალურ მიმდინარეობებს; აქ პროტესტი ისევ სქესობრივ უთანასწორობაზეა მიმართული, მაგრამ აქცენტი უკვე არა მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებზე კეთდება, არამედ ისეთ ასპექტებზეც, როგორიცაა ოჯახი, სექსუალობა და შრომა; და მესამე ტალღა, ან მესამე თაობა, რომელსაც ხშირად მოიაზრებენ როგორც რადიკალურ, განსხვავების და აგრეთვე პოსტმოდერნისტული ფემინიზმის ერთობას - პოსტსტრუქტურალიზმი, დეკონსტრუქტივიზმი.

ფემინიზმის ეგრეთ წოდებული პირველი ტალღა მთლიანად ლიბერალიზმის პრინციპებს ემყარებოდა და ამოსავალ მოთხოვნად ქალთა თანასწორუფლებიანობას აყენებდა. ლიბერალური ფემინიზმი პოსტმოდერნიზმის ეპოქაშიც განაგრძობს არსებობას და ფემინიზმის უმთავრეს ფორმად რჩება. ცნებები -

ქალის უფლებები და გენდერული თანასწორობა სწორედ მათგან მოდის.

სიმონა დე ბოვუარი ეგალიტარული ფემინიზმის, ანუ ფემინიზმის მეორე ტალღის წარმომადგენელია, სადაც ქალი გამოდის, როგორც თავისუფალი, ავტონომიური, რომელსაც მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს. ბოვუარის აზრით, ქალური და მამაკაცური ექზისტენცია ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ამიტომ, საკმარისია მათ თანაბარი უფლებები მივანიჭოთ. სხვა ფემინისტები არ ეთანხმებიან მას. მათი აზრით, არსებობს ცალკე ქალური ექზისტენცია, რადგან თუ არ ვაღიარებთ, რომ ცალკე ქალური ეგზისტენცია არსებობს, ისევ მამაკაცებში გავითქვიფებით.

ფემინიზმის მეორე ტალღის წიაღში გაჩნდა ფემინისტური კრიტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენს არსებული გენდერული უსამართლობის ახსნა და მისი შეცვლის საშუალებების შემუშავება.

XX საუკუნის 70-იან წლებში ფემინიზმმა გააკრიტიკა სოციოლოგია. მისი ცენტრალური პუნქტი იმაში მდგომარეობდა, რომ მიღებული თეორიები არ ითვალისწინებს ქალის გამოცდილებას და საჭიროა მათი რევიზია. ეს პერიოდი საერთოდ გამოირჩევა იმით, რომ ქალის ყოფაზე და მის მნიშვნელოვნებაზე კეთდება აქცენტი. ტრადიციული სოციოლოგიის ფემინისტური კრიტიკა მიუთითებდა, რომ:

- სოციოლოგიაში მიღებული კვლევების თემები იგნორირებას უკეთებს ქალთა პრობლემებს
- სოციოლოგები აქცენტს აკეთებენ საზოგადოებრივ როლებსა და ქცევაზე და ყურადღებას არ აქცევენ იმ სფეროებს, სადაც განსაკუთრებით ჩანს და ვლინდება ქალის გამოცდილება
- დასკვნებს სოციოლოგები აკეთებენ ზოგადად საზოგადოებაზე, ანუ მამაკაცზე
- სოციოლოგები გენდერს არ ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას.

ფემინისტური თეორიიის ასეთი ანტიმამაკაცური პათოსი, ო. ვორონინას აზრით (2), იმითაა გამოწვეული, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ დამუშავებული სქესისა და გენდერის კატეგორიები, თუმცა უკვე პირველ ფემინისტურ ტექსტებში ჩანს სამყაროს გენდერული თვალსაზრისით შეფასების ტენდენცია, მაგალითად, სიმონა და ბოვუარის „ქალად არ იბადებიან, ქალი ხდებიან“, ან სულამიფ ფაიერსტოუნის „ქალისა და მამაკაცისათვის სხვადასხვა რეალობა არსებობს“, ან „თუ ბუნებამ ქალი მამაკაცისაგან განსხვავებულად შექმნა, საზოგადოებამ იგი ადამიანისაგან განსხვავებულად გახადა“.

დღეს უკვე საყოველთაოდაა მიღებული ქალისა და მამაკაცის გამოცდილების განსხვავებულობის ფაქტი. ალის ჟარდინი წერდა: „ფემინიზმი, მისი ყველა განსხვავებისდა მიუხედავად, საბოლოო ჯამში მიიჩნევს, რომ ქალის ჭეშმარიტება, რეალობის გამოცდილება ყოველთვის განსხვავდება მამაკაცისაგან და მათი პროდუქცია და არტეფაქტები განსხვავებულად ფასდება და კანონდება პატრიარქატულ კულტურაში“.

80-იან წლებში დაიწყო ქალთა კვლევების ახალი ფაზა, რომელიც ქალის

გამოცდილების და პატრიარქატის ანალიზიდან გადავიდა გენდერული სისტემის ანალიზზე. აქცენტებმა თანდათანობით გადაინაცვლა, თუ ადრე აანალიზებდნენ ქალის ფაქტორს და მამაკაცის დომინირებას, ახლა იკვლევენ როგორ აგებს და აწარმოებს გენდერი ყველა სოციალურ პროცესს და როგორ ახდენს ეს გავლენას ქალებსა და მამაკაცებზე.

ფემინიზმი გადაიზარდა გენდერში, თუ თავდაპირველად მსჯელობდნენ იმაზე, რომ ქალი დაჩაგრულია, შემდეგ მივიდნენ აზრამდე, რომ საჭიროა მსჯელობა საერთოდ სქესთა შორის ურთიერთობაზე. გენდერული წესრიგი არის სოციალურად ორგანიზებული ურთიერთობები, რომლებიც სქესთან მიკუთვნებულობით (რომელიც მიწერილია) განისაზღვრება. გენდერული სისტემა გაჩნდა ფემინისტური იდეოლოგიისა და სოციოლოგიის საფუძველზე. გენდერული სიტემის წარმომადგენლებს საზოგადოება ესმით, როგორც ორი ჯგუფის - ქალებისა და მამაკაცების ერთობა, ეს არის ადამიანთა ორი, განსხვავებული კატეგორია, მათ შორის ურთიერთობა გამოიხატება დაპირისპირებაში, ძალაუფლების და ინტერესების კონფლიქტში. პატრიარქატი კი მამაკაცების ბატონობის სისტემაა, რომელიც ყველა საზოგადოებაში არსებობს. ტერმინი **გენდერული სისტემა** 1975 წელს შემოიტანა ანთროპოლოგმა გეილ რუბინმა. ტრეფიკინგისადმი მიძღვნილ მის ნაშრომში „საჩუქარი", ლაპარაკია იმაზე, რომ საჩუქრის ჩუქება არის სოციალური შეთანხმების მთავარი მექანიზმი, განხილულია ის რიტუალები, როდესაც ქალს ჩუქნიან საჩუქრად, როგორც ყველაზე ძვირფასს, მაგრამ მაინც ობიექტს.

ავსტრალიელი ავტორის, კერნელის აზრით, გენდერულ მიდგომას აქვს თავისი, განსხვავებული ეპისტემოლოგია, ეძებს უთანასწორობის მიზეზებს. გენდერული სისტემა ვლინდება სამი სტრუქტურის - ეკონომიკური, პოლიტიკური, კატექსისის ჩარჩოებში.

- ეკონომიკური - ყველანაირ ორგანიზაციაში არის შუშის ჭერის ფენომენი, როცა რაც უფრო მაღლა ავდივართ იერარქიაში, მით ნაკლებად გვხვდება ქალი, გარდა ამისა, არის შრომის ასიმეტრიული ანაზღაურება და სხვ.
- პოლიტიკა/ძალაუფლება - ვისაც მეტი რესურსი აქვს, ის თავის ნებას სხვას თავს ახვევს, აქ შედის ოჯახიც - ვის აქვს ოჯახში ძალაუფლება, ვინ იღებს გადაწყვეტილებას, ვინ ხარჯავს ფულს.
- კატექსისი - ეს არის ემოციური მუხტი, რომელიც დაკავშირებულია ვნებასთან (ფროიდი). ანუ, ემოციის, სურვილების, სექსუალური ლტოლვების სფეროშიც ქალი დამოკიდებულია მამაკაცზე.

ფემინიზმი პრაქტიკულად ძალაუფლების დინამიკის ცვლილების სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო განსხვავებული ფემინისტური მიმართულებები ამ ცვლილების განხორციელებისა და შედეგების მიღწევის გზებს განსხვავებულად სახავენ. ფემინიზმის სხვადასხვაგვარი განმარტება განსაზღვრავს გზას, რომლითაც უნდა მოხდეს ქალსა და მამაკაცს შორის რეალური თანასწორობის დამყარება.

ლიტერატურა

1 Ангер Р., Трехстороннее зеркало: психологи, изучающие женщин глазами феминисток, Введение в гендерные исследования, часть II, Харьков, Санкт-Петербург, 2001.

2 Воронина О. А. Основы гендерной теории и методологии, теория и методология гендерных исследований, Москва, 2001.

3 Элиот П., Менделл Н., Феминистская теория: проблематизация женской субъективности, В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть II, Санкт-Петербург, 2001.

4 Коннелл Роберт (1987), Современные подходы. В книге: Гендерные Вопросы, хрестоматия, 2000.

5 Темкина А., Женское движение второй волны: истоки, концептуализация и результаты, В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I, Санкт-Петербург, 2001.

6 Здравомыслова Е., Темкина А., Социальное конструирование гендера: феминистская теория. В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I. Санкт-Петербург, 2001.

7 Здравомыслова Е., Темкина А., Феминистская критика эпистемологических оснований социологии: перспективы социологии гендерных отношений, В: Введение в гендерные исследования, хрестоматия, часть I, Санкт-Петербург, 2001.

8 Кэндес Уэст, Дон Зиммерман (1991) Создание Гендера. В книге: Гендерные Вопросы, хрестоматия, 2000.

9 Coole Diana, Threads and Plaits or an Unfinished Project? Feminism(s) through the Twentieth Century. pp. 154-175. In: Freeden, Michael (2001), Reassessing Political Ideologies.

4. ქალწულობის ინსტიტუტი, როგორც პრობლემა // *სოციოლოგიური კვლევები გენდერის სფეროში*, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 97-117

სოციოლოგიური კვლევები გენდერის სფეროში

"ქალწულობის ინსტიტუტი" როგორც პრობლემა

დებატ-კლუბის მიზნები

ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის ბაზაზე ჩვენს მიერ დაარსებული დებატ-კლუბის მიზანია იმ პრობლემათა წინა პლანზე წამოწევა, რომლებიც რეალურად არსებობს საზოგადოებაში.

სოციოლოგიურ კვლევათა მასალები ცხადყოფენ, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა არ არის გულწრფელი და მათ მიერ დაფიქსირებული პოზიციები გაბატონებული სტერეოტიპების გამოხატულება უფროა, ვიდრე პიროვნული დამოკიდებულების გამოკვეთა. რესპონდენტები ხშირად გაცნობიერების გარეშე იზიარებენ კულტურით განპირობებულ ნორმებს. ჩვენი მიზანი გახლავთ ახალგაზრდულ დებატ-კლუბში ვიმსჯელოთ აქტუალურ და ყველასათვის მტკივნეულ საკითხებზე. ჩვენი სპეციალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ვიმუშაოთ სოციალურ სფეროში. ამ კლუბის შექმნის ინიციატორები არიან ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის სოციოლოგიის სპეციალობის II კურსის სტუდენტები: თეონა მატარაძე, თაკო ჩარკვიანი, ნინო გელაშვილი და ანი ჭელიძე.

პრობლემის დასმა

ემპირიული სოციოლოგიური კვლევის თემად „ქალწულობის ინსტიტუტი" ავირჩიეთ და შევეცადეთ გამოგვეკვეთა ამ ტრადიციასთან დაკავშირებული პრობლემები. სოციოლოგიურმა გამოკვლევამ იმის საშუალება მოგვცა, რომ ფორმულირებული - ჰიპოთეტური მოდელი ცდებით შეგვემოწმებინა და გვეჩვენებინა ჩვენს საზოგადოებაში ორმაგი სექსუალური სტანდარტის ფუნქციონირების რეალური სურათი. „ქალწულობის ინსტიტუტი" საზოგადოების მიერ მკაცრად დაცული და ამასთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე ტაბუდადებული თემაა. ახალგაზრდები ხშირად ყოველგვარი ანალიზის გარეშე, გაუცნობიერებლად ემორჩილებიან ამ ტრადიციას. ამიტომ შევეცადეთ ახალგაზრდების ყურადღება ამ საკითხზე გაგვემახვილებინა და მათთან ერთად გვემსჯელა არჩეული თემის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.

სოციოლოგიის კომპეტენციაში არ შედის პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული რჩევების მიცემა.

იმისათვის, რომ დასმული პრობლემები დინამიკაში შეგვესწავლა, მოვიძიეთ 1997-2001 წლების სოციოლოგიურ კვლევათა მონაცემები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხებოდა ამ პრობლემებს. გავესაუბრეთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ექსპერტებს და გამოვავლინეთ მათი შეხედულებები აღნიშნულ საკითხზე. მოპოვებული მასალები მსჯელობის საგნად ვაქციეთ დებატ-კლუბში.

„ქალწულობის ინსტიტუტის" სოციოლოგიურ გამოკვლევაზე მუშაობა ჩაატარეს ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა: თაკო ჩარკვიანმა, თეონა მატარაძემ, ნინო გელაშვილმა და ანი ჭელიძემ.

ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მიზანი გახლდათ „ქალწულობის ინსტიტუტის" პრობლემასთან დაკავშირებით შეგვესწავლა სტუდენტთა აზრი და მოგვეპოვებინა უახლესი ემპირიული მონაცემები. პირველ ეტაპზე ავიღეთ თავისუფალი ინტერვიუები, რომლებშიც გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებზედაც ყურადღებას ამახვილებდნენ ახალგაზრდები. ყოველივე ამის საფუძველზე შევადგინეთ მცირე კითხვარი. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე შედგენილ იქნა განსხვავებული ანკეტები ორივე სქესისათვის. გამოვიკითხეთ 120 რესპონდენტი (73 ვაჟი, 47 გოგონა), რომელთა ასაკი 17-იდან 22 წლამდე მერყეობდა. რესპონდენტები იყვნენ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სტუდენტები. რესპონდენტთა სიმცირისა და შერჩევის არაპრეზენტატულობის გამო, მიღებულ შედეგებს თამამად ვერ გავავრცელებთ გენერალურ ერთობლიობაზე.

პირველი კითხვა, რომლითაც მივმართეთ რესპონდენტებს ასეთი გახლდათ: „თანასწორუფლებიანია თუ არა ქალი და მამაკაცი საქართველოში"? გამოკითხული ვაჟების 75%-მა განაცხადა, რომ მიუხედავად იურიდიული თანასწორუფლებიანობისა, ჩვენში რეალურად ქალი უფლებრივად შეზღუდულია, 25%-ს აზრით კი ქალი და მამაკაცი რეალურადაც თანასწორუფლებიანია. გოგონები უფრო საღად უყურებენ არსებულ ვითარებას და მათი 83% აღიარებს საკუთარ უფლებრივ შეზღუდულობას. 17% კი აცხადებს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის უფლებრივი განსხვავება არ არსებობს. თავის მხრივ ვაჟებიც აცნობიერებენ ამას, თუმცა რეალურად ამ ასიმეტრიის დაძლევას ისინი არ ცდილობენ.

კითხვაზე: „რა სფეროში გამოიხატება უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის?", რესპონდენტთა 30%-მა ოჯახზე მიგვითითა, 12%-მა სამსახურზე, ხოლო 58%-ს აზრით, ქალისა და მამაკაცის უთანასწორობა ყველა

სფეროში იჩენს თავს.

შეიძლება ითქვას რომ, სექსუალური სფერო ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე მეტად ტაბუდადებულია. გამოკითხული რესპონდენტები უხერხულობას გრძნობდნენ ამ თემაზე საუბრისას, ამიტომ მოცემულ კითხვაზე მიღებული შედეგები ლოგიკურია: ვაჟების 70% აცხადებს, რომ საზოგადოებამ არ უნდა მიანიჭოს სექსუალური თავისუფლება ქალს, ამ საკითხთან დაკავშირებით ლიბერალური განწყობა რესპონდენტთა 30%-ს აღმოაჩნდა. საზოგადოებაში გამეფებული სტერეოტიპი — „გოგო ქალწული უნდა გათხოვდეს“ — გაიზიარა გამოკითხული გოგონების 43%-მა; 45%-მა დასაშვებად მიიჩნია ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირი; დანარჩენმა 12%-მა კი თავი შეიკავა ამ კითხვაზე პასუხისაგან.

დავინტერესდით თუ რესპონდენტთა რა რაოდენობისათვის არის მნიშვნელოვანი საცოლის ქალწულობა. გამოკითხული ვაჟების 67%-სათვის „საცოლის ქალწულობა აუცილებელია“, 25% აცხადებს, რომ მისთვის „საცოლის ქალწულობა სასურველია, თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს“; მხოლოდ 8% არ თვლის საჭიროდ, რომ „გოგონა ქალწული უნდა გათხოვდეს“.

რესპონდენტებს ვთხოვეთ წარმოედგინათ ასეთი სიტუაცია: „ვთქვათ, თქვენმა მეგობარმა გადაწყვიტა ოჯახის შექმნა ქალთან, რომელიც არ არის ქალწული; რა მეგობრულ რჩევას მისცემდით მას?“ მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულები მეტ ლოიალობას იჩენენ, როდესაც საუბარი მათი მეგობრის არჩევანზეა. რესპონდენტების 35% თვლის, რომ „ოჯახის შესაქმნელად მხოლოდ სიყვარულია განმსაზღვრელი“. 48% აცხადებს, რომ „ეს მხოლოდ მისი მეგობრის გადასაწყვეტია“; ვაჟების 14%-ს „მიუღებლად მიაჩნია ასეთი გადაწყვეტილება“, თუმცა არ სურს საკუთარი აზრი თავს მოახვიოს მეგობარს. რესპონდენტების მხოლოდ 5%-ა კატეგორიული წინააღმდეგი იმისა, რომ მისმა მეგობარმა თავისი ცხოვრება არაქალწულ, მაშასადამე, უზნეო ქალს დაუკავშიროს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მკაცრად განაცხადა, რომ „მის მეგობრებს მსგავსი რამ აზრადაც არ მოუვათ“.

კოლექტივისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია პიროვნების პირადი ცხოვრების მკაცრი რეგლამენტაცია. ინდივიდი ტრადიციების მორჩილი და არჩევანში შეზღუდულია. ამიტომ საზოგადოების ყველა წევრს აშინებს არა თვითონ ქმედება (რომ შეირთოს არაქალწული მეუღლე), არამედ ის, რომ საზოგადოება ამას დევიანტურ ქცევად ჩაუთვლის. სწორედ ამის დადასტურებაა მიღებული მონაცემები. კითხვაზე: „რატომ გინდათ, რომ თქვენი საცოლე ქალწული იყოს?“ 15% თვლის, რომ ქალწულობა ნიშნავს ცოლის უბიწოებას, მის სისპეტაკეს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში რესპონდენტები ქალიშვილობასა და ზნეობას ერთმანეთთან აიგივებენ. ერთ-ერთმა გამოკითხულმა კიდეც დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა: „როგორ შეიძლება გათხოვებამდე სექსუალური ცხოვრების მქონე ქალმა ზნეობრივი შვილები აღზარდოსო?!“ ვაჟების 16%-ს ქალწულ საცოლეში მისი გამოუცდელობა იზიდავს. მამაკაცს აფიქრებს ის ფაქტი, რომ შეიძლება ქალმა მას ძველი სექსუალური პარტნიორი არჩიოს. ქალწულობის ინსტიტუტი მამაკაცების 32%-სთვის პირად კაპრიზს როდი წარმოადგენს, ისინი მაქსიმალურ კონფორმიზმს იჩენენ, რადგან ემორჩილებიან საზოგადოების აზრს და ერიდებიან მათი მამაკაცური ღირსების შემლახავ დაცინვას. გამოკითხულთა 37% კონსერვატორია. ისინი ნებისმიერ ტრადიციას განსჯის გარეშე იღებენ და ემორჩილებიან: „ტრადიცია არის ჭეშმარიტება, რომელსაც ალტერნატივა არ მოეძებნება“ — აცხადებენ ისინი.

როდესაც საქმე გენდერულ პრობლემებს ეხება, მაშინ არც საზოგადოების მეორე ნაწილია სახარბიელო მდგომარეობაში. ამას გამოკვლევის შედეგად მიღებული შედეგებიც ადასტურებს. აღმოჩნდა, რომ მამაკაცთა 60%-ს პრობლემებს უქმნის ის, რომ შეყვარებული სქესობრივ კავშირში არ შედის მასთან. ეს პრობლემა რესპონდენტთა 40%-ს არ აწუხებს.

დავინტერესდით ქალწულობის ტრადიცია გოგონებისათვის პირადად იყო მისაღები, თუ ისინი საზოგადოებრივ მოთხოვნას ემორჩილებოდნენ. კითხვაზე: „რომ გეცხოვრათ ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არის ქალწულობის ტრადიცია, შეინარჩუნებდით თუ არა ქალწულობას?“ გოგონების 49%-მა გვიპასუხა, რომ „სადაც მიდის, იქაურ ქუდს იხურავს“, 51%-სთვის კი ეს ტრადიცია ცსოვრების წესია.

რესპონდენტთა 53% მისაღებად მიიჩნევს საქმროსთან ქორწინებამდე სექსუალურ კავშირში შესვლას; როგორც ვხედავთ, ტრადიცია ამ შემთხვევაში ბარიერი არ არის. ამდენად სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი არაქალწულის მიმართ საქართველოში იმდენად ძლიერია, რომ ეს ოჯახის შექმნას ხელს უშლის. გოგონების 47% კი მკაცრად იცავს ტრადიციას და „სხვაგვარად არ ძალუძს.“

გოგონები ობიექტურად აცნობიერებენ რეალობას. მათ იციან, რომ მამაკაცებს პირველ რიგში პრობლემას უქმნის ის გარემოება, რომ არაქალწული ცოლის მოყვანა საზოგადოებაში მის სტატუსს შელახავს (34%). გოგონების 32%-ს აზრით, ტრადიციებისადმი ერთგულება ვაჟების შეხედულების განმსაზღვრელია; გოგონების 21%-ს აზრით, ვაჟებს ქალწულობაში სისპეტაკე იზიდავს; ხოლო 13% მიიჩნევს, რომ გადამწყვეტი

მნიშვნელობა გამოუცდელობას ენიჭება.

გამოკვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში „ქალწულობის ინსტიტუტი" საზოგადოების მიერ ერთ-ერთი ყველაზე მყარად დაცული ტრადიციაა. საზოგადოება ამ ტრადიციის მიმდევარია; მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი მასში დადებითს ბევრს ვერაფერს ხედავს, მაინც კრიტიკული ანალიზის გარეშე, უპროტესტოდ იღებს მას.

. . .

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესმა მრავალი აკრძალული თემის გახსნას შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა ქართულ სინამდვილეში მაინც იშვიათობას წარმოადგენს. კვლევები სექსუალურ სფეროში 90-ანი წლებიდან იწყება. გარდა ქართული კულტურის სპეციფიკურობისა ამის კიდევ ერთი მიზეზი ისეთი საზოგადოებრივი წყობა გახლავთ, როგორიცაა კომუნისტური რეჟიმი. სოციალიზმის დროს ამ სფეროსადმი დაკავშირებული პრობლემები მოწესრიგებულად მიიჩნეოდა, ამიტომ ამ თემაზე საკმაოდ მწირი მასალა არსებობს. ეს, რაღა თქმა უნდა, ართულებს საქმის ვითარებას, კერძოდ, ჩვენს მიერ აღნიშნული პრობლემატიკის დინამიკაში შესწავლას.

დემოკრატიზაციის პროცესის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია იმის გამოვლენა, თუ რა დამოკიდებულება არსებობს რეალურად ამ მიმართულებით ანუ როგორია საზოგადოებრივი აზრი ისეთ ფენომენთან დაკავშირებით როგორიცაა — ორმაგი სექსუალური სტანდარტი, რომლის რეალურ ფუნქციონირებას მრავალი გამოკვლევა ადასტურებს. ორმაგი მორალის ერთგვარი ბაზისია - „ქალწულობის ინსტიტუტი", რაც „საზოგადოებაში გაბატონებულ სტანდარტად გვევლინება" (ი. კაჭკაჭიშვილი). ორმაგი სექსუალური სტანდარტის მიხედვით, სექსუალურ ცხოვრებაში მამაკაცს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, ქალს კი მორალის მკაცრი დაცვა მოეთხოვება. ეს იმის უეჭველი ინდიკატორია, რომ სექსუალური სფეროს ტაბუდადებულობა კულტურასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთ ძირითად კულტურულ ღირებულებას ჩვენში ქალის უბიწოება და პატიოსნება წარმოადგენს. ამ ტიპის ფასეულობა დაუშვებლად მიიჩნევს ქალის მიერ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან სექსუალური გამოცდილების მიღებას. თუ ამგვარ „დევიანტურ" ქცევას აქვს ადგილი, მაშინ ეს უკანასკნელი ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს. ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგი ლ. სურმანიძე აღნიშნავს: "მიუხედავად იმისა, რომ მრუშობა ორივე სქესის წარმომადგენლისთვის რეპრესიულობის განსაკუთრებულ წნეხს გულისხმობს, ქალებთან მიმართებაში რეპრესია ეხება სექსუალური კონტაქტის ფაქტს, ხოლო მამაკაცებთან მიმართებაში — ამგვარი კონტაქტის მისაღებობა-მიუღებლობას." ადიულტერი მამაკაცისათვის მისატევებელ ცოდვად ითვლება და ამ შემთხვევაში საზოგადოება პერმისიულ დამოკიდებულებას ავლენს, ქალი კი ამ მხრივ უფრო დაჩაგრულია. ადიულტერის შემთხვევაში მდედრობითი სქესის წარმომადგენლის მიმართ ნეგატიური მიდგომა ყალიბდება. ეს ნდობის ტელეფონის თანამშრომელთა გადმოცემითაც დასტურდება. მამაკაცები ხშირად ჩივიან გაორებაზე ცოლსა და საყვარელს შორის, ხოლო ქალების მხრიდან კი (ანონიმურობის გარანტის მიუხედავად) ამგვარ ჩივილებს ადგილი არა აქვს. ეს იმის მანიშნებელია, რომ მათ გულწრფელი გაგების იმედი არა აქვთ.

იმდენად, რამდენადაც სექსუალური სფერო ტაბუდადებული და უშუალო დაკვირვებისათვის მოუხელთებელია, საქმეს ამ მხრივ ემპირიული მეცნიერებებისადმი მიმართვა აადვილებს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძირითადია ემპირიული სოციოლოგია. კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მოვახდინოთ ამოსავალი თეორიული ცნებების ობერაციონალიზაცია, ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეტური მოდელი და, რაც მთავარია, ცდებით შევამოწმოთ იგი.

ამ ნაშრომში წარმოდგენილი გვაქვს ჩვენი გამოკვლევა, რომელიც ეხება სექსუალურ სფეროში ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის გამომხატველ პრობლემას — „ქალწულობის ინსტიტუტს". შევეცადეთ შეძლებისდაგვარად წინა პლანზე წამოგვეწია ის პრობლემები, რომლებიც ამ ტრადიციის არსებობასთან მოდის კორელაციაში.

ამ შემთხვევაში ჩვენი მხრიდან საკითხის წამოყენების მიზნით ვსვამთ შემდეგ კითხვას: „რა ცვლილებებს აქვს ადგილი ამ მიმართულებით ქართულ სინამდვილეში?"

შესაბამისად, მეტად საინტერესოა იმის დადგენა, თუ რა დოზით შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი. რამდენადაც სოციოლოგიური გამოკვლევა იმის საშუალებას იძლევა, რომ დასმული პრობლემა გაზომვადიც გახდეს, საჭიროდ მიგვაჩნია მოვახდინოთ იმ კვლევების მონაცემთა კომბინირება, რომლებიც ამ პრობლემასთან დაკავშირებით 1997 წლიდან დღემდე ჩატარებულა.

1997 წელს თბილისის ივ. ჯავახისვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის თანამშრომლის ნინო დურგლიშვილის ინიციატივით ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა სახელწოდებით:

„ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი", რომელშიც მონაწილეობდა 300 რესპონდენტი. აღნიშნული კვლევა არ შემოიფარგლებოდა დედაქალაქით, იგი ვრცელდებოდა კიდევ ორ სუბკულტურულ რეგიონზე — კახეთსა და სამეგრელოზე.

კვლევის შედეგებმა ცხადყო საქართველოში ორმაგი სექსუალური სტანდარტის არსებობა. მკვლევრის აზრით, ქართული საზოგადოება ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდელ სექსუალურ თავისუფლებას ორმაგი მორალის პრინციპით განიხილავს. ამ ჰიპოთეზას პროცენტული მაჩვენებლებიც ადასტურებენ. რესპონდენტთა 50,5% კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნევს წარსულში ქალისათვის სხვა სექსუალური პარტნიორის ყოლას, მაშინ როცა მამაკაცისადმი ანალოგიურ დამოკიდებულებას მხოლოდ 7% ავლენს.

შესაბამისად განქორწინებულ ქალს ახალი ოჯახის შექმნის უფრო ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე მამაკაცს. გამოკითხულთა 57% განქორწინებული ქალისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად დაბლა იწევს. რესპონდენტთა მხოლოდ 30% მიიჩნევს მას არასასურველ სასიძოდ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლევარი ოპტიმისტურად არის განწყობილი და სექსუალური ცხოვრების საკითხისადმი საგრძნობ ლიბერალიზაციაზეც მიუთითებს. მისეულ ჰიპოთეზას ქორწინებამდე ქალისათვის სხვა სექსუალური პარტნიორის ყოლის შესახებ, იგი რესპონდენტთა დანარჩენი 45%-ს დადებითი დამოკიდებულებით ადასტურებს.

აქვე შეიძლება გავაანალიზოთ იმავე წელს (1997წ.) ფსიქოლოგ რ. ფხაკაძის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც 100 რესპონდენტ ქალზე ვრცელდებოდა. მოცემულ კვლევაში კითხვები დაჯგუფებული იყო 5 ბლოკად და თითოეული ბლოკი ეხებოდა სექსუალობას სხვადასხვა პარამეტრით. აღნიშნული ანკეტიდან ჩვენთვის საინტერესოა ორი კითხვა:

1. აუცილებელია თუ არა ქალისათვის ოჯახი სექსუალური ურთიერთობებისათვის?
2. უნდა ცხოვრობდეს თუ არა ქალი, მამაკაცის მსგავსად თავისუფალი სექსუალური ცხოვრებით?

აღსანიშნავია, რომ მეორე კითხვა დიქოტომიურ პასუხებს მოიცავდა „დიახ", „არა". ამ უკანასკნელზე პასუხის გაცემის შემთხვევაში რესპონდენტებს უსვამდნენ ღია კითხვას — „რატომ?".

აღმოჩნდა, რომ გამოკითხული ასი ქალიდან დადებითი პასუხი გასცა 52%-მა, უარყოფითი — 32%-მა. ნეიტრალური პასუხი გააჩნდა გამოკითხულთა დანარჩენ 18%-ს.

ღია კითხვაზე სრულყოფილი პასუხი გამოკითხულთა 62%-დან მხოლოდ 10%-მა გასცა. ამ რესპონდენტებმა თავიანთი პასუხი შემდეგი ფრაზით ახსნეს: „ქალი, როგორც ყველა სფეროში, ასევე სექსშიც, ისეთივე თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორც მამაკაცი. ხოლო დანარჩენმა 50%-მა, მიუხედავად დადებითი პასუხისა, საკუთარი პოზიცია ვერ განამტკიცა."

რესპონდენტთა 40%-მა, რომელმაც უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა ღია კითხვის მიმართ შემდეგი სტერეოტიპული პასუხები გასცა: „ქალს არ შეეფერება ისეთივე საქციელი, როგორიც მამაკაცს"; „ქართული ტრადიციების გამო ქალს არ შეშვენის თავაშვებულობა"; „ქალს არა აქვს ყველაფრის უფლება", „ქალი იღებს, კაცი კი გასცემს"; „ქალისათვის აუცილებელია პარტნიორის მიმართ გააჩნდეს გრძნობა, მამაკაცს კი გრძნობის გარეშეც შეუძლია ქალთან ურთიერთობა".

რესპონდენტთა დანარჩენმა 18%-მა, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას თავი აარიდა.

მეტად მნიშვნელოვანია მესამე ბლოკში შემავალი კითხვა, რომელიც იკვლევდა გამოკითხულ ქალთა სექსუალური პარტნიორების რაოდენობას 0-იდან N — რიცხვის ჩათვლით. 60%-მა სექსუალურ პარტნიორად ერთხმად დაასახელა რაოდენობა ერთი (1), და თუ პარტნიორი მუდმივია (თუ ქვრივი ან გაყრილი არ არის), მაშინ კონსენსუსი სავსებით მიღწეულია.

ანალოგიურ თემასთან დაკავშირებით სოციოლოგმა ი. კაჭკაჭიშვილმა 1999 წელს ჩაატარდა გამოკვლევა სახელწოდებით „სექსუალური ურთიერთობის პრობლემები". გამოკვლევა მიმდინარეობდა გამოკითხვის, კერძოდ, ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით. მონაცემები დამუშავებულია spss პროგრამის ფარგლებში, ძირითადად გამოყენებულია კორელაციური ანალიზის მეთოდი. შემკვეთი და დამფინანსებელი - არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაცია — „ექიმები საზღვრებს გარეშე" (MSF, საბერძნეთი).

სოციოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა ქ. თბილისში, 1998 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში. გამოიკითხა 16[1] და მეტი ასაკის 800 რესპონდენტი, რომლებიც წარმოადგენდნენ ქ. თბილისის ათივე საცხოვრებელ რაიონს. გამოკითხულთა 40,8% მამაკაცია, ხოლო 59% - ქალი.

ჩვენი თემიდან გამომდინარე დავინტერესდით იმ კითხვით, რომელიც დაუოჯახებელ რესპონდენტებს

[1] 16-დან 65 წლამდე და მეტი.

ეხებოდათ: „გქონიათ თუ არა ოდესმე სექსუალური კონტანქტი?" დაუოჯახებელ რესპონდენტ ქალთა 94% უარყოფით პასუხს იძლევა, ხოლო მამაკაცების 83,35% კი - დადებითს.

ქალთა ჯგუფი, რომელსაც სექსუალური გამოცდილება არ გააჩნია ახალგაზრდა, შუახნისა და ხანშიშესული მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს აერთიანებს, ხოლო ამგვარი გამოცდილების მქონე მამაკაცთა ასაკი — 20 წელზე დაბალია.

მკვლევართა აზრით, მათი დაუოჯახებლობა უეჭველი ინდიკატორი როდია იმისა, რომ მარტოხელა მამაკაცებს სექსუალური გმოცდილება არ გააჩნიათ. ამ ჰიპოთეზას ამგვარი გამოცდილების მქონე მამაკაც რესპონდენტთა 85% ადასტურებს.

საგულისხმოა, რომ იმ მამაკაცთა ასაკი, რომლებიც სქესობრივ კონტაქტში არასოდეს შესულან, 30 წლამდე მერყეობს. მათი რაოდენობა 4,9%-ია. სექსუალურ კონტაქტში მათი შეუსვლელობის მიზეზები სხვადასხვაგვარია. ამ მიზეზთა რიცხვში დაუქორწინებლობა არ შედის, რაც ქალების მხრიდან ერთადერთ მიზეზად სახელდება.

მიღებული მონაცემების საფუძველზე მკვლევარი ცდილობს ობიექტურად შეაფასოს არსებული ვითარება. იგი დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ ქართული კულტურა ქალებისათვის დაუშვებლად მიიჩნევს ქორწინებამდელ სქესობრივ კავშირს და მას სოციალურად მიუღებელ ქცევად აღიქვამს. სხვაგვარად ჩვენში ქალწულობა ჯერ კიდევ ინარჩუნებს სოციალური ნორმის ხასიათს, ხოლო „ქალწულობის ინსტიტუტი", თავის მხრივ გაბატონებულ სტანდარტად გვევლინება.

მეტად საინტერესოა ამ ინსტიტუტისადმი უფროსკლასელთა დამოკიდებულება, რომელსაც იკვლევდნენ III კურსელი სოციოლოგები. ამ ტრადიციისადმი რესპონდენტთა მიდგომა კვლევის მხოლოდ ერთ ბლოკშია მოცემული.

სოციოლოგიური გამოკვლევის სრული სახელწოდება გახლავთ - „უფროსკლასელთა გენდერული ორიენტაციები ძალადობის სფეროში". ეს უკანასკნელი განხორციელდა ქალთა განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის მიერ ინიცირებულ გენდერული პროექტის ფარგლებში. გამოკითხვა ვრცელდებოდა თბილისის სკოლების მოსწავლეებში. მასში მონაწილეობდნენ გოგონებიც და ვაჟებიც. მათემატიკური შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით შეირჩა 28 სკოლა თბილისის სხვადასხვა რაიონში. გამოიკითხა მე-8 და მე-9 კლასელი 500 რესპონდენტი. ზემოთ ხსენებულ ბლოკში შემავალი პირველი კითხვა მიმართული იყო იმის დასადგენათ, თუ რა დამოკიდებულებას ავლენენ უფროსკლასელები ქორწინებამდელი სქესობრივი კონტაქტებისადმი.

როგორც გამოირკვა, უფროსკლასელთა უმრავლესობა - 52% მიიჩნევს, რომ ამგვარი კონტაქტი მხოლოდ ვაჟებისათვის არის მისაღები, 18%-ს მოსაზრებით, ეს უფლება ორივე სქესის წარმომადგენელს უნდა გააჩნდეს, 29%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო გოგონებისათვის ამ უფლების მინიჭებას შესაძლებლად მიიჩნევს რესპონდენტთა მხოლოდ 0,6%. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამ პასუხის ავტორები ვაჟები არიან და მათი ამგვარი პასუხი უფრო ხუმრობაა, ვიდრე საკითხისადმი ჭეშმარიტი დამოკიდებულება.

სქესის ნიშნის მიხედვით კი შემდეგი განსხვავება გამოვლინდა: გამოკითხულ გოგონათა უმრავლესობას უჭირს პასუხის გაცემა, მაშინ როცა ბიჭების უფრო დიდი ნაწილი ქორწინებამდელ სქესობროვ კონტაქტს ორივე სქესისათვის მისაღებად თვლის, მაგრამ ასეთი კონტაქტების მხოლოდ ვაჟებისათვის დაშვებას, ორივე სქესის უმრავლესობა უჭერს მხარს - (52%).

გამოკვლევის ავტორის აზრით, უფროსკლასელებში ქალწულობის ტრდიციას ფესვები ღრმად აქვს გადგმული და მის წინააღმდეგ პროტესტს ბიჭები უფრო მეტად გამოხატავენ, ვიდრე გოგონები. როგორც მონაცემებიდან ირკვევა, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სრულიად უპრეტენზიოდ იღებენ კულტურით განპირობებულ ნორმებს.

მოცემულ ანკეტაში ვხვდებით შემდეგი სახის კითხვას: „დასაშვებია თუ არა პირადად თქვენთვის ქორწინებამდელი სქესობივი კონტაქტი?" რაზედაც გამოკითხულთა 32%-მა დადებითად უპასუხა, 50%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო 19%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა.

ადგილი ჰქონდა სქესის ნიშნის მიხედვით განსხვავებას: ქორწინებამდელი სქესობრივი კონტაქტი გოგონების მხოლოდ 5%-სთვის არის მისაღები, 76%-სათვის ყოვლად მიუღებელია, ხოლო 19%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. რაც შეეხება ვაჟებს: 63%-სთვის ქორწინებამდელი სქესობრივი კონტაქტი მისაღებია, 20%-სთვის მიუღებელი, ხოლო 18%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

რესპონდენტებს, რომლებმაც ამგვარი კონტაქტი დაუშვებლად მიიჩნიეს, უნდა აეხსნათ საკუთარი უარყოფითი მიდგომა. გოგონების 61%-მა მათეული პოზიციის მიზეზად აღზრდის არსებული მოდელი დაასახელა, დანარჩენმა 16%-მა ამგვარი ქცევის უარყოფა საზოგადოების მხრიდან მათდამი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას დაუკავშირა. მამრობითი სქესის გამოკითხულთა 4%-მა კი არგუმენტად რელიგიუ-

რი დოგმა მოიშველია.

ავტორის აზრით, ზემოთ აღნიშნული მონაცემები იმის უეჭველი ინდიკატორია, რომ ვაჟის სექსუალური ცხოვრება, გოგონებთან შედარებით ნაკლებად რეგლამენტირებულია და ამ მხრივ შეზღუდვებს აღზრდის პროცესშიც ნაკლებად აქვს ადგილი.

ამ შედეგებთან თანხმობაში მოდის შემდეგი კითხვის პასუხები: „როგორ ფიქრობთ, მისაღებია თუ არა ქალი, რომელსაც ქორწინებისგარეშე სქესობრივი კავშირები აქვს?" რესპონდენტთა მხოლოდ 7%-მა გამოავლინა დადებითი პოზიცია, 17%-ის აზრით - „უფრო მისაღებია, ვიდრე არა", 35%-მა ასეთი პასუხი გასცა: „უფრო არა, ვიდრე კი", ხოლო 40,4%-მა კი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად უპასუხა. სქესის მიხედვით აქ განსხვავებას ადგილი არა აქვს. მკვლევრის გადმოცემით, ამ საკითხის მიმართ გოგონები უფრო ტოლერანტულნი და შემწყნარებელნი არიან, ვიდრე საპირისპირო სქესის წარმომადგენლები, რადგან გოგონების უმრავლესობა შესაძლო პასუხთაგან უფრო ხშირად „უფრო კი, ვიდრე არას" ანიჭებდა უპირატესობას.

კითხვარში ცალკე მსჯელობის საგნად იყო მოცემული მოსაზრება — „ქალი ქალწული უნდა გათხოვდეს". გოგონათა საკმაოდ დიდი რაოდენობა — 89% და ბიჭების 87%, სტერეოტიპებს უპრეტენზიოდ იღებს და შესაბამისად განმარტებებსაც იძლევა: რესპონდენტთა — 35%-მა განაცხადა, რომ „ეს არის ტრადიცია, რომელიც არ უნდა დაირღვეს", 42%-მა ეს ტრადიცია ქალის უბიწოების, სიწმინდის გამოხატულებად მიიჩნია, 12%-ს აზრით, ეს არის არასასურველი, თუმცა ანგარიშგასაწევი წარსულის გადმონაშთი და მხოლოდ 11%-ს მოსაზრებით, ეს უაზრო ტრადიციაა, რომელიც ხელს უშლის გოგონასა და ბიჭის ურთიერთობას.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ქალის მოტაცების ტრადიციაზე და დასმულ კითხვაზე — „რატომ არ ბრუნდებიან მოტაცებული გოგონები მშობლიურ ოჯახებში?" შემდეგ პასუხებს იღებს: გამოკითხულთა უმრავლესობა — 37% (გოგონების 45,9% და ბიჭების 28%) ჩამოთვლილ მიზეზებს შორის პირველობას აკუთვნებს აზრს, რომლის მიხედვითაც გოგონებს ეშინიათ უკან დაბრუნება, რადგან ამ შემთხვევაში პატიოსანი ქალის სახელს დაკარგავენ. გამოკითხულ გოგონათა 35% დარჩენის მიზეზად მშობლების მხრიდან ძალდატანებას ასახელებს, ხოლო ბიჭების 30% კი თვლის, რომ მოტაცებულებს მომტაცებლები უყვარდებათ.

როგორც მთელი რიგი მონაცემებიდან ირკვევა, სექსუალური სფეროს დახურულობა სექსუალური განათლების დაბალ დონეს შეეფარდება, რაც უამრავ პრობლემას წარმოშობს. მაგალითად, ოჯახის შექმნის შემდეგ წყვილთა უმრავლესობა უჩივის სექსუალურ შეუთავსებლობას, რაც ხშირად ოჯახის დანგრევის მიზეზიც ხდება. 2000 წელს 150 რესპოდენტზე ჩატარებულ იქნა პილოტაჟური გამოკვლევა, სადაც მოცემული იყო გაყრის ათი მიზეზი. შედეგად, დასახელებული მიზეზები სიხშირის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

1. ფიზიკური ძალადობა —95,7%;
2. ლოთობა — 62,85%;
3. ღალატი — 61,42%;
4. სექსუალური შეუთავსებლობა — 60%;
5. მორალური ძალადობა — 38%;
6. ემოციური კონტაქტის დაკარგვა — 17,14%;
7. დაბალი თვითშეფასება — 17,14%;
8. ეკონომიკური მდგომარეობა — 15,7%;
9. მრავალთაობიან ოჯახში ცხოვრება — 12, 85%;
10. ასაკობრივი სხვაობა — 5,7%.

როგორც ვხედავთ, სექსუალურმა შეუთავსებლობამ ჩამოთვლილ მიზეზთაგან მეოთხე ადგილი დაიკავა და არც თუ ისე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი შეადგინა. მაგალითად, ფსიქოლოგ ლ. სურმანიძის ნაშრომში: „ქართული კულტურის ზოგიერთი ორიენტაცია", ცხადად არის მინიშნებული, რომ ქართველი წყვილების ურთიერთობაში სექსუალურ შეუთავსებლობას პრაქტიკულად არა აქვს ადგილი. ეს კი, ავტორის აზრით, გულისხმობს ეროტიკული განცდების არარსებობას. აქ საქმე ეხება ისეთ კულტურულ ორიენტაციას, რომელიც ცოლ-ქმრის შეუთავსებლობის მიზეზად ამ უკანასკნელის დასახელებას სრულიად უგულებელყოფს. აქვე მოგვყავს ლ. სურმანიძისა და ნ. თვალაბეიშვილის ექსპერიმენტი, რომელიც სემანტიკურ სივრცეებს ეხება. ცნება „სიყვარული" ერთიანდება ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა: „ერთგულება", „სიმდიდრე", „პატივმოყვარეობა" და „ნაყოფიერება". მკვლევართა მოსაზრებით, ამ ცნებათაგან ორი - „ნაყოფიერება" და „ერთგულება" უნივერსალური სემანტიკური ასოციაციებია „სიყვარულთან". თუმცა, ეს ძირითადი ცნება გამორიცხავს ეროტიკულობას და, შესაბამისად, ავტორი აკეთებს შემდეგი სახის დასკვნას - ეროტიკული სიყვარული ქართული კულტურისათვის არ არის დამახასიათებელი.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იმ კვლევების მონაცემთა ლოგიკური შეჯამება გახლდათ, რომლებიც ამ თემასთან დაკავშირებით 1997 წლიდან დღემდე ჩატარდა. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რამდენად შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე ამყამადაც მსჯელობენ და შეფასებებსაც იძლევიან, გარკვეულ ცვლილებებზე ორიენტაციის ხარისხი მაინც დაბალია. ანკეტაში დაფიქსირებული შეფასებები სტერეოტიპული და ერთგვაროვანია. ისინი შეესატყვისებიან ზოგადად აღიარებულ არსებულ დამოკიდებულებას და არა საკუთარ პიროვნულ აზრს. ახალგაზრდებში უმრავლესობა უპრეტენზიოდ ემორჩილება ქალწულობის ტრადიციას და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის დაკისრება არ სურს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სექსუალური ურთიერთობების პრობლემებთან დაკავშირებით გამოკვლევები ქართულ სინამდვილეში იშვიათად ტარდება. სოციოლოგ ი. კაჭკაჭიშვილის დაკვირვებით, ამასთან დაკავშირებული კვალიფიკაციური დისკუსიებიც ხშირად როდი ტარდება. მოცემული დაკვირვება 1998 წლით თარიღდება. ამის შემდეგ შეიცვალა კი რაიმე?

დამატებითი მასალა

ქალწულობა — იტალიელთა ერთი მეორედისათვის მოძველებული ღირებულებაა.

ქალაქ რომში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა, „კვლავ წარმოადგენს თუ არა ქალწულობა იტალიელთათვის ღირებულებას? გამოკითხულ იტალიელთა 39,4% დადებითად პასუხობს, 52,7%-ს იგი მოძველებულად მიაჩნია, დანარჩენ 7,9-ს „კი უჭირს პასუხის გაცემა.

1991 წელს იტალია კვლავ დაუბრუნდა თაროზე შემოდებულ პოსტფემინისტურ პრობლემებს, კერძოდ, „ქალწულობის ინსტიტუტს“, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მივიწყებული იქნებოდა.

გამოკვლევის ჩატარებას ხელი შეუწყო იმ ინცინდენტმა, რომელიც იტალიის ქალაქ ტრიესტის ერთ-ერთ სპორტულ დარბაზში მოხდა, თორმეტი წლის გოგონამ ქალწულობა სატანვარჯიშო იარაღზე დაცემის დროს დაკარგა. გოგონას მშობლებმა მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად საჩივრით მიმართეს სასამართლოს.

გამოკითხულ იტალიელთა 35,2 პროცენტი ძალიან მნიშვნელოვნად თვლის ქალისათვის ქორწინებამდე ქალწულობის შენარჩუნებას.

იტალია, გაზეთი „სალამოს კურიერი“ — 199[illegible]
(იტალიურიდან თარგმნა ქეთი ნარკვ[illegible]

კვლევის ანკეტები

კითხვარი ვაჟებისათვის

1. თანასწორუფლებიანია თუ არა საქართველოში ქალი და მამაკაცი?

1. არა. 2.დიახ.

I კითხვის პირველი ვარიანტის არჩევის შემთხვევაში გადადით 2-ე კითხვაზე:

2. რა სფეროში გამოიხატება ეს უთანასწორობა?

1. ოჯახში 2. სამსახურში 3. ყველგან

3. თქვენი აზრით, უნდა მიანიჭოს თუ არა საზოგადოებამ ქალს სექსუალური თავისუფლება?

1. არა 2. დიახ

4. წარმოიდგინეთ სიტუაცია: თქვენმა მეგობარმა გადაწყვიტა ოჯახი შექმნას ქალთან, რომელიც ქალწული არ არის, რა მეგობრულ რჩევას მისცემდით მას?

1. თუ უყვარს, დაქორწინდნენ
2. ეს ჩემი საქმე არ არის
3. ვურჩევ კიდევ ერთხელ დაფიქრდეს
4. ვურჩევ არ დაქორწინდეს

5. უქმნის თუ არა პრობლემას მამაკაცებს ის, რომ მათი შეყვარებულები სექსუალურ კონტაქტში არ შედიან მათთან?

1. დიახ 2. არა

6. თქვენი საცოლე ქალწული უნდა იყოს?

1. აუცილებლად 2. სასურველია 3. თუ მიყვარს, თვალს დავხუჭავ 4. არ არის საჭირო

7. რატომ გინდათ, რომ თქვენი საცოლე ქალწული იყოს?

1. ის უბიწო იქნება
2. ის გამოუცდელი იქნება
3. ვერავინ წამომაძახებს, რომ ის „სხვასთან დადიოდა“
4. ეს ტრადიციულია

კითხვარი გოგონებისათვის

1. თანასწორუფლებიანია თუ არა საქართველოში ქალი და მამაკაცი?

1. არა. 2. დიახ.

1-ლი კითხვის პირველი ვარიანტის არჩევის შემთხვევაში გადადით 2-ე კითხვაზე:

2. რა სფეროში გამოიხატება ეს უთანასწორობა?

1. ოჯახში 2. სამსახურში 3. ყველგან

3. თქვენი აზრით, უნდა მიანიჭოს თუ არა საზოგადოებამ სექსუალური თავისუფლება ქალს?

1. არა 2. დიახ

4. წარმოიდგინეთ სიტუაცია: ცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს ქალწულობის ტრადიცია, შეინარჩუნებდით ქალწულობას?

1. არა 2. დიახ

5. შეხვიდოდით თუ არა სექსუალურ კონტაქტში შეყვარებულთან, რომელთანაც აპირებთ ოჯახის შექმნას?

1. არა 2. დიახ

6. თქვენი აზრით, რას ნიშნავს მამაკაცისათვის საცოლის ქალწულობა?

1. ქალწული გოგონა პატიოსანია
2. ქალიშვილი გოგონა გამოუცდელია
3. ვერავინ წამოაძახებს, რომ მისი საცოლე „სხვასთან დადიოდა“
4. ეს ტრადიციულია

„ქალწულობის ინსტიტუტი“ როგორც პრობლემა

მიმაჩნია, რომ ქორწინებამდე სქესობრივი კონტაქტები მისაღებია:



მიმაჩნია, რომ ქორწინებამდე სქესობრივი კონტაქტები მისაღებია:
რესპონდენტთა სქესის მიხედვით



დასაშვებია თუ არა პირადად თქვენთვის ქორწინებამდე სქესობრივი კონტაქტი?









"ქალაქ"ეროვნული ინსტიტუტი" რეგიონალური ოფისი

ინტერვიუ ექსპერტებთან

ნოდარ ლადარია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კულტუროლოგი, თეოლოგი, იტალიანისტი.

— ბატონო ნოდარ, რა აზრის ბრძანდებით „ქალწულობის ინსტიტუტის“ შესახებ?

ნოდარ ლადარია — „ქალწულობის ინსტიტუტი“ შეიძლება ორგვარად განვიხილოთ: „ქალწულობის ინსტიტუტი“ საქართველოში და „ქალწულობის ინსტიტუტი“ საერთოდ. ჩემი აზრით, „ქალწულობის ინსტიტუტი“, ანუ მოთხოვნა იმისა, რომ ქალს ქორწინებამდე არ ჰქონდეს დაწყებული სექსუალური ცხოვრება დაკავშირებულია იმასთან, რომ საუკუნეების განმავლობაში ქალი განიხილებოდა როგორც საქონელი, რომელსაც ყიდულობდნენ. შესაბამისად, თუ საქონელი second-hand-ია, მისი ფასი ეცემა და ბუნებრივია, მომხმარებელს სურს იმის შეძენა, რისი პირველი მფლობელიც თვითონ იქნება. პირადად მე ყოველივე ამას ამა თუ იმ საზოგადოებაში ქორწინების ინსტიტუტის კონკრეტულ და, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ გამოვლინებებთან დავაკავშირებდი. შეინიშნება, რომ „ქალწულობის ინსტიტუტი“ უფრო მეტად განვითარებულია იქ, სადაც ქალები უმცირესობას წარმოადგენენ. მუსლიმანურ ქვეყნებში ეს გარემოება განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო. მაგალითად, ბედუინთა უმრავლესობას ქალის სიძვირის გამო არც ელირსებოდა ცოლის შერთვა ცხოვრების განმავლობაში, ვინაიდან ქალები საერთოდ ძალიან ცოტანი იყვნენ. იმ ქვეყნებში კი სადაც სქესთა შორის რაოდენობრივი შეფარდება და მათი ცხოვრების ეკონომიკური წესი სხვანაირი იყო, არც „ქალწულობის ინსტიტუტი“ არსებობდა.

ისტორიულად ცნობილია, რომ ბაბილონში, საიდანაც წამოვიდა ქრისტიანულ და ებრაულ რელიგიაში დამკვიდრებული გამონათქვამი ბაბილონელი მეძავის შესახებ, ქალი იმდენად მეძავი კი არ იყო, რამდენადაც ის საზოგადოება გახლდათ სექსუალური ლიბერალიზმით აღბეჭდილი, ასევეა იაპონიაში და ა.შ.

ყოველ შემთხვევაში, უეჭველად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ქალწულობის ინსტიტუტს“ პირდაპირი კავშირი არა აქვს ზნეობასთან, მორალთან და მსგავს ღირებულებებთან. მაგალითისათვის ვიტყვი, რომ ესკიმოსი ცდილობს ისეთი ქალი შეირთოს ცოლად, რომელსაც ბევრი ბავშვი ჰყავს, იმიტომ რომ რაც უფრო მრავალრიცხოვანია ოჯახი, რომელიც ყინულოვან უდაბნოში იწყებს ცხოვრებას, მით უფრო მეტი შანსი არსებობს მისი გადარჩენისა. ამით აიხსნება, რომ სტუმრის უპირველესი მოვალეობაა, დააფეხმძიმოს მასპინძლის რომელიმე ქალიშვილი. რელიგიაში ეს სიწმინდესთან იყო დაკავშირებული.

— სემანტიკურ სივრცეებთან დაკავშირებით ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელმაც ასეთი შედეგი მოგვცა: ერთად დაჯგუფდა ისეთი მნიშვნელობის სიტყვები როგორიცაა: „ქალწულობა“, „წესის დაცვა“, „რელიგია“, „ადმერითი“, „რწმენა“ და „პასუხისმგებლობა“. რა შეფასებას მისცემდით ამას?

ნოდარ ლადარია — სამწუხაროა, რომ „პასუხისმგებლობა“ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. რაც შეეხება „წესის დაცვას“, ეს როგორც ეტყობა, ასახავს საზოგადოების ობიექტურ მდგომარეობას. ანუ ქალწულობა აღიქმება საზოგადოების მიერ როგორც გარკვეული პირობითობა. ვინც ამბობს „წესის დაცვას“, აბსოლუტურად არ ჩანს, თუ რა პიროვნული დამოკიდებულება აქვს ამ წესთან. რაც შეეხება რელიგიასთან კავშირს, ეს უბრალოდ ობიექტური გარემოებაა, რელიგია, ყოველ შემთხვევაში ქრისტიანული - ამას მოითხოვს. თუმცა, დაქორწინებულის სქესობრივი კავშირები — ადიულტერი, უფრო მძიმე ცოდვა იყო ყოველთვის, ვიდრე ის, რასაც უწოდებენ სიძვას (დაუქორწინებლის სქესობრივი კავშირები). ყოველ შემთხვევაში, ქალწულობის წესი რელიგიურ შინაარსთან საკმაოდ არაპირდაპირად იყო დაკავშირებული. ჯვრისწერის წესის დეტალური შესწავლა ცხადყოფს, რომ მართლმადიდებლურ აღმსარებლობაში მას საფუძვლად უდევს ბიზანტიის კარის ცერემონიალი და, ძირითადად, თვითონ იმპერატორის ქორწინების რიტუალი. აქედან გამომდინარე, რადგან ქრისტიანობა სცნობს სხვა აღმსარებლობებსა და, მითუმეტეს სხვა რელიგიის ადამიანების ქორწინებას, ქორწინება რელიგიასთან საკმაოდ პირდაპირ კავშირში იყო ყოველთვის, ცოლი და ქმარი ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც ოჯახი, მიუხედავად მათი რელიგიური მრწამსისა.

რაც შეეხება საქართველოს: აქ, განსაკუთრებით რუსეთთან შეერთების შემდეგ შეინიშნება გარკვეული ბრძოლა ქალის სექსუალობასთან. ამას მე დავაკავშირებდი აფრიკის ზოგიერთი ტომის ჩვეულებასთან, რომლის მიხედვითაც გოგონებს გარკვეულ ასაკში უკეთებენ კლიტორის რეზექციას. ამ წესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მამაკაცს ეშინია ქალმა იმაზე მეტი არ მოსთხოვოს, ვიდრე მას შეუძლია მფსცეს. ამის გამო, მას თავიდანვე ესპობა ყოველგვარი მოთხოვნილება. გარდა ამისა, საქართველოში არის მეორე მომენტიც: ქართული საზოგადოება არ არის ორიენტირებული ინდივიდთა შორის ობიექტურ კონკურენციაზე. ამიტომ, ქალს მოეთხოვება სრული გამოუცდელობა იმისათვის, რომ არ ჰქონდეს შედარების საშუალება.

— არჩევანის?

ნოდარ ლადარია — არა, არჩევანის უფლება აქვს. იმიტომ რომ ქართველი ქალი ჰყიდის საკუთარ თავს და ჰყიდის საკმაოდ ძვირად. თავის არჩევანში იგი ძალიან ხშირად არის მეწვრილმანე. იმის გამო, რომ მას შიგნით არა აქვს არავითარი კრიტერიუმი და არა აქვს ადამიანის შეფასების გამოცდილება, ამ შეფასებისას იგი სარგებლობს იმ კრიტერიუმებით, რომლებსაც ახვევენ სხვები, ანუ საზოგადოება. მაგალითად XIX საუკუნიდან ქართველი ქალი უპირველეს ყოვლისა აღიქმება როგორც დედა და, ძალიან იშვიათად, როგორც სატრფო. XIX საუკუნიდან მოყოლებული ქართველი ქალი ჩვენს ლიტერატურაში, ფოლკლორსა თუ პოეზიაში ეროტიული ლტოლვის ობიექტად ნაკლებად გვევლინება. თუნდაც დღეს, ნახეთ „ჯეოსელის" რეკლამა, სადაც ქალი არასოდეს არ არის მარტო - „ჯეოსელი - თქვენი ქსელი." და თუ მარტოა, მას აუცილებლად საბავშვო ეტლი, ან მეგობარი გოგონა ახლავს თან... ქალისა და მამაკაცის ერთად ყოფნა ძალიან იშვიათად ხდება. პირველი ამგვარი რეკლამა არის „ჯთ მობილურის" რეკლამა: მოტოციკლეტზე ამხედრებული წყვილი, რომელიც საკმაოდ უცნაურად გამოიყურება. კიდევ ერთი მომენტი - როდესაც „ვის უნდა ოცი ათასში" მონაწილეს ეკითხებიან: - „ვინ არის თქვენთან?" პასუხობენ: „დეიდაშვილი", „ბიძაშვილი" და ა.შ. და არავინ მოდის მეუღლესთან ერთად. პირადად მე ძალიან მაინტერესებს, რას ნიშნავს ქართველი შეყვარებული? რას აკეთებენ ისინი ერთად, პირადად ჩემთვის გაუგებარია.

გარდა ამისა ჩვენ კიდევ ვაწყდებით ერთ მომენტს - როდესაც მამა მოიაზრება როგორც მფლობელი ნივთისა, რომელსაც იგი აბარებს, ჰყიდის და ასხვისებს. ეს კარგად ჩანს შეტყობინების გადაცემის რეკლამაში, სადაც ლიფტიდან ატყობინებენ, რომ მამა მოვიდა. მე ვერ გავიგე რატომ იმალებიან ახალგაზრდები? რას აკეთებენ ისინი ცუდს? გარდა ამისა, არსებობს ასეთი თვალსაზრისი, რომ მამის მისვლამ მათ უშველა, იმიტომ, რომ საქმეს ბოლომდე მაინც ვერცერთი მიიყვანდა და ისინი, ასე ვთქვათ, შინაგანად მადლიერნი არიან — „ბოლოს და ბოლოს გვეშველა, მამა მოვიდა!"

თუმცა, ვიტყოდი, რომ საქართველოში „ქალწულობის ინსტიტუტი" საფრთხეს უქმნის არა ქალებს, რომლებსაც ობიექტურად აქედან უფრო მეტი სარგებლობა აქვთ (იმიტომ რომ ისინი ითხოვენ კომპენსაციას ცხოვრების განმავლობაში), არამედ, ეს საფრთხეს უქმნის მამაკაცს და მამაკაცობას, ანუ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას. ადამიანი, რომელიც საზოგადოების მეშვეობით თავისთვის თავიდანვე მოითხოვს გარანტიებს, როგორც წესი, ცვედანია. მას არა აქვს იმედი, რომ რაღაცას შესძლებს და არ უნდა რომ თავის თავზე აიღოს სერიოზული დავალება. ქართველ მამაკაცს მანამდე არ ექნება მომავალი, სანამ არ მიხვდება, რომ ქალს უნდა ჰქონდეს წარსული.

— როგორ ხორციელდებოდა ევროპაში სექსუალური რევოლუცია?

ნოდარ ლადარია — ამაში კომპეტენტური არა ვარ. თუმცა საქართველოში ასეთი რამ ვერ წარმომიდგენია, ამისათვის არ არსებობს პირობები, არ არის თავისუფალი ბინების საკმარისი რაოდენობა. გარდა ამისა, არ არსებობს ნატამალიც კი სოციალური ანონიმურობისა. ვერ მოვძებნით ისეთ ადგილს, რომ დავსხდეთ და ვიღაც ნაცნობმა არ გამოიაროს. გერმანიაში, მაგალითად, ჰამბურგიდან მიუნხენში რომ გადახვალ, სწყდები ოჯახს და საკუთარ თავს ეკუთვნი, თუმცა, ამას ქალაქის გამოცვლაც კი არ სჭირდება, უბანს რომ იცვლი, ესეც საკმარისია. მაგალითად, მე ვიცი რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ 21-22 წლის გოგონა რჩება საზღვარგარეთ და დამოუკიდებელ ცხოვრებას განაგრძობს თავის სექსუალურ პარტნიორთან ერთად. ოჯახმა, რომელიც საქართველოში დარჩა, ამის შესახებ არაფერი იცის. ერთ-ერთ გოგონას მშობლებმა უთხრეს, დამოუკიდებლად გაგიშვებდით იტალიაში, მაგრამ საქართველოში არა - „რას იტყვის ხალხი". ამ შემთხვევაში საზღვარგარეთი თითქოს ინდულგენციაა. აქ კი არ არსებობს სექსუალური რევოლუციისათვის ელემენტარული პირობებიც კი. ამიტომ ეს ახლა უფრო დესტრუქციული იქნება, ვიდრე კონსტრუქციული. კაცმა რომ თქვას, დღეს საქართველოში ეს არჩევანი ინდივიდთა საქმეა. არიან კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ამას ახერხებენ და მათ შესახებ არანაირი ჭორები არ დადის. მაგრამ ყველას როდი აქვს ამის საშუალება. ყველა ელემენტარულად ვერ გადააბიჯებს რაღაც-რაღაცეებს. მე არ ვამბობ, რომ ეს ჩვენთან შეუძლებელია. ეს ჩვენთან შესაძლებელია - მხოლოდ განსაკუთრებულად ნიჭიერი ადამიანებისათვის.

ჯენარო ქრისტესაშვილი,
პროფესორი, ფორდანიას ხახელობის რეპროდუქციის ინსტიტუტის
რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბების კაბინეტის ხელმძღვანელი

ჯენარო ქრისტესაშვილი — ჩვენ ძირითადად ვმუშაობთ ბავშვთა და მოზარდთა რეპროდუქტიულობის სფეროში, ვიკვლევთ იმ ნორმებსა და პათოლოგიებს, რომლებიც გამრავლებას ეხება. ჩვენს ინსტიტუტში არსებობს შობადობის რეგულაციის განყოფილება. ჩვენი მუშაობის პროფილია, აგრეთვე მოზარდთა სქესობრივი განათლება და ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა მოზარდთა შორის.

— რა წარმატებებს აღწევთ ამ კუთხით მუშაობისას?

ჯენარო ქრისტესაშვილი — უცხოეთში ფართოდ არის დანერგილი სოციოლოგიური გამოკვლევები. იკვლევენ და აქვთ მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენია სქესობრივად აქტიური მოზარდთა ასაკში; თუ რამდენი მიმართავს აბორტს, რამდენი მშობიარობს ადრეულ ასაკში. საჭიროდ ჩავთვალეთ 1994-95 წლებში ჩვენც დაგვეწყო მოზარდთა სექსუალობის შესწავლა ანონიმური გამოკითხვის საფუძველზე. ამდენად ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომლითაც ვმსჯელობთ იმის თაობაზე, თუ რამდენი მოზარდია სქესობრივად აქტიური ამ პერიოდში. თუმცა გამოკითხულები ხშირად ანონიმურადაც არ სცემდნენ პასუხს კითხვებზე. ამიტომ ამ გამოკითხვის შედეგები მთლად ზუსტი არ არის. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ თავიანთი სქესობრივი აქტივობის ლეგალიზაციას ჩვენთან მოზარდები ქორწინების გზით აღწევენ, იმის გამო, რომ ჩვენთან არსებობს „ქალწულობის ინსტიტუტი". მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდი ტრაგედიაა, ეს იმიტომ, რომ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დაუსრულებელი მოზარდების მიერ, მხოლოდ სქესობრივი ლტოლვის საფუძველზე შექმნილი ოჯახი არ შეიძლება იყოს მყარი. ძალიან ხშირად ასეთი ქორწინებები გაყრით მთავრდება. უმამოდ დარჩენილი ბავშვი რჩება არა დედის, რომელიც ჩამოუყალიბებელია და განათლება დასრულებული არა აქვს, არამედ ბებიისა და ბაბუის ამარა. თუ სწორ დეფინიციას მივცემთ, ბავშვი იზრდება ზრუნვის გარეშე. ასეთი ბავშვები კი ჩვენი საზოგადოებისათვის არაა პოზიტიური მუხტის მიმცემი, იმიტომ, რომ ისინი არასდროს იქნებიან სრულყოფილნი, ვინაიდან გადატანილი აქვთ ემოციური სტრესები და ა. შ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველა ქვეყანაში არსებობს კულტურულ-ტრადიციული თავისებურებები. დღეს რომ boyfriend-ების და girlfriend-ების ინსტიტუტის აუცილებლობაზე დავიწყო ლაპარაკი, არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან ეს მოვა წინააღმდეგობაში საზოგადოებასთან. მე მაქვს უფრო რბილი რეცეპტი, რომელიც არც ჩვენი ტრადიციების საწინააღმდეგო იქნება, და თანაც მეტ-ნაკლებად მოახდენს ნორმალიზაციას და რეგულაციას — თუ მოზარდებს აქვთ ისეთი ლტოლვა, რომელსაც ვერ იმორჩილებენ, ხომ შეიძლება რომ ისინი დაქორწინდნენ, მაგრამ მაშინვე შვილის გაჩენაზე არ იფიქრონ? არსებობს მთელი რიგი ჩასახვის საწინააღმდეგო უსაფრთხო მეთოდები, რომლებიც საშუალებას მისცემს ცოლ-ქმარს იყვნენ ერთად, ისე რომ ბავშვი არ გააჩინონ. დაასრულონ სწავლა-განათლება, დადგნენ ფეხზე და შემდეგ გახდნენ ისეთი მშობლები, რომლებიც თვითონ იზრუნებენ თავიანთ შვილებზე და სათამაშოდ არ გააჩენენ ბავშვს. ეს მართლაც იქნება მყარი ოჯახი. უცხოეთში ძალიან საინტერესოდ მუშაობენ ამ საკითხზე. ამერიკაში არის ასეთი მეთოდი: სქესობრივი განათლების გაკვეთილებზე მიმართავენ იმიტაციას. მაგალითად, გოგონას უკეთებენ ხელოვნურ მუცელს, რაც მისი მოძრაობის თავისუფლებას ზღუდავს. ანდა, მას მისცემენ თოჯინას, რომელიც განუწყვეტლივ ტირის; მას უნდა აჭამო, გამოუცვალო საფენი და ა.შ. ამით გოგონა რწმუნდება, რომ ეს იოლი საქმე არ არის. ვენდოთ ამ საქმეში უცხოურ გამოცდილებას.

მეორე სამედიცინო მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მოზარდებში (18 წლამდე ასაკის გოგონებში), მშობიარობის დროს გართულება ხუთჯერ, ექვსჯერ და ზოგჯერ ათჯერ უფრო ხშირია, ვიდრე ზრდასრულ ქალებში. ზოგიერთ ვაიპატრიოტს ჰგონია, რომ როცა ადრეულ ასაკში თხოვდებიან და აჩენენ ბავშვებს, ასეთი გზით ერი მრავლდება. მე კი მიმაჩნია, რომ ერს უნდა შეუქმნა ისეთი პირობები, როდესაც ზრდასრული ადამიანი შეგნებულად და არა შემთხვევით გააჩენს სასურველ ბავშვს.

ყველა ოჯახში უნდა იყოს არანაკლებ ორი-სამი ბავშვისა. ერის გამრავლება არ უნდა ხდებოდეს იმ გმირი დედების ხარჯზე, რომლებიც ათ ბავშვს აჩენენ. სხვათა შორის ამდენი მშობიარობა სულაც არ არის კარგი ჯანმრთელობისათვის. უნდა არსებობდეს საშუალო ზომის მრავალი ოჯახი. ამისათვის, პირველ რიგში მაღალი ეკონომიკური დონეა საჭირო. ბევრი მამაკაცი დაქორწინებისაგან თავს იკავებს — ოჯახს ვერ ვარჩენო. ქალი თავს ვერ ანებებს სამსახურს, ვერ იღებს შვებულებას და ვერ გადის დეკრეტში იმისათვის, რომ ბავშვი კარგად გამოზარდოს. მიმაჩნია, რომ ყველაფრის საფუძველი აქედან მოდის. ჯერ უნდა შევქმნათ ისეთი საზოგადოება, სადაც ადამიანებს ნორმალური ცხოვრება შეეძლებათ და შემდეგ უნდა ვუკიჟინოთ მათ, რომ გააჩინონ ბავშვები.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მყარი ოჯახის შესაქმნელად საჭიროა წყვილმა ქორწინება გააფორმოს, იცხოვროს ერთად და შემდეგ გააჩინოს ბავშვი. რომ არ გააფორმონ ქორწინება და ისე იცხოვრონ, რა მოხდება?

ჯენარო ქრისტესაშვილი — ეს ეწინააღმდეგება ჩვენთან არსებულ ტრადიციებს, რომელთა სწრაფად შეცვლა დაუშვებელია, თუმცა თანდათანობით ეს შესაძლოა კიდეც მოხდეს. ამჟამად არის გარდამავალი ეტაპი. ასეთ წესს, ტრადიციას თავისი პლიუსი აქვს. როცა არ არსებობს ქორწინება და ჩვენ ახალგაზრდებს სქესობრივი აქტიურობისაკენ მოვუწოდებთ, ეს გამოიწვევს სქესობრივ პარტნიორთა ცვლას, რაც თავისთავად ძალიან სახიფათოა ჯანმრთელობისათვის, სქესობრივი გზით გარდამავალი ინფექციური დაავადებებისა და შიდსის გავრცელების თვალსაზრისით. თუკი პარტნიორებს შორის არსებობს მყარი ურთიერთობები და პარტნიორების ცვლა ხშირი არ არის, ეს უკვე დადებითი მომენტია.

ახლა ცოტა რამ სქესობრივი განათლების შესახებ: ჩვენთან არსებობს ძალიან ბევრი უცხოური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთაც განსაზღვრული პროგრამა გააჩნიათ. მათ გარკვეულ პროექტზე მოპოვებული აქვთ გრანტი და სურთ, რომ აქ შეასრულონ რაღაც სამუშაო. ჩამოდის აბსოლუტურად გაუნათლებელი ხალხი. მათ არ იციან ჩვენი ისტორია. მაგალითად, ერთ-ერთი ექსპერტი მეკითხება: „იცის თუ არა აქ ყველამ წერა-კითხვა?“ ქვეყანაში ჩამოდიან ექსპერტად და არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ ამ ქვეყნის შესახებ. ის ექსპერტი რამდენჯერმე ჩამოვიდა სხვადასხვა პროექტით. ერთ-ერთი პროექტისათვის შეადგინეს კითხვარი, რომელშიც სკოლის მოსწავლეებისათვის შეტანილი იყო ასეთი შეკითხვა: „რამდენი სქესობრივი პარტნიორი გყავთ?“ არ შეიძლება ასეთი შეკითხვის დასმა დღეს ჩვენთან სკოლაში. ეს მშობლებისა და პედაგოგების გაღიზიანებას იწვევს. ძალიან ფრთხილი მიდგომაა საჭირო, რომ რაიმე არ გააფუჭო.

ჩვენს ინასტიტუტს, რომელიც ამ დარგში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა, ძალზე ფრთხილი მიდგომა ახასიათებს. ვცდილობთ ისე გავაკეთოთ საქმე, რომ ვინმე არ გავაღიზიანოთ. იგივე შინაარსის შეკითხვა შეიძლება დაისვას, ოღონდ სულ სხვა ფორმით, მაგალითად: „როგორ უყურებთ სქესობრივი პარტნიორების ხშირ ცვლას?“ კითხვებს სჭირდება ფორმის შერჩევა. ამას დაფიქრება უნდა. უცხოელები ქართულ სკოლებში სხვა ქვეყანაში მომზადებული კითხვარებით შედიან და თავს არ იწუხებენ, რომ შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ მათში. ეს, ჩემი აზრით, დიდი დანაშაულია. მაგალითად, ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მაჩვენა წიგნი, რომელიც მშობლებისათვის მოამზადა და შიგ პორნოგრაფიული სურათებია. რა, მშობლებმა არ იციან როგორ ხდება სექსუალური აქტი? აუცილებელია, რომ ეს დაუხატო? ეს წიგნები შემდეგ მოხვდა ბავშვების ხელში და საზოგადოება დიდად გააღიზიანა. ასე არ შეიძლება. ჩვენც გამოვეცით გაეროს პროგრამით საგანმანათლებლო ბუკლეტები, მაგრამ იქ ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო და არა მგონია, ამ ბუკლეტებმა ვინმეს გაღიზიანება გამოიწვიოს. ეს იმით იხსნება, რომ მის შექმნაზე რამდენიმე დიდი მეცნიერი მუშაობდა. ისინი ეძებდნენ ფორმას, თუ როგორ მივაწოდოთ საჭირო ინფორმაცია მოზარდებს ისე, რომ არაფერი გავაფუჭოთ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენთან ყველაფერი უნდა გაკეთდეს აუჩქარებლად, ძალიან ფაქიზად და ფრთხილად, თუ გვინდა, რომ საბოლოო მიზანს მივაღწიოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ნაადრევი მშობიარობა მავნებელია, მაგრამ როდესაც ოჯახის დაგეგმვას ვეხებით, აქცენტს უფრო ხშირად, აბორტის გაკეთებაზე ვაკეთებთ. ეს კი არათუ ეწინააღმდეგება ჩვენს რელიგიურ მრწამსს, არამედ, სამედიცინო თვალსაზრისითაც დაუშვებელია. ცნობილია, რომ ერთი წლის განმავლობაში მსოფლიოში მილიონზე მეტი ქალი იღუპება უშუალოდ აბორტის გართულებებით. მეორად პრობლემად აბორტს ხშირად უშვილობა და სხვადასხვა დარღვევა მოჰყვება. უკვე არაფერს ვამბობ სქესობრივი კონტაქტის გზით გადამდებ ინფექციურ დაავადებებზე, რომლებიც ამ პერიოდიდან იწყება. ამდენად, აბორტის წინააღმდეგ მოწოდება, ახალგაზრდებისათვის იმის ახსნა, თუ როგორ დაიცვან თავი არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისაგან, ძალზე სასარგებლო და საჭირო რამ არის. გარდა ამისა, საქართველოში არასწორი წარმოდგენა აქვთ ჰორმონალურ ტაბლეტებზე, რომლებიც მიკრიდოზიანია და არანაირად არაა მავნებელი, პირიქით, ისინი ხელს უწყობენ ორგანიზმის ჩამოყალიბებას. ეს არის ქალისათვის სპეციალური დოზირებით შედგენილი ბუნებრივი ჰორმონები, რათა უფრო ჰარმონიულად განავითაროს ქალის ორგანიზმი, მოამზადოს იგი შვილოსნობისათვის. ამასთან, ორსულობის ფუნქცია აღდგება ტაბლეტების შეწყვეტიდან ორ-სამ თვეში.

— როგორ ფიქრობთ, კულტურაში არსებული ტაბუების გამო ქალწული ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომ იკავებს თავს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაგან და სექსუალურ კავშირში არ შედის მამაკაცთან, მოქმედებს თუ არა ეს მის ფსიქოლოგიაზე?

ჯენარო ქრისტესაშვილი — არ ვიცი დღეს რამდენად შეიძლება ამაზე გახსნილად ვილაპარაკოთ, მაგრამ არსებობს ასეთი გზა — მასტურბაცია. ეს მიღებული მეთოდია უცხოეთში. არ არის აუცილებელი, რომ ბიჭმა, როგორც კი მას სექსუალური მოთხოვნილება გაუჩნდება, მაშინვე სქესობრივი ცხოვრება დაიწყოს. ზემოთ შევეხე სქესობრივ განათლებას. მე საზღვარგარეთ ვყოფილვარ და ვიცი, რომ სქესობრივი განათლების გაკვეთილებზე ძირითადი აქცენტი თავშეკავებაზეა გადატანილი. ამდენად, მასტურბაცია არის ერთ-ერთი მეთოდი ამ დაძაბულობის მოხსნისათვის; იგი გადაავადებს სქესობრივ კონტაქტს.

— საზიანო ხომ არ არის ეს ჯანმრთელობისათვის?

ჯენარო ქრისტესაშვილი — არა, ეს მცდარი წარმოდგენაა. მასტურბაცია მაშინ არის პათოლოგია, როდესაც მამაკაცს სექსუალური პარტნიორი ჰყავს და ის მაინც მიმართავს მას. სექსუალური გამოკვლევის კითხვარში ერთ-ერთი ასეთი კითხვაც არის: „ეწეოდით თუ არა მასტურბაციას ბავშვობაში?" თუ არა, მაშადამე გამოკითხული ესკუპატორულია, თუკი ეს ჰქონდა, პირიქით, ეს ნორმალურია. ამიტომ შიში, რომელიც არსებობს მასტურბაციასთან დაკავშირებით, სრულიად გაუმართლებლია. ჩვენთან იგივე მასტურბაციაც ტაბუდადებულია. ბევრად უფრო საშიშია, როდესაც მოუმწიფებელი პატარა ბიჭი მეძავებთან დადის, რომლებიც ინფექციების წყაროს წარმოადგენენ. საზღვარგარეთ კი იგივე მეძავები სამედიცინო კონტროლის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ განახორციელებენ სქესობრივ აქტს.

— ჩვენთან ყველაფერი დაფარულია და მამაკაცები კი ავადდებიან!

ჯენარო ქრისტესაშვილი — მე გაოგნებული დავრჩი, როდესაც მოვისმინე ერთ-ერთი პარლამენტარის გამოსვლა, რომელიც პროსტიტუციის ლეგალიზაციის აუცილებლობაზე იმის გამო საუბრობდა, რომ სახელმწიფოს შემოსავალი სჭირდება. არადა აქ მთავარი ის არის, რომ მეძავებს შეიძლება სამედიცინო კონტროლი გაუწიო.

— თქვენ ბევრი პაციენტი გყოლიათ. რა რეაქცია აქვთ მშობლებს, როდესაც აღმოაჩენენ, რომ მათი შვილი (ქორწინების გარეშე) არის ორსულად?

ჯენარო ქრისტესაშვილი — საშინელი, ისინი მზად არიან მოკლან შვილი და, რაც მთავარია, მათ არ სჯერათ, რომ ეს ასეა.

— ხშირია აბორტები უკანონო ბავშვის თავიდან აცილების მიზნით?

ჯენარო ქრისტესაშვილი — არა, ამ შემთხვევაში უფრო სამშობიაროსახლებში მიდიან. ჩვენთან შეიძლება შემთხვევით მოიყვანოს დედამ შვილი იმ მიზეზით, რომ მენსტრუაციული ციკლი გადაუცდა და შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ გოგონა ფეხმძიმედაა. თუმცა, ესეც იშვიათია. ასეთი შემთხვევებისას ჩვენ ვატარებთ საჭირო პროცედურას და არც კი ვუმჟღავნებთ მშობელს, რადგან ამას ძალზე უსიამოვნო რეაქცია მოჰყვება და არ არის ასეთი ტრავმირება საჭირო. გოგონას კი ვეუბნებით, ვუხსნით და ვინახავთ პაციენტის საიდუმლოს.

— როგორია მშობლის დამოკიდებულება შვილისადმი ასეთ შემთხვევაში?

ჯენარო ქრისტესაშვილი — ეს ძალიან დიდი პრობლემაა. მშობელს და შვილს გახსნილი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. ჩვენს სინამდვილეში ასეთი ურთიერთობა იშვიათია. აუცილებელია, რომ მშობელმა მანამდე მისცეს ცოდნა შვილს ამ სფეროსთან დაკავშირებით.

— თვითონ მშობლებსაც რომ არა აქვთ ეს ცოდნა?

ჯენარო ქრისტესაშვილი — სწორედ ამაშია მთელი უბედურება. სკოლებში უნდა დაინერგოს სქესობრივი განათლება. საჭიროა, ეს სამუშაო იმ სპეციალისტმა ჩაატაროს, ვისაც ეს ხელეწიფება. ჩვენ ექიმების დიდი არმია გვყავს, ხომ შეიძლება მოხდეს მათი შერჩევა და გამოინახოს ახალგაზრდა ექიმები, რომელთაც კომუნიკაციის უნარი აქვთ. ბავშვები ექიმთან გაცილებით უფრო გაიხსნებიან. თუმცა, ამას დიდი ცოდნა სჭირდება. მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ეროვნული პროგრამა. ჩვენი კულტურულ-ტრადიციული თავისებურებების, განათლების გათვალისწინებით უნდა მოვამზადოთ კადრები ფსიქოლოგიურად და მათ მივანდოთ ეს საქმე. ბავშვს მაშინ კი არ უნდა ელაპარაკო ამაზე, როცა სექსუალური აქტივობა უკვე გამოავლინა, არამედ მანამ, სანამ გამოავლენს.

უნგრეთში ყოფნისას დავესწარი გაკვეთილს, სადაც მოსწავლეები პატარა ნოველებს აანალიზებდნენ. ერთ ნოველაში 15 წლის გოგო დაფეხმძიმდა და ყველა მოზარდმა ერთხმად განაცხადა: „როგორ, თხუთმეტი წლის ასაკში ძალიან აღრეა სექსუალური ცხოვრებაო". სხვათა შორის, იქ სექსუალურ ასპექტსაც არ უსვამენ ხაზს და ასეთ გაკვეთილებს ჰქვია: „ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადება". ერთ-ერთი მაღალი ღონის პედაგოგის წიგნიც ჰქონდათ გამოცემული: „სიყვარული ხელოვნებაა". სიყვარული მხოლოდ ორ სქესს შორის კი არა აქვთ განხილული, არამედ სიყვარული ზოგადად მშობლებსა და შვილებს შორის, და-ძმას შორის და ა.შ.

— ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა საქალწულე აპკი შენარჩუნებულია და გოგონა ფეხმძიმედაა?

ჯენარო ქრისტესაშვილი — ყოფილა, მაგრამ ეს პრობლემა გლობალურად არ დგას. ასეთი მხოლოდ ერთეული შემთხვევები არსებობს და ამაზე საზოგადოების ყურადღების გამახვილება არ არის საჭირო. მიმაჩნია, რომ საზოგადოების ყურადღების აქცენტირება იმაზე უნდა მოხდეს, რომ სქესობრივი განათლება აუცილებელია, მაგრამ აუცილებლად უნდა შეიმუშაონ ეროვნული პროგრამა, რომელსაც შეადგენენ აღგილობრივი ექსპერტები და არა ვიღაც ჩამოსულები. ძალიან კარგად მომზადებულმა სპეციალისტებმა უნდა შექმნან სახელმძღვანელოები. საჭიროა ახალგაზრდობა მოვამზადოთ იმისათვის, რომ გაარჩიონ თუ რა არის ნორმალური, რა - არა. რა უნდა აიცილონ თავიდან და ა.შ. უსათუოდ უნდა დავნერგოთ კონტრაცეფცია, რათა ყველა სქე-

სობრივი კონტაქტი, რომელიც შეიძლება დამთავრდეს არასასურველი ორსულობით, ისე ავიცილოთ თავიდან, რომ გოგონას ორგანიზმს ზიანი არ მივაყენოთ. ასევე უნდა ავიცილოთ თავიდან სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებები. სქესობრივი განათლების გზით უნდა ჩავუნერგოთ ადამიანს, რომ ყველა სურვილის რეალიზაცია არ არის უცილებელი. ჩვენ ცხოველებისაგან იმით განვსხვავდებით, რომ თავშეკავება შეგვიძლია. შეიძლება გაგიკვირდეთ ჩემგან ამას რომ მოისმენთ, რადგან ხშირად ჰგონიათ, რომ სქესობრივი განათლება გვასწავლის - „რაც გინდა ის აკეთეო". არა, ბატონო, სრულიად საწინააღმდეგოს გეუბნებით. სხვათა შორის, ახალგაზრდებს უცხოეთში ურჩევენ - კი ბატონო, მოეფერე, მოეხვიე, აკოცე, მაგრამ არ არის აუცილებელი რომ ეს სრულყოფილი აქტით დამთავრდეს. ამის შესახებ საქართველოში წარმოდგენაც არავის აქვს. თავის შეკავებისათვის ასევე საჭიროა სპორტი და ყურადღების აქცენტირება სხვა რაღაცეებზე. ყველაზე დამღუპველად ტელევიზიის დანაშაული მიმაჩნია. ახალგაზრდებს ჰგონიათ, რომ პორნოგრაფიული ფილმების ყურების შემდეგ იგივე უნდა გააკეთონ ერთმანეთთან. ეს არ არის სწორი. ამიტომ, როცა მასმედიის თავისუფლებაზეა საუბარი, იმის მაგივრად, რომ მათ პოლიტიკაზე თავისუფალი ლაპარაკი აუკრძალონ, საჭიროა, ამ დარგში მიმართონ ზომებს. პორნოგრაფიული ფილმები ქუჩაში არ უნდა ეყაროს და ბავშვების ხელში არ უნდა ხვდებოდეს. მე შეძრწუნებული ვარ იმითაც, რომ ჰომოსექსუალისტებზე თავისუფლად უჩვენებენ ფილმებს. ბავშვი რომ ნახავს, ხომ ჩათვლის ამას ნორმად! ასეთი ფილმების გაშვება არ არის სწორი.

— თქვენ ბრძანეთ, რომ სექსუალური კონტაქტისაგან თავის შეკავების ერთ-ერთი გზა მასტურბაციაა. მისაღებია თუ არა ეს ქალებისთვისაც და იწვევს თუ არა ეს რაიმე დარღვევას?

ჯენარო ქრისტესაშვილი — დიახ, მასტურბაცია ქალისათვისაც მისაღებია. იგი არავითარ დარღვევას არ იწვევს. თუ ქალს მოზღვავებული მოთხოვნილება გააჩნია, არაფერი ცუდი ამაში არ არის. მაგრამ არაა საჭირო ამისი აქცენტირება, რადგან შემდეგ ამაზე უფრო მეტს ფიქრობენ.

— დაახლოებით რამდენი წლიდან მიგაჩნიათ სქესობრივი კონტაქტი მისაღებად?

ჯენარო ქრისტესაშვილი— ამის რეცეპტი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში 15-16 წლამდე ეს მისაღები არ არის, ვინაიდან 18-19 წლამდე ორსულობა და მშობიარობა არ არის სასურველი. 35 წლის შემდეგ კი ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული რისკი იზრდება. ქალმა თავისი რეპროდუქციული ფუნქცია უნდა შეასრულოს 18-იდან 35 წლამდე. თუმცა ეს კანონი როდია. ზოგს გვიან მოუნდება შვილი და გვიან ასაკში აჩენს. მთავარია მშობლები მომზადებული შეხვდნენ სასურველი შვილის დაბადებას.

ამას წინათ წამოაყენეს წინადადება, რომ წყვილებმა ქორწინებამდე გაიარონ სქესობრივი შემოწმება. ეს იმიტომ, რომ ბიჭი მეძავებში დაძვრება, შემდეგ შეირთავს უბიწო გოგონას და გადასდებს მას ინფექციურ დაავადებებს, რომელიც მასში ქრონიკულად მიმდინარეობს, ისე, რომ მან არც კი იცის ამის შესახებ. შემდეგ, გოგონა დაორსულდება და ამ პერიოდში მას ემართება მწვავე ანთება. სწორედ ამიტომაა შემოწმების პროცედურა საჭირო.

— როგორ მიგაჩნიათ, თუ ბიჭი დაძვრება, ქალს ამის უფლება არა აქვს?

ჯენარო ქრისტესაშვილი — ჩვენთან ასეა მიღებული, მამაკაცის ამგვარ ქცევას ტაბუ არ ედება, რადგან არსებობს ორმაგი მორალი. მე მგონია, რომ ეს დროთა განმავლობაში აღმოიფხვრება, რადგან ქალები უფრო გააქტიურდებიან. თუმცა, ვისურვებდი, რომ ეს სქესობრივი კონტაქტი სულიერ სიახლოვეს ემთხვეოდეს და არ იყოს შემთხვევითი. დაბოლოს, ყველას მოვუწოდებდი, რომ იყოს თავშეკავებული.

— თქვენი აზრით, 35 წლის ქალს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში იკავებდა თავის სექსუალურ მოთხოვნილებას, ნორმალური ფიზიოლოგია აქვს?

ჯენარო ქრისტესაშვილი — თავისთავად ნორმალური აქვს. მთავარი ის კი არ არის, ეწევა თუ არა ქალი სქესობრივ ცხოვრებას, არამედ რა სახის სქესობრივი ცხოვრება აქვს. ამაში ხშირად მამაკაცები სცოდავენ. მათ წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რა არის ნორმალური სქესობრივი აქტი, როგორ უნდა წარიმართოს იგი, იმისათვის რომ ორივე პარტნიორი ერთნაირად დაკმაყოფილდეს.

— წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ როგორც დედამ გაიგეთ, რომ თქვენი გოგონა არ არის ქალწული, როგორ მოიქცევით?

ჯენარო ქრისტესაშვილი — რასაკვირველია, შევეცდები დავეხმარო. ამისგან ტრაგედიას არ შევქმნი. თუ მისი ცხოვრება ასე აეწყო, მე შევეცდები გავაანალიზო, რა მომენტი გავუშვი, რატომ ვერ მოვამზადე სათანადოდ, როდის დავტოვე უყურადღებოდ. ზოგჯერ ადამიანი თავისი სამსახურით ისეთი დატვირთულია, რომ შვილებისათვის არ სცალია, ვერ აკონტროლებს მათ, შევეცდები ჩემს გოგონას არ შევუქმნა ასეთი გარემო, მაგალითად, არ დავტოვო ბინაში მარტო მოწიფულ ბიჭთან ერთად. ვეცდები, მეც მათთან ვიყო. და თუ მაინც მოხდება ასეთი რამ, მაშინ დავფიქრდები, რა შემეძლო გამეკეთებინა და არ გავაკეთე. თუმცა, არ შევუწყობ ჩემს ქალიშვილს ხელს, რომ პარტნიორები იცვალოს. შევხედავ, არის თუ არა ის ბიჭი ისეთი, რომ შეიძლება მასთან ცხოვრება გააგრძელოს. რაღაცნაირად შევეცდები რომ პროფილაქტიკური ღონისძიებები ჩავატარო.

ემზარ ჯგერენაია
სოციოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

- ბატონო ემზარ, რა აზრის ბრძანდებით „ქალწულობის ინსტიტუტის“ შესახებ?

ემზარ ჯგერენაია — „ქალწულობის ინსტიტუტი“ უფრო ფართო პრობლემაა, ვიდრე ჩვენ შეიძლება გვეჩვენებოდეს. აქ ამავე დროს ის საკითხიც დგას, თუ რა ადგილს, რა როლს, უფლებრივ სტატუსს ანიჭებს ქალს კულტურა. რას ნიშნავს ეს უფლებრივი სტატუსი? ჩვენს კულტურაში, ცხადია, მამაკაცის მიერ ქალის ღალატი არანაირად არ ითვლება ნეგატიურ მოვლენად. მიაჩნით, რომ ეს პოზიტიურია და კულტურა ამას ხელს უწყობს, ამის კულტივირებასაც კი ახდენს. ანუ არსებობს ორმაგი მორალი. ერთი მორალი არის ქალებისათვის, რომელიც ქალებს ეუბნება, რომ თქვენ არ ხართ თავისუფალი სექსუალობის სფეროში, მაგრამ კაცები თავისუფლები არიან. ცნობილია, რომ ქართველი მამაკაცი რუსეთში რაღაც საქმეზე, ვთქვათ კონფერენციაზე მიდიოდა და იქ ერთობოდა. მაგრამ მსგავსი ქცევა ქალის მხრიდან ჩვენში არა მარტო ნეგატიურად ითვლებოდა, არამედ ეს იყო ოჯახის დანგრევის უმთავრესი მოტივი. მამაკაცის მხრიდან ღალატად ითვლება, როცა იგი მთლიანად მიდის ოჯახიდან და საყვარელთან ცხოვრობს, ანუ ეს არის დაქვემდებარებისა და ბატონობის პრობლემა. ვინ ბატონობს კულტურაში? ერთი შეხედვით, აქედან გამომდინარე ბატონობს მამაკაცი, მაგრამ რისთვის სჭირდებათ ეს ინსტიტუტი მამაკაცებს? კვლავ იმისათვის, რომ ქალი ჰყავდეთ მორჩილებაში. როცა ქალისათვის ქმარი ერთადერთი მამაკაცია, მას არა აქვს შედარების საშუალება, არ შეუძლია გაარკვიოს თუ სად შეიძლება ჰქონოდა სექსუალური ურთიერთობა უფრო მოწესრიგებული. ამიტომ, ქმარი რჩება მის ერთადერთ მამაკაცად. ამ შემთხვევაში მამაკაცი დაზღვეულად გრძნობს თავს. ქალს ჰგონია, რომ სექსუალური ცხოვრება რომელსაც ის ქმართან ეწევა, არის ერთადერთი შესაძლებელი. ზოგჯერ ეს ტრაგიკულია, ზოგჯერ - ნორმალური, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ქალს არ გააჩნია გამოცდილება. ქალის გამოცდილება ნეგატიურად ითვლება, რადგან ასეთი გამოცდილება მის თავისუფლებაზე მიანიშნებს. ანუ ქალი იმთავითვე უნდა იყოს მამაკაცს დაქვემდებარებული. ზოგადად კულტურა ყველგან მასკულინურია. დღეს კი სხვაგვარი ვითარებაა, ქალები ცდილობენ თავიანთი უფლებები გაათანაბრონ და კულტურული თვალსაზრისითაც მოხდეს ტრანსფორმაცია ანუ დაუწერელ კანონებშიც უნდა იგულისხმებოდეს, რომ ქალი თავისუფალია. ვინც თვლის, რომ კაცი და ქალი თანასწორნი არ არიან, ყოველთვის მათ ბიოლოგიას გულისხმობს, და ამტკიცებს, რომ ქალს განსხვავებული ტიპის პრობლემები აქვს; მან ბავშვი უნდა გააჩინოს; ამის გამო შეუძლებელია ის მამაკაცივით თავისუფალი იყოს და ა.შ. ამას თავისი საფუძველიც აქვს; რასაკვირველია, ფეხმძიმე ქალი ვერ შეასრულებს ისეთივე სამუშაოს, როგორსაც მამაკაცი.

გარდა ამისა, ვინც ამბობს, რომ ქალები მამაკაცს უნდა ექვემდებარებოდნენო, ამას იმით ასაბუთებს, რომ ყველა ინტელექტუალი — მეცნიერი, მწერალი - უფრო მეტად მამაკაცი იყო. მაგრამ შეიძლება მოიძებნოს ამის ანტიარგუმენტიც: ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მამაკაცები მუდამ ბატონობდნენ, ისტორიულად მათ ისეთი სოციალური როლი ჰქონდათ, რომ მათი აქტივობა შეუზღუდავი იყო. შესაბამისად, კაცებში უფრო მეტად არიან ინტელექტუალებიც, პროფესიონალებიც და ა.შ. შრომის განაწილება, ქალისა და მამაკაცის როლური და სტატუსური პოზიციები მამაკაცს იმთავითვე აყენებდა მომგებიან პოზიციაში იმისათვის, რომ ეკეთებინა ის საქმე, რასაც ინტელექტუალური ან სამეცნიერო შრომა ერქვა. მაშინ, როცა ქალი არ იყო ამისათვის მზად. აქედან გამომდინარე, რელიგიაც მამაკაცური გამოგონებაა. რელიგია ხელს უწყობს მამაკაცს იმაში, რომ მას მეტი თავისუფლება ჰქონდეს, მაშინ, როცა ქალი ამ თავისუფლებას მოკლებულია. ყველა რელიგია ცდილობს ქალის დამორჩილებას. ასე რომ, „ქალწულობის ინსტიტუტი“ არის სოციალური ფენომენი, სოციალური გამოგონება და არა ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული რამ. ეს არის სოციალური მოვლენა და ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო ქართული კულტურა სხვაზე უარესი ან სხვაზე უკეთესია. უბრალოდ, ჩვენი კულტურა მუშაობს ამ რეჟიმში.

— „ქალწულობის ინსტიტუტთან“ დაკავშირებით ხომ არ გააჩნია ქართულ კულტურას რაიმე სპეციფიკური ნიშან-თვისება? ვთქვათ, ხომ არ არის რუსული კულტურა უფრო ლიბერალური სექსუალური თავისუფლების მიმართ? ან ხომ არ თამაშობს რელიგია განსაკუთრებულ როლს?

ემზარ ჯგერენაია — რელიგია განსაკუთრებულ როლს აქ არ თამაშობს. ეს იმიტომ, რომ რუსული და ქართული რელიგია პრინციპულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. უბრალოდ, აქ ერთ რამეზეა მინიშნება: როცა ქალი არ არის თავისუფალი, მაშინ არც მამაკაცია თავისუფალი. და ფაქტობრივად, ჩვენ ვიღებთ სუსტ მამაკაცს და ასევე სუსტ ქალს, რომელთაც ეშინიათ გამოცდილების მიღებისა. ეს იმიტომ, რომ თუ მამაკაცმა ეს დაუშვა, მაშინ მან ისიც უნდა დაუშვას, რომ აირჩიოს ქალი, რომელსაც რაღაც გამოცდილება აქვს, მუდმივად ეჭვი და შიში უნდა ჰქონდეს იმისა, რომ შეიძლება თავად არ იყოს სათანადო სიმაღლეზე.

— მაინტერესებს, როგორ იქნა მიღწეული საზღვარგარეთ სექსუალური თავისუფლება?

ემზარ ჯგერენაია — სექსუალური რეფორმებით ეს არ დაწყებულა; და არც რევოლუციის მოთხოვნით. ეს სხვა მხრიდან დაიწყო. მაგალითად, უფლებების გათანაბრებით. ქალებმა მოიპოვეს საარჩევნო უფლება.

წარმოიდგინეთ, რომ ოჯახიდან არჩევნებზე მხოლოდ მამაკაცები მიდიოდნენ და პოლიტიკა მთლიანად მამაკაცური იყო. თუმცა პოლიტიკა დღესაც, ასე თუ ისე, მამაკაცური ხელობაა, მაგრამ ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში დასაშვებია. ასეთ ფონზე ქალწულობის მოთხოვნა არ არის სერიოზული, მას კულტურა ვერანაირად ვერ აღიქვამს. ჩვენი კულტურა კი არ არის ისე ორგანიზებული, რომ უნივერსიტეტში ჰიპების მოძრაობა ჩნდებოდეს. ჩვენ გვეშინია საკუთარი ინდივიდუალობის გამოკვეთისა, გვეშინია, რომ შეგვარქმევენ სახელს და მარკირებული, სტიგმატიზირებული ვიქნებით საზოგადოებაში. მაგრამ კონფორმიზმის გარკვეული ხარისხი ყველგან არსებობს. კონფორმიზმი თავისთავად პოზიტიური ფენომენია, ის ხელს უწყობს კომუნიკატორული ერთობლიობის ფუნქციონირებას, მაგრამ არა იმ ტიპის, ჩვენთან რომ არსებობს. ჩვენთან კონფორმიზმი სნობიზმის ნაირსახეობაა.

— ბატონო ემზარ, თქვენ სტუდენტებთან მუშაობდით 10 წლის წინაც და მუშაობთ დღესაც. შეიცვალა რაიმე ამ მხრივ?

ემზარ ჯგერენაია — მე მგონი, რომ არაფერიც არ შეცვლილა. შეიცვალა გარეგნულად. თქვენ სხვანაირად გაცვიათ, ჩვენ თაობას სხვანაირად ეცვა. დღეს შეიძლება ოდნავ გაბედულები იყოთ, მაგრამ პრინციპში თქვენ მაინც ისეთივე სტუდენტებად რჩებით, როგორებიც ჩვენ ვიყავით. თქვენ ვერ ბედავთ უფროს თაობასთან კამათს, პასიურები ხართ, მორჩილების რაღაც ზომა გაგაჩნიათ, რაც ჩვენს თაობასაც ჰქონდა. მაგრამ რაიმე იდეოლოგია, რომელიც დაგსჯიდათ, ახლა არ არსებობს, თქვენ გეშინიათ კულტურული სტანდარტებისა და ვიღაც ლექტორებთან ურთიერთობის გაფუჭების, გგონიათ, რომ სწორად ვერ გაგიგებენ.

— „ქალწულობის ინსტიტუტის“ მხრივ შეიცვალა რაიმე?

ემზარ ჯგერენაია — აშკარად იგრძნობა, რომ მეტი თავისუფლებაა, ვიდრე ჩემს დროს იყო. ახალგაზრდები უფრო მეტის უფლებას აძლევენ თავს.

— თუ მშობლები აძლევენ მეტ თავისუფლებას ახალგაზრდებს?

ემზარ ჯგერენაია — მშობლები არ აძლევენ მეტ თავისუფლებას, მაგრამ დრომ ის მოიტანა, რომ თქვენ მშობლების მიერ ბოლომდე ვერ კონტროლდებით. ჩვენს თაობაში უფრო იყო კონტროლის მოთხოვნილება. თქვენ თაობას აქვს ერთი პრობლემა — არა ხართ დამოუკიდებელნი. როცა თქვენ ოჯახებიდან წამოხვალთ და მშობლებს ეტყვით: „მე თქვენი შვილი ვარ, პატივს გცემთ, მაგრამ მე ჩემი პირადი ცხოვრება მაქვს და მინდა მარტო ვიცხოვრო“, მაშინ დაიწყება არა მარტო თქვენი პიროვნებებისა და ჩვენი პიროვნებების ჩამოყალიბება, არამედ დაიწყება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. თქვენ მშობლებს შეჰყურებთ ხელებში და ამას იმით ამართლებთ, რომ სტუდენტები ხართ, სამუშაო ადგილი არ არის და ა.შ. შესაბამისად, თქვენ ჰყიდით თქვენს დამოუკიდებლობას. თქვენ თქვენი თავი მიჰყიდეთ მშობლებს. უარს ამბობთ თქვენს პიროვნულ მოთხოვნილებებზე, გემოვნებაზე, ცხოვრებაზე, სამაგიეროდ კი იღებთ ეკონომიკურ უზრუნველყოფას, მინიმალურს მაინც.

— ბიჭების უმრავლესობა აღიარებს, რომ „ქალწულობის ინსტიტუტი“ არავითარ პრობლემას არ უქმნით.

ემზარ ჯგერენაია — ტყუილია, ეს პრობლემას მაინც ქმნის. საქმე ის არის, რომ შეიძლება ჩვენთვის, მამაკაცებისთვის მტკივნეული არც კი იყოს, რომ მეუღლისთვის პირველი მამაკაცი არ აღმოჩნდეთ, თუმცა მტკივნეულია ის, რომ ეს სხვებმა იციან და აქაც კონფორმიზმი ვლინდება. „ოღონდ სხვებმა არ იცოდნენ და მე შეიძლება ვაპატიო. თუ სხვებმა იციან, ვერ ვაპატიებ, იმიტომ რომ მერე მე დაცინვის ობიექტი გავხდები“, ანუ პიროვნებას კი არ ვხედავთ შეყვარებულში, არამედ...

— როგორ ფიქრობთ, შეუწყობს თუ არა ხელს სკოლაში სექსუალური განათლების შეტანა სექსუალური თავისუფლების ლიბერალიზაციას?

ემზარ ჯგერენაია — სექსუალური თავისუფლების ხელშეწყობა არ არსებობს. ასეთ რაღაცას სექსუალური განათლებით ვერ გააკეთებ. უბრალოდ, კულტურაში ან ეკონომიკაში უნდა მოხდეს რაღაც ისეთი, რაც ადამიანს აიძულებს დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყოს. რაიონიდან ჩამოსული გოგონები მართალია მარტო ცხოვრობენ, მაგრამ ქცევის თავისუფლება მათთანაც არ შეიმჩნევა, რადგან ამ შემთხვევაშიც მშობლების მიერ კონტროლის მექანიზმი მუშაობს. თქვენ რომ ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდეთ, სადაც ვთქვათ, ლუდის ბარში იმუშავებდით და ამის შემდეგ წახვიდოდით ლექციებზე, ფული გექნებოდათ ჯიბეში, თქვენ ჩამოგიყალიბდებოდათ ცხოვრების საკუთარი წესი. ამიტომაც, რაღაც ლოზუნგები რომ მოვიფიქროთ და თუნდაც, „დეფლორაციის საერთაშორისო ცენტრი“ ჩამოვაყალიბოთ, ეს არაფერს მოიტანს. ეს თავისთავად უნდა მოხდეს, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად. ადამიანი თავად აირჩევს, გამოცდილების გარეშე ყოფნა უნდა ქორწინებამდე, თუ არა. არიან ადამიანები, რომელთაც ეს არ სურთ. ეს არის არჩევანის უფლება.

— ანუ, რადგან საქართველო განვითარების გარდამავალ ეტაპზეა, ჯერ ეკონომიკური მხარე დგას წინა პლანზე და მისი მოგვარების შემდეგ მოწესრიგდება სექსუალური პრობლემებიც?

ემზარ ჯგერენაია — ერთი მეორეზე პრინციპში არ დაიყვანება, მაგრამ დამოკიდებულება ამ ორ ცვლადს შორის არსებობს.

- რა აზრის ბრძანდებით „ქალწულობის ინსტიტუტის“ შესახებ?

გაგა ნიჟარაძე — ქალწულობის ინსტიტუტი“ არა მარტო საქართველოში არსებობს; ის არსებობდა ან არსებობს ბევრ სხვა ადგილასაც. ფროიდიანული თვალსაზრისის მიხედვით, ვაჟს ეშინია, რომ მისი მეტოქე როგორც მამაკაცი უკეთესი იქნება, ვიდრე თვითონ არის. ამიტომ ცდილობს დაიცვას, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი მონოპოლია. მეორე მხრივ, სოციო-ბიოლოგიური მიდგომის მიხედვით, მამაკაცი არასოდეს არაა დარწმუნებული, რომ თვითონ არის საკუთარი შვილების მამა. ამიტომ მამაკაცური სიყვარული სხვაა და ქალური - სხვა. მამაკაცისათვის ყველაზე დიდი ტრავმა და ეჭვიანობის საგანი პარტნიორის ფიზიკური ღალატია, ხოლო ქალისათვის - იმის გამო, რომ ქალის ძირითადი დანიშნულება ოჯახზე ზრუნვაა - ყველაზე დიდი ტრავმა ისაა, თუ მამაკაცი სხვას შეიყვარებს. ანუ მამაკაცის ფიზიკური ღალატი ნაკლებად მტკივნეულია ქალისათვის, ვიდრე გრძნობითი. აი, ეს არის ძირითადი. საქართველოში ამას ემატება გარკვეული კულტურული თავისებურებანი. ასე მივედით იქამდე, რომ საქართველოში ქალი უნდა იყოს და არის ასექსუალური არსება; ქალს ეკრძალება ყოველგვარი სექსუალური გამოვლინება როგორც ჩვეულებრივ ურთიერთობაში, ასევე თვითონ სექსულური ურთიერთობის დროსაც. თუ ქალი ამას აკეთებს, ის საზოგადოებისათვის არის „კახპა“, „მეძავი“. ქალწულობის ინსტიტუტი“ სწორედ იმისთვის არის მოწოდებული, რომ ქალი მხოლოდ დედა ე.ი. ჩემი შვილების დედა იყოს. სექსთან ამას კავშირი ნაკლებად აქვს.

რუსუდან მშვიდობაძე — ჩემის აზრით, „ქალწულობის ინსტიტუტი“ არ უნდა არსებობდეს, რადგან ის ბევრ სირთულეს აჩენს.

— კერძოდ, რა სირთულეებს?

რუსუდან მშვიდობაძე - იგივე პრობლემებს, რომლებზედაც გაგამ უკვე ისაუბრა. თუკი ზრდასრულ, მოწიფულ ადამიანს უყვარს მეორე ადამიანი, აქ სექსიც იგულისხმება და ამ კავშირზე უარი არ უნდა ითქვას მარტო იმიტომ, რომ რაღაც ტრადიცია არსებობს, ორ ზრდასრულ ადამიანს შორის ურთიერთობა ინტიმური სექსის გარეშე გარკვეულწილად არაბუნებრივია. მაგრამ მისი ძალით მოშლაც არ მოხერხდება, სანამ ცნობიერება არ შეიცვლება. ახლა ძალით, კანონის სახით ამის მიღება უაზრობაა. ეს ალბათ ინდივიდუალური გადასაწყვეტია ყველასათვის და უფრო ახალგაზრდებისთვის.

— და თქვენ დროს როგორი სიტუაცია იყო?

რუსუდან მშვიდობაძე — გაცილებით უფრო მკაცრი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. მაგრამ დღეს სტუდენტებთან ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინეს უმრავლესობის აზრი, რომ „ქალწულობის ინსტიტუტი“ უნდა არსებობდეს. ცალკე საკითხია, თუ რამდენად გულწრფელნი არიან ისინი...

— დიახ, სოციუმის ზეგავლენაა და ვერ ამბობენ...

რუსუდან მშვიდობაძე — და კონფორმიზმი, ამიტომაც ვერ ამბობენ, რომ ეს ინსტიტუტი საჭირო არ არის.

გაგა ნიჟარაძე — როდესაც სოციოლოგიური მიდგომა ვახსენე, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მამაკაცური და ქალური სიყვარული ბიოლოგიურად სხვადასხვანაირია, ამას დავამატებდი, რომ ასეთი განსხვავება მამაკაცებისა და ქალების სიყვარულს შორის აბსოლუტურად ყველა კულტურაში არსებობს, მაგრამ კულტურა გავლენას ახდენს ამ განსხვავების სიმკვეთრეზე, თუ შეიძლება ასე ითქვას. ვთქვათ, ჰოლანდიაში ეს განსხვავება ნაკლებად შეიმჩნევა, ამერიკაში - მეტად, საქართველოში - კიდევ უფრო მეტად. საქართველოსათვის ის არის, ალბათ დამახასიათებელი და წამყვანი, რომ აქ სექსუალური კულტურა ისტორიულად ნულის დონეზე იყო. აქ არაა კამა-სუტრაზე ლაპარაკი, მაგრამ ხომ შეიძლება ყოფილიყო რაღაც ხალხური მოძღვრების მსგავსი? არაფერს ასეთს მე, ყოველ შემთხვევაში, არ ვიცნობ. ამის გამო ჩამოყალიბდა მკვეთრად მამაკაცზე ცენტრირებული საზოგადოება, სადაც მამაკაცს გაცილებით მეტი სექსუალური თავისუფლება აქვს მინიჭებული, ვიდრე ქალს, რაც ყველა კულტურისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ჩვენთან ქალს ჩამოერთვა სექსუალური სიამოვნების მიღების უფლება.

მოწოლილი ბიოლოგიური მოთხოვნილებიდან თავის დაღწევის საშუალება ჩვენში ადრეული ქორწინებაა. 15-16 წლის გოგონები ამით ფაქტობრივად ლეგალიზაციას უკეთებენ თავიანთ სექსუალურ ცხოვრებას, რაც ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული, მაგრამ boyfriend-girfriend-ის ინსტიტუტი რომ შემოვიტანოთ, ეს დღევანდელ საქართველოში უფრო მეტ პრობლემას შექმნიდა. ცნობილია, რომ რამდენიმე სკოლაში იყო სექსუალური განათლების შეტანის მცდელობა, მაგრამ მშობლები სკოლებში მივარდნენ და ლამის სცემეს მასწავლებელი. საერთოდ, სექსთან დაკავშირებული ტრადიციები ალბათ ყველაზე უფრო მტკიცეა ამა თუ იმ კულტურაში.

— თქვენი აზრით, უარყოფით შედეგს გამოიღებს სკოლაში სექსუალური განათლების შეტანა?

გაგა ნიჟარაძე — არა მგონია, რომ უარყოფითი შედეგი მოიტანოს, რადგან გარკვეულ ლიბერალიზაციას მაინც აქვს ადგილი. ჩემი ოჯახის გამოცდილებით ვიცი - საზღვარგარეთული ფილმების ჩვენებ რომ დაიწყო საქართველოში, დედაჩემი ყოველი შიშველი მკერდის გამოჩენაზე წივილ-კივილს ტეხდა დღესდღეობით კი ჩვეულებრივად აღიქვამს ამას, ინტერესითაც კი.

— ჩემის აზრით, „ქალწულობის ინსტიტუტის" პრობლემა მაინც განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის პრობლემაა. ახალგაზრდები კი ამბობენ: „მე ასე გამზარდეს!"

გაგა ნიჟარაძე — დიახ, მართალია. ქართველი მამაკაცებისთვის საერთოდ დამახასიათებელია ინფანტილიზმი და პარტნიორებში დედის ძიება. არის ტენდენცია, რომ ქალი, რომელთანაც მას ურთიერთობა აქვს არაცოლქმრულ ჩარჩოებში, იმთავითვე მეძავად აღიქვას და მასზე ფიზიკურ ზემოქმედებასაც კი არ მოერიდოს, რაც ოიდიპოსის კომპლექსთან არის დაკავშირებული. ეს ნამდვილად კულტურის გავლენაა.

— როგორ გადაილახა ეს სხვა ქვეყნებში?

გაგა ნიჟარაძე — ძირითადად ეს მოხდა სექსუალური რევოლუციის შემდეგ. 30-იან წლებში იყო რაიხი. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ XVI-XVII საუკუნეებში დასავლეთში მეტი სექსუალური თავისუფლება არსებობდა. ამაზე წერდა, მაგალითად, ბოკაჩო. საერთოდ თვლიდნენ, რომ სექსი შეიძლება იყოს რელიგიის მიერ დევნილი, მაგრამ ის ჩვეულებრივი და ბუნებრივი რამაა, ბერძნებზე რომ არაფერი ვთქვათ. რამ განსაზღვრა ეს, მე არ ვიცი. შეიძლება აქვე აღვნიშნოთ, რომ კიდევ უფრო მკაცრი ტრადიციები არსებობს ბოშებში; იქ გოგონა თუ ქალწული არ არის, შეიძლება მოკლან კიდეც, ისევე, როგორც ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში. თუ რამ გამოიწვია ეს საქართველოში, არ ვიცი. ამას ახსნა რომ მოუძებნო, ისტორიკოსი უნდა იყო და კარგად უნდა იცნობდე გასული საუკუნის ყოფით კულტურას,

რუსუდან მშვიდობაძე — ვერ ვიტყვი, რომ ეს რელიგიითაა გამოწვეული, რადგან ამ შემთხვევაში, ორივე ერთნაირად მკაცრია.

გაგა ნიჟარაძე - დიახ, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ქვეყნებს შორისაც კი დიდი განსხვავებებია ამ მხრივ. რუსეთი გაცილებით უფრო ლიბერალურია ამ საკითხებისადმი, ვიდრე საქართველო და ამას ვერ ავხსნი კლიმატური პირობებით. თუმცა ამბობენ, რომ სამხრეთელები უფრო ტემპერამენტიანები არიან, არა?

— გამოკითხული რესპონდენტებიდან, მხოლოდ ერთ ბიჭს გაახსენდა რელიგია და მან გვითხრა, რომ ცოლი ასევე რელიგიური დოგმების გამო უნდა იყოს ქალწული. როცა შევახსენეთ, რომ „არა იმრუშო" მამაკაცსაც ეხება - „რაღა ამაში უნდა შეგვეჯიბროთო" - გვიპასუხა.

— თქვენი აზრით, აქვს თუ არა გავლენა ქალზე იმას, რომ ის 35 წლის ასაკში ქალწულია? გინეკოლოგმა გვითხრა, რომ მის ფიზიოლოგიაზე ეს ცუდად არ მოქმედებს.

გაგა ნიჟარაძე - ფიზიოლოგია შეიძლება არა, მაგრამ ფსიქიკა კი ნამდვილად იცვლება, თუმცა, ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით. არის ასეთი სტერეოტიპი, რომ ასეთი ქალი უფრო ისტერიული და განსხვავებულია. თუმცა, საკითხავია, ის იმიტომ არის ისტერიული, რომ ვერ გათხოვდა, თუ ვერ გათხოვდა იმიტომ, რომ ასეთი იყო. ისევ არ ვიცი. აქ ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭიროა.

— როგორ ფიქრობთ, შეიცვლება ამ მხრივ საქართველოში მდგომარეობა? მაგალითად, გამოკითხული ბიჭების აზრით - არ შეიცვლება.

გაგა ნიჟარაძე — არა, აუცილებლად შეიცვლება.

— რატომ არიან სკოლის პერიოდის, კერძოდ მე-9 და მე-10 კლასის ბავშვები უფრო კონსერვატულნი „ქალწულობის ინსტიტუტთან" დაკავშირებით?

გაგა ნიჟარაძე — მხედველობაში უნდა მივიღოთ განათლების განსხვავებული დონე. ამ ასაკში, ჯერ ერთი, ყველა სწავლობს, მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ინტელექტის და მომზადების მიხედვით სელექცია ხდება. პიროვნება უფრო განათლებულია, მან უკვე მეტი იცის.

— როგორ ფიქრობთ, რადგან ცვლილებები ელიტიდან მოდის ამ მხრივ მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანი უფრო ლიბერალი იქნება?

გაგა ნიჟარაძე — მე მგონი, ამ მხრივ შემოსავლის დონე იმდენად არ არის განმსაზღვრელი, რამდენადაც, ვთქვათ - განათლების დონე.

ზუსტად შემიძლია გითხრათ რასთან იქნება ეს კორელაციაში: თუ ადამიანი თავს აკლავს ეროვნულ, რელიგიურ ღირებულებებს, ყოველთვის იტყვის, რომ ეს არის ჩვენი ეროვნული ტრაგედია და ჩვენნაირი მორალური ერი მეორე არ არსებობს მსოფლიოში. თუ ადამიანი უფრო დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებებისაკენ არის მიდრეკილი, ის უფრო ნეიტრალური იქნება. თუმცა პირველი, მეორე ან მესამე კურსის სტუდენტი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული პიროვნება, რომელსაც საკუთარი მსოფლმხედ-

ველობა აქვს. ეს ის პერიოდია, როდესაც ბავშვი ცდილობს გამოვიდეს მშობლების მფარველობიდან. რას გამოეტირება ის? ოჯახის ღირებულებებს. აქ ბევრი ფაქტორია. ყველაზე უფრო ინფორმაციული ამ თვალაზრისით 24-იდან 30 წლამდე ახალგაზრდების ანალიზი იქნებოდა. მე გულწრფელად გეტყვით, თქვენხელა რომ ვიყო და ახლა რომ მომყავდეს ცოლი, არ გამეხარდებოდა, ქალწული რომ არ აღმოჩენილიყო.

რუსუდან მშვიდობაძე — და ალბათ, არც არავის გაუხარდება. მე ეჭვი არ მეპარება, რომ დღესდღეობით უფრო თავისუფალია სექსუალური ცხოვრება, მაგრამ პრობლემა იქამდე იარსებებს, სანამ ამაზე გახსნილად არ დაიწყება ლაპარაკი.

გაგა ნიჟარაძე — მე მახსოვს გაკვირვება და სიამაყე ჩვენს ინსტიტუტში იმის გამო, თუ როგორი პროგრესულები ვართ, როდესაც ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა უკანონო შვილი გააჩინა და ამან ჩვენთან მისი არანაირი გაკიცხვა არ გამოიწვია. ეს მაშინ გაკვირვების საბაბი იყო.

რუსუდან მშვიდობაძე — დღესდღეობით, მე მგონი, ასეთი დამოკიდებულება აღარ არის უკანონო შვილებისადმი. ყოველ შემთხვევაში, დისკრიმინაცია ნაკლებია.

— შეიძლება ეს დასავლეთის გავლენად მივიჩნიოთ?

რუსიკო მშვიდობაძე — ალბათ, მომრავლდა ასეთი შემთხვევები და ხალხი შეეჩვია.

გაგა ნიჟარაძე — თუმცა, ალბათ საბოლოოდ ეს ლიბერალური დამოკიდებულება მაინც დასავლეთიდან მოდის. ხშირად ფაქტორების ისეთი კორელაცია არსებობს, რომელიც გარეგნულად არ ჩანს. მაგალითად, გამოკვლეულია, რომ თუ კაცი რასისტია, ის ბავშვს უფრო ხშირად სცემს. ის, რომ ქალი დაჯდა საჭესთან და სიგარეტი მოსწია ისე, რომ მამის არ შეეშინდა, უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ლიბერალური ქცევის ულება გვეძლევა სექსუალურ სფეროში. სიგარეტის მოწევა ძველად? ეს მნიშვნელოვანწილად გათახსირებულობის ნიშანი იყო. ახლაც ასეა პროვინციებში. წარმოიდგინეთ, სადღაც მიყრუებულ სოფელში გოგომ სიგარეტი რომ გააბოლოს, მოკლე კაბა ჩაიცვას და ა.შ.

იმის გამო, რომ საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და მცირე ჯგუფებზეა ორიენტირებული, ქალისათვის გაცილებით ადვილია სექსუალური კავშირი არაქართველთან დაამყაროს, ვიდრე - ქართველთან. იგივე სოფლელი ქალი მიდის თურქეთში და მეძავობს. მაგრამ აქ რომ ვინმემ გადაკრული სიტყვა უთხრას, ამას ის ალბათ შეურაცხყოფად მიიღებს. ეს იმიტომ, რომ იქაური თურქი არ არის მისთვის სრულფასოვანი ადამიანი. ამიტომ მასზე სხვა ზნეობრივი ნორმები ვრცელდება.

—როგორ ფიქრობთ, ცუდი სექსუალური პარტნიორები არიან ქართველი მამაკაცები?

გაგა ნიჟარაძე — ეს არ ვიცი. ცნობილია, რომ ზანგები და იტალიელები ტემპერამენტულ პარტნიორებად ითვლებიან ევროპაში. იმავე როლს თამაშობდნენ ქართველები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. თუმცა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ განსხვავება პოტენციის მხრივ პრაქტიკულად არ არსებობს, ის ამ ხალხების სოციალური როლის შედეგია, სურვილისა, რომ აქტიურად გამოავლინონ თავიანთი მამაკაცურობა სექსუალურობით და არა სხვა რამით.

რუსუდან მშვიდობაძე — ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვალა. თავად ის ფაქტი, რომ თქვენ ამ თემაზე მსჯელობთ, ამ ცვლილების მაჩვენებელია. ადრე ხომ ამაზე ლაპარაკი წარმოუდგენელი იყო!

გაგა ნიჟარაძე — ასე, მაგალითად, ხუთი წლის შემდეგ რომ მოვლენ თქვენნაირები ინტერვიუზე ჩემთან, მე მათ შეიძლება ვკითხო: ქალწულები ხართ თუ რა?", ახლა კი ჯერჯერობით თავს ამის უფლებას ვერ ვაძლევ.